ლუარა სორდია

ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები XX საუკუნის ქართულ პოეზიაში





თბილისი
2009

ნაშრომში მეოცე საუკუნის ქართული კლასიკური ლირიკის ქრისტიანული სახისმეტყველება შესწავლილია გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის , ვაჟა ეგრისელის შემოქმედების მაგალითზე.

ასევე, სათანადო წყაროებზე მითითებით (ბიბლია, ღვთისმეტყველება, სასულიერო ლიტერატურა, ქართული და უცხოური კლასიკური ლირიკა) ნაჩვენებია, როგორ მხატვრულ სახეებში მოიაზრებდნენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ქართველი პოეტები ათეისტურ მეოცე საუკუნეში ჩვენი ზეციური დედის სახეს.

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

რედაქტორი:	პროფესორი ეთერ ქაჯაია
რეცენზენტები:	პროფესორი ციალა მესხია
	პროფესორი ნანა კუცია

შინაარსი

თავი I

„საღმრთოთა სახელთათვის“ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში — 4გვ.
საღმრთო სახელები ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ——— 83გვ.
ანა კალანდაძის ქრისტიანული სიმბოლიკა ——————— 108გვ.
ვაჟა ეგრისელის პოეზიის ანი და ჰოე ——————————— 126გვ.

თავი II

ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს პოეტები ჩვენი ზეციური დედის შესახებ მეოცე საუკუნეში
„და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა“ (გალაკტიონი) — 182 გვ.
„ცისფერი დის“ სახე ტერენტი გრანელის პოეზიაში ——— 193გვ.
ანა კალანდაძის ზეციური დედოფალი ——————— 201 გვ.
„მთვარით მოსილი მგოსნის პორფირი“ (ვაჟა ეგრისელი) —— 210 გვ.

თავი I
„საღმრთოთა სახელთათვის“ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ენაგმურობის, სიმბოლურ-მეტაფორულობის გასაღები მის საღმრთო სახელებში, მათ წყაროებში უნდა ვეძიოთ. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი სახელები თავისთავად არის საიდუმლო შიფრის და ქართველი პოეტის მიერ განსაკუთრებით არის ისინი გაიდუმალებული.

იმ დროს, როცა რელიგიურობა, ღვთისნიერობა კომუნისტებმა უდიდეს ცოდვად გამოაცხადეს, გალაკტიონი საიდუმლო ელფერით მოსავდა თავის საღმრთო სიყვარულს.

კომუნისტები ცდილობდნენ საბოლოოდ დაევიწყებინათ ადამიანისათვის ღმერთი, რათა მისი ადგილი კორუმპირებულ პარტიულ დიქტატორებს დაეკავებინათ.

ღმერთის იდუმალი, შეუცნობელი სახე სწორედ ურთულეს, მეტაფორულ აზროვნებას მოითხოვდა. ისევე, როგორც ქრისტე ესაუბრებოდა თავის ხელდასხმულებს იგავებით, გალაკტიონიც იგავურად, სიმბოლურად მიგვანიშნებს უზენაესზე.

პოეტების მეფემ არ გაიკარა მედროვეთა სამოსი და მზითშემოსილმა, სიხარულშემოსილმა გააგრძელა ღვთაებრიობის ის ხაზი, ბიბლიის შემქმნელებმა რომ დაუდეს სათავე. ამიტომ, ბუნებრივია, პოეტის უმთავრესი წყაროა ბიბლია, სახარება, ღვთისმეტყველება, ჰიმნოგრაფია, უზენაესის ხელდასხმით შექმნილი კლასიკური პოეზია.

პროლეტარული პოეზიის უნიჭო ლეგიონებმა დააკნინეს ღვთიური ქართული სიტყვა. გალაკტიონმა კი იმთავითვე უარყო სტანდარტი და ტრაფარეტი, მთელი თავისი სიცოცხლე და შემოქმედება უზენაესის სიყვარულს, ამაღლებულის, მშვენიერის, მარადიულის მსახურებას და გაუკვდავებას შეალია.

პოეტმა „ფანტასტიკური ხიდი“ გადო ხილულ და უხილავ სამყაროებს შორის.

თუ უდიდესი იყო ალერგია პრიმიტივთა უფერული სიტყვის მიმართ, გალაკტიონის ლექსები გახდა „ნუგეშმწყურვალეთა“

წყარო, ჩვენი დროის სახარება და უმთავრესი სამაგიდო წიგნი.

„ნათელის“ ღმერთის სახედ გააზრების ტრადიცია ბიბლიიდან და სახარებიდან იღებს სათავეს. ღმერთს ეწოდება სახარებაში „ნათელი დიდი“ (მათე, 4, 16), „ნათელი სოფლისაი“ (იოანე, 576, 12)

არეოპაგიტიკაში ღმერთი არის „განუზომელი ნათელი“, „მიუაჩრდილებელი ნათელი“, ჰიმნოგრაფიაში – „ნათელი დაუშრეტელი, ნათელი ნათლისაგანი, ნათელი თვალთშუდგამი, ნათელი დაუსაბამო“, დ. გურამიშვილთან – „მიუწვდომელი ნათელი“, „თვალთა ნათელი“.

ბიბლიაში გარჩეულია ორგვარი ნათელი: „უჟამო, დაუბადებელი“ ნათელი და ხილული ნათელი. დაუბადებელი ნათელი ბიბლიური კოსმოგონიის მეოთხე დღემდე არსებობდა, იგი უხილავია და მიიჩნევა ხილული ნათლის წყაროდ (მ. გიგინეიშვილი, „მზე-ხატი ღვთისა „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 102);

ორგვარი ნათელი გვხვდება ძველ ინდურ, ძველ ეგვიპტურ, ძველ ბერძნულ და რომაულ ფილოსოფიაში. ნათლის შემოქმედი ყველგან ღმერთია.

ინდურ ვედებში ნათელი ღმერთის სახელია.

ქალდეური ფილოსოფიის მიხედვით, ნათელი უნივთო, შეუქმნელი და მარადიულია, ყოველივე არსებულის პირველმიზეზი. ის შედარებულია გონებასთან, რომელმაც მატერია აამოძრავა და ქვეყნიერება შექმნა.

შემდეგ ნათელი უნივთო სულის – ღმერთის სახელი ხდება. ბერძნულ სამყაროში აპოლონი იყო უნივთო ნათლის სახე.

ბაბილონურ-შუმერული მითოლოგიის მიხედვით, ღმერთმა შექმნა ქაოსიდან ნათელი.

ორგვარ ნათელს განასხვავებდნენ ნეტარი ავგუსტინე, ფსევდო დიონისე არეოპაგელი, ბასილ დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი.

თეოლოგიაში ნათელი კეთილის სიმბოლოა, ბნელი-ბოროტებისა (ნ. სულავა, „ლიტერატურული ძიებანი“, თბ., 1983წ. გვ. 218).

ნათელი ღმერთის შეცნობის სიმბოლოდ მოიაზრება, ბნელი („თვალშეუდგამი ნათელი ბნელი“) – ღმერთის შეუცნობლობისა.

მაჰმადიანურ მწერლობაშიც ღმერთი ნათელია.

მაზდეანიზმსა და ზოროასტრიზმში ღმერთი არის თეთრი, ნათელი, ბრწყინვალე. ებრაელთა ღმერთი ნათელია. ასეა მითრაიზმში, ქრისტიანობაში.

ძველ და ახალ რელიგიებში მთავარია ორი ფერი, ორი ძალა. თეთრი ფერია დღისა და ცისა, მშვიდობისა.

ქრისტიანული ღმერთი არის ნათელი, ნათელმფენი.

თეთრი სინათლის, სიწმინდის, სილამაზის, უმანკოების, წმინდანობის, სიხარულის, ბედნიერების, ნათლისღების ფერია. ქართული მონათვლაც ქრისტიანობას უკავშირდება (ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება“, ბუენოს-აირესი, 1953 წ. გვ. 133).

ნათლის ესთეტიკაა ჰომეროსისა და ჰელიოსის უძველეს ჰიმნებში, ორფიკულ მითოსში, ძველ ებრაულ და ძველ ინდურ თქმულებებში. ცნობილია ნეოპლატონიკოს პროკლე დიადოხოსის მზისა და ნათლის ჰიმნები.

ნათლის ესთეტიკით ყურადღებას იქცევს ნეოპლატონიზმი, რომანტიზმი, სიმბოლიზმი.

დანტესთან ღმერთი არის „ნათელი ზეციური“, „ნათელი უზეშთაესი“, „წმინდა ნათელი“, „მარადჟამული, ცხოველი ნათელი“ („ღვთაებრივი კომედია“, თბ., 1941წ. გვ. 376, 397, 410, 411).

„ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით, ცხოვრების ნათლის სათავე ღმერთია: „ნათელი ცხოვრებისა, რომელსაც ღმერთში სათავე თვისი უპოვნია“ (იქვე, გვ. 52-63).

„ვიდოდეთ ნათელსა უფლისასა“ – მოგვიწოდებს „ქებათა ქება სოლომონისა“ (7,5).

ძველ ქართულ პოეზიაში ღმერთი ნათელია, „ნათელი დაუღამებელი“, ქრისტე „ნათელია“, „ნათლისგან შობილი“. „ნათელი ნათლისა უფლისა“.

იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბეში“ ღმერთის სახელია „უღამო ნათელი“.

ქართულ ჰიმნოგრაფიაში ყურადღებას იქცევს საღმრთო ნათლის ვარიაციები: „პირველი ნათელი“, „ნათელი

სამარადისო“, „უსაწყისო ნათელი“, „ნათელი სოფლისა“ (საბა სვინგელოზი),“ „გარეშეუწერელი და მიუწვდომელი, უხილავი, გამოუთქმელი ნათელი, ნათელი ნათლისაგან შობილი“ (მიქაელ მოდრეკილი), „სამების ნათელი, ბუნებითი იგი ნათელი“ (ეზრა), „საცნაური ნათელი“ (იოანე მტბევარი), „ნათელი წარუვალი“ (სტეფანე სანანოისძე).

ჩახრუხაძის „თამარიანში“ ღმერთი არის „თვალშეუდგამი ნათელი ბნელი“, შავთელის „აბდულმესიანში“ ნათელია სამება.

„გვიან შუა საუკუნეებში ნათელს ესთეტიკური ფუნქცია დაეკისრა, იგი ადამიანის სილამაზისა და შინაგანი ბუნების გამოხატვის თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას“ (რ. სირაძე, „სახისმეტყველება“, თბ., 1977წ, გვ. 153).

„თამარიანსა“ და „აბდულმესიანში“ ერთმანეთს ერწყმის მზისა და ნათლის ესთეტიკა. „თამარიანში“ თამარი არის „მზე და ციური ნათელი“, „თვალშეუდგამი ნათლის მფენელი“, „აბდულმესიანის“ მიხედვით, თამარი წარმოდგენილია, როგორც „ნათელი, სახედ ელვისა“. თამარის ნათელი „ზენა-თელია“ (იქვე).

უძველეს იადგარში მარიამ ღვთისმშობელი არის „ნათლის დედა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი ნათელია: „ღმერთმან ნათელთა სახისა“ – ამბობს ავთანდილი (ხაზგასმა ეკუთვნის ვ. ნოზაძეს, „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება, გვ. 134).

პოემის გმირებს ღვთაებრივი სილამაზე აქვთ. „ნათელსა მას უღამოსა“ – მიემართება თინათინს.

დ. გურამიშვილის „დავითიანში“ ქრისტე არის „ნათელი“, „ღღე ნათლიერი“, „წარუვალი ნათელი“ (ტ. მოსია, „დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა“, თბ., 1986წ. გვ. 141).

ამ სფეროში გალაკტიონი ტრადიციებსაც ემყარება და ახლებურიცაა. მის შემოქმედებაში გვხვდება „წმინდა ნათელი, ზეგარდმო ნათელი, ბუნების ნათელი, ადამიანის ნათელი, გონების ნათელი, სულის ნათელი, პოეზიის ნათელი, სიმ-ბოლური ნათელი, გონების ნათელი, სულის ნათელი, ზო-დიაკალური ნათელი.

ღვთაებრივი, წმინდა ნათელია ლექსში „ავე მარია“: „ელვარებს, დნება წმინდა ნათელი, მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი. ნუგეშ-მწყურვალეთ შენსკენ მოილტვის ლოცვა-ვედრება და საკმეველი“.

არეოპაგელისეული ღვთის შეუცნობლობის თეორიის მიხედვით, „წმინდა ნათელი“ და „წმინდა სიწყვდიადე“ ერთია. ეს აზრი ჰეგელის გზით გაუთვისებია გალაკტიონს: „წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი, წმინდა სინათლის დიად ბადეში, ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სიწყვდიადეში“ („როგორც ნამდვილად ამბობს ჰეგელი“).

ორიგინალური სახეა „წმინდა სინათლის დიადი ბადე“.

„სამუდამო ნათელი“ – სინათლე ანუ ღმერთია პოეტის ძიების ორიენტირი: „ჩვენ სამუდამო გვინდა ნათელი“ („მიწა შეამჩნევს„).

„ღამის ნათელი“ ღმერთია, „სულთა შეხების“ უნარის მომნიჭებელი: „ღამის ნათელში, მტვერში, მთვარეში მიყვარდა სულის შეხება შენი“ („სანთელი“).

ქრისტე არის „სინათლე“, „სიმართლე“, რომლის სასწაულებრივ ძალას განადიდებს პოეტი თავის ლექსებში, როგორც გამარჯვების უპირველეს გარანტიას: „გაისმოდა ხმა სიმართლის და სინათლის მთესი“ („1950“).

„რომ შექმნა რამე დიადი, საჭიროა სინათლე, ბევრი სინათლე” – ასე უკავშირებს პოეტი. ღვთაებას შემოქმედებას. მისი იდეალია „სინათლის მქმნელი სიცოცხლე“.

რუსთაველის პოეზიის შუქი „ზოდიაკალურ ნათელს“ ესალმება („პოემა ვეფხვისა“).

თვით პოეტი იმ ნათელს ელოდება, რომელმაც მისი ნიჭის შესაძლებლობები უსაზღვროდ უნდა გააფართოოს მსოფლიო ლირიკის დიდ კორიფეთა რანგში: „ჩვენ ნათელი გველოდა არამცირეოდენი, არამცირეოდენი დაფნით და დაფერებით“ („გოტიეს“).

„მეტი მზის სხივი“, „მეტი ნათელი“ ენატრებოდა გალაკ-ტიონს.

„თეთრი ბრწყინვალება“ მკვიდრობს პოეტის სულში, რო-გორც ზეციური ნათლის სახე: „არის ფერისცვალება, სულში შორით მოსული და თეთრი ბრწყინვალება, რაღაც ანგე-ლოსური“, „თენდება“).

ქრისტე ღმერთი არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2, 10).

ამ „სიხარულს“ გალაკტიონი განიცდის „დილის“ – მარიამის საშუალებით, ღმერთის სახეობრივ-გრძნობადი აღქმა კი ხდება „თეთრი რტოებით“ (სიცოცხლის ხე და მისი რტო ქრიტეს სიმბოლოა): „ესაა მკრთალი ნათელი დილის, რომელიც ულევ სიხარულს მათოვს. ო, მოგონებავ, როგორ გიცდიდა ის სიხარული თეთრი რტოებით“...

„მშვიდობის წიგნის“ პერსონაჟი, ღვთის (წიგნის) მაძიებელი ტარიელი „გამარჯვების სინათლეს“ ნასკვავს, ანუ უზენაესს უახლოვდება.

ღვთაებრივი ნათლის მოფენისათვის ლოცულობს „შუქის“ ლირიკული გმირი: „გააპე ბნელი, ნაცვლად ნათელი მოგვფინე, შუქო, სახსნელ იმედად“.

იდუმალია „სინათლის ქაფები“, თბილისის გზაზე რომ იელვებს გამოცხადებასავით: „ჩნდება სინათლის ჩქარი ქაფები, გზებზე ქარივით მოქარავნე“ („ტფილისი ღამით“).

ლექსში – „თბილისი“ „სინათლე“ და „წყარო“ იდენტურია და ორივე ქრისტეს სიმბოლურ სახელად მოიაზრება: „სინათლე ჩქეფს, როგორც წყარო“.

ფსალმუნში ნათქვამია: „გამოავლინე ნათელი შენი და ჭეშმარიტება შენი, ესენი მიმიძღუეს და მიმიყვანეს მე მთასა წმიდასა შენსა და საყოფელთა შენთა“ (დავითი, 184, 3).

„უფალმან გამოაბრწყინოს ვითარცა ნათელი, სიმართლე შენი და განკითხვა შენი, ვითარცა დღე შუვაი“ (დავითი, 178,5).

ქრისტეს ნათელი მიუძღვის გალაკტიონს მაღალი მშვერვალებისკენ სასძლოსთან – მარიამთან ერთად: „სითეთრე შვენის მაღალ მწვერვალებს, ვით სასძლოს ფარჩა და ალმასები“(„ალვები თოვლში“).

სინათლისკენ ფრენა ენატრება პოეტს: „გამოიგონე რამ, გევედრები, ისეთი ღონე, რომ სინათლისკენ აგვიხსნას ფრთები“ („გამოგონება“).

პოეტი ეძებს „სამუდამო ნათელს“ („მიწა შეამჩნევს“), „სიმართლის ნათელს“, „სინათლის წყაროს“.

„სიმართლის ნათელს“ ელტვის კაცობრიობა დასაბამიდან: „და სიმართლისა ნათელი არა აღმოგვიბრწყინდა ჩვენ და მზე არ ამოგვიელვარდა ჩვენ“ („სიბრძნე სოლომონისა“, 5,6).

„სითეთრის რკალის“ გაუჩინარების, შავ ღამეში იუდასა და კაენის მოვლინების ტრაგიზმია ლექსში – „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“: „ჩემთვის უცხოა სითეთრის რკალი და ნათელივით არის აშკარა იუდას სახე, კაენის ლანდი და ღამეების შავი გუგუნი“.

ქრისტე სიცოცხლეა, „სიცოცხლის ფესვი“ და „მკვიდრ-ნათელია“.

ბრმა ჰომეროსი შინაგან ნათელს ხედავდა გონების თვალით.

მორწმუნე გალაკტიონისთვის ღამეშიც სინათლეა: „სიღრმით სინათლე მოიჭრა ღამით“.

პოეტის „შინაგანი მეორე მეც მშვიდი და ნათელია“ (ტ. 12, გვ. 328), მაგრამ იგი წუხს „გულგაუნათებელ ადამიანებზე“.

ნათლის გაუჩინარებისას თითქოს სულის გაფითრებასაც ხედავს მისი მახვილი თვალი: „და სული ფითრდება ნათელის ცვალებით“ („მე მოვალ“).

„ცისფერ ბადეში“ დამწყვდეული სული იტანჯება ნათლის წყურვილით: „ეს არის სული დამწყვდეული ცისფერ ბადეში და ნათელივით იტანჯება მისი თვალები“ („ფარდების შრიალი“).

ღმერთის სული ნათელს ასხივებს: „აქ სული ფრენდა და ნათელს ჰფენდა“ („მშვიდობის წიგნი“).

„სული გამუდმებით ასხივებს ნათელს და მის შუქზე ჭვრეტს როგორც გარეშე სამყაროს უსასრულობაში დამარხულ, ასევე მისსავე შინაგან ჭეშმარიტებას“ (მარკუს ავრლიუსი, „ფიქრები“, 14, 261).

სულში ზოგჯერ ბოროტების საწყისი – ლუციფერი ისადგურებს და მის მძვინვარებას უპირისპირდება ღვთაებრივი ძალა – „უმანკო ნათელი“, რომელსაც შეუძლია „ბნელცოდვილი“ სიავის დამარცხება, ვინაიდან იგი თვით სასწაულია („სასწაულს“).

ამ სახის ორიგინალური ვარიაციაა „მშვიდი სინათლე“, რომლის თანმხლებია მწუხარება და სიყვარული. მისი სასახლის (ე. ი. სინათლის სასახლის) ლანდია პოეტის წიგნის ფურცლებში გაელვებული: „ამ საღამოში განისვენებს მშვიდი სინათლე, სავსე უდიდეს მწუხარებით და სიყვარულით. ამ

წიგნის ფურცლებში დაჰქრის მისი სასახლის ლანდი („ღრუბლები ოქროს ამურებით“).

გალაკტიონისთვის ორგანულია აპოკალიფსის ზეციური სასახლის სახე – ზეცის ქალაქი, ზეციური იერუსალიმი, რომლის ანალოგი მის შემოქმედებაში არის ზეციური „ლალის კართგენი“, „ახალი კართაგენი“ („ეფემერა“, „ცხრაას თვრამეტი“), „მშვიდი სინათლის... სასახლე“...

არსებობას აბრწყინებს ღმერთი – „სიცოცხლის ნათელი“: „მხოლოდ ყოფნა დღევანდელი განმინათლე, რომ მალხენდეს, რომ სიცოცხლის ნათელს მფენდეს, რომ ბრწყინავდეს, ვით კანდელი“... („გუშინ, დღეს და ხვალ“).

ქრისტიანული ღმერთი არის „ახალი ნათელი“, „კარგი ნათელი“, „მხნე ნათელი“, რომელიც სულშია დავანებული: „მე ამ მაისის სულ ახალი ვიგრძენ ნათელი, კარგი ნათელი – მხნე ნათელი შინაგან სიღრმის“ („გამარჯვების დღე“).

საღრმთო ნათლის ახალი ვარიაციაა „უცხო ნათელი, წრფელი ნათელი“: „ხატის წინ წრფელი, უცხო ნათელი ირხევა, კრთება, სხივს აკანკალებს, მგზნებარე თვალებს“ („ხატის წინ“).

ლექსში – „ქალაქთა ბნელთა“ – ქრისტე „სანატრელ სინათლედ“ ცხადდება: „...სანატრელ სინათლეში აღიმართება კიბე სიწმინდის, სიყვარულის, პატიოსნების“. „კიბე“ მარიამის სიმბოლოა.

ქრისტიანული უფალი მოვლენილია, როგორც ცეცხლი და გათენება: „იმ სწრაფს, იმ სანატრელ მერანს გაუმარჯოს, იმ ცეცხლს გაუმარჯოს და იმ გათენებას“ („ცაზე ლეგიონი ცურავს ვარსკვლავების“).

პოეტი ხედავდა „გათენებას“: „ვით გათენებას, მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“ („მე მძინარე ვარ“), მიესალმებოდა „დიად გათენებას“ („მშვიდობის წიგნი“).

„გათენების“ ამგვარი გაგებით იხსნება შემდეგი ფრაზის ჩანაფიქრი: „როსმე მოგიყვები ჩემს თავგადასავალს და თმა, გათენებავ, ყალყზე დაგიდგება“ („ცაზე ლეგიონი ცურავს ვარსკვლავების“).

პოეტისათვის „აზიიდან მოდის განათება“ („ფარულ ტკივილებით“). აქ ვფიქრობთ, გაზიარებულია ის აზრი, რომ ქრისტე აღმოსავლეთიდან მოვიდა.

ქართველი პოეტისათვის ქრისტე არის ცისკარი, სიახლის ალის ნათება: „ცისკარი აწმყოს სიახლის ალით ანათებს, ანათებს“.

ბიბლიაში ნათლით შემოსვა სიწმინდის, სიკეთის, უცოდ-ველობის სიმბოლოა: „და ყოველჟამს დაე ნათელი იყოს შენი სამოსი“ (ეკლესიასტე, I,8).

ნათლის სამოსი ემოსა უცოდველ ადამს, ნათელშემოსილნი იყვნენ წმინდადები, ცეცხლშემოსილი და ელვით განათებული იყო დიონისე არეოპაგელი (არეოპაგიტული კრებული, 1983წ. გვ. 38).

მხოლოდ უზადო სულის ადამიანებს აცვიათ ნათლის სამო-სი „ღვთაებრივ კომედიაში“.

გალაკტიონი მზით შემოსილა, ნათლით ნათობს, ზეგარდ-მონათლით მოსილია და უპირისპირდება ჭაობის ბრბოს: „ვნა-ხე და თვალწინ დამიდგა შორი ჭაობში მყოფი ბრბო დაუმცხრალი, ზეგარდმონათლით მოსილ პოეტად ვის არ ხედავდა იმისი თვალი“ („ზღვის პირად მდგარი“).

მარიამი ნუგეშია, ქრისტე მზეა, რომელიც სიბნელეს ფან-ტავს და შუბლს ნათელით ასხივოსნებს: „შენი მზე სიბნელეს გახევს და დაადგება შუბლს ნათელივით („ნუგეში“).

ვფიქრობთ, საღვთო ნათლის ვარიაციად უნდა მივიჩნიოთ გალაკტიონის პოეზიაში გამობრწყინებული ნათლის სვეტი. ბიბლიურ მოსეს, როგორც ღვთისგან რჩეულს, ნათლის სვეტი ადგას თავზე, როცა უზენაესი ეცხადება. ხოლო ნათლის რქები, რომლითაც ასახა მოსე მიქელანჯელომ, მისი წმინდანობის ნიშანია.

პლატონი „ზეცის კვანძს“ უწოდებს ნათლის სვეტს: „ისეთ ადგილას მისვლა, სადაც ზემოდან ჩანს მთელი ზეცისა და დედამიწის წიაღით გარდაფენილი სხივი სინათლისა, თითქოს სვეტი ყოფილიყოს ცისარტყელას მსგავსი, უფრო კაშკაშა და წმინდა და იქ, იმ ნათლის სვეტის შუაში დაინახეს... ზეცის კვანძი“ („სახელმწიფო“, V, 615).

ნეოპლატონიზმის ნათლის სვეტი არის „სხეულებრივი, უძრავი, განუყოფელი, ყველაფრის შემცველი ადგილი უნივერსუმში“ (ფილოსოფოსი პროკლისი).

მანიქეიზმის მიხედვით, ნათლის სვეტით ნათელი არსებანი მთვარისკენ მიიწევენ.

გადმოცემით, სინათლიანი ანუ განწმენდილი სულნი მთვარეზე და მზეზე ასვლის შემდეგ გროვდებიან „დიდების სვეტზე“ (ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება“, 1957წ. გვ. 34).

ცნობილია სვეტის აგება ღვთის საპატივცემლოდ. პირველი სვეტი ღვთის სახელზე აგებულ იქნა ასურეთში, შემდგომ ეგვიპტესა და საბერძნეთში იზიდას და ოზირისის თაყვანისცემის ნიშნად აგებული იყო სვეტი საიდუმლო და საღმრთო ნიშნებით, საბერძნეთში შვიდი სვეტი მიძღვნილი იყო შვიდი მნათობისადმი (ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება“, 1957წ., გვ. 34).

„არეოპაგიტულ კრებულში“ დიონისე არეოპაგელს ეწოდება „ნათლის სვეტი“ (გვ. 180). სხვა კონტექსტში პეტრე არის „სათნოების სვეტი“ (გვ.189).

ნათლის სვეტით დიონისე არეოპაგელს ღმერთი ეცხადება: „ნათელმან ნათლისამან ღმრთისა სიტყვანმან ნათლის სვეტით ნათლად გეზრახა, ბრძენო“ (იქვე, გვ. 175).

აგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია ამრავალფეროვნებს ამ სიმბოლოს შინაარსს.

ერთ შემთხვევაში, ნათლის სვეტი ღვთის გამოცხადების ნიშანია: „სუეტისა მიერ ნათლისა გამოცხადებითა... აღაშენე ხევი ეგე უდაბნოისი“ (პ. ინგოროყვა, „გიორგი მერჩულე“, 1954 წ. გვ. 100)

„ქართლის ცხოვრებაში“ სვეტი ნათლისა ღმერთის გამოცხადებას მოასწავებს: „რამეთუ სვეტი ნათლისა წინ უძღოდა მათ“ („ქართლის ცხოვრება“, II 162).

შატბერდის კრებულისეულ „ნინოს ცხოვრებაში“ წევრია: „იხილეს საკვირველი იგი, ნათლითა ბრწყინვალე სვეტი. იგი ჩამოვიდოდა ადგილიდან თვისსა“ (გვ. 345).

„ნინოს ცხოვრებაში“ ქართლის მოქცევის შემდეგ დანახული ნათლის სვეტი ქრისტეა, რომელსაც 12 ანგელოზი და 12 ვარსკვლავი (მოწაფეები) ახლავს: „აჰა ესერა, სუეტი ნათლისაი სახედ ჯუარისაი დგა ზედა ჯუარსა მას და ათორმეტნი ანგელოზნი დაგვირგვინებულ იყვნეს გარემოისა მისსა, ეგრეთვე სახედ ათორმეტნი ვარსკვლავნი“...

მეფე მირიანმა „ნათელი ბრწყინვალებისაი იხილა მსგავსად ჯვარისა. განუნათლა ბნელი იგი ნიშანმან ჯვარისამან წინაშე

თუალთა მათთა“ (გვ. 350), ე.ი. მონათვლა ჯვარს და ნათელს უკავშირდებოდა.

ნიკოლოზ გულაბერიძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“ ნათლის სვეტის მრავალ ვარიაციას შეიცავს („ჩვენი საუნჯე“, ტ. I, გვ. 541).

ამ სახეში ქრისტე გვეცნაურება: „სუეტო, ყოვლად წმინდაო, ნათელო და ბრწყინვალეო და მზეო დაუვალო, რომელი ჰნათობ სულსა და გონებასა შინა მორწმუნეთასა“ (იქვე, გვ. 538).

მარიამს მიემართება შემდეგი სტრიქონები: „სუეტად ნათლისად ყოვლად ბრწყინვალედ ქადაგებულო... ღმერთისა დედაო, მუოხ გუეყავ ჩვენ“ (იქვე, გვ. 539).

ჰიმნოგრაფიამ ნათლის სვეტი წმინდანებს დაუკავშირა. უცნობი ჰიმნოგრაფი ნინოს უწოდებს ნათლის სვეტს: „შენ ხარ მოძღვარ ქართლისაი, სვეტი ნათლისაი, ცვარი ღრუბლისაი, მზრდელი სულისაი, მასწავლელ სიხარულისაი“ („გალობანი ნინოისი“, „ქართული მწერლობა“, I, 1987 წ., გვ. 481).

იოანე მინჩხი მიმართავს ღვთისმეტყველთ: „თქუენ ხართ სუეტნი სულიერნი“.

ბასილი საბაწმიდელთან წმინდანია „ნათლის სვეტი“.

იოანე შავთელის „აბდულმესიანში“ თამარს ეწოდება „სვეტი სჯულისა“, „ცნობის სვეტი“, „ახოვნების სვეტი“.

„ნათელ სვეტს“ სილამაზის გამოხატვის მიზნით მიმართავს რუსთაველი, როსტევანი ეუბნება ავთანდილს: „სად წაჰხე და სად დაჰკარგე სინათლისა ეგე სვეტნი?“ აქ სილამაზის სინონიმურია ეს სახე.

„ვეფხისტყაოსანში“ ნათლის სვეტი სიხარულის, ბედნიერების გრძნობასაც აღნიშნავს. ტარიელის ინდოეთში მიბრუნებაზე პოემაში ნათქვამია: „ინდოეთს ზეცით სინათლე ჩადგა, მართ ვითა სვეტია“. ლხინის, სასიხარულო განწყობილების გადმოსაცემადაა პოემაში ნათქვამი: „გულსა ბნელი განმინათლდა, ზედა ლხინი ადგა სვეტად“.

ესთეტიკური ფუნქციითაა გამოყენებული ასტროლოგიური დებულება შემდეგ სტრიქონებში: „მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა“ (ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება“, 1957წ., გვ. 409).

ნათლის სვეტი პერსონაჟის სილამაზის მიმანიშნებელია თეიმურაზ პირველის „ლეილ-მაჯნუნიანში“: „მეფე ყელსა მოე-

ხვია მას მთიებსა ნათლის სვეტსა“. ამ გაგებისაა „ბროლის სვეტიც“: „ანდამატისა მკერდზედა ბროლისა სვეტი ემართა“.

დანტეს „ნათლის სვეტი“ ვირგილიუსთან მიმართებაშია წარმოთქმული და პოეტური სიდიადის ხაზგასმაა: „შენ ვირგილიუს უნდა იყვე, დაუშრეტელი დასაბამი ენამზეობის, სხვა პოეტების ნათლის სვეტო და სიამაყევ“ („ღვთაებრივი კომედია“).

აკაკი წერეთელი ნათლის სვეტს ალექსანდრე ჭავჭავაძეს უწოდებს: „დიდო პოეტო, ნათლისა სვეტო“ („ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“).

ვაჟა-ფშაველას შთაგონების დროს ევლინება „ნათლის სვეტი“: „გაჩნდება რაღაც ნათელი, გულს ჩამიდგება სვეტადა, მითრთიან სულის სიმები სიამოვნების ღმერთადა“ („როს ვუკვირდები თავის თავს“).

გალაკტიონის „ნათლის სვეტი“ ღმერთია, მაგრამ უშთა-გონებო წუთებში უჩინარდება და უღმერთო არსებობა ტრაგე-დიად იქცევა: „არც სილაჟვარდე გამოჩნდა ზეცის, არც დედამიწად ქარის გოდება, კაცი ყოფილა საბრალო მხეცი, რომელიც თან გძულს, თან გეცოდება. აღარც ცრემლია, რომ გული დალბეს, გზად გამოშუქდეს ნათელი სვეტი, ვერ გადალეკავს ამდენ სიყალბეს ვერარა ძალა, სიკვდილის მეტი“.

ეს სტრიქონები სიმბოლურად მიგვანიშნებს ღმერთისაგან გაუცხოებული ეპოქის ტრაგედიაზე.

ზეშთაგონებულ წუთებში ნათლის სვეტი ისადგურებს პოეტის გულში: „გული დამბული მაგარ სიმებით, მგზნებარე ერთი ნათელი სვეტით“ („მუშა“).

ამ სახის ვარიაციაა „მე და ღამის“ „ლურჯი სვეტიც“. ლექსში ღმერთის გამოცხადების მომასწავებელია „საიდუმლო შუქი“ და ცის „ლურჯი სვეტები“.

„მომავლის სვეტშიც“ ანალოგიური ჩანაფიქრი უნდა ვიგულვოთ: „მოუსყიდველი, მომავლის შემგრძნობი სვეტის, ბრძოლებში იყო ბევრის მთმენი გული პოეტის“ („1950“).

„ნათლის სვეტის“ სილამაზედ გააზრების ნიმუშია გალაკ-ტიონის „შეხვედრა მთაში“: „ეს შენა ხარ - ნათლის სვეტი, ცხადი ხარ თუ მოჩვენება?“.

„განახლება – „ნათლის სვეტია“ პოემაში „აკაკი წერეთე-ლი“.

პოეტური გასხივოსნების მაცნეა „ცეცხლის სვეტი“ ლექსში – „ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“.

„მზის სვეტის“ ხილვა უზენაესის ხილვაა პოემაში „მშვიდობის წიგნი“ და ეს სასწაული ხდება მაშინ, როცა ტარიელმა მშვიდობის წიგნი იპოვა: „ხედავს მზის სვეტთა, გამჭვირვალეს და სხვანაირს, სხვაფერს“. ხალ აღთქმაში საღმრთო სახელად გვხვდება „ჭეშმარიტების სვეტი“ (პავლე მოციქული, I ტომი, 4,5).

ასე ორიგინალურად გაიაზრა და განავითარა გალაკტიონმა წინარე პოეტური ტრადიციები „ნათლის სვეტთან“ დაკავშირებით.

ქრისტიანული სამება მოიაზრება მზის სახეში. შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის პოეტურ სამყაროში ქრისტე ფიგურირებს, როგორც „მზიანი ღამე“.

გალაკტიონი მიმართავს „მზიური ღამის“ სახეს და წინაპართა მიგნებას ორიგინალურ კონტექსში იყენებს: „შენ, მზიურო ღამის ქარო, მიგაქვს ყველა ვარდები, მსურს ამ ლექსით დაგაწყნარო, მაგრამ არა წყნარდები“ („ტფილისი ღამით“).

„მზიური ღამე“ ღმერთია, ქარი – შთაგონება, სილამაზესთან, პოეზიასთან დაკაშირებული. ლექსში სევდაა „მზიანი ღამის“ დაკარგვის გამო, რაც ღმერთის უარყოფას გულისხმობს.

გალაკტიონისთვის არსებობს ორი მზე. „შორეული მზე“ ღმერთის სიმბოლოა და „ორეული მზე“ – ხილული ფიზიკური მნათობი: „წინ, ბაწარზე ორეულ მზით აივსე პეშვები, ან მზეს ნახავ შორეულს, ან სიგიჟემორეულ ზღვაში გადაეშვები“ („ბაწარზე“).

„ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით, ღმერთი არის „მზე ნათლითმოსილი“, „ჭეშმარიტი მზე“, „დიადი მზე“ (გვ. 315, 297, 377).

დანტე ალიგიერი ეძებს ხილული მზის სათავეს, ღვთაებრივ სხივებს და განუზომელი სიხარულით ავსებს მასთან შეხვედრა: „ღვთაების სხივმა მე დამადგა მოწყალე თვალი, ჩასწვდა ნათელში, სადაც ვიყავ დავანებული, ამადაც ვიწვი სიხარულით გულანთებული, მან აღმაზევა და მიტომაც

ვხედავ სათავეს, უზესთაესის, მარადჟამულ ძალმოსილების“ („ღვთაებრივი კომედია“, თბ., 1941 წ., გვ. 361).

გალაკტიონი ეგებება „ამომავალ მზეს, „ახალ მზეს“, სულის რაშით გადაიფრენს მწვერვალებს და ევლინება ელვიან ცას, „მზის სათავეს“: „აუჩქარა ცხენმა გზაში, ქიმერებმა დაჰკრეს ტაში. დაიკივლა ელვამ ცაში და ღრუბლები შეაჯერა. აჰა, ბრძოლა დაათავა, ნაპოვნია „მზის სათავე. დაუჭირა რაშს სადავე, ხედავთ? იგი შეაჩერა“ („აუჩქარა ცხენმა გზაში“) „მზის სათავე“ ქრისტანული ღმერთია.

ქრისტე არის „მუდმივი მზე“, „მუდმივი გაზაფხული“, მარიამი – „დაუჭნობი ყვავილები“: „გაიარა ვრცელი გზები, სად მუდმივი მზეა მგზნები და მუდმივი გაზაფხულის დაუჭკნობი ყვავილები“ („აკაკი წერეთელი“).

იესო სულიერი მზეა, „წმინდა შინაგანი მზე“: „უცებ გაბრწყინდა მისი საკანი, აენთო წმინდა მზე შინაგანი, შორეულ წერტილთ რამ შემაერთი“ („მშვიდობის წიგნი“).

უფალი წარმოიდგინება, როგორც „მზე ცხოველსხივებიანი“: „მზეს შევნატროდით, მზე გვსურდა, მზე ცხოველსხივებიანი, თავისუფალი, ძლიერი, ახალი, განგებიანი“ („ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“).

უფალი მარადიული მზეა, მომავლის მზე, რომელიც ტიტანურ ძალისხმევას ანიჭებს, სასწაულმოქმედი უნარით ავსებს ადამიანს: „ამოვდივარ! ღამის ნაკვთებს მალე გაჰკვეთს ჩემი ფრთები... მომავალის მზის სხივები კანდელივით დაგ-ქათქათებს! („ავრორა“).

ქრისტიანული ღმერთი გალაკტიონმა წარმოიდგინა, რო-გორც „მაღალი მზე“: „იფეთქებს ნაღმივით მზის ალთა კიდება, მაღალ მზეს დიდება, დიდება, დიდება!“ („დილა სვანეთში“).

მხოლოდ ღმერთის სიმბოლოდ მზის სახეში მოაზრებით გაიგება, თუ რატომ არიგებს პოეტს მზე („კვლავ მომაშუქებს მზე სიმტკიცეს და დარიგებას“), რატომ და რისკენ მიუთითებს („მზე... აღმოსავლეთით მიუთითებს: იქ საუნჯეა გადამარხუ-ლი“...).

მზე-ღმერთმა თავის მიწიერ ორეულს – გალაკტიონს საუ-კუნეების სიცოცხლე უბოძა და დილის ძედ მოავლინა.

პოეტის ცხოვრება სინამდვილეში წვალებაა, უბედურება და ჯვარცმაა, მაგრამ მისი სული ღმერთის სავანეა და, - ამიტომაა მზიანი: „სულო უმზეო, მაგრამ მზიანო“.

„ათასის აქვს მხედველობა, იერი, ათასის მზე, სმენა ასი ათასის, ბნელ დამეში იგი ამჩნევს ცბიერი, რას სხვა ვერ ჭვრეტს დღისით უდიადესით“ – აცხადებს პოეტი და გვახსენდება ბიბლიური სიბრძნე, რომლის მიხედვითაც ღმერთს გამოარჩევს „ბნელსა შინა ჭვრეტა“ (ისო ზირაქ, 23, 24).

ამიტომაც მოსავს მზე: „მე სხვა მზე მმოსავს, როგორც შეჰფერის საქართველოს სახალხო მგოსანს„ („დღეს შემუსრულდა“).

ქრისტიანული სამების გამომხატველია მზის სახე, რომელშიც მამადმერთი მზეა, ძე ღმერთი – შუქი, სხივი, ნათელი – სულიწმინდა.

„სამებისა და ღვთისმშობლის მისტერიაში“ ლუდვიგ ფოიერბახი შუქს უწოდებს მამას, ამასთან, შუქს მიიჩნევს „ძის პრედიკატად“ („ქრისტიანობის არსება“, 1956წ., გვ. 109).

„სხივი – შუქი“ ძე ღმერთის სახელია ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიურ მწერლობაში (ი. დამასკელი, პ. იბერი, გრ. ნაზიანზელი, ი. პეტრიწი.).

დ. გურამიშვილის მიერ სამება მოაზრებულია მზის, სხივისა და ნათლის ასპექტში. „მზეთა მზის სხივი“ ქრისტეს სიმბოლოა (ტ. მოსია, „დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა“, თბ., 1986 წ. გვ. 70).

ფოლკლორული ტრადიციითაც, ღვთაება „სხვათა კონებად“ ეშვება დედამიწაზე.

ბერძენთა პანთეონის ერთ-ერთი უნათლესი და უზენაესი აპოლონი სხივთამთოველია, მეტსახელად ფებოსი (ა. გელოვანი, „მითოლოგიური ლექსიკონი“, თბ., 1986წ., გვ. 61).

ჩრდილოეთში ცისა და შუქის ღვთაებას ეწოდება ტირი (იქვე, გვ. 313).

აპოლონს „სხივიერ ფებოსს“, „სხივმოისარს“, ნათელ ფებოსს უწოდებს ჰომეროსი („ჰომეროსის ჰიმნები“, თბ., 1982 წ., გვ. 30, 36, 38).

ღმერთი შუქის, სხივის სახით ეცხადება ადამიანებს.

ფარნავაზის ცხოვრებაში აღწერილია ღმერთის მოვლინება მზის სხივის სახით (ლ. მროველი, „ცხოვრება ფარნავაზისა“, „ქართული მწერლობა“, I, 1987 წ., გვ. 53).

მწირის სენაკში შემოჭრილი სხივი, რომელიც ლოცვანს იჭერს, ღმერთის გამოცხადებისა და სასწაულის ნიშანია ილია ჭავჭავაძის „განდეგილში“.

„ქრისტეს სხივები კვებავს სამყაროს“, - ამბობდა ე. რერიხი.

გ. ტაბიძემ გაამრავალფეროვნა ეს სახე.

„პირველი სხივის“ მოვლენისათვის ევედრება პოეტი მარიამს – „ნუგეშს“: „ასე, ნუგეშო, ჩემს მშფოთვარ ყოფნას შენ მოუვლინე სხივი პირველი, როგორც სიმღერა მოულოდნელი, როგორც პეპელა გასაკვირველი“ („ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში“).

„ნიკორწმინდაში“ „დიდებული სხივის“ გამობრწყინება გვამცნობს შთაგონების ღვთაების მოვლინებას: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა, ჩემთვის დიდებული სხივი გამობრწყინდა“.

დანტეს „მარადი სხივის“ სახეში წარმოუდგენია ქრისტიანული ღმერთი: „მარადის უცვლელია სხივი მარადი“ („ღვთაებრივი კომედია“, 1941 წ., გვ. 412).

გალაკტიონის სხივთა ციკლში გამოირჩევა „დიადი სხივი“: „ოცნება ხიბლავს, ხედავს სხივს დიადს“ („მშვიდობის წიგნი“).

ცხოვრების განახლების საწინდარია „ახალი სხივი“: „ახალი სხივი ედება არეს, მუდამ ახალი იწყე ცხოვრება“(„ჩემო სიმღერავ მაღლა, სულ მაღლა“).

ახალი სხივის გამობრწყინებას მოჰყვა გულის, ფიქრის, ოცნების, მისწრაფების განახლება: „ამოდის ელვარება ახალი სხივის, მისწრაფების, ფიქრის, ოცნების“ („ქალაქთა ბნელთა“).

„დილამ“ – მარიამმა მოავლინა „სხივი“ – ქრისტე, როგორც ბოროტების სიკეთედ გარდამქმნელი ძალა: „დაიწყო დილამ სხივების თოვა და გაიფანტა უსივრცობაში ჭინკების გროვა“ („ქაჯები, ალები, ჭინკები“).

ღმერთი არის „სიყვარულის სხივი“: „ვივლი, სანამ სიყვარულის სხივს არ მომცემს შემოქმედი“ („შემოდგომა“) ღვთების სხივის ლოდინია სტრიქონებში: „გული ჩემი ბედდაკარგული მოელის სხივებს“ („მშვიდობის წიგნი“).

ქრისტიანული ღმერთი არის „სხივთა სავსე სახება“: „კრთის ფაქიზი განათების სხივთა სავსე სახება“.

პოეტს ამშვენებს „სხივოსანი ძალა“, რომელიც დაუმარცხებელია: „მან არ იცის, რომ ვერ ჩააქრობს ძალას სხივოსანს“ („დღეს შემისრულდა“).

„სულსხივოსანია“ აკაკი წერეთელი, „სხივოსანი“ ანუ „ღმერთთან“ წილნაყარია თვით გალაკტიონი („აკაკი წერეთელი“).

„მხოლოდ უმაღლეს სულებს ეგზავნებათ სხივები“, - ამბობს ე. რერიხი.

„უმაღლესი სულები“ იყვნენ აკაკი და გალაკტიონი.

გალაკტიონი ხედავდა „ულტრაიისფერ სხივებს“: „ბრწყინვალება პირისპირი, იისფერი ჰავით სუნთქავს, სხივიც ულტრაიისფერი ვერა ძალას ვერ შთაუნთქავს“ („შეხვედრა მთაში“).

პოეტი ილტვოდა იქ, „სად მზისფერი ეხვევა ცისფერს“ – ანუ უმაღლესი სინათლისა და სიკეთის ქვეყანაში.

ქრისტიანის იდეალია სიმბოლური „უდიადეს იმედების უსაყვარლესი სხივები“, „მსოფლიო სხივები“.

იესო ისახება „ხვალის სხივად“, რომელსაც ხედავს პოეტი: „ოდეს გულს სამშობლო მოეთინათინა, ჩემთვის იმ ხვალიდან სხივმა მოადინა“ („შოვიდან ისარმა სხეპა მოადინა“).

„იდუმალი სხივი“ განთიადის მაცნეა, ბოროტი წყვდიადის დამმარცხებელი: „დამის წყვდიადს ბოროტ გულში განთიადმა სტყორცნა შუბი... საუკუნეთ იდუმალი სხივი, გულში დანაგუბი, ცის ტატნობზე გაიშალა მოკამკამე“ („განთიადმა სტყორცნა შუბი“).

თუ მორწმუნეს ახარებს „ბრწყინვალე და სხივმსხმოიარე დღე“, („აკაკი წერეთელი“), ფარისევლების ნაშიერები – „ახალ სხივებს ვერ შერიგებიან ვარდ-ყვავილებით შემოქარგულსა“ („საღამო“).

უღმერთო ეპოქის ტკივილი გამომჟღავნდა ლექსში „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“: „ამ გრიგალში დრო არ არის სხივის, ახლა ზღვაა, ახლა სისხლის დროა“.

პირადი ცხოვრების ტრაგიზმის განზოგადებული გადმოცემაა სარკმელთან გამრუდებული და დაუბრუნებელი სხივის სახე („სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“).

„ნიაღვრის“ ლირიკულ გმირს ენატრება ციური სულის სხივი, როგორც არსებობის, სიხარულის წყარო: „დაადნე სხივი, სულო ციერო, ამ სიცივისგან გაყინულ გულზე, ტკბილი მორევი შემიგუბდება ჩვენს ყვავილებზე, ჩვენს სიყვარულზე“.

„სხივოსანი ძალა“ უბოძებია უზენაესს პოეტისათვის და ამიტომაც არის დაუმარცხებელი („დღეს შემისრულდა“).

ამ ციკლს ამრავალფეროვნებს სიმბოლური „ყოფნის სხივი“, „იმედის სხივი“, „სხივთა ისარი“, მსოფლიო სხივი, სულის სხივი, „იდუმალი სხივი“, ზეცის სხივი, უდიადეს იმედების უსაყვარლესი სხივები, სიმართლის სხივები, „სხივთა ტბა“, „სხივთა ძნა“, „სხივნართ გვირგვინი“, „სხივნართ ელვა“, „ნორჩი სხივი“, „სხივების ცხრილი“.

საყურადღებოა „შავი სხივის “სახე: „ედება სხივის ანთება შავი“, რომელიც „შავი მზის“ ასოციაციას იწვევს და სიმბოლურია.

„საჭიროა სწრაფვა აბსოლუტისკენ, მიწიერი სილამაზე იკარგება არამიწიერის ლურჯ სხივებში“, – აცხადებდა ე. რერიხი.

სივრცეთა გრადიციების მაძიებელი იყო გალაკტიონის „თვალი იკარგება სივრცეთა უნაზეს გრადაციებში“ („ღრუბლები ოქროს ამურებით“). იქ იხილა პოეტმა „ოქროსფერი სხივი“, „მშვიდი სინათლე“, „მომავლის სხივი“, „მომავლის მზის სხივები“.

ტ. გრანელი შეიგრძნობდა იმ „შორეული ზეცის სხივს“ თავის არსებაში, გ. ლეონიძეს მესხეთში „უკვდავი სხივი“ ესხურებოდა („მესხეთი“)„„პირველ სხივების“ აღტაცებას ვერ ფარავდა („შთაგონება“), „საგურამოს მიმწუხრში“ სდევდა „უჩვეულო ნათელი...“.

კომუნისტებმა გადააფასეს საუკუნეების სათაყვანო ღმერთი, რამაც ადამიანის სულის გაღატაკება გამოიწვია. რელიგიური რწმენის უარყოფის სინანულია ლექსში „მოხუცო სხივო“, რომელშიც ცის მეუფე „მოხუცი, ძილმილეული სხივის სიკვდილი“ სიმბოლურად ამ ოდიოზურ პროცესზე უნდა მიგვანიშნებდეს.

სიმბოლურია ლექსი „შემოდგომა“, რომელშიც „წარსულის საოცნებო სხივს“ უპირისპირდება „აწმყოს უსიცოცხლო, უფე-

რული სხივი“, რაც პოეტის თანამედროვეთა მიერ ღმერთისაგან განდგომაზე, რწმენის უარყოფაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ასეთივე ტრაგიზმია დაკავშირებული „შვების სხივად“ მოაზრებული ღმერთის გაუჩინარებასთან: „არ არის ქვეყნად შვების სხივი, იმედის წყარო“ („სტიროდა ზეცა“).

საღვთო „ციური შუქი“ რჩეულთა გულებშია, რადგან ადამიანი უფლის ამქვენიური ხატია: „ცხოვრობდა ვინმე: გულში ფარული უთრთოდა ციურ შუქთა კამარა“ („შემოდგომის ფრაგმენტი“).

გალაკტიონის პოეზიაში გამოვლენილია „ნეტარი მხარის“, „წმინდა ცის“ შუქის არსებობის რწმენა: „არის სადღაცა ნეტარი მხარე, არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე“ („გრძნობათა ფერფლი“).

ლექსი „შუქი“ ვედრებაა საღვთო შუქის ნათლის მოვლინებისათვის.

ეს სიმბოლური შუქია ყოველგვარ ღირებულებაზე სანუკვარი „კაპიტალი“ და მას შეჰხარის პოეტი: „მგონია, არვინ არ გამიღიმებს, უეცრად შუქი გამობრწყინდება. მადლობელი ვარ, ჩემო ვარსკვლავო, სხვა ვარსკვლავები შენთან მკრთალია, ჩემთვის ეს შუქი მოულოდნელად აღმოჩენილი კაპიტალია“.

ღვთაების ერთ-ერთი ორიგინალური სახელია გალაკტონის „მე და ღამის“ „საიდუმლო შუქი“, რომელიც ასხივოსნებს პოეტის სულს: „საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული, ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული“.

„საიდუმლო შუქით“ იმოსება ზეცის გზა, როცა პოეტს აკაკი წერეთლის „მაღალი ლანდი“ ეცხადება („აკაკის ლანდი“).

„ლურჯა ცხენებში“ მიღმურისკენ იხედება პოეტი და „სამუდამო მხარის“ ჩამავალ მზით ნაფერ ნაპირთან ღვთაების მარადიულ შუქს აფიქსირებს მისი სულის თვალი, რადგან უფალი განუშორებელია მისგან „ზევით თუ სამარეში“, სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდეგ: „მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა...“

ყოველგვარ სიძნელეთა გადალახვის ძალის მომნიჭებელია უფალი, „იმედის შუქის“ სახეში გაცხადებული: „მომავალშიაც ავიტან მრავალს უამინდობას, წყურვილს, სიცივეს, ოღონდ

ვხედავდე ჩვენს წინ მიმავალს ერთი იმედის შუქს მოციმ-ციმეს“ („ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“).

ღმერთი გაზაფხულია, რწმენის შუქია, რომელიც სულსა და გულში ისადგურებს და მადლიერების გრძნობით ავსებს ადამიანს („ო, გაზაფხულო“).

„ნორჩი შუქი“ გვაგრძნობინებს იდუმალს: „ცის დასავალს, როგორც ლუქი, გადაეკრა ნორჩი შუქი, აფერადდა ყვავილივით სილაჟვარდე მუქი, მუქი“.

ერთ კონტექსტში „შუქი ფეტიში“ მიგვანიშნებს ღვთაებას-თან წილნაყარობას: „ოთახი. ღამე. შრიალის შიში და ყვავი-ლების ელვარე სურა. ბალიშს დანათის შუქი ფეტიში, სარკეს დაეცა ლანდების სურო“.

დ. გურამიშვილის მიხედვით, ქრისტე არის „გამწმენდი“ (ტ. მოსია).

გალაკტიონი ამ ცნებას შუქის ეპითეტად აქცევს და „გან-წმენდის შუქით“ ავსებს სულს: „გაწმენდის შუქი სულს ეფარება, როდესაც პანი დაჰქრის ტყე-ველად და ღამე სწრა-ფად მიეჩქარება დღის ელვარების მოსახვეველად“ („პარა-ლელი“).

ახალგაზრდული ძალის წყაროა „შუქთ გუნდის“ მოვლი-ნება: „სპექტრი, შუქთ გუნდი მოაწყდა კარებს...“

ლექსში – „დარკინულ სარკმელთან“ – ქრისტე განიცდება, როგორც „გამაცოცხლებელი მზის სხივები“, „მზის შუქი“, რომელსაც ელის „მუნჯ ბორკილებში“ მოქცეული პოეტი.

ქრისტე, პოეტის მიგნებული თქმით, დიდი სიხარულის შუქია: „დადგა დრო და ის ზვავიც აზვინდა გრძნობათა წმინდა ცეცხლის ფარულის, ცაზე ვარსკვლავი უნდა გაბრ-წყინდეს, შუქი გაბრწყინდეს დიდ სიხარულის“ („სად ელინელ-თა მთაა გიმმეტი“).

სრულიად ორიგინალური სახეა „შუქი პირბადე“, „უცნობი ღამის“ (ესეც ღმერთია), „მკრთალი ვარდების“ კონტექსტში დაფიქსირებული: „მკრთალი ვარდები დასცვივა ხელებს, ჩამოიშლება შუქი-პირბადე და უცნობ ღამის შორ საკურთხე-ველს უნდა ვუხმობდე განთიადამდე“ („ავდრები“).

პოეზია, ლირიკა შუქია („ლირიკის შუქიო“, ამბობს ლექსში „საუბარი ლირიკის შესახებ“) ცნობიერების აალებაა ბნელის გასანათებლად, იგი შებურვილია ღვთაებრივ შუქის ნათელით:

„ყველაფერში შუქით შემობურვილი – პოეზია უპირველეს ყოვლისა!“

ღვთაებრივი შუქია აღმაფრენის სათავე: „მომწყურვალე შუქთა ფენის, იზრდებოდა ფრთები ლექსის“.

გალაკტიონის შემოქმედი „ახალი ღმერთია“ და ბუნებრივია მისი ზეციური შუქის აქცენტირება: „ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით ვერ გატყდა გმირი, ბრწყინვალე შუქით და დიადებით დგას ვით ქვიტკირი“ („გამძლეობა“).

ერთ დღიურში კი ლაპარაკია პოეტის „შუქმოსილ ბრწყინვალებაზე“, მასვე ეხვევა სიმბოლური „ელვათა შუქი“.

გალაკტიონი, როგორც ღვთის რჩეული პოეტი, შუქშემოსილია, მზითშემოსილი, რომელიც ზეშთაგონების მოვლინებას განიცდის, როგორც ღმერთის გამოცხადებას, ზეციურ გასხივოსნებას.

პოეტების მეფე, როგორც ქრისტეს ამქვეყნიური არქეტიპი, მარადიულ სიმაღლეში დამკვიდრებული შუქია: „შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ („დრო“).

არსებობს აზრი, რომ წმინდანები გარდაცვალების შემდეგ ზეცაში, მზესა და ვარსკვლავებზე ივანებენ შუქის სახით.

უეჭველია, ზეცაზე დაიწერა გალაკტიონის გზა და ზეცამვე ჩაიკრა იგი გულში მარადული შუქის სახით. აკი თვითონვე იგრძნო „გამოშუქება მომავალ დღეთა დიდი დიდების“.

ვლ. სოლოვიოვს რომ დავესესხოთ, „ანათებს უსხეულო უბიწოებას შუქი ღვთიური, მარადისი და უსასრულო“ („თუმცა ჯაჭვებით უხილავით“).

გალაკტიონის პოეზიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საღმრთო ცეცხლის სიყვარული და მისი გამომხატველი ორიგინალური ფრაზეოლოგია.

ცეცხლის არსით დაინტერესებული იყო ყველა დროისა და ყველა ქვეყნის მითოლოგია, რელიგია, ფილოსოფია, მხატვრული ლიტერატურა.

ძველ ფილოსოფოსთა მიხედვით, ცეცხლი შემადგენელია ოთხი ელემენტის, რომელთაგან ყველაფერი შეიქმნა, ცეცხლი სულის სიმბოლოდაც მიიჩნევა.

ცეცხლის ღვთიურ ბუნებას აღიარებდნენ ინდოეთში, საბერძნეთში, რომში, სპარსეთში.

„სიტყვა „ცეცხლს“ ბიბლიაში ფიზიკური და ზესთაბუნებრივი მნიშვნელობა აქვს“ („ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურთმეტყველება“, პარიზი, 1963წ., გვ. 191).

ბიბლიის მიხედვით, ღმერთს ცეცხლის სახე აქვს: „ხოლო სახე უფლისაი ვითარცა ცეცხლი მოტყინარე, თხემსა ზედა მთასა წინაშე ძეთა ისრაელისათა“ (გამოსვლათა, 188, 124).

მოსეს ცეცხლწაკიდებული მაყვლოვანი რომ ეჩვენა, ამაში ღრმა სიმბოლური აზრია: „მაყვლოვანი ღვთისმშრობლის სიმბოლოა, ხოლო ცეცხლი – ქრისტესი“ (ა. ბაქრაძე, „სასულიერო პოეზიის სახეები“, კრებული „პოეზია“, 1981., გვ. 58).

ქრისტე არის „ვითარცა ცეცხლი უვნებლად განმანათლებელი“ (პეტრე იბერი - ფსევდო დიონისე არეოპაგელი – „ზეცათა მღვდელმთავრობისათვის“, „შრომები“, 1961, გვ. 1070). საერთოდ კი, „ზეცისა არსებათა ცეცხლის სახედ აზმნობენ“ (იქვე, 144, 25).

გრიგოლ ხანძთელს, როგორც ღვთის რჩეულს, ცეცხლის სახით ახვევია „სული ღმრთისაი განმანათლებელი“.

სასულიერო პოეზიაში ქრისტეს სახეა „ცეცხლი უსხეულოი“ (ი. მტბევარი), „სუდარი ცეცხლისა“ (ი. მინჩხი), „ნაკვერცხალი ცეცხლისა“, „შანთი შეუხებელი“, „ცეცხლი მშობელი ცვარისა“ (ეზრა).ამ ფრაზაში „ცეცხლი“ ქრისტეა, „ცვარი“ – მისი მოძღვრება“ (ა. ბაქრაძე).

ქართველებს ზებუნებრივი ძალების სახედ ცეცხლური მოვლენა ჰქონდათ წარმოდგენილი.

ხევსურთ გმირი კოპალა ცეცხლიანი იყო.

მზის ღვთაება მითრა არა მარტო მზის შვილი იყო, ცეცხლის, კოსმიური ნათების შვილადაც ითვლებოდა (თ. ოჩიაური, „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, თბ., 1967წ. გვ. 168).

ინდურ ღვთისმეტყველებასა და მითოლოგიაში ღმერთი სხივოსანია, ნათელი,ელვისა და ცეცხლის შარავანდედით იხილება („ბჰაგავად-ვიტა“, თბ., 1983 წ.,გვ. 76).

რელიგიები ძირითადად „ცეცხლის კულტით“ საზრდოობენ.

ა. დრევსკის აზრით, ცეცხლთაყვანისმცემლობა, ცეცხლის კულტი უსწრებდა ბუდიზმს და ქრისტიანობას, ხოლო ბუდა და ქრისტე, როგორც გამგრძელებლები მზის დაბადებისა და სახეცვლილებისა, უშუალოდ ცეცხლთაყვანისმცემლობის

გაგრძელებად ითვლებიან და კოსმიური ცეცხლის მატარებლები არიან.

ასევე, სულიერ ძალებს ახასიათებთ ცეცხლური ენერგია და ნათების უნარი (ა. დრევსი, „მითი ქრისტეზე“, რუსულად, გვ. 93).

სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს, რომ „ღმერთი გადმოითარგმნების ხედვად და წვად“ (თხზ. ტ. IV, გვ. 253).

ქრისტეს მზის ღვთაების ნიშნები ახასიათებს. მზის სახით ხდება ქრისტეს გამოცხადება (ლ. კვირიკაშვილი, „ცეცხლისა და ნათლის მეტაფორული მნიშვნელობა ქართულ სასულიერო პოეზიაში“, „მაცნე“,1969წ. 6).

ღმერთის შექმნილია ადამიანი და ემსგავსება თავის შემქმნელს. ის უხილავი ნათლისა და ცეცხლის შემცველია.

ელ. ტეილორი ცეცხლურ ენერგიას ადამიანის მაცოცხლებელ ძალად მიიჩნევს. ადამიანის სუნთქვითი პროცესი არის წვა. ორგანიზმის ცხოველმყოფელობა სხეულში მყოფ ცეცხლურ ენერგიაზეა დამოკიდებული (ე. ტეილორი „ანთროპოლოგია“, 1924 წ. გვ. 159, რუსულ ენაზე).

ცეცხლი სხვადასხვაგვარია. არის მოქმედი, ცხადი, ნათელი, მწვავე, ბრწყინვალე, მსუბუქი, ძლიერი, ჩქარი, უხილავი, საიდუმლო, რწმენის, დაფარული, შინაგანი, მიძინებული, ნელი, ჩამქრალი, გარდამავალი, უმანკო, ცეცხლი... კერიის ცეცხლი, სიყვარულის ცეცხლი.

ალბანელის სურათში „ოთხი კავშირი ანუ ოთხი სტიქიონი“ – შესულია ცეცხლის სამი სახე – ციური ცეცხლი იუპიტერის სახით, მიწიერი ცეცხლი – გამოხატული ვულკანით, გრძნობადი ცეცხლი – აფროდიტე – ვენუს – სიყვარულის დიაცი ღმერთი.

არის კიდევ ცეცხლის მომდევნო ღმერთი – ეროს – ამურ-კუპიდონი.

სიყვარულის ცეცხლია სოლომონის „ქებათა-ქებაში“, სანსკრიტულ მწერლობაში, მსოფლიო ლიტერატურაში (ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურთმეტყველება“, პარიზი, 1963წ. გვ. 151-191).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთის სახელია „დიადი ცეცხლი“. დანტეს ღმერთი არის აგრეთვე „მარადიული ცეცხლი“: „წარმავალი და აგრეთვე მარადიული იხილე

ცეცხლი და მიხვედი ისეთ მზღვარამდის, რომლის გადაღმა თვალი ჩემი ვეღარა წვდება“ (გვ. 247).

გ. ტაბიძის პოეზიაში მრავალნაირი ცეცხლი შეინიშნება, უმთავრესი კი, მაინც ღვთიერი ცეცხლია, რომლის მატარებელი ჭეშმარიტი პოეტია: „დაეხსიენ! იყოს ცეცხლი იგი პოეტის გულში, რას პოვებს გრძნობა სიბრალულსა და სინანულში. რა იცი, იქნებ იმ ცეცხლიდან იგი რბიოდა იმ ელვარებით, საიდანაც მზე მოდიოდა“.

აკაკი წერეთელი, გალაკტიონის თქმით, „ღვთიური ცეცხლით ეზიარა “ („აკაკის გარდაცვალების გამო“).

ჭეშმარიტი პოეტი „უზენაესი ცეცხლის“ ძალას ედრება: „დადაფნულ გზაზე მიდიოდი, ვით კეისარი, შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი“ („მგლოვიარე სერაფიმები“).

ე. რერიხი წერს: „საჭიროა საკუთარი შინაგანი ცეცხლის ანთება... იგი „ტრანსცენდენტურია... მიმართეთ... დიად ცეცხლს, რომელიც ყველაფერს იძლევა, ყველაფერს წმენდს და არაფერს ითხოვს“ („□□□

აგენთო ბნელი ნაპირი, წმინდა ტაძრები, სიონები, სვეტი-ცხოვლები“ („შენ და შემოდგომა“).

ჭეშმარიტი პოეზია არის ღმერთის – „მარადიული ცეცხლის“ საგალობელი („პოეტს“), „ცეცხლის შემოკიდება“.

„შემოიხვიე ცეცხლი და გახდი უვნებელი – ძველთა ანდერძია“ (ე. რერიხი).

გალაკტიონი მოუხმობს ცეცხლოვან ნაკადს: „და ცეცხლი ჩემზე გარდამოვიდეს“ („ვარდები“), სწყურია ცეცხლით შემოსვა: „ჩავეშვათ ცეცხლში, გვიყვარდეს ნოება, მასში იმედის ბევრი რამ არის“.

„ლურჯა ცხენებში“ ბედისწერით განსაზღვრული მარადიული „ცეცხლის ხეტიალია“ პოეტის თანმხლები.

ღვთაებრივ ცეცხლს, მისგან მოვლენილ პოეზიის მერანს ადიდებს გალაკტიონი: „იმ ცეცხლს, იმ სანატრელ მერანს გამუმარჯოს, იმ ცეცხლს გაუმარჯოს და იმ გათენებას“ („ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების“).

ჭეშმარიტი შემოქმედი „ფეერიულ“, „ფანტასტკურ ალში“ მცურავია („ედარებოდა შეშლილს“).

„წმინდა, უჩვეულო, ზეციური ცეცხლი“ ანთია პოეტების მეფის შემოქმედებაში („გარდასულთა ტკბილთა დღეთა“).

მთლიანად ცეცხლიანია მისი პოეტური არსებობა: „ოცნებაო, მოიგონე ცეცხლის დილა, ცეცხლის ბინდი, ფოლად უზანგს მოსდე ფეხი და კვლავ მერანს მოაფრინდი“ („ოცნებაო, მოიგონე“).

„ფარული ცეცხლით“ გიზგიზებს გენიის გზები.

„ცეცხლის სვეტის“ სახით ეცხადება შთაგონებულ პოეტს უზენაესი („ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“).

ბიბლიაში ღმერთი ცეცხლის სვეტით ევლინებოდა ადამიანებს: „ხოლო ღმერთი უძღოდა მათ... ღამე სუეტითა ცეცხლისათა“ („გამოსვლათა“, 189, 21).

მხოლოდ რჩეულებს უნთიათ გულში უზენაესის ცეცხლი: „განა სუყველას უნთია საგულეს ცეცხლი ციური, განა სუყველა კაცია, ხმა შეისმინოს მზიური“.

შემოქმედი სული საღვთო ცეცხლით გაალებულია და ყოველ წუთს მზად არის დასაწვავად, რადგან სწამს, რომ ამ ანთებიდან დარჩება „ფერფლი, ცა და ეს წიგნი“.

„სულიც წარმოდგა თანგაალებულად“, აღნიშნავს იოანე პეტრიწი (ტ. I, 1940 წ., გვ. 80).

გალაკტიონი მოუთმენლად ელოდება სულის ანთებას: „სულო, შენ გაალდები“...

მის წიგნს აქვს „ალი მზერის“, ქნარი კი „მარადის ცეცხლის“ – ანუ ღმერთის საგალობელია. გალაკტიონის კრედო ასეთია: „გაბრძმედდეს ცეცხლში, რაც კი ძველი, ღრმა ტომებია“ („ორი ქვეთყანა“).

ღვთაებრივი ცეცხლით ივსება პოეტის ხმა: „ცეცხლით ავივსებ, გაავიათასებ ამ მშვენიერ ხმას ტყვემქმნელ გრძნობაში“.

„აზრი არ არის ცეცხლის გარეშე და ცეცხლი მიემართება შემოქმედს. ფსიქიკური ენერგია ცეცხლის ენერგიაა“ (ე. რერიხი).

ბიბლიაში, ჰიმნოგრაფიაში საღმრთო ცეცხლია ყინულის დადნობის უნარის მქონე.

პოეტის გულის ცეცხლით ღნება ყინული ლექსში „შეხედეთ, მიწა!“.

„მზის ცეცხლი და სულის ცეცხლი ჩვენი შემოქმედებითი ძალებია“ (ე. რერიხი, იქვე, გვ. 192).

გალაკტიონისთვის სანატრელია საღვთო ცეცხლთან მსგავსება: „ყოველ წყვდიადში მანათობელ ცეცხლად აენთე, ელვარე ცეცხლად, სიცოცხლით და ახალგაზრდობით“ („ყოველ გრიგალში“).

პოეტს უხმობდა საღვთო ცეცხლი, ახალი მხარე, წინასწარმეტყველების უნარი: „გვიხმობდა ცეცხლი და აღელვება, ის გვიხატავდა სულ ახალ მხარეს, სადაც უფსკრულში შთაჭვრეტი მზერით წინასწარ გრძნობენ ხანას ელვარეს“ („სხივი ტალღებში“).

„აზრი ცეცხლოვან სამყაროში ელვის მსგავსია, იქ არის მეშვიდე სინათლე. მეშვიდე სინათლე ყველაზე მთავარია“ – ამბობდა ე. რერიხი.

„შვიდფრად მოციმციმე ჟამის“ სახით ევლინებოდა გალაკტიონს უზენაესი.

პოეტს გამოდმებით ჩაესმოდა „ცეცხლის მფარველი გუგუნი“. „მფარველი ცეცხლი“ კი ღმერთის სახეა.

ღმერთის მახასიათებლებია: „წმინდა ცეცხლი“, „ცეცხლი ფარული“, „დიდი სიხარულის შუქი“: „დადგა დრო და ის ზვავიც აზვინდა, გრძნობათა წმინდა ცეცხლის ფარულის, ცაზე ვარსკვლავი უნდა გაბრწყინდეს, შუქი განბრწყინდეს დიდ სიხარულის“ („გამარჯვებისკენ“).

„დაფარული უჩინარი ცეცხლი“ ღელავს და ქმნის თვით ნანგრევებშიც: „ო, როგორ მესმის მე სიჩუმე ამ ნანგრევების, როგორ მაღელვებს მე ყოველთვის იგი სიჩუმე... მასში იდუმალ ძალით სძინავს ახალ ქაოსებს. იგი ღელვაა დაფარული, უჩინარ ცეცხლის“ („თითქო არა აქ“).

პოეტისათვის სანატრელია „ახალი ცეცხლი“: „ხან იშუქებდა, ხან ნელდებოდა ცა შუბლგახსნილი, ცა მეწამული, მივჩერებოდი წარმტაც სანახავს, ახალი ცეცხლით მიძგერდა გული“.

ძალზე ორიგინალურია გალაკტიონის საღმრთო ცეცხლის გამომხატველი ფრაზეოლოგია – „სიმართლის ალი“, „გამოუთქმელი და მწარე ალი“: „სიმართლის ალი, როგორც ბურუსი, ისე ირღვევა და იფანტება და ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს გამოუთქმელი და მწარე ალი“ („არ მინდა სიტყვა“).

ე. რერიხი წერს: „მარადიულად მოძრაობს კოსმიური ცეცხლი, გამოგზავნილი აბსოლუტის მიერ“ (ზემოხსენებული წიგნი, გვ. 210).

„მსოფლიო ცეცხლი“ დაუსახავს გალაკტიონს უზენაესის სახედ: „ახალი მზისთვის ჩვენ მიგვიგნია – მრავალი ცეცხლით, მსოფლიოს ცეცხლით“ („ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე“).

ასეთივე გაგების სახეა „უმანკო ცეცხლის ალი“ („საბედისწერო ფიქრი“) და „სიახლის ალი“.

ცეცხლის, როგორც ღვთაების სიმბოლური სახელის, გამრავალფეროვნება ნიშანდობლივია მეოცე საუკუნის ორი პოეტისთვის. ტ. გრანელის ლექსებში იგი „საიდუმლო ცეცხლის“ სახით ვლინდება, გალაკტიონთან კი „საიდუმლო ალები“ გვესახება ორიგინალურ მიგნებად: „საიდუმლო ალები! ისევ მომეძალება უმიზეზო წვალება და ლურჯი მწვერვალები! ვარსკვლავებით მწირველი, ლოცვა-გასაკვირველი, ასეთია პირველი ტრფობის ინტერვალები!“

ღმერთს პოეტი განიცდის აგრეთვე „ვარდისფერი ალის“ სახეში: „აჰა, მყინვარიდან ვარდისფერმა ალმა იგიზგიზა“ („ცაზე ლეგიონი ცურავს ვარსკვლავების“).

ეს ცნება „შუაღამის ჟამთა სიალედ“ არის გარდასახული ლექსში „ბარათაშვილი“: „რარიგ ვრცელია შუაღამის ჟამთა სიალე“.

„ჟამთა ცეცხლი“, რომელიც განწმენდით პოეტის სულს ცაში ფრენის ძალას ანიჭებს და ყოვლისშემძლეობას აგრძნობინებს, უზენაესის სიმბოლოდ უნდა ვიგულოთ: „ჟამთა ცეცხლით განწმენდილი, ფრთასუბუქი, ფრთასათუთი, მოელვარე ცის კიდურში გამიტაცებს ხოლმე წუთი“ („წუთი“).

პოეტს ესმის შორიდან მოსული „ცეცხლის ხმა“, რადგან მისი კოსმიური სული სივრცეების ბინადარია: „შორით მოისმის ცეცხლის ხმა და ხმალთა წკრიალი და შეშფოთდება ოცნება – სული; გადივლის თვალწინ ამღვრეული დროის ტრიალი – აღქაფებული, აზვირთებული“ („ციხის ნანგრევებთან“).

ამ სახის უსასრულოდ გამრავალფეროვნებას მოასწავებს „ცეცხლის ფანტელი“, „ცეცხლის ალმური“ („აღმოსავლეთი“), „ახალი კოცონი“, („იგრძნობს პოეტი ახალ კოცონებს“), „ცეცხლის კამარა“ („ჩაკეტა კარი“), „სიხარულის ცეცხლი“ („თვალები“).

„ცოცხალ ცხოვრების ცეცხლად“ აღქმულია ღმერთი ლექსში „ოცნება და სინამდვილე“: „დრომ ძველ მიდამოს გაჰკრა ცოცხალ ცხოვრების ცეცხლი“.

არსებობს აზრი, რომ ქრისტე აღმოსავლეთიდან, კერძოდ, შამბალიდან მოვიდა. ალბათ, ამ შეხედულების გაზიარებას მოასწავებს გალაკტიონის სტრიქონები: „დახეტიალობს ცეცხლის ალმური მოულოდნელი სიმხურვალეთი, მან მოიარა ყველა ქვეყნები და ინახულა აღმოსავლეთიც“ („აღმოსავლეთი“).

ღვთაებრივი ცეცხლი განწმენდის წყაროა.

„განწმენდის ცეცხლის გარეშე შეუძლებელია უმაღლეს გაგებას მიუახლოვდე“ – ამბობს ე. რერიხი (349).

ბიბლიაში ცეცხლით ხდება ადამიანთა ზნეობრივი განწმენდა: „ყოველი, რომელი შევალს ცეცხლსა... განწმნდეს იგი“ (გამოსვლათა, 339, 123).

სახარებაში იოანე ქრისტეს შესახებ ეუბნება ხალხს: „მე ნათელს გცემთ წყლითა, იგი ნათელს გცემთ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (იოანე, 546, 26).

ცეცხლით განწმენდის რწმენა უძველეს დროშიც არსებობდა. წმინდა გიორგი განიწმინდა წამებულთა ცეცხლით.

გალკტიონი განახლდება წამების ცეცხლით: „წამების ცეცხლში განახლდა გული, ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე“ („განახლდა გული“).

ლექსის არსებითი სათქმელი ესაა და სრულიად არაბუნებრივია მისი დაკავშირება რევოლუციასთან.

გალაკტიონის იდეალი „ცეცხლი“ და „აზარფეშა“ იყო, ანუ „ცეცხლიანი აზარფეშა“. „ცეცხლი“ ქრისტეს სახელია, „აზარფეშა“ კი – მარიამისა.

ქრისტე წარმოისახება, როგორც „ალი“, მარიამი – „თასი“, „ძლიერი ღვინის“ – ქრისტეს თასი. „ალის მომეცით თასი – სავსე ძლიერი ღვინით“.

ნათელმხილველი ე. რერიხი საუბრობს „ცეცხლის ვარდების ბრწყინვაზე“ (გვ. 425). „უსხეულო სამყაროს ყვავილსა და მის ხმაზე“ (გვ. 504).

ვარდი საყოველთაოდ აღიარებული საღმრთო სახელია და, სრულიად ბუნებრივია, „ცეცხლის ვარდიც„ და „უსხეულო სამყაროს ყვავილიც“ ამ ასპექტში იქნეს გაგებული.

გალაკტიონთან მოიხილება „ცეცხლის ვარდებიც“ და ზეცის ყვავილიც – „ყვავილი ცათა მდელოსი“ (ანგელოზის სახე).

„ვყოფილვარ ბევრჯერ სიკვდილის პირად, ომში მინახავს ცეცხლის ვარდები, იმ სიმაღლეებს ვიგონებ ხშირად, არ მავიწყდება ის ლაჟვარდები“, წერს პოეტი ლექსში „მე არა ერთხელ მქონია ფრთები“.

ასევე, ჩვენი ყურადღება მიიქცია გალაკტიონის ერთი ლექსის „შავი ცეცხლის“ სახემ: „არის სიჩუმე, ბნელი ცხედარი მის ტანზე შავი ცეცხლის გაჩენა, აპოკალიფსის მძაფრი მხედარი ვინც ქაოსებში შემოაჭენა“ („გეძებდი ყველგან“).

„შავი ცეცხლი“ ასე განიმარტება ე. რერიხის მიერ: „არჩევანის თავისუფლება, განათლება, თვითსრულყოფა არის ცეცხლის გზა. ყოველ შეფერხებას და ნგრევას აღვიძებს შავი

ცეცხლი, შიში და ნგრევა შეიძლება იყოს შავი ცეცხლი“ (გვ. 373).

აშკარაა, გალაკტიონის „შავი ცეცხლი“ ნეგატიური ძალების სიმბოლოა.

ე. რერიხი წინასწარმეტყველებს: „დადგება ცეცხლის ერა, მოიძიეთ სიმამაცე და გონება მის მოსაახლოებლად. დგება ცეცხლის საუკუნე, რომელიც მოუტანს კაცობრიობას მიღწევას. ცეცხლის საუკუნე შეიძლება აშენო ცეცხლით... ცეცხლი არის სიყვარული... (183, 286). „ცეცხლის სამყარო გახსნილია მხოლოდ გმირებისათვის “ (446).მისი აზრით , არსებობს ოთხი სამყარო: „უსხეულო სამყარო, სინათლის სამყარო, მშვენიერების სამყარო და ცეცხლის სამყარო... უსხეულო სამყარო შეიმეცნება ნახევრადცნობიერი მდგომარეობით, ხოლო ცეცხლოვანი სამყარო მხოლოდ ნათელი ცნობიერებით“ (508).

ე. რერიხი შენიშნავდა, რომ ადამიანებს ყოფენ სამ ჯგუფად: სხეულებრივნი, უსხეულო სამყაროს მკვიდრნი და ცეცხლოვანი სამყაროს ამღიარებელნი (498). იგი აიდეალებდა ცეცხლოვან ხედვას. ცეცხლს უკავშირებდა ნათელხილვას და ნათელსმენას.

გალაკტიონი არათუ მიესალმებოდა ცეცხლოვან სამყაროს, არამედ თვრებოდა ცეცხლით: „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით“.

მის თვალებს აღარ უქრებოდა „ცეცხლიანი ბუგრები“ და ამიტომ იდგა ტოლივით ღმერთის - „ცეცხლის ბუგრების“ – პირისპირ („დღეთა კარებთან“).

ღმერთი განიცდება, როგორც „ახალი ცეცხლი“, „ახალი კოცონი“: „და იგრძნობს გული ახალ კოცონებს“.

„შუაღამის ჟამთა სიალეს“ ქვეტექსტიც ანალოგიურია: „რარიგ ვრცელია შუაღამის ჟამთა სიალე“ („ბარათაშვილი“).

გალაკტიონის პოეზია მდიადარია „საღმრთო ელვის“ ვარიაციებით.

ელვის სიმბოლიკა ბიბლიიდან იღებს სათავეს და მისტიკურ საბურველშია გახვეული. იგი ხან ღმერთის, ხან ანგელოზების სახეა.

„გამოჩნდეს ელვანი შენნი სოფლისა, შეიძრა და შეძრწუნებული იქმნა ქუეყანაი“, ნათქვამია დავითის ფსალმუნში (212, 19).

ქრისტეს მოვლინება ელვის სახედ წარმოუდგენია სახარების ავტორს: „ვითარცა ელვაი რა ელავნ ქუეშე ცისაითგან, ვიდრე ქუეშე ცისამდე ბრწყინვენ, ესრეთ იყოს ძე კაცისაი დღეთა მისთა“ (ლუკა, 510, 24).

სახარებაში ანგელოზსაც ელვის სახე აქვს: „ხოლო ხილვაი მისი, ვითარცა ელვაი და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი“ (მათე, 363,3).

„არეოპაგიტულ კრებულში“ დიონისე არეოპაგელი სულიწმინდის ელვითაა გაბრწყინებული (გვ. 52).

ჰიმნოგრაფიაში ელვის სახით წმინდანები არიან წარმოდგენილი. მიქაელ მოდრეკილთან აბო არის „სახედ ელვისა“.

დავით აღმაშენებელი არსენ ბერის მიერ დახასიათებულია, როგორც „ნათელისფერ, ვითარცა ელვაი ღრუბელთა შორის“.

იოანე შავთელი ხაზს უსვამს მარიამ ღვთისმშობლის ელვას („გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი“), ნიკოლოზ გულაბერიძესთან მარიამი არის „ელვის სახე“.

საყურადღებოა, რომ ჰომეროსის ჰიმნებში ზევსია „ელვით ხარებული“.

ჩახრუხაძის „თამარიანში“ თამარი არის „ელვათა მრჩევი“, მას ახლავს „შუქნი ელვა-ეთერთა“.

„აბდულმესიანში“ თამარს ეწოდება „ელვა-ცისკროვანი“, „ეთერთა ელვად დასახებული“.

აკაკი წერეთლის პოეტს გზას უნათებდა „საღმრთო ელვა“ („პასუხი ჭალადიდელისადმი“).

გიორგი ლეონიძეს ევლინებოდა შორეული ელვა: „შორეულ ელვამ თუ კალამი დამისხიურა“ („წინაპართა შემოხედვანი“).

გალაკტიონის შემოქმედებაში ბრწყინავს, ელავს, ანათებს ყველაფერი – სამყაროული საგნებიც, სულიც, პოეზიაც, ფიქრებიც, „ელვის ტბორს“ აფრქვევს ფიქრები: „ფიქრნი ისვრიან უნელებელ ელვათ ტბორებას“ („თვალებით თვალში“).

პოეზია ღვთაებრივი ელვის ნაწილია: „და პოეზია იქცა ერთ ელვად“ („პოემა ვეფხვისა“). აზრიც ღვთაების ალით გამოირჩევა: „აზრთა ალი, მათი ელვა-ნაპერწკალი“. ცის ელვას

დაეძებს პოეტის მერანი: „რომ შენს ელვას შეუერთდეს ჩემი მერანი“ („იერი“).

„ჯვარზე გაკრული ელვა – ეს ჩემი დაა ლურჯი“ – ასე გაუთავისებია პოეტს ქრისტიანული ღმერთის ელვა.

„ეფემერაში“ შთაგონებული პოეტი ელვის მოვლინებას განიცდის, როგორც ღვთაების გამოცხადებას: „ელვა ელვას გაეკრა, დაელეკა ცას ღვარი“.

გამოცხადებით აგნებს პოეტი უმაღლესს: „დაიკივლა ელვამ ცაში, ნაპოვნია მზის სათავე“.

„დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით, ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები“ – ასეთი მახლობელია სიტყვის მეუფისათვის საღვთო ცეცხლი და ელვა.

მზით შემოსილი პოეტი ელვის შუქითაც გვეცხადება: „ელვათა შუქი მეხვევის“.

და, რაც მთავარია, მის არსებაში ზეციური ელვა და ბრწყინვალებაა: „ჩემს გულში დაჰქრის ბრწყინვალება და ელვარება“ („ჩემს გულში“), „მას იტაცებდა ელვათა რკალი და სული მისი იყო გრიგალი“ („გრიგალი“).

პოემაში – „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ – ერთერთ პერსონაჟს ელვის ფონზე ეცხადება სულიწმინდა მტრედის სახით.

უფლის სახეა დანტეს მიერ ზეცის თავანში ხილული „ელვის ისარნი“: „სულნი ნათელნი ზიმზიმებდნენ წინაშე ჩემსა, ელვის ისარნი ანთებულნი ზეცის თავანში, თუმცა არ ვიცოდი მოვლინების მათის სათავე“ („ღვთაებრივი კომედია“, გვ. 370).

ასეთივე გაგებისაა „ისარი“ და „მშვილდი“: „ისარი განატყორცნი ამ მშვილდის მიერ... ძალმოსილება ამ მშვილდისა... ისარნი მისნი“. (იქვე, გვ. 280)

ქართულ ჰიმნოგრაფიაში ღვთაების ასპექში მოიხსენება „ელვის ისარი“ და „ნათლის ისარი“: „რომელი მხსნელმან ქრისტემან ჩინებულ გყო ისრად ელვისად“ (გიორგი ათონელი), „გამობრწყინდეს ელვანი საღმრთოთა სიტყუათა შენთანი, ვითარცა ისარნი ნათლისანი“ (იოანე მტბევარი).

ამ მეორე ფრაზას ასე ხსნის გაიოზ იმედაშვილი: „სიტყვა ქრისტეს ეპითეტია, იგი შედარებულია ელვასთან. სიტყვა, თუკი იგი ღვთაებრივი მოვლენაა, აღჭურვილია ზებუნებრივი ძლიერებით, ისარივით სწრაფი და მჭრელია“ („ქართული

კლასიკური, საგალობლების პოეტური მეტყველების ზოგი საკითხი“, საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე. თბ., 1959 წ. გვ. 177).

„სხვისი აზრები, როგორც ნაცრისფერი ნისლი, წამლავს ჰაერს. სულის ისარი კი მსგავსია ელვის“ – ამბობს ე. რერიხი.

„სულის ისარი“, „სხივის ისარი“ ევლინებოდა გალაკტიონს და ანათებდა მისი სულიც...

სიმბოლური, ღვთაებრივი „სხივის ისარი“, „ხვალის სხივი“ გალაკტიონს მაშინ გამოეცხადა, როცა სამშობლო მზედ დასახა. ამ „ისარმა“ ცხოვრების ტკივილები გადასწონა და სიმწარე გააქრო: „ცხოვრებამ თუმც ბევრი ცრემლი დამადინა, შოვიდან ისარმა სხეპა მოადინა! ჩემთვის იმ ხვალიდან სხივმა მოადინა, შოვიდან ისარმა სეპა მოადინა!... გულს ოდეს სამშობლო მოეთინათინა, შოვიდან ისარმა სხეპა მოადინა!“ („შოვიდან ისარმა სხეპა მოადინა“).

ჰუმანისტური ზნეობით, მტრის შენდობის ქრისტიანული მრწამსით იქცევს ყურადღებას „მაისის ისრით“, რომელშიც იდუმალ „მდელოს“ ისევ ის „მშვილდი“ დაჰხარის. ვფიქრობთ, სიმბოლურია თვით „მშვილდი“, „მაისის ისარი“, ვარდებით თრობა: „ამ ვარდობისთვის ვარდებით ვთვრები, კარგია თრობა. ო, მებრალება მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა. მაისის ისრით იჭერს ამური მოვერცხლილ ნავებს და მთვარე, თეთრი სიასამური, მირეკავს კრავებს. არაფერია! ისევ ის მშვილდი დაჰხარის მდელოს. იმ სადღეგრძელოს უზეცის-შვილდი, იმ სადღეგრძელოს“.

ღმერთი „ცის მშვილდია“, ამაღლების ძალა: „და როს ცის არის მშვილდი გადმოეკიდა მწვერვალს, გავხდით ათასი მცველი – სულ ახალი და ძველი“ („მე მივდიოდი ერთი“).

ქრისტე პოეტმა განიცადა, როგორც „ცხოვრების გზა, „ბედის მშვილდები – დროის წერათა ამთოვრებას რომ ასცილ-დები“ („გრიგალი“).

დ. გურამიშვილის ორიგინალური საღმრთო სახელებია: „მეხი“, „ქუხილის ისარი“ (პროფ. ტ. მოსია), მისი შორეული ტრადიცია კი ბიბლიიდან მომდინარეობს.

გალაკტიონი განსაკუთრებით ცოდვა-უკეთურების, „მკვდარი მზის“ ეპოქაში მოელოდა „ქუხილის“ ღმერთს, რათა მის თანა-მგზავრად ქცეულიყო: „ქუხილო, გელით! შენთან ვიბრძოლებთ,

გამოექანე, ზვირთი დასძარი! გვახსოვს: დილით მზე ამოდიოდა, მკვდარი მზე, შენ კი ამოასწარი!“.

იდუმალებაა „კოსმიურ ორკესტრში“ „ჭექა-ქუხილის“ ადრესატი: „...ეს ვოქვი: ეხლა დანარჩენს იტყვის ჭექა-ქუხილი“.

პოეტი, რომელიც „მეხის“ ამქვეყნიური არქეტიპია, უშიშრად, ტოლივით ეგებება მეხის მქუხარე ხმებს: „დროა, გავარდეს მეხი, ჩემებრ განწირულ ძმებით, შევეგებები ქუხილს მეხის მქუხარე ხმებით“ („მე უშიშარი ლომი“).

„ძველი მეხის“ (უზენაესის), „ცეცხლის დილის“ (მარიამის) ხელდასმით, მათი მოგონებით მიაფრენს იგი თავისი შემოქმედების მერანს: „მოიგონე ძველი მეხი, ცეცხლის დილა, ცეცხლის ბინდი, ფოლად უზანგს მოსდე ფეხი და კვლავ მერანს მოაფრინდი“ („ოცნებაო, მოიგონე“).

„ცხოვრება“ სახარებიდანვე დაისახა საღმრთო სახელად, ვინაიდან ქრისტე, როგორც თვითონ ამბობს, არის „გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე, 602, 6).

ნეტარი ავგუსტინე აცხადებადა: „ღმერთი... იგია სიცოცხლე ჩემი სიცოცხლისა“ („აღსარება“, გვ. 307).

ეს სახე ახალი ელფერით გვევლინება გალაკტონის პოეზიაში. ქრისტე სიცოცხლეა, რომელიც მოიაზრება „ძვირფას თასთან“ – მარიამთან ერთად: „ცა სიყვარულის და სიცოცხლით ძვირფასი თასი“ („მარმარილო“).

ქრისტე სიცოცხლეა, ქმედითი არსებობის ძალა: „სიცოცხლე ძალას მაძლევდა და სამოქმედოდ მიწვევდა მარად“ („მწუხარება“).

ღმერთი „აღფროვანებული ცხოვრებაა“, რომელიც, სიმბოლურ ვარდებთან ერთად, ათრობს პოეტს, „ვთვრები ვარდებით და ყველაფერით, აღფრთოვანებულ ცხოვრებით ვთვრები“.

იოანეს გამოცხადებაში მინიშნებულია ქვეყნის განახლებაზე, იმაზე, რომ „იყოს ცა ახალი და ქვეყანა ახალი“. (იოანეს გამოცხადება, 21, 1).

გალაკტიონის ლექსში „ცა, ზღვა, მიწა“ – ცხოვრების ზღვაში დანთქმულ ადამიანებს ენატრებათ განახლება, მხსნელი, ახალი ქვეყანა: „...და მოელოდნენ ახალ ცხოვრებას განახლებული ზღვაც და მიწაცა“.

სხვაგან ღმერთი წარმოიდგინება, როგორც „ახალი ცხოვრების ხე“, რომელსაც მიესალმება პოეტი: „...ჩემი სალამი

ახალ ცხოვრების ხეს და ხეხილებს“ („გზა ახალ-ახალ გადამთოვრების“).

უზენაესი „ყოფნაა“, ამქვეყნიური ყოფნის მომნიჭებელი: „ყოფნამ ყოფნას უკვდავება უხილავად დაატანა“ („უხილავი“).

„ახალი წლის ღამეში“ ქრისტე განიცდება, როგორც „ყოფნა ახალი, განახლება“, „აღდგომის კვალი“: „ახალ წელ-თან შენ გელოდი და ველოდი ყოფნას ახალს. და ვუცდიდი განახლებას და ვეძებდი „აღდგომის კვალს“ („ახალ წლის ღამეს“). ლექსში ფიგურირებს სიხარულისა და გამარჯვების მომნიჭებელი ბერძნული პანთეონის ღმერთის –იუნონას სახელი.

სახარებაში ქრისტე არის „აღდგომა და ცხოვრება“ (იოანე, 11, 25).

„დავითიანში“ ქრისტეს ეწოდება „აღდგომის ალამი“, ჰიმ-ნოგრაფიაში „კაცთა დაძველებული ბუნების განმაახლებელი“ (ტ. მოსია).

გალაკტიონის „აღდგომის კვალიც“ ამ სახეთა მიხედვით შექმნილი ჩანს.

ქრისტე მარადიული ყოფნაა, ცეცხლია, რომლითაც თვრება პოეტი: „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით და მინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი“.

„ცისფერში“ ხაზგასმულია ქრისტესა და დიონისეს მარადიულობა. ქრისტე მოაზრებულია, როგორც ყოფნა მარადიული, მის გზაზე მავალი შემოქმედი კი – უკვდავების ბინადარი: „... დარჩება ხსოვნა ყოფნას, დიონისს და იშვიათად თუ მობრწყინდება სხვა საუკუნე გალაკტიონის“.

პოეტის დევიზი იყო: „ნუ მოაშორებ სიცოცხლეს თვალებს, რომ დაეუფლო ახალ მწვერვალებს“.

ქრისტე „სიცოცხლის ჩანგია“, „დღის ხმა“, მარიამი კი – „თასი დღის ხმათა“, „თასი ზამბახეული“: „სიცოცხლის ჩანგებს მივაშუროთ ისევ თასებით, მრავალ წყურვილთა გახელებით, გაათასებით... ვთქვათ ამომსკდარი მიწებიდან ზღვა დარხეული, თასი დღის ხმათა და კვლავ თასი ზამ-დახეული“... („მივაშუროთ!“).

ერთ ლექსში ქრისტე მიიჩნევა „სიცოცხლის საგნად“, რომელიც განჭვრეტილია ეროვნული გადასახედიდან მრავალ დაბრკოლებათა ფონზე: „დაბრკოლებათა ათასგვარ საკანს,

შეურაცხყოფის სუსხსაც ავიტან, ოღონდ ვხედავდე სიცოცხლის საგანს ჩემი სამშობლოს სანახავიდან“ („ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“).

ღმერთი არის „სიცოცხლის წიგნი“ („მშვიდობის წიგნი“).

„ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთი დასახულია, როგორც „საბოლოო მიზანი“.. „და მე ვიგრძენი სიახლოვე იმ საუფლოსი, სად სურვილების საბოლოო არის მიზანი“ (გვ. 401).

გალაკტიონი მოუხმობს თავის ღმერთს – „სიცოცხლის მიზანს“: „ვწუხვარ, ვეძახი სიცოცხლის მიზანს, მაგრამ არავინ იძლევა პასუხს“ („სად?“).

ქრისტეს გალაკტიონისეული სიმბოლოა „ცოცხალ ცხოვრების ცეცხლი“: „დრომ ძველ მიდამოს გაჰკრა ცოცხალ ცხოვრების ცეცხლი“.

იესოს სახელად მკვიდრდება გალაკტიონის პოეზიაში „სიცოცხლე გულლმობიერი“, რომელიც დილამ – მარიამმა – მოავლინა: „სიცოცხლე დილის გულლმობიერი სხივთა კრთომაში არის ძლიერი“ („ისტორიის ახალი გვერდი“).

არცერთ სხვა პოეტთან არ შეგვხვედრია „სიცოცხლის ფესვად“ მოაზრებული ქრისტე: „სიცოცხლის ფესვი მკვიდრნათელია“.

ქრისტე „სხვა სიცოცხლეა“, რომელზედაც ოცნებობს პოეტი. მიწაზე მრავალჯერ განუცდია მისი ფრთების შეხება, ზეცაში შეხვედრის გზა კი სიკვდილია: „ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი? სხვა გზა არ ვიცი უახლოესი: ერთად-ერთი გზა არის სიკვდილი“ („მას გახელილი დარჩა თვალები“).

ქრისტიანული ღმერთი განიცდება, როგორც „მტევანი“, „სიცოცხლის ქარი“: „მტევნები, სავსე მზის ალუბლებით, გულში რეკავენ სიცოცხლის ქარად“ („გადავიარეთ მრისხანე ზღვები“).

„სიცოცხლის ხმებად“ მოაზრებული ღმერთის ძახილიც უგრძვნია ნათელმსმენ პოეტს: „რა ფერადებით ჩანდა ქვეყანა, რარიგ გვეძახდა სიცოცხლის ხმები“ („გაუმარჯოს მებრძოლ თაობას“).

მამაღმერთი არის „დილის ძე“ (იხ. ამაზე დაწვრილებით ჩვენს წიგნში – „გ. ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები”, თბ., 1990წ., გვ. 22-25).

ქრისტე არის აგრეთვე კაცობრიობის მარადიული ნუგეში, მამა, „მოხუცი მამა“, რომელიც პოეტს ელანდება ვენახის ფონზე: „მოხუცი მამა, მოხუცი მამა სასხლავით ხელში დადის ვენახში“ („მამული“).

ჭეშმარიტი არსებობა რწმენით, ღმერთით არის გაალებული, სხვაგვარი ყოფნა კი არყოფნის ტოლფასია: „არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე, შენ გაიარე სიცოცხლის ახლოს... შენ გაიარე სიცოცხლის ახლოს და სიცოცხლისთვის არ შეგიხედავს“ („სტანსები“).

ბიბლიაში ღმერთი წარმოდგენილია, როგორც „წყარო ცხოვრებისა“ (I, 87, 203, 216) ფსალმუნში, სახარებაში – „წყარო ცხოველი“ (იოანე, 4, 10); ნეტარი ავგუსტინესთან – „მადლის წყალი, წყარო მოწყალებისა, წმინდა წყარო, წყარო ჭეშმარიტებისა, საიდუმლო წყარო“ („აღსარება“, 194, 224, 179, 404, 424).

დანტეს ღმერთს ეწოდება „მარადიული დიდების წყარო, მარადჟამული სათავის წყარო, მარადჟამული ჭის წყალი, შადრევნების წყარო“ („ღვთაებრივი კომედია“, 1951, გვ. 197, 264, 372, 403).

ქართველ ჰიმნოგრაფებთან გვხვდება „უკვდავების მდინარე“, „მადლის მდინარე“, „ოქროს მდინარე“ (მ. მოდრეკილი), „წყარო ცხოვრებისა“ (ი. მტბევარი, ს. სვინგელოზი, ი. ქონქოზისძე).

დ. გურამიშვილი ქრისტიანულ ღმერთს „მოწყალების წყაროს“ უწოდებს (პროფ. ტ. მოსია).

ღვთაებრივი წყაროს გემოს ეწაფება გალაკტიონი: „მინდოდა წყაროს წყალი გემოთი და მშობლიურით სუნთქვა სიოთი“ („მე ერთადერთი მქონდა წუხილი“).

მისი უფალი არის „იმედის და რწმენის წყარო“ („რა ვქნა?“).

პოეტი ეწაფება ტრფობით აღბეჭდილ სიცოცხლის წყაროს: „მე მსურდა გრძნობით დავწაფებოდი სიცოცხლის წყაროს, ტრფობით აღბეჭდილს“ („მწუხარება“).

გალაკტიონი მიმართავს აგრეთვე „შადრევნის“ სიმბოლოს, მის ლექსებში გვხვდება „შადრევნების ვედრება“ , „ცა შადრევნების მძიმე მტევნებით“

(„ცა თოვლით ფენილი“), მთვარეს შეკიდებული „ალუჩები და შადრევნები“ („ვინ არის ეს ქალი?).

რაინერ მარია რილკე ამბობდა: „მე გამიცხადდა შადრევნების არსი ფარული“ („შადრევანთა ექო“).

გალაკტიონის ლექსი – „ოპერის თეატრთან“ – სინანულს გვიმხელს იმ „შადრევნის“ გაუჩინარების გამო, რომელიც „იდუმალ მხარეთ“ გვიმხელდა“: „იქ აღარ რეკავს ის შადრევანი, იმ იდუმალთა მხარეთ გამხელა“.

ასეთ კონტექსტში უნდა იქნეს გაგებული „აუზის“ – „ოცნების აუზის“ სახეც: „ცივი ოცნება შხეფავს აუზის“ („ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“).

ახალ აღთქმაში „ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლენი, I იოანესი, თავი IV, 8).

ნეტარი ავგუსტინესთან უფალი მოიხსენიება, როგორც „დიადი სიყვარული“: „ეს სამყარო დიადი სიყვარულით... ბრწყინავს და იწვის, ვითარცა მარადიული შუვა დღე“ („აღსარება“, გვ. 390).

დიონისე არეოპაგელის მიხედვით, ქრისტე არის „საყვარელი“, „საყვარელს უწოდებდნენ მას დ. გურამიშვილი, ვახტანგ VI, ა. წერეთელი.

ღმერთს დანტესთან ეწოდება „სიყვარული პირველი, უტკბესი სიყვარული, სიყვარული დაუშრეტელი, უზეშთაესი სიყვარული, სიყვარულის ხმა“.

ქრისტე გალაკტიონისთვის არის „ზექვეყნიური სიყვარული, შორეული სატრფო, იდუმალი სატრფო, სრული ტრფობა, „სხვა სიყვარული“.

პოეტის არსებაში ცოცხლობს „ხსოვნა იმ ტრფობის სრულის“ („მიმღერე რამე“).

მთელი მისი არსებობა აღვსილია უზენაესის მოწიწებით, სიყვარულით, იგია ბედნიერებისა და სიხარულის წყარო: „მე სიყვარული მესიზმრებოდა“, „ღამეებს ვათევ კვლავ სიყვარულით“, „მე სიყვარულით ვიყავი მთვრალი“, „და სიყვარული მახარებს მარად“.

პოეტების მეფის სამყაროში „სიყვარული არის... კაცთა მსაზრდოებელი ძლიერი ღმერთი“, „სიყვარული არის... ყოფნა-არსებობის კარი“ („აკაკი წერეთელი“).

ქრისტიანულ სიყვარულს, სითბოს და მიტევებას განადიდებს ლექსი „ისევ მაისის მათრობს თვალები“; „ო, გაუმარჯოს სიყვარულს, სითბოს და პატიებას“.

„ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი სიყვარულის“ – („დადგა აგვისტო“) აღმოჩენა იმ ეპოქისათვის გაუცხოებულ ღმერთთან მიახლოება იყო. ღრმააზროვანი ფრაზაა: „და ღრუბლიდან ეშხით გადმოიხრება მოგონება სიყვარულის მზიანის“ („აფხაზეთის წვიმა მიყვარს“). ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ღრუბლისა და სიყვარულის ასოცირება. ჩვენის აზრით, „ღრუბელი“ მარიამია, „სიყვარული მზიანი“ – ქრისტე.

გალაკტიონის ღმერთი არის აგრეთვე „სიყვარულის ხმა, რომელიც „დაადუმეს“ კომუნისტებმა და ეს პოეტის სევდას იწვევდა: „სიყვარულის ხმა არსით ისმოდა“...

ღმერთის სახე-სიმბოლოებია: „პირველი ტრფობა“, „ტრფობა სრული“, „ტრფობის წმინდა ყვავილი“, „სიყვარული პირველი“, „სიყვარული უკანასკნელი“, „ზექვეყნიური სიყვარული“, „სხვა სიყვარული“, „სიყვარული მზიანი“, „დიდება სიყვარულისა“, „იდუმალი, შორეული სატრფო“, „მიუწვდომელი სატრფო“, „რაღაც სპეტაკი, უცხო შვენება“, „იდუმალება შორეულ ტრფობის“, „ვარსკვლავი-სატრფო“, „ფიქრ-სიყვარული“, „ეშხით მღელვარე სატრფო“, „მფარველი საყვარელი თვალები“, „ლანდი შორეული“, „შორეული სახე...“, მაგრამ საღმრთო სიყვარულის იდეაზე საუბარი გვექნება სხვაგან.

სახარების მიხედვით, ქრისტე არის „მწყემსი კეთილი“, („მე ვარ მწყემსი კეთილი, მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვას ცხოვართათვის“ (იოანე, 585, II), „სულების მწყემსი“: „ქრისტე – თქვენი სულების მწყემსი და მცველია“ („კათოლიკე ეპისტოლენი იაკობისა“, თავი II, 9, 25).

გალაკტიონის პოეზიაში ეს ცნება ერთგვარ კორექტივს განიცდის, მის „პორტრეტში“ სულების მწყემსი პოეტია, რომელსაც ცხოვრებისა და ოცნების შეუთავსებლობამ ციხე და ტანჯვა არგუნა: „ცხოვრება გაწყრა და გაალქაჯდა, მინდვრებში გატყდა ოცნება მწყემსის, ის ბორკილებში ზის ახალგაზრდა, ის ახალგაზრდა ციხეში კვნესის“ („პორტრეტი“).

ლექსში – „1950“ – „ერთგული მწყემსი“ გვევლინება პატრიოტული იდეალების დამცველად: „სამშობლოს თვისას დარაჯობდეს ერთგული მწყემსი, თუ უნდობარი კვლავ თავდასხმის იქნა მიზეზი“.

„ძველი ქრისტიანები კრავს მიიჩნევდნენ ქრისტეს სიმბოლოდ, როგორც აბრაამის ციკანმა იხსნა ადამიანი, ასევე ქრისტეს სისხლმა იხსნა კაცობრიობა“ (რ. ბარამიძე, „ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან“, თბ., 1966წ. გვ. 95).

ქრისტემ ჯვარცმით გამოისყიდა სხვათა ცოდვები და იქცა ტარიგად. იოანე ამბობს ქრისტეზე: „აი ტარიგი ღმრთისა, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“ (იოანე, 546, 9).

გალაკტიონის ლექსში, როგორც არა ერთი პოეტი, პუშკინია ბოროტების მსხვერპლი, ტარიგი: „იქ პუშკინი ტარიგია“ („კაფე სახე ადევს ბუჩქის“).

თვით ქართველი პოეტი არის „ტრფობის ტარიგი“ („არ მინდა სიტყვა“).

ზეციური ვარდი, ყვავილი ხან მარიამის, ხან ქრისტესა და ანგელოზების სიმბოლოა ბიბლიაში, ჰიმნოგრაფიაში.

გალაკტიონი ამრავალფეროვნებს ამ ტრადიციულ სახეს და წარმოგვიდგენს მას ღვთაების, სულიერების, მშვენიერების შინაარსით.

შემოქმედს მართებს „ვრცელი გზებით“ სიარული, „მუდმივი მზის“, „მუდმივი გაზაფხულისა“ (ქრისტეს) და „დაუჭკნობი ყვავილების“ განცდა: „გაიარა ვრცელი გზები, სად მუდმივი მზეა მგზნები და მუდმივი გაზაფხულის დაუჭკნობი ყვავილები“. „დაუჭკნობი ყვავილები“ ქრისტიანული ღმერთის დედაა, მარიამ ღვთისმშობელი.

ქრისტე „ახალი ღმერთია“, „ახალი ცეცხლოვანი ყვავილი“: „იყო ახალი ყვავილების ცეცხლთა აქარგვა და იგი მხოლოდ ქვეყანაზე დარჩა წარმართი“.

ცის სილაჟვარდეში, სიმაღლეში ეგულება პოეტს ღმერთი „ცეცხლის ვარდების“ სახით: „...ვყოფილვარ ბევრჯერ სიკვდილის პირად, ომში მინახავს ცეცხლის ვარდები, იმ სიმაღლეებს ვიგონებ ხშირად, არ მავიწყდება ის ლაჟვარდები“ („მე არაერთხელ მქონია ფრთები“).

ვფიქრობთ, „ელვის ბილიკთან“ გამოჩენილი „თოვლის ვარდებიც“ საღმრთო სახელია: „ელვის ბილიკზე მიდის ფეხე-

ბი და მეცემიან თოვლის ვარდები, ხან უფსკრულებში გადვიჩეხები, ხან მწვერვალებზე აღვიმართები“ („ხან უფსკრულები, ხან მწვერვალები“).

ქრისტე ბედნიერების მომნიჭებელი „სიცოცხლის ვარდია“: „ველნი ჰყვავიან, გულო დაწყნარდი! ადრე თუ გვიან სიცოცხლის ვარდი ბედნიერებად გადაიშლება... დროც ხომ წინ მიდის, დროც ხომ იცვლება?!“ („გრძნობათა ფერფლი“).

მარიამი დილაა, ქრისტე – სიცოცხლის ყვავილი, მათი გაუჩინარება წუხილით ავსებს პოეტს: „ყმაწვილკაცობა, ყვავილები სიცოცხლის დილის ბურუსებს იქით გადიკარგა, როგორ ვეწამე, ახლა თავს მადგას მჭმუნვარება მომავლის ჩრდილის, იმ სიყვარულის მიმღერე რამე“ („მიმღერე რამე“).

ბედნიერება არ არსებობს „ტრფობის წმინდა ყვავილად“ განცდილი ღმერთის გარეშე: „ბუნებავ! ტრფობის წმინდა ყვავილი, რომ დამაბარე, ვერსად ვერ ვპოვე, ბედნიერება ჩემთვის არ არის, ბედკრული შვილი გამომიგლოვე“ („ყვავილები“).

ქრისტე უდაბნოს ღმერთია, „უდაბნოს ყვავილი, პოეტი კი გამუდმებით მისი მძებნელი: „...უდაბნოს ყვავილთა მზოგარ თვალით მძებნელი და მარებელი“ („ცხრაას თვრამეტი“).

ძალზე რთული სახეა თასით მორთმეული ვარდების ბუჩქის ჩრდილი, ვფიქრობთ, ვარდების ბუჩქი და მისი ჩრდილი ქრისტეა, თასი – მარიამი, ვინაიდან ქრისტეს მოვლინების, მისი ხილვის საშუალება არის მარიამი: „მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით“). („პუშკინი პარიზში“).

ლექსში „მაისის ისრით“ – ყურადღებას იქცევს ვარდებით თრობა და მტრის შენდობის ქრისტიანული მოტივი: „ამ ვარდობისთვეს ვარდებით ვთვრები, კარგია თრობა. ო, მებრალება მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა“.

ამ კონტექსტში „თრობის“ მომენტი არსებითია, რადგან ღმერთის გამოცხადება სწორედ ჭვრეტაში დანთქმას, თრობას მოითხოვს.

ვარდებითა და აღფრთოვანებული ცხოვრებით თრობაც სიმბოლური აზრისაა: „ვთვრები ვარდებით და ყვავილებით, აღფრთოვანებულ ცხოვრებით ვთვრები“.

„მშვიდობის წიგნში“ ანგელოზი არის „ყვავილი ცათა მდელოსი“: „შენგნით გზავნილმან მან ანგელოსმან, ვითა

ყვავილმა ცათა მდელოსმან, რა ქმნა, რა ჯადოს მიმართა ამ დროს“...

ვენახი და მტევანი სახარებიდანვე დაისახა საღმრთო სახელად.

„მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაი ჩემი მოქმედი არს“ – განაცხადა ქრისტემ იოანეს სახარებაში (605, 1).

იოანეს აპოკალიფსის ვენახი და მისი დამწიფებული მტევანი გულისხმობს ქრისტეს და მის მოძღვრებას: „მოისთულენ ტევანი იგი ვენახისა მის ქუეყანისა, რამეთუ დამწიფებულ არს ყურძენი იგი მისი“ (თ. 14, 18, 686).

„ღვთაებრივ კომედიაში“ ქრისტეს ეწოდება „ღვთიური ვენახი“ (გვ.350).

ჰიმნოგრაფიაში თავისებურად გრძელდება ეს ტრადიცია.

იოანე მინჩხის პოეზიაში ქრისტე არის „ვენახი ცხოვრებისაი“, მარიამი – „ვენახი სამეუფო“, „ვენახი ჭეშმარიტი“, „ტევანი ტკბილი“.

„ჭილ-ეტრატის იადგარში“ მარიამია „ვენახი ჭეშმარიტებისა, ქრისტე – „ტევანი ცხოვრებისა“ (გვ. 151).

ჰიმნოგრაფიაში „საღმრთო ვენახი“ მარიამსაც ეწოდება („ნევმირებული ძლისპირნი“, 1981წ., გვ. 81).

ტრადიციის გამრვალფეროვნებაზე მიგვანიშნებს იოანე მტბევარის „ტევანნი სულიერნი, სათნოების ტევანნი, ტევანი შუენიერნი“, ეზრას „ტევანი ტკბილი“, მიქაელ მოდრეკილის „ტევანი სიტკბოებისა“, „ვენახი სიწმინდისა“.

სინურ მრავალთავში ღვთაების სიმბოლოა „ტევანი ჭეშმარიტებისა, ახლისა ვენახის კვირტი“ (სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, 1959 წ., გვ. 66).

დემეტრეს საგალობელში მარიამია „ახლად აყვავებული ვენახი“.

იოანე შავთელის „აბდულმესიაში“ თამარს ეწოდება „ვენახი კუთილგანსხმული“.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ქრისტე არის „კარგი ყურძენი“, ღვინო კი სულის სიმბოლოა. პოეტი სხეულში დასადგურებულ სულს მხატვრულად წარმოსახავს როგორც ჭურჭელში (საღვინე) მდგარ ღვინოს: „სულია ღვინო კეთილი, ხორცი ჭურჭელი მყრალია“ (ტ. მოსია, „დავითიანის“ ლიტერა-

ტურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები“, თბ., 1989წ., გვ. 64-65).

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ „მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანი“, რომელიც დაპირისპირებულია ძაღლ-ყურძენასთან, გულისხმობს განათლებას.

ცნობილია ჯონ სტეინბეკის „მრისხანების მტევანი“.

„ტევანი იძლევა ღვინოს, როგორც სიტყვამ მისცა თავისი სისხლი.

ვენახის სიმბოლოს განშტოებანია მტევანი და ყველაფერი ის, რაც რთველთან, ნაყოფის მიღებასთან არის დაკავშირებული“ (რ. ბარამიძე, „ნაკვეები მხატვრული პროზის ისტორიდან“, თბ., 1966 წ., გვ. 169).

„ღვინო, ყურძნის სისხლი არის სიმბოლო სულიერი ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისა, რომელიც ბანგავს და აუძლურებს ქვენა ბუნებას“ (ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანის“ სახისმეტყველება“, თბ., 1991წ., გვ. 47).

აღსანიშნავია, რომ სუფისტურ პოეზიაშიც ამგვარად გაიგება ყურძენი და ღვინო: „როდესაც სუფისტი პოეტი საუბრობს ყურძენსა და ღვინოზე, ყურძენი ნიშნავს ჩვეულებრივ ეზოტერულ რელიგიას, ღვინო კი, მისი წვენი, დაფარულ მნიშვნელობას, არსს რელიგიისას, ეზოტერიზმს, ამიტომაც არის ღვინის სმა მისტიკური შემეცნების სიმბოლო ხაიამთან და სხვა სუფისტებთან“ (იქვე, გვ. 106).

ბიბლიაში, თეოლოგიაში ხე ცხოვრებისა ღვთის სიმბოლო იყო, წარმართობის ხანში კი ქართველი კაცი ვენახს „სიცოცხლის ხედ“ ნათლავდა (ვ. ბარდაველიძე, რ. სირაძე).

გალაკტიონი თავისებურად სარგებლობს წინარე ტრადიციებით. ლექსში – „ძველისძველ ღვინოს“ – იგი სიმბოლური ღვინის მტევნების, „ფეერიული აკიდოს“ სიყვარულზე, სიფხიზლის გრძნობაზე გვესაუბრება: „ძველისძველ ღვინოს და მძიმე მტევნებს, ფეერიულად მკროლავ აკიდოს – სვამს და თავისთვის თვალყურს ადევნებს, რომ თვალებს რული არ მოაკიდოს“.

სრულიად ორიგინალური სახეა „ფეერიული აკიდო“, რაც ქრისტიანულ ღმერთთან, მის მოძღვრებასთან მჭიდრო კავშირს გულისხმობს.

ლექსში „ავდრის მოლოდინი“ – „ქალწული“ მარიამია, რომელიც დაგვირგვინებულია „ნელ ლერწებით და ვაზის მტევნებით“, ანუ ქრისტეთი.

„დაუსრულებელი სეტყვით დაღუპული ყვავილები და ვენახები“ ქრისტიანული ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლას შეგვაგრძნობინებს.

ჰიმნოგრაფიაში, კერძოდ, იოანე მტბევართან, ღმერთს მიემართება „ვენახი სულიერი“, ასეთივე გაგებისაა გალაკტიონის „მშვიდობის წიგნის“ „სულიერი ვენახი“. პოემაში დაკარგული წიგნის მაძიებელ ტარიელს ეუბნება თამარი: „მაშ ვლი სულიერ ვენახთა წინდვით“, რაც გაუცხოებული ქრისტიანული ღმერთისკენ მობრუნებას გულისხმობს.

ლექსში – „გადავიარეთ მრისხანე ზღვები“ – ღმერთის რწმენით ხდება ცხოვრების ზღვის გადალახვა, თავისუფლების მიღწევა და ქრისტეს სიმბოლოა „მტევნები, სავსე მზის ალუბლებით“, სიცოცხლის ქარი, სიყვარული: „მტევნები, სავსე მზის ალუბლებით, გულში რეკავენ სიცოცხლის ქარად, მახარებს ჩემი თავისუფლება და სიყვარული მახარებს მარად“.

ქრისტიანული ღმერთის სახეა „გათენებათა რაინდი“, „სიმართლის თასში“ ჩაწურული „გრძნობითა მტევნები“, „სიცოცხლის მტევნები“ („სიცოცხლის მტევნები“).

გალაკტიონმა თავის პორტრეტსაც ღვინის გამოყენებით მიანიჭა შთამბეჭდაობა: „ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია“... ეს ფრაზა მოკლებული არ არის ერთგვარ იდუმალებას. „უანკარესი ღვინო“, ჩვენი აზრით, ქრისტეს უნდა მიემართებოდეს. უფლის სახესთან, მის სულთან მსგავსების ძიება საერთოდ ორგანული იყო გალაკტიონისთვის.

ლექსი „მამული“ რწმენის უკუგდების, ეროვნული ბედოვლათობის ტკივილის გადმოშლაა. ვენახში სასხლავით ხელში შემოყვანილი „მოხუცი მამის“ სახე სახარებისეულ სიმბოლურ ვენახს გვაგონებს.

იესო ეუბნებოდა მოწაფეებს: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაი ჩემი მოქმედი არს“, „მე ვარ ვენახი და თქვენ კი რტონი“ (იოანე, 605, 1; 605, 2).

„მამულის“ ლირიკული გმირი შეუპყრია „მასზე ოცნებას“, მაგრამ ღვთისნიერი წინაპრები წასულან და „სხვა ხალხია“

ირგვლივ, ალბათ, უცხოელებიც და ქრისტესგან განდგომილებიც.

ბიბლიის, სახარების, ღვთისმეტყველების მიხედვით, ღმერთი კაცობრიობის მამაა.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთი არის „მამა ჭეშმარიტი“, „დიადი მამფალი“, „პატრონი ჩვენი“ (325).

გოეთე „მოხუც მამას“, „წმინდა მამას“ უწოდებს უფალს: „როს ღრმა მოხუცი წმინდა მამა თავისი ხელით კურთხეულ ელვებს ღრუბლებიდან მიწაზე სთესავს, ვეამბორები მისი სამოსის კალთას, ბავშვივით მიამიტად ათრთოლებული“ („კაცობრიობის საზღვარი“, „ლირიკა“, 1967წ., გვ. 89).

გალაკტიონის საღმრთო სახელებიდან ყურადღებას იქცევს „სიცოცხლის ხისა“ და „ცნობადის ხის“ უძველესი სახეები, პოეტის მიერ გამრავალფეროვნებული და ახალი ნიუანსებით გააზრებული.

„სიცოცხლის ხე“ არსებობას ბიბლიაში, კერძოდ, შესაქმეში იწყებს და ღვთაების სიმბოლოა (წიგნი დაბადებისა, 50,9).

იოანეს გამოცხადების „ხე ცხოვრებისა, ნაყოფისა გამომღებელი ათორმეტთა ნაყოფთა“ (თ. 22, 1-2) – ქრისტესა და მის თორმეტ მოციქულს გულისხმობს.

ახალ აღთქმაშივეა შექმნილი ამ სახის ახლებური ვარიაცია: „შეიწყნარეთ ნერგი სიტყვისაი, რომელიც შემძლებელ არს ცხოვრებად სულთა თქვენთა“ (კათოლიკე ეპისტოლე იაკობისა, 1, 2).

ღვთისმეტყველებაში ასეა კომენტირებული სიცოცხლის ხე: „ხე ცხოვრებისაი, ვითარცა ხატებაი ღმრთისაი“ (გრიგოლ ნოსელი). ამგვარად განმარტავს ამ სახეს იოანე დამასკელი.

„ღვთაებრივ კომედიაში“ ქრისტეს სიმბოლოა „დიადი ხე“, „ხე ტკბილი“: „ამასობაში მივეახლეთ ჩვენ ხესა დიადსა“... „ხე ესდენ ტკბილი“ (გვ. 234).

ქართულ ჰიმნოგრაფიაში გაიგივებულია „სიცოცხლის ხე„ და „ცნობადის ხე“ და იგი ხან მარიამს, ხან ქრისტეს გულისხმობს.

დავით გურამიშვილის – „ზედ გულზე ვიბი იგი ხე, კაციანი და ღვთიანი“ – ქრისტეს ორბუნებოვნებას გამოხატავს და ძალზე ორიგინალურია (ტ. მოსია).

„სიცოცხლის ხე“ ფიგურირებს ილია ჭავჭავაძის „აჩრდილში“ ქრისტეს, მისი მოძღვრების სიმბოლოდ, ხოლო „ქართველ დედაში“, „ცნობადის ხე“ გაიგივებულია თავისუფლებასთან.

გალაკტიონის ლექსში – „ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სიცილს“ – ქრისტეს სიმბოლოა „არსებობის ძე“, რომელიც სიხარულის, ზნეობრივი განახლების მომნიჭებელია: „ასე: მარადის არსებობის ხეს არხევს ნიავთა წუთიც, წამიცა, რამდენი ბავშვი შეჰხარის ამ დღეს, რა ახალია ეს დედამიწა“.

პოეტი მიესალმებოდა „ახალ ცხოვრების ხეს“ („გზა ახალ-ახალ გადამთოვრების“).

სიცოცხლის ხის სახეებია ლიბანის ნაძვი (ა. ბაქრაძე), ალვა, პალმა, კიპარისი (ზ. გამსახურდია), ვაზი (ვ. ბარდაველიძე, რ. სირაძე, გ.მურღულია).

გალაკტიონის ერთ ლექსში „ხე ცნობადისა“ შობის პალმაა, იგი არის ამავე დროს „თალხის, ცრემლის ხე“ („ქარი არხევდა იტალიურ შობის ხეს ტრიპოლისში“).

„ხის წვეთი“, რომელიც პოეტს კურნავს, სიცოცხლეს და სიმშვიდეს უბრუნებს, ღვთაებისა და ბუნების მაგიური ძალაა („მივდიოდით მე და შენ“).

ხოლო „სიმართლის ხე“ პოეზიაა („ო, ხეო სიმართლისაო“).

გრიგოლ ნოსელის მიხედვით, „ყოველი ხე“ „ღმერთს მიემართება ღვთისმეტყველებაში, გალაკტიონთან კი – პოეზიას („ო, ქვეყნიურო სამოთხე“). ღმერთის სიმბოლოა „ზენიტზე მდგარი შორი პალმები“ („ეფემერა“), თეატრში აშრიალებული „ტირიფების მწვერვალი“ („ძველი რვეულიდან“), „მზეთუნახავი და მკრთალი სახის ალვა“, „ალვა ტანადი“, „თოვლიანი ალვა“, კიპარისი, ვერხვი.

გალაკტიონის პოეზიაში ხდება „ალვის ხის გადარჩენა, ღვთაებრივი ცნობიერების განვითარება, ალვის ხის სულის ზრდა, პოეტის სურვილია, „პოემას უვრცესს“ დაარქვას „ალვა და სურო“.

ლექსში „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ ქრისტე ფიგურირებს, როგორც „ალვა ტანადი“: „ო, როგორ გაფითრდა ციურთა თანადი, ოცნება, ნახაზი საგანთა უარით, ღრუბლები ფერადი და ალვა ტანადი, რომელსაც აზიის ცით გადავუარეთ“. „ღრუბლები ფერადი“ – მარიამია“.

„ალვები თოვლში“ რამდენიმე საღმრთო სახელს ერთდროულად ახსენებს: „შუქი პირბადე, უცნობი ღამე, უჩვეულო ნათელი, „თოვლიანი ალვა“. „სასძლო“ და „ყინვის თასი“ მარიამის სახეა, „თოვლიანი ალვა“ – ქრისტესი“: „დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს ივლისისფერი ყინვის თასებით. სითეთრე შვენის მაღალ მწვერვალებს, ვით სასძლოს ფარჩა და ალმასები“.

არსებობს აზრი, რომ ივლისისფერი ცისფერის ტრანსფორმაციაა (რ. ბურჭულაძე), მაშინ მივიღებთ ცისფერ ყინვის თასებს და ისიც მარიამია ისევე, როგორც „ზამბახების ფიალა“.

„ალვა... მზეთუნახავი და მკრთალი სახის“ გვაგრძნობინებს სიცოცხლის ხეს ლექსში – „ავდრის მოლოდინი“.

აღსანიშნავია, რომ ბუდიზმში სიცოცხლის ხის სიმბოლოა ბოდჰის ხე, რომლის ქვეშაც ზის ბუდა მედიტაციის დროს (ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, გვ. 301).

სახარებისეული ქრისტეს სიმბოლოა „გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება: „მე ვარ გზაი და მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი“ (იოანე, 602, 6).

„ღვთაებრივი კომედიის“ ქრისტეს ეწოდება „ჭეშმარიტი გზა“, „წმინდა გზა“, „მართალი გზა“, „გზა უზეშთაესი“ (გვ. 212, 218, 376).

ლაო-ძის ღმერთის სახელია „დიდი გზა“, „მზიანი გზა“.

ძალზე საყურადღებოა ამ ასპექტით გალაკტონის ფრაზეოლოგია.

პოეტს მარადიულად ახსოვს ღმერთი, ციური ცხოვრების გზა, „ბედის მშვილდები“, როგორც სათავე, განმსაზღვრელი მიწიერი, ამქვეყნიური გზისა: „მე მაგონდება გზა ცხოვრების, ბედის მშვილდები – ბედის წერათა ამთოვრებას რომ ასცილდები“ („გრიგალი“).

ხელოვნების ტაძარში შესასვლელი გზა არის „უცნობი გზა“ – ღმერთის გზა: „მისი გული ხელოვნების ტაძარს, ოქროს ხანას უცნობ გზითაც იგნებს“ („გამბედავო და მაგარო ხელო“).

„გობელიენში“ „უხილავი გზების“ ადრესატია ღმერთი: „ალერსთა უხვი და უხმო ველი დამფარავს ნისლთა წამოსა-

სხამით და დათრობაში ამ ღამის ღამით უხილავ გზებით შთავა ყოველი“.

გალაკტიონის გზა არის ღმერთის გზა, უმაღლესი გზა, „პოეზიის ინტეგრალების“ მისაგნები გზა: „ეხლა კი მის წინ გაიშლება ფერნაკლები უმაღლესი გზა – პოეზიის ინტეგრალები“ (პოეზიის ინტეგრალებით“).

პოეტი დარწმუნებულია, რომ თავისი შემოქმედებით მოხიბლავს ღმერთს, ანუ „სევდიან გზას“; „გზას, სევდიან გზას მოვხიბლავთ და შევუყვარდებით, ჩემი სიცოცხლე, ჩემი ქნარი თუ გეყვარება“ („ჰორიზონტიდან ზენიტამდე“).

ამ „სევდიან გზას“ – ღმერთს მიჰყავს პოეტი ამაღლებისაკენ, „ბედს იქით“.

„გზის“ ცნებას ამრავალფეროვნებს „იისფერის“ მომხიბვლელი ნიუანსი: „და გარს ყოველი არის მწუხარე, რომ იისფერ გზას არ გადუხარე“ („ძველი მოტივით“).

ლექსში „არაგვი“ „ცისფერი“ და „უსაზღვრო გზები“ იქცევს ყურადღებას ჩვენთვის საინტერესო ასპექტში.

„მეწამული გზის“ ჩანაფიქრშიც ქრისტე უნდა ვიგულისხმოთ: „მტევანი, ვაზის ჯვარი, ოხვრა ჩემი მამულის, ტირის ვაზი ობოლი – მცნობი გზის მეწამულის“.

ქრისტიანული ღმერთი გვეცნაურება „მშვიდობის გზის“ სახეშიც: „მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს“ („ყველაფერი შეიძლება მოხდეს“).

„მშვიდობის წიგნში“ „გზის კამარა“ გვევლინება იდუმალ სახედ: „მიაფრენ ეტლებს მარად დიდებით, აქ ისიც კმარა, რომ გზის კამარა დგას განდიდებით“.

ამავე პოემაში ყურადღებას იქცევს „წმინდა გზა“: „...რომელს არა გზა, ჰქვია გზა წმინდა“.

ლექსში – „1950“ „უწმინდესი გზის“ სახე გვხიბლავს: „რომ თავდადებით შეიმოსა გზა უწმინდესი“.

საღმრთო სახელია „ვრცელი გზა“, „მუდმივ მზესთან“, „მუდმივ გაზაფხულთან“ და „დაუჭკნობ ყვავილებთან“ (მარიამთან) ერთად: „გაიარა ვრცელი გზები, სად მუდმივი მზეა მგზნები და მუდმივი გაზაფხულის დაუჭკნობი ყვავილები“ („აკაკი წერეთელი“).

ღმერთს – „მარტოობის გზას“ – მიჰყვება პოეტი დაფნითა და ყვავილებით („სარკმელთან“).

პოეტის ღმერთი არის „უბოლო გზა“: „ჩემი მზე ისევ უბოლო გზები და ბეატრიჩე პორტინარია“.

„არტისტული ყვავილების“ ავტორის სული მოგზაურობს „საღვთო ბილიკებით“, „შორეული თოვლიანი ბილიკებით“, „ვერცხლისფერი ბილიკებით“.

„ცის გზებიდან“ – უზენაესისგან ესმის პოეტს იდუმალი ხმა: „მიყვარს თქვენი ხმა და მეძახის გზა“... („მშვიდობის წიგნი“).

„ფრთაგანიერი ჰორიზონტის გზა“ („მახსოვს ზაფხული“) ხიბლავდა გალაკტიონს.

მის გზებს გამოარჩევდა „დაუსრულებლობა“. ზეციდან, მზიდან მოევლინა პოეტი სამყაროს და ღმერთის თანმხლებად თვლიდა თავს სიკვდილის შემდეგაც.

ღმერთის გზაზე გამოიცდება პოეტის სიდიდე: „პოეტს ცდის გზა იშვიათი“ („რომ შექმნა რამე დიადი“).

აკაკის „ლანდში“ საღმრთო სახელებია „გზა მრავალფერი და გზა იშვიათი“.

ღმერთის, ანუ ნუგეშის გზაა პოეტისთვის ძვირფასი: „...გმადლობ,ნუგეშო, შუნს გზაზე რომ დავიარები“ („სხვაგან სადაა“).

ამქვეყნიურ, მიწიერ სიკეთეთა უარმყოფელი პოეტი ღმერთის გზას გასცქერის: „თქვენ გენატრებათ ლოჟა, პარტერი, თქვენ განდათ გახდეთ მილიარდერი, მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს, ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს“.

გალაკტიონის გზა არის „სხივოსანი მომავლის გზა“ („როგორ არ იცით, თუ რა ძალაა“), „უსაზღვრობის გზა“, „მარადისის გზა“, „დიდი გზა“, „გზა სრულყოფილი“.

„სად დამიბრუნებს ჩემს ორხიდეებს გზა, მარადისით განალანდარი?“ – კითხულობდა პოეტი.

„ძვირფასი გზა“ ღმერთისკენ მიმავალი გზაა „ბჰაგავად-გიტაში“,

„დიდი გზით“, „ძვირფასი გზით“ მავალი შემოქმედი იყო გალაკტიონი.

„ძველი დღე“ მამა ღმერთის სახელია ბიბლიაში (დანიელი, (4, 41, II) არეოპაგიტიკაში, დავით გურამიშვილის „დავითიან-ში“, ხოლო „ახალი დღე“ არის ძე ღმერთი, მაცხოვარი.

გ. ტაბიძის პოეზიაში შემოქმედებითად ვითარდება ეს ტრადიცია.

იესო „დიდი დღის“ სახელით ევლინება პოეტს „მშვიდობის წიგნში“: „რა დიდი დღეა. რა სამოთხეა, ქებული ოდით“. ამ სახის თავდაპირველი წყაროა დანიელი (14, 41).

ღვთაების სახელს ახალი ელფერით ავსებს გალაკტიონის „დღე ოქროსთმიანი“, „დღე ახალგაზრდა და გამბედავი“: „დღე წამოიჭრა ოქროსთმიანი, დღე ახალგაზრდა და გამბედავი“ („რა საჭიროა სიტყვები, მჯერა!“).

საყურადღებოა, რომ ალ. ბლოკის ლექსში ღმერთს „დღე ოქროსფერი“ ეწოდება: „რომ სულს განწმენდილს მოევლინოს ლოცვით, იმედით დღე ოქროსფერი, ლაჟვარდებით მოციმციმეთი“ („მე ბნელ ტაძარში“, „მარადი დღე“, 1981 წ., გვ. 150).

ქრისტეს ორიგინალურ სახელად მიგვაჩნია გალაკტიონის „ნორჩი დღე“, რომელსაც ორ კონტექსტში ვხვდებით.

„მშვიდობის წიგნში“ „სულიერი ვენახის“ – წიგნის პოვნას ცის ამაღლება, „მზის სვეტის“ გამობრწყინება და ნორჩი დღეების გამზიანება მოჰყვა: „გზა გადაეხსნათ ნორჩთა დღეთ დარის, იყო ამქვეყნად ხილვა სხვა არის“.

„ნორჩი დღის“ გულიდან მონაბერი ნიავი არხევს წყალს ლექსში „გახსოვს?“: „გახსოვს, როცა შეხვდნენ მერი გზად ჩემი და შენი ნავი? ნორჩთა დღეთა გულთმიერი მიარხევდა წყალს ნიავი“. ეს „ნიავიც“ საღვთო ნიავია, ჩვენის აზრით.

„ლურჯი დღეც“ ღვთაების სიმბოლოდ უნდა იყოს ჩაფიქრებული: „ლურჯი, ლურჯი დღე არის, განშორების დღე არის, მე არ ველი უარესს“.

დ. გურამიშვილის „დავითიანში“ ღმერთი „მზიანი დღეა“, გალაკტიონის შემოქმედებაში კი „თეთრი დღე“: „დგება თეთრი დღეები, რიდეების სეზონი, გაჩნდნენ ორხიდეები, ყოვლად უმიზეზონი... სულში ნისლის ტბებია და ქაოსის მხატვარი“ („დგება თეთრი დღეები“)„ქაოსის მხატვარი“ მამაღმერთია.

„იაგუნდის დღეც“ ქრისტეს სახელად უნდა ვიგულისხმოთ: „დღე გაფითრდა იაგუნდის, დგას ღრუბლების ჯგუფები. რაგინდ დიდი გული გქონდეს, მაინც დაიღუპები“ („დღე გაფითრდა იაგუნდის“). „იაგუნდი“ მარიამის სიმბოლოა.

„დიად დღედ“ ევლინება პოეტს უფალი ლექსში „დილა სვანეთში“: „ცისკარმა უშბაზე გაშალა ალამი. დიად დღეს სალამი, სალამი, სალამი!“.

„ხვალის თბილ დღედ“ მიიჩნევა ქრისტე ერთ ლექსში: „შენ გევედრები ხვალის თბილო დღევ, ვიცი, სხვა ახალ დიდებაში მხვევ, მიუშუქე სულს, მიუშუქე ზეგს, გაეხმაურო ამ დიდების ძეგლს“ („რაც იფნიბაღმა“).

„დიდი, საამო დღეა“ შოთა რუსთაველისა და გალაკტიონ ტაბიძის წინამძღვარი: „ვით გშვენის პატიოსნება, ეს დიდი, ეს საამო დღე, ო, მშვენიერო ოცნება! ო, ქვეყნიურო სამოთხე!“.

ქრისტიანული ღმერთი არის „დღის განათება, „ნუგეში“: აღმოსავლეთით სდგას ანთებული ხალხის ნუგეში და მოსვენება“ („ფიქრი თვალს აწევს“).

„თიბათვის დღე“ ღმერთის სახელად უნდა იყოს ჩაფიქრებული: „სხვაგვარ თიბათვის დღეებს იგონებს ჩამავალ მზეთა მგლოვიარება“ („შენ ერთი მაინც“).

ლექსში „უცნობი ქუჩის დასასრულთან“ უზენაესი დასახულია „შემოდგომის დღედ“.

„დღის სიელვარით“ თრობა უზენაესთან სულიერი ერთობის სიხარულია: „ბევრია მთვრალი დღის სიელვარით, ზოგი უღვინოდ და ზოგი ღვინით“ („სიმფონია გიორგობისთვის“).

ქრისტე პოეტისთვის არის „დღის ხმა“, „ახალი დრო“, ხოლო მარიამი – „თასი ზამბახეული“: „ვთქვათ ამომსკდარი მიწებიდან ზღვა დარხეული, თასი დღის ხმათა და კვლავ თასი ზამბახეული... ვთქვათ ახალი დრო და ახალი გამოგონება“ („მივაშუროთ“).

გალაკტიონისთვის ქრისტე არის აგრეთვე „სიხარულის ხმა“ (შდრ. გიორგი მერჩულეს „სიხარულის ხმა“ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“).

ვფიქრობთ, „გულის ხმაც“ ამ ასპექტში უნდა იყოს გაგებული: „ჩვენ დაგვიკარგავს ჩვენი გულის ხმა შორეული, ათასი ხმიდან მხოლოდ ერთხელ ჩამორეული“ („ო, გადავეშვით უფიქრებლად“). ეს პოეტის ეპოქის წყევლა იყო, რაც იწვევდა სევდას დაკარგულ რელიგიაზე, მაღალ სულიერებაზე.

იდუმალი ფრაზაა „ხმათა ხავერდი“: „პასუხს არ მაძლევს ხმათა ხავერდი“.

სახარებისეული ღმერთი არის კარი: „მე ვარ კარ ცხოვართაი. მე კარ ვარ“ (იოანე, 585, 7).

ბარათაშვილის ქრისტეს ეწოდება „ნუგეშის კარი“ („ვპოვე ტაძარი“). ტ. გრანელისას – „საოცრების კარები“. გალაკტიონის ღმერთი არის „დღეთა კარები“: „დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით...“ ლექსში ქრისტიანული მიტევების მოტივი მეტაფორული სახეებით არის გადმოცემული: „ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები, ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით, მე მტერს იმავე ხმით ვემუქრები, რომ მოვა ჩემთან მონანიებით“.

ერთ ლექსში მონიშნულია სიმბოლური „ახალი კარები“: „დრო თავის ახალ შალაშინებით ჰქმნის ახალ კარებს და ახალ საკიდს“ („უბინაო ბავშვების შესახებ“).

უფლის სახელია „ჩვენი დროის კარი“: „ახალ მერნების მსუბუქი წყება დგას ჩვენი დროის კართან ვედრებით, მათ ენატრებით თავდავიწყება და გაბედული უნდათ მხედრები“ („ახალ მერნების წყება“).

„ყოფნის კარი“ და „ყოფნის ქნარი“ ამ ტრადიციებს ორიგინალური ელფერით მოსავს: „წიწამურს ყველა მარად ჩასთვლიდეს ყოფნის კარად, რომ ყოფნა იქცეს ქნარად“ („სიცოცხლე წარმავალია, ხელოვნებაა მარადი“).

ქრისტე ყოფნაა, ცხოვრება, „ყოფნის კარი“ და „ყოფნის ქნარი“ – ერთდროულად.

ქრისტე ღვთისმეტყველებაში დასახულია, როგორც „მარადიული შუადღე“: „ეს სამყარო დიადი სიყვარულით, რომლითაც მოწყალების გამო შენისა, ბრწყინავს და იწვის იგი, ვითარცა მარადიული შუვადღე... იქცეს ბნელი შენი, ვითარცა შუა დღე“ (ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, გვ. 390, 416).

გალაკტიონს უყვარს „შუადღის ბრწყინვალება“ („მუსიკა უეცარი“). მის თვალწინ აელვარდება „შუადღის ლავა“, „დიად შუადღეს“ ზეცაში შეხვდება „მომავალ საუკუნეთა დღესასწაულზე“, დარწმუნებულია პოეტი.

მის შემოქმედებაში საღმრთო სახელია „დრო“.

ორიგინალურია „დროის თვალი“, რომელსაც თავის თანამედროვეობაში კი არა, წარსულიდან უფრო მეტად შეიგრძნობს პოეტი: „იმ წარსულთან რა ძლიერი ანათებს აქ დროის თვალი“ („მშობლიურო ჩემო მიწავ!“).

პოეზიის მაღალი კოშკი „დროთა ქროლას“, ანუ უზენაესს უახლოვდება: „კოშკი ჩემი მაღალი ადის დროთა ქროლამდის“ („მაღალ მთაზედა“).

ღმერთის – „დროის“ საოცრებად აღიქვამს გალაკტიონი აკაკი წერეთლის სიდიადეს: „და თითქო დრო მთლად გაჩერდა, უცნაურ ხალხს დააჩერდა, ნახა თვისივ საოცრება, გაჩერდა დრო და გაჯერდა“ („აკაკი წერეთელი“).

გალაკტიონის პოეზიაში ყურადღებას იქცევს, ერთი შეხედვით, უცნაური ფრაზა: „დროთა სიკვდილი როა, ასწი, გადაჰკარ, დრო“... ჩვენის აზრით, დროთა სიკვდილი მზის გარდაცვალების ანალოგიური სახეა და პოეტის თანამედროვე ეპოქის მიერ ღმერთის უარყოფის გამომხატველი უნდა იყოს.

ქრისტეს ახალ სახელს ამკვიდრებს ლექსი „სარკმელი“: „აგერ ნისლში სარკმელი მალე გამოაშუქებს, დრო, ვერ გამოსათქმელი, გამოსავალს გვაჩუქეს“.

დიონისე არეოპაგელის ღმერთი არის „უჟამო ჟამიერი“, შოთა რუსთაველისა – „უჟამო ჟამი“, ქართულ ჰიმნოგრაფიაში მას ეწოდება „სიტყუაი უჟამოი“, „სიტყუაი უჟამოდ შობილი“.

გალაკტიონის ღმერთი განისაზღვრება, როგორც „სასოებათა ჟამი“ („მშვიდობის წიგნი“), „ჟამი ყველაფრის მქმნელ-გარდამქმნელი“ („ყორანი“), „ჟამი, შვიდფრად მოციმციმე“, „ჟამთა გაქანება“.

იდუმალებაა პოეტი მეფის „თვალი“ და „მომავალი“; „აენთო თვალი, წინ ასე მკრთალი და მომავალი ააციმციმა“ („მშვიდობის წიგნი“).

ღმერთი არის „მომავლის სვეტი“ („1950“), ხოლო პოეტს „სურს გაარღვიოს თვალით ბინდები“ ანუ საღმრთო ნისლი და მიისწრაფვის ღმერთისკენ – „მომავლისკენ“ („გაიცქირება მომავლისაკენ“).

გალაკტიონი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ „მომავალი“ შეიცნობს მის განსაკუთრებულობას: „ეხ, მომავალო, შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები“, „გაეხმაურე გულს, მომავალო“.

„მჭმუნვარე მომავლის ჩრდილშიც“ ქრისტეს ხატება ელავს: „ახლა თავს მადგას მჭმუნვარება მომავლის ჩრდილის“ („მიმღერე რამე“).

უფალი დროა, უდროო, „უხმო დრო“: „ძველი ნანგრევი ვნახე გეგუთის და უხმო დროო, შენ მომაგონდი“.

ბრაჰმანიც უხილავი და უხმოა: „უმძლავრესი ხმა უხმოა“ (ლაოძი, „დაო დე ძინი“).

დროს ცნებაში ჩაფიქრებული ღმერთი ფიკურირებს გალაკტიონის ლექსში „დღეს მაისი“: „თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეჰფერი“.

გალაკტიონის ღმერთი მოიხსენება, როგორც „დროთა საზღვარი“.

ჩვენის ვარაუდით, „დროის სურნელიც“ ღმერთს მიემართება: „დრო რამდენნაირს ატარებს სურნელს“. მისი წყარო უნდა იყოს პავლე მოციქულის ეპისტოლენი: „მადლი ღმერთს, რომელიც ჩვენით ავრცელებს ყველგან თავისი შემეცნების სურნელს“ (II კორინთელთა მიმართ, თავი I, 22, 14). საინტერესოა მეორე ადგილიც: „რადგანაც ქრისტეს სურნელი ვართ ღმერთის მიერ ცხონებულთა და წარწყმედილთა შორის“ (იქვე, თავი I, 22, 15).

დროის ასეთი გაგებით აიხსნება ფრაზა: „მე დრო მავალებს: „მოწყენით ნუ ხარ!“ („ჩემს ყრმობის ხანში“).

საღმრთო სიმბოლიკაში ცნობილი და გახმაურებული სახეა „მზიანი ღამე“. მას ქრისტიანულ ღმერთად მიიჩნევენ ვ. ნოზაძე, თ. ბაგრატიონი, კ. ეკაშვილი, შ. ხიდაშელი, ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, ზ. გამსახურდია, ე. ხინთიბიძე, ტ. მოსია.

ამ ტრადიციის კვალდაკვალ გალაკტიონი გვთავაზობს ახალ მიგნებებს.

ლექსში – „ტფილისი ღამით“ „მზიური ღამის ქარის“ ანუ შთაგონების ღმერთის მოვლინებაა გადმოცემული: „შენ, მზიურო ღამის ქარო, მიგაქვს ყველა ვარდები, მსურს ამ ლექსით დაგაწყნარო, მაგრამ არა წყნარდები“. აქვე უფლის მეტაფორული სახელია „ღამე მზიანი“,რომლის დაკარგვა ღმერთის უარყოფას მოასწავებს.

„უცნობი ღამისა“ და მისი შუქის მოლოდინი ღმერთის გამოცხადების სურვილია ლექსში – „ალვები თოვლში“: „მკრთალი ვარდები დასცვივა ხელებს, ჩამოიშლება შუქი – პირბადე, და უცნობ ღამის შორ საკურთხეველს უნდა ვუხმობდე განთიადამდე“.

„ღამის ღამე“ და „უხილავი გზები“ უზენაესით თრობას მიგვანიშნებს: „...და დათრობაში ამ ღამის ღამით უხილავ გზებით შთავა ყოველი“ („გობელენი“).

„ღამის უსივრცო საკურთხეველთან“ (უზენაესის სიახლოვეს) ესმოდა პოეტს „ციდან ძახილი“ („მახსოვს“).

სიმბოლური „ახლო ღამის“, მშობლიური ღამის ძიებაა ლექსში „შორი ხმა ლოკომოტივის“: „ამაოდ ეძებს ღამეს დაწრეტილს, ახლოს, მშობლიურს, არა გარეწარს! ისევ დუმილი სვამს მრავალწერტილს და მიაფენს კვალს, როგორც შავ ზეწარს“.

„წმინდა, მიუწვდომელ ნისლის ღამედ“ წამოსახული ღმერთის სახე გვიტაცებს ლექსში „სტიროდა ზეცა“.

„განათებული ღამე“ ენატრება პოეტს ლექსში „მგზავრის სიმღერა“.

ქრისტე გალაკტიონის მიერ სახელდებულია, როგორც „დღის ხმა“, „სიხარულის ხმა“, „სიყვარულის ხმა“.

ვფიქრობთ, „შუაღამის ხმაც“ ამ ჭრილში უნდა გავიგოთ.

პოეტი ქრისტეს სულიერი ორეულია, ჯვარცმის მისტერიის განმცდელი, რომელმაც იესოსავით უნდა გამოსცალოს ქვეყნიური შხამი და ამ ტრაგიკულ მომენტში ესმის შეძრწუნებული ძახილი ქრისტესი, რომელიც განიცდება, როგორც „გამწარებული ხმა შუაღამის: „და აი, ამდენ ქვეყნიურ შხამის დაცლაზე ფიქრმა შემშალა ლამის. „რა გვეშველება“ – მომძახდა მარად გამწარებული ხმა შუაღამის“.

გალაკტიონის პოეზიას ამშვენებს ცისკრისა და ვარსკვლავის სიმბოლიკა.

იერემიას წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „განაახლენ იგინი, ვითარცა ცისკარი განთიადისა“ (264, 24).

ჰიმნოგრაფიაში ქრისტე არის „ცისკარი განთიადისაი“ (ი. მტბევარი).

სინურ მრავალთავში მარიამის სიმბოლოა „ცისკარი დაუღამებელისა მის დღისაი“.

გალაკტიონი მიისწრაფვის აღთქმული მხარისკენ, განთიადისკენ და თავისი ცისკრის ვარსკვლავს დაეძებს: „მივქრივარ და სიყრმიდან წმინდა მხარეს აღთქმისას, შორით მბრწყინავს, ელვარეს არ ვაშორებ მაინც თვალს და დავეძებ ნაპერწკალს

ჩემის განთიადისას. ცისკრის ვარსკვლავი ბრწყინავს, ახლოა აღთქმის მხარე„...

პოეტის თვალთახედვაში გაელვებული „ცისკრის ვარსკვლავი“ არის ქრისტე. ცისკრის სიმბოლიკა სხვაგან ასე გაუთავისებია გალაკტიონს: „მე სიყვარული მესიზმრებოდა და მე ვიყავი დილის ცისკარი“.

ცისკრის ვარიაციაა „ალიონი“, რომლის ადრესატი პოეტია: „იგი ბნელ ქიმერებში მიყურებდა ალიონს“ („ბნელ ქიმერებში“).

ღმერთი ცისკარია, რომელსაც მოაქვს ბნელის გამანათებელი სიახლის ცეცხლი... „ცისკარი აწმყოს სიახლის ალით ანათებს, ანათებს“.

პოემა „მშვიდობის წიგნში“ შეხვედრა გვიწევს სიმბოლურ ცისკართან, რომლის ადრესატი ქრისტიანული ღმერთია. დაკარგული წიგნის პოვნამ ერს ახალი პერსპექტივები გადაუშალა, სულიერად აამაღლა, ღვთაებას მიუახლოვა. პოეტი მეტაფორულად ასე გადმოსცემს ამ აზრს: „ცისკრის წამწამი, ჰა, ახამხამდა“.

პოეტების მეფის ანგელოზური სული ცის ნათელი საფეხურებით მიისწრაფვის „ცისკრისკენ“ – თავისი ღმერთისკენ: „რომ ცისკარისკენ მაღალ ანგელოზს ესაფეხუროს ლალის ტატნობი“.

„ცისკარი თვალებთილისმაა“.

გალაკტიონი ქმნიდა „განთიადის, ძლევის სიმღერას“, მიესალმებოდა „ჩვენი ბედის განთიადს“, „დიდ განთიადის მოახლოებას“, „სამუდამო რიჟრაჟს“, „განთიადის“ მიერ ნაბოძები ქნარის სიმები ათრთოლებდა...

ჭეშმარიტი პოეტის შემოქმედებაში „საგანთიადო ხმებია“, „ფიქრი საგარიჟრაჟოა“, „დიდებამ ირიჟრაჟა“.

„მშვიდობის წიგნში“ „უფლის სახელია „განთიადი“, „დიადი გათენება“; „ვხედავ დიადად აწ რომ გათენდა, ო, განთიადო, დიდება შენდა“.

ამ სახეების წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ იოანეს გამოცხადება, დ. გურამიშვილის „დავითიანი“, რომლებშიც იესოს „განთიადის ვარსკვლავი“ ეწოდება.

ქრისტიანული ღმერთი უკვდავების მომნიჭებელია. გალაკტიონს ესმოდა „ყრუ ძახილი უკვდავებისა“.

უზენაესის უქრობი ცეცხლი ენთო, მარადიული ვარსკვლავი ბრწყინავდა პოეტის სულში და ამაღლებულ მშვენიერებას მოახილვინებდა.

ვარსკვლავი საღმრთო სახელია, რომელიც მომდინარეობს ახალი აღთქმიდან. იოანეს გამოცხადებაში მას ეწოდება „ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“ (თ. 22, 7), კათოლიკე ეპისტოლეში – „მთიები“, რომელიც გულში ამოდის (პეტრე, 12, 127, 9), დიონისე არეოპაგელთან იგი სახელდებულია, როგორც „წმინდა გონების ვარსკვლავი“ („შრომები“, 1961წ. 108, 30), ჰიმნოგრაფიაში – „ვარსკვლავი ბრწყინვალე“ (ი. მტბევარი).

გალაკტიონის გულში იყო დავანებული ღმერთი „უხილავის“, „ვარსკვლავების“, „სატრფოს“ სახით: „ხშირად ვოცნებობ და შევცქერი ცას, ვეძებ უხილავს, ველი რაღაც. ჩემს გულში ვეძებ ვარსკვლავებს, მთვარეს, მეგობრებს, სატრფოს, ეშხით მღელვარეს“.

პოეტის სულში ბრწყინავდა ბედის ვარსკვლავის სახეში მოაზრებული ღმერთი: „სულში ვარსკვლავი ბედის გაბრწ-ყინდა“ („სერენადა“).

საკუთარი სიდიადე ვარსკვლავის საშუალებით გამოხატა: „ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში არა მყავს ტოლი“ („შემოქმედება“).

თავის პოეტურ სამყაროს უწოდა „ვარსკვლავია“.

ნათელმხილველის ხსოვნას და სულიერ განათებას შეგვაგრნობინებს სტრიქონები: „...მახსოვს ვარსკვლავი შორი და განათების წამი“ („არა ერთი და ორი“).

ლექსში „აკაკის გარდაცვალების გამო“ – პოეტს მცირე ნიუანსური ცვლილებით გამოუყენებია ჰიმნოგრაფიის სახე – „უცხო სახე ვარსკვლავი“: „და იქ ხელი იდუმალი ვარსკვ-ლავების სახით დასწერს სიტყვებს ამოქარგულს ვარდის და ზამბახით“.

დ. გურამიშვილის საღმრთო სახელია „მბრწყინველი“, სასუ-ლიერო პოეზიაში „სამ ბრწყინვალე“, ხატი და ბრწყინვალებაი დაუსაბამო“, სახარებაში – „მზის თვალი“ (ტ. მოსია „დ. გუ-რამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა“, გვ. 63).

გალაკტიონი საღვთო ბრწყინვალებას თავის გულში პოულობს: „ჩემს გულში დაჰქრის ბრწყინვალება და ელვა-რება“.

ამასთან, პოეტების მეფის უზენაესთან თანაზიარობას ამტკიცებს მისი „სამოსელი ბრწყინვალების და გამარჯვების“.

გალაკტიონი მზითშემოსილია, სიხარულშემოსილი, გაზაფხულშემოსილი, ბრწყინვალებაშემოსილი.

ბიბლიაში ღმერთი წარმოიდგინება, როგორც „ნათელი თვალთაი“ (I, 171). ჰიმნოგრაფიაში მას ეწოდება „მზის თუალი“, დავით გურამიშვილთან – „თვალთა ნათელი“, ტ. გრანელთან – „მფარველი თვალი“.

გალაკტიონი ღმერთს განიცდის, როგორც – „თანამგრძნობ თვალებს“: „...ნაცნობი ზმანება ბროლის მოვა: „სალამი თანამგრძნობ თვალებს!“

პოეტს იტაცებს „მაისის ნათელი“, „მაისის თვალი“, სიმბოლო უზენაესისა: „ისევ მაისის მათრობს თვალები, ისევ სავსე ვარ მზით და ვნებებით“... („ისევ მაისის მათრობს თვალები“). ლექსი მთავრდება ქრისტესეული სიყვარულის, სითბოსა და მოტევების მოტივით. ქრისტე მარადიული გაზაფხულია, მაისი, მაისის თვალი. გალაკტიონის ორიგინალური „მაისის თვალი“ საღმრთო სახელია.

ღმერთის ადრესატია „დროის თვალი“: „ო, რარიგად ანათებს აქ დროის თვალი“ („მშობლიურო ჩემო მიწავ!“).

ქრისტე უნდა ვიგულისხმოთ „უდაბნოს თვალშიც“, რომელიც ასოცირებულია სიბოლურ სინათლესთან, წყაროსა, მზიურ ღამესა და ვარდებთან („ტფილისი ღამით“).

ორიგინალური საღმრთო სახელია „თვალები კამარის“: „ვეწვევი განდეგილ მამათა უმანკო ჩასახვის სავანეს... სიმკაცრით შემხედავს საშვენი, თვალები შეკრული კამარის“... („შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“).

პოემაში – „აკაკი წერეთელი“ – ღმერთი წარმოდგენილია, როგორც „მეუფება მრავალთვალი“.

ღმერთი ლაჟვარდის თვალია უკვდავი, რომელშიც ბუდობს ზეციური სილამაზე, კაეშანი, სიხარულის ცეცხლი: „თითქო მთელი უკვდავება ტრიალებდა ლაჟვარდ ცაზე და ლაჟვარდის ამოკვნესით კრთოდა თვალთა სილამაზე. ო, თვალები„ არ მინახავს მე თვალები უკეთესი, მათში კვნესდა კაეშანი, სიხარულის ცეცხლის მთესი. მათში ფეთქდა უკვდავების უხილავთა ტალღათ კრება“ („თვალები“).

თვალი, რომელიც ანთია და მომავალში ციმციმებს, უფლის თვალია: „აენთო თვალი, წინ ასე მკრთალი და მომავალი ააციმციმა“ („მშვიდობის წიგნი“).

„უპანაშიდებში“ უფალი წარმოიდგინება, როგორც „თვალი სამყაროისა, რომელიც არ ბიწიერდება გარეგანი უწმინდურებით“.

ბიბლიაში, სახარებაში, არეოპაგიტიკაში, ჰიმნოგრაფიაში ქრისტეს ეწოდება „თავადი“. მოვიშველიებთ ერთ მაგალითს: „და იყო ამისა შემდგომად თავადი ვიდოდა ქალაქად და დაბა-დაბად. ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა და ათორმეტი მოწაფენი მის თანა“ (ლუკა, 461, 1).

გალაკტიონს „თავადის სული“ აქვს: „ცა, მარტოობა, სული თავადის და ერთადერთის მრავალთან შებმა“ („ქალაქში“).

„ქრისტე ეკლესიის სიძეა, ხოლო ეკლესია – ქრისტეს პატარძალი“ (ა. გაწერელია „ვინ არის ავგუსტინესა და გურამიშვილის სიძე?“).

„სიძე“ თავად მაცხოვარს აღნიშნავს, სძალი – ეკლესიას, ზეციურ იერუსალიმს, „ქორწილი“ – მართალთა ნეტარებას, ღვთაებასთან ზიარებას, ქვეყნის დასასრულისა და საშინელი სამჯავროს შემდეგ“ (ზ. გამსახურდია. „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, თბ., 1990, გვ. 59).

ქრისტიანულ საღვთო წერილში ქორწინება განასახიერებს კაცობრიობის ინიციაციას“ (იქვე, გვ. 310-311).

ნეტარი ავგუსტინე წერდა: „სიხარულით გვიხარის, როცა ვისმენთ ხმას სიძისა მომავალისა“ („აღსარება“, გვ. 357).

სახარებაში ქორწილები ალეგორიული მნიშვნელობით, სასუფეველის დასახატავად არის მოხმობილი.

შეაღამის სასიძო ქრისტეს ზედწოდებად იმიტომ იქცა, რომ იგი შუაღამისას უნდა გამოცხადებულიყო, რადგან ეს დრო უფრო მოხერხებული იყო სასაუბროდ (ვასილ დიდი, II ეპისტოლე გრიგოლ ნაზიანზელთან.)

ჯვარცმის წინ ქრისტე შუაღამისას მივიდა მოწაფეებთან.

გალაკტიონს გაულექსავს სახარების იგავი „ათი ქალწული“: „სასუფეველით მსგავსება მათით ოცნებამ იცის, ათი ქალწული სანთელით ათით ელოდნენ სიძეს“. ქალწულთაგან ხუთი გონიერი იყო, ხუთი – სულელი, მათ ლამპრისათვის ზეთის ძიებაში დააგვიანდათ ქორწილში, ამასობაში „მოვიდა სიძე, განაღო ბინა და დახშა კარი.“

სარწმუნოების ზეციურ ზეიმში მხოლოდ ბრძენმა ქალწულებმა მიიღეს მონაწილეობა („ათი ქალული“).

გალაკტიონის ლექსში – „ეს შედამება“ – შედამება „სხვისი სასძლოა“, ნანგრევებად ქცეულ სოფელში მეფისტოფელი ხარხარებს, ბოროტების ასპარეზია ქვეყანა და არა ჩანს ნაზარეველი.

გალაკტიონი სულის თვალით გასცქერის ზეცის „საღვთო ბილიკებს“, „შორეულო ბილიკს“, რადგან იქ ეგულება ღვთაება „გონების სხივის“ სახით: „გონება ჩუმობს და ჯადოს ილეკს, სხივს მომაკრძალებს, მხოლოდ შორეულ თოვლიან ბილიკს მივაპყრობ თვალებს“.

„ღვთაებრივი კომედიის“ „ზენარული გონება“ (გვ. 28, 3), ქრისტიანული ღმერთის სახელია.

„გონება დაფარული“ ღმერთია „ვეფხისტყაოსანში“: „გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან“.

„ღმერთი, გონება არის მიუწვენელი, ჩვენთვის დაფარული და გაუგებარი. „გონება დაფარული“ ღმერთია, ყოვლისმცოდნე, მაგრამ კაცთათვის დაფარული და ეს უხილავი ღმერთი ტარიელს მაინც უცხადებს დამალულს, დაკარგულ ნესტანს. გონება არის ღმერთი, რომელიც დაფარულს აცხადებს“ (ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება“, პარიზი, 1963წ. გვ. 159).

როგორც ვ. ნოზაძე მიუთითებს, „ბუნება“ საღმრთო სახელია „ვეფხისტყაოსანში“.

გალაკტიონმა „ბუნება“ საღმრთო კონტექსტში მოაქცია შემდეგ ფრაზაში“. „ბუნებავ, ტრფობის წმინდა ყვავილი რომ დამაბარე, ვერსად ვერ ვპოვე, ბედნიერება ჩემთვის არ არის, ბედკრული შვილი გამომიგლოვე“ („ყვავილები“).

სახარებაში ქრისტე წარმოდგენილია, როგორც „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2, 10).

იესო გალაკტიონის მიერ დასახულია, როგორც „სიხარული მარადისი, სიხარულის პკურება, სიხარულის სხივი, სიხარულის შუქი, სიხარულის ცეცხლი, მომავლის სიხარული, სიხარულის ხმა, სიხარულის კვერტიურა, ულევი სიხარული, სიხარულის თეთრი რტო, ახალი სიხარული. პოეტი საუბრობს სიხარულის ჭიქის დაცლაზე, სიხარულით შემოსვაზე.

გალაკტიონის „გზა „მარადისი სიხარულის“ ანუ უფლისმიერი გზაა: „შორი გზები მოვიარე, კიდევ სხვა გზებს

ველი... სიხარულში მარადისში გაწოლილა შარა“ („არ მინახავს შენი არე“).

შთაგონებული ღამეების განუყრელი თანამგზავრია სიხარულის ღმერთი: „ღამეებს ვათევ კვლავ სიხარულით. ჩემსკენ ოცნება მოჰქრის მხარულით, ბედნიერება მარტოობაა – რა ვპოვე ბრბოში მე სიყვარული?“ („უძილო ღამეები“).

უზენაესის ხელდასხმით წკრიალებს ქნარი: „სიხარულით კვლავ წკრიალებს ქნარი“ („გამოცოცხლება“).

საღმრთო სახელია „დიდი სიხარულის შუქი“: „...ცაზე ვარსკვლავი უნდა გაბრწყინდეს, შუქი გაბრწყინდეს დიდ სიხარულის“.

პოეტი ეპოქის „სიხარულის სხივებზე“ ოცნებობს, რომ „სიხარული დასცალოს ჭიქით“: „აღემატება ყოველგვარ ძალას, რომ სიხარული დასცალოს ჭიქით“... ამ ორიგინალურ ფრაზაში „სიხარული“ ქრისტეა, ჭიქა – მარიამი, რადგან მის მიერ მოხდა ქრისტეს მოვლინება. „სიხარულის“ დაცლა ქრისტესთან სულიერი ერთობაა.

ქრისტე მოვლენილია, როგორც „მომავლის სიხარული“: „როცა ნისლი დაგაწვება, არ დაღონდე, ჩემო კარგო, მსურს მომავლის სიხარული შენს სერებზე შემოვქარგო“ („დაიძინე“).

გალაკტიონი ადიდებს სიხარულის სახეში მოაზრებულ ღვთაებას: „ო, სიხარულო! იყავ, იდიდე!“ („მოადგა ნაპირს ათასი ნავი“).

„შეიმოსე სამოსელი სიხარულისაი, შეიმოსე ნათელი სამოსლად“ – ლოცულობდა იოანე მტბევარი.

გალაკტიონი წარმოგვიდგება, როგორც სიხარულშემოსილი და ეს „სიხარული“ ღმერთია: „...მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“ („ეს გრიგალია სიახლის“).

ჭეშმარიტი შემოქმედის ცხოვრება არის „სიხარულის პკურება“: „მუდამ არის ერთის დღესასწაული, სადაც არის სიხარულის პკურება“ („ევროპაში“). „სიხარულის ღილია“. „საახალწლო ეფემერაში“.

პოეტ „მეზღვაურთა“ ოცნებაა „ძველი ღვინო“ და „სიხარულის ხმა“: „დაურიგდეს ყველას ძველი ღვინო, სიხარულის ხმა მიეცეს ყველას“ („კოსმიური ორკესტრი“). „ძველი ღვინო“ ღმერთის სიმბოლოა“(ესაია 25, 31).

გრიგოლ ხანძთელს გარდაცვალების წინ მოევლინა ნათელი და ესმოდა „სიხარულის ხმა“.

ქრისტე „ულევი სიხარულია“, „სიხარულის თეთრი რტოებია“, რომელიც მოავლინა „დილამ“ – მარიამმა“: „ესაა მკრთალი ნათელი დილის, რომელიც ულევ სიხარულს მათოვს. ო, მოგონებავ, როგორ გიცდიდა ის სიხარული თეთრი რტოებით“.

გალაკტიონს „სიხარული“ ევლინებოდა ბრძოლის დროს („სიხარული ბრძოლაში“).

აღსანიშნავია, რომ დანტეს სამოთხე იყო „საბრძანისი სიხარულის და მშვიდობისა“ („ღვთაებრივი კომედია“, 1941წ. გვ. 281).

გალაკტიონის ლექსში – „პოემა ვეფხვისა“ – შოთა რუსთაველი „სიხარულის“ ანუ ღმერთის თანხლებით გვევლინება: „რუსთაველს მოჰყვა სიხარული დაუთრგუნავი, მას შეუძლია ცა გადაჰკალოს“.

გიორგი ლეონიძეს „სხვა სიხარულად“ შეუგრძვნია ქრისტიანული ღმერთი: „მომელანდება სხვა სიხარული, დაუღალავი მისი მშვენება და ლურჯი ზეცა მტრედისმხარული გულზე ნათელით დამესვენება“. („მიყვარს მშუქარი ვაზის ყვავილი“).

ტ. გრანელის პოეზიაში გვხვდება საღვთო „სიხარული“ და მისი ვარიაციები.

გალაკტიონისთვის ქრისტე ღმერთი არის სიხარულის უვერტიურა: „მესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“...

ქრისტე არის „ახალი სიხარული“, „...ეს ბინა თვალებს ახალ სიხარულით გამიანკარებს“ („თქვენი ბინა“).

გალაკტიონი „ავდრის მოლოდინში“ ქრისტეს იხსენებს „მებაღის“ სახელით, მევენახედ, რომელმაც ქარისაგან უნდა იხსნას ნაყოფი და მიითვალოს მწიფე მტევნები: „ამ მწიფე მტევნებს დალეწავს ქარი, თუ მწიფობისთვემ შესცვალა დარი – მებაღემ მოსვლა თუ არ ინება!“.

ამავე ლექსში „ქალწული მარიამი“ დაგვირგვინებულია „ნელ ლერწებით და ვაზის მტევნებით“ – ანუ ქრისტეთი.

სახარებაში მიწის ვენახი ებრაელი ხალხია და მისი პატრონი ქრისტეა. იგია მებაღე, მევენახე, მემარნე, მთესველი. რომის ეპისკოპოსი იპოლიტე „ქებათა ქების“ „მებაღეს“ მესიად მიიჩნევდა, „ბაღს“ – კაცურ ბუნებად, რომელშიც შემოდის

ქრისტე“ (ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, გვ. 62).

„მარადიული მებაღეა“ „ღვთაებრივი კომედიის“ ღმერთი (გვ. 324, 382).

მებაღის წილხვედრ ბაღს ავაზაკები იყოფენ გალაკტიონის ერთ ლექსში და ეს მწუხარებით ავსებს პოეტს: „დილით დამჭკნარი არის ბალახი, ზედიზედ ისევ ეცემა სვეტი, გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბაღი და მწუხარება დამრჩა ასეთი“.

„ვაზები გახმა, აღარ მოაქვს ნაყოფი ხეხილს“ – შეფარული გადმოცემაა იმ წუხილისა, „მარადიული ვენახის“ – ქრისტეს გზის ღალატით რომ იყო გამოწვეული.

სახარებაში ქრისტე ჰყვება იგავს მთესვარზე, რომლის მიხედვითაც, თესლი არის ღვთის სიტყვა, მთესვარი არის ის, ვინც სთესს, ქადაგებს ღვთის სიტყვას. თესლის აღმოცენება და გახარება დამოკიდებულია თვით ადამიანზე.

გალაკტიონის „მთესველი“ გახარებულია იმით, რომ მის შრომას ფუჭად არ ჩაუვლია, მას ზუსტად განუსაზღვრავს, სად უნდა დაეთესა – სალ კლდეზე, თუ ნოყიერ მიწაზე: „თესავს და თესავს, თან ნელი ხმით მხიარულით ღიღინებს, სწამს, მხოლოდ შრომა მძლეველი მოსავლით დააგვირგვინებს. გრძნობს, თესლი სად დაეცემა – სალ კლდეზე, თუ ბერწ მიწაზე. თესავს და თესავს, თან მღერის მთესველი მხიარულ ხმაზე“.

ქრისტე არის „ახალი მთესველი“, „წვიმა“, რომელსაც ამოჰყავს მრავალი თესლი („როცა დაეცა“).

ერთ ლექსში თვით პოეტია „მედგარი მთესველი“, როგორც შიო მღვიმელს უწოდებია მისთვის („წყნეთის ქუჩით“).

ლექსი არის „ცხოვრების ნამგალი“, „ბევრი სამკალის“ მოვლა კი სიხარულის წყაროა“: „ლექსებო... უთხარით: ცხოვრების ნამგალი გასჭედოს, მოხაროს, მიხაროს, რომ აქვე ბევრია სამკალი, რომელიც იძლევა სიხარულს“ („ეხლა კი მშვიდობით“).

გალაკტიონის პოეზია იძლეოდა „სამღვთო იფქლს“...

დანტე ამბობდა: „ბედნიერია გუთნისდედა, რომელმაც მომკა კარგი სამკალი იქვე, სადაც დათესა თავად ყველაზე მეტად შერჩეული თესლი იფქლისა“ („ღვთაებრივი კომედია“, გვ. 382).

გალაკტიონი ბედნიერი მებაღე, გუთნისდედა, მთესველი, მემარნე და ნამგლისმპყრობელი ანგელოზი იყო.

პოეტი – მემარნე – თასით „უკვდავ ღვინოს“ მიირთმევდა (თასი მარიამია, „უკვდავი ღვინო“ – ქრისტე), „წიგნით“ („წიგნიც“ უფლის სახელია) „ძვირფას ღვინოს“ ეწაფებოდა („მოგონებები“).

ვფიქრობთ, საღმრთო სახელებად ჩაუფიქრებია პოეტს ნავის, გემის, ხომალდის სახეები.

ამოსავალი წყარო უნდა იყოს ღვთისმეტყველთა აზრი ზღვისა და გემის შესახებ.

თავის განმარტებაში იოანეს სახარებისა (2,4) ნეტარი ავგუსტინე ამბობს: „რატომ აცვეს მაცხოვარი ჯვარს?“ – იმიტომ, რომ შენთვის, სულო კაცისაო, აუცილებელია ეს ძელი მისი დამდაბლებისა. შენს ამპარტავნებაში შენ გეშინოდა მისი და ამის გამო შორს მოსცილდი მშობლიურ ქვეყანას. საერო ზვირთებმა წაშალეს მისკენ დასაბრუნებელი გზა და მხოლოდ ამ გემით ძალგიძს შენ დაბრუნდე შინ. იგი თვით იქცა გზად, მაგრამ ეს გზა ზღვაზე ძევს, რომელზედაც შენ ფეხით ვერ გაივლი, შენ გადაგიყვანს გემი, გადაგიყვანს ძელი“ (ანუ „ჯვარი“), გწამდეს ჯვარცმისა და შენ შეძლებ დაბრუნებას“.

სიტყვა „ძელი“, „მორი“ მეტონომიურად აღნიშნავს „გემს“.

გალაკტიონის თვალთახედვით, ცხოვრება ზღვაა, სადაც გრიგალია „მეუფე ყოვლისმპყრობელი“, მიზანი კი, „სიცოცხლის ნავით“ მსოფლიო პოეზიის პარნასთან მიღწევა: „ერთადერთ სიბრძნედ მიმაჩნია, რომ ამ გრიგალთან ისე მოაწყო იალქანი დაუცხრომელი, რომ ამ გრიგალმა წაიყვანოს სიცოცხლის ნავი იქ, სადაც მთელი მსოფლიოის ბრწყინავს ვარსკვლავი“ („იყო“).

„სიცოცხლის ნავი“ ქრისტიანული რწმენაა, ღმერთია, რომელიც არის დიდებისა და გამარჯვების საწინდარი, „ვარსკვლავიც“ – ქრისტეს სიმბოლური სახელია, იალქანი – სული, „მეუფე და ყოვლისმპყრობელი გრიგალი“ – შთაგონება.

ღმერთის სიმბოლოდ მიგვაჩნია პოემა „მშვიდობის წიგნის“ სიცოცხლის გემი“, რომელიც გაიგივებულია „წმინდა წიგნთან“: „ავიტანდი ჭირს, მრავალგვარს, მჯერა, მხოლოდ ამ წიგნის დაკარგვას – ვერა, ის არის ჩემი ნუგეშისმცემი სიცოცხლის გემი და ბედისწერა“.

ქრისტე „ნუგეშისმცემელია ცხოვრებისა“. ასეთივეა „სიცოცხლის გემი“ და „მშვიდობის წიგნის“ ჩანაფიქრი. აშკარაა ამ სახეთა მოაზრება საღმრთო მნიშვნელობით.

პოემაში საღმრთო სახელად ჩაფიქრებული ნავის სახე გამრავალფეროვნებულია ახალი ნიუანსებით, „ნავი მხნე და იალქანდაუღალავია“, „ნავი რვალია“, ის არის „სიცოცხლით მთვრალი, გრძნობით მავალი, თავისუფალი, როგორც ზღაპარი“.

შემთხვევითი არ არის, რომ წიგნისა და ნავის სიმბოლო ერთმანეთში გადადის. წიგნის პოვნის შემდეგ ტარიელს ეზმანება ლამაზი გემი, რომელიც ლაჟვარდებში დაატარებს, ცის კიბედ ექცევა: „გემი ატარებს ცათ ლაჟვარდთ შორის, მთათ უსადარესთ კვარცხლი მთაგორის, - იმ ადგილთ კარად, კიბესთან მარად მიმყვანი არა ერთის და ორის“. აქაც ცის გემი ღმერთია, რომელიც მიუძღვის ტარიელს სამოთხეში.

„მშვიდობის წიგნი“ ღმერთის დაკარგვის, მისი ძიებისა და პოვნის უმშვენიერესი ოდისეაა.

რუსთველის გენია ლაჟვარდების გემებს ანუ უზენაესს ხვდება“: „ავა ზეცამდე და შეეხება იქ, ლაჟვარდებში რომ გემებია“ („პოემა ვეფხვისა“).

აღსანიშნავია, რომ ცის გემის სახე უძველეს მითოლოგიურ წარმოდგენებშიც გვხვდება და იგი წარმართული ღმერთების „ტრანსპორტია“ ცაში სამოგზაუროდ.

სიმბოლური ნავის გამო იტყვის გალაკტიონი ერთ ლექსში: – „ნავი არ უნდა გასწირო შენი – ზღვათა მიდამოვ, ახალ-გაზრდობის გამო ჩადენილ ცოდვათა გამო“ („ნავი არ უნდა გასწირო“).

ეს ლექსი 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის გამოძახილია, „შენიღბული ფორმით“, „კოდირებული სახეებით“ ეროვნულ სატკივარზე მინიშნებაა“, როგორც ამტკიცებს პროფესორი აკაკი ხინთიბიძე („ეს არ არის საქართველო“, „დროშა“, 1990წ. 1, გვ. 14-15).

მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელი იყო „ზეცის ნგრევა“, „მიწის გადაფერდება“, ხომალდის რღვევა, მასშტა-ბური ბოროტება, მამულში ნისლის გამეფება, სატანის ხარხარი.

ნისლში მოქცეული სიმბოლური გემების ბედზე წუხილი სხვაგანაც ვლინდება: „ნისლი იზრდება და შორიდან გემთ

იალქნები თითქო ეხლავე ფიქრს უნდებიან, დაბრუნდებიან ისევ თუ ვერ დაბრუნდებიან, სადაა შორი გზა მისაგნები?“ („იალქნები“).

ეროვნულ გარემოში ეგულებოდა პოეტს სიმბოლური „ცხოვრების გემი“ („გადაფრენა“), „გასაოცარი და იდუმალი კრეისერები, ფარული ნავი, ფეერიული ნავი“.

საღმრთო კონტექსტში უნდა გავიგოთ „ცეცხლის ნავებიც“: „თავისუფალი, ლაღი, ძლიერი ბედისთვის ომი! ცეცხლის ნავები და კადნიერი ოცნების ნდომა! („გრიგალი“).

გამომდინარე აქედან, ნათელია აზრი იდუმალი ფრაზებისა: იმედის ხომალდი, გემების სული, ხომალდების რჩევა, იალქნების ნანა: „ხომალდისას ვისმენ რჩევას, როგორც ძვირფას მცნებას... იალქნების მესმის ნანა“ („ხომალდისას ვისმეს რჩევას“).

ახალ აღთქმაში ღმერთი სულია: „ხოლო უფალი სულ არს“(პავლე მოციქული, კორინთელთა მიმართ, 3,4,521,17).

დიონისე არეოპაგელის მიხედვით, „სულიცა უფალ არს“, ღმერთი სულია სახიერი, ღმერთი სულია ჭეშმარიტებისა, რომელიც მამისგან გამოვალს“ („შრომები, 1961 წ., 15,14).

დანტესთან ღმერთი მოხსენებულია, როგორც „სული პირველქმნილი, მაღალი სული, უღრმესი სული“ („ღვთაებრივი კომედია“, 1941, გვ. 383, 335, 285, 383).

„დიადი, დიდებული სული, მიწის სული“ ეწოდება უფალს გოეთეს „ფაუსტში“. ფაუსტის მიერ გამოხმობილი მიწის სული თავად ღმერთის გრძნობად-ემპირიული სახეებაა (ო. ჯინორია).

გალაკტიონის ღმერთია „სული ციური“, სასწაულმოქმედი სხივით: „დაადნე სხივი, სულო ციერო, ამ სიცივისგან გაყინულ გულზე“ („ნიაღვარი“).

ღმერთის – „საბედნიერო სულის“ – გაუჩინარების ტრაგიზმია ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“: „სად არის ჩემთვის სამაგიერო, საბედნიერო სად არის სული?“.

ღმერთი პოეტის მიერ დასახულია, როგორც „სული საგაზაფხულო“: „იღვიძებს სული საგაზაფხულო“, „საგაზაფხულო სული ვიყავ და მე ვმღეროდი“.

ღმერთი არის შეუზღუდველი სული, შემოქმედი კი – მისი თანაზიარი“: „მე სული ვარ შემოქმედი, შეუზღუდველ სულთა თანა“ („უხილავი“).

„მშვიდობის წიგნში“ სული წარმოიდგინება ღმერთად, რომელიც ნათელს აფრქვევს: „აქ სული ფრენდა და ნათელს ჰფენდა“.

„მათთვის მიწას ჯერ სული არ ჰქონია“ – ამბობს გალაკტიონი ვაიპოეტების მისამართით და „მიწის სული“ ღმერთია, როგორც „გემების სული“, „ყვავილთ სული“, ჭალების სული“.

ღმერთის სიმბოლოა „ცვარი“, „ნამი“. (ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995 გვ. 121).

გაზაფხულის სისხამ დილას, „ციურ ცვართან“ მიახლების ბედნიერებას გამოხატავს სტრიქონები: „გაზაფხულია. ხე ფოთოლს ისხამს. ვაზის ცრემლებით იავსო ზვარი. ამ მშვენიერ დღეს, ამ სისხამ დილას ფეხებს გისუსხავს ციური ცვარი“ („გაზაფხულია“). „სისხამი დილა“ მარიამია.

საოცარი ფრაზაა: „იქ, სადაც არაგვს უერთდება მდინარე მტკვარი, სადაც ცვარი სვამს ზამბახების სავსე ფიალას“.

ვფიქრობთ, „ზამბახების ფიალა“ მარიამია, „ცვარი“ – ქრისტე. შემთხვევითი არაა, რომ ეს სახეები ფიგურირებს მტკვრისა და არაგვის შესაყართან. სწორედ მცხეთაში, ებრაელმა ელიოზმა დამარხა ქრისტეს კვართი და იქ ამოვიდა ლიბანის ნაძვი, სიმბოლო სიცოცხლის ხისა. საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრია, ქართველი ბაგრატიონები კი იესიან-დავითიანები. ესაა მესიანისტური იდეა, რომელიც მეტაფორულად გადმოუცია გალაკტიონს.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის განსაზღვრით, ღმერთი არის „სახიერებისა... სახე“, „საჩინო სახე“, „იგი არის სახე-მყოფელი უსახოთაცა“, მაგრამ თვით უსახოა – „უსახო სახე“: „და უსახოსა სახესა მრავალგზის ცეცხლის სახედ დაჰსახვენ“ („შრომები“, 1961წ, 43, 31, 143, 34).

საოცარია ღმერთის ის ნეგატიური დახასიათება, რაც შეინიშნება ლაო-ძის „დაო დე ძინში“: „იგი არის ის, რასაც ჰქვია „სახე არასახიერისა“: ხატი არახატიერისა, მდუმარე არასახიერი, უდიდესი სახება-უსახიერია“ (გვ. 185).

საერთოდ, ბევრი თანხვედრაა დაოსიზმის მოძღვრებასა და ქრისტიანობას შორის, რაზედაც მიუთითებდა ლ. ტოლსტოი.

გ. ტაბიძე სარგებლობს „სახით“: „სახედ მოვლინდა წინათ „უსახო“ („სულ მაღლა, მაღლა“).

„სახედ მოვლენილი უსახო“ ქრისტე ღმერთია, რომელიც განკაცდა, ადამიანის სახე მიიღო და ხალხთა ცოდვების გამოსყიდვის მიზნით ჯვარს ეცვა.

დანტესთთის ღმერთი არის „იმედი ცხოველი“, „სახება უზეშთაესი“ („ღვთაებრივი კომედია“, 1941 წ., გვ. 409).

ტ. გრანელის უფალს ეწოდება „თეთრი იმედი“, „შორეული იმედი“.

გალაკტიონს უზენაესი ევლინება, როგორც „ერთადერთი იმედი“: „იმედი, ერთადერთი იმედი გზას მისხიოსნებს მომავლისას, ამ იარაღით თუნდ მთლად გავაქრობ გარს შემოხვეულს შავ ძალას მტრისას“ („მსახიობის დღიურიდან“).;

ლექსში – „მეგობარს“ ღმერთის სახეა „სხვაგვარი იმედი“: „მკერდს მოღლილს და ისრით გაპობილს სხვაგვარ იმედით ვასხიოსნებ, სხვაგვარის მცნებით“.

ღმერთი იმედების ხატის სახით ვლინდება ლექსში – „წყნარი ზღვა“: „ფიქრებთან, სადაც დადგა ფრეგატი, შორს ცისარტყელას გამოჩნდა ბურჯი და იმედების დაანდო ხატი. ღრუბელი იდგა, როგორც ფრეგატი“. ღმერთი არის აგრეთვე „ბევრი იმედი“, „იმედის წყარო“.

ქრისტე არის „ნუგეშისმცემელი“ ცხოვრებისა (პავლე მოციქული, II კორინთელი 1, 4).

გალაკტიონი მიისწრაფვის კაცობრიობის ამ ნუგეშისკენ: „შენთან, ნუგეშთან, ო, ჩქარა, ჩქარა!“ („ნუგეში“).

ერთ ლექსში „ნუგეშის“ ადრესატი მარიამია, მისი გზა – ქრისტეა. პოეტი სამადლობელს აღავლენს მარიამისადმი, რომელმაც ადამიანებს ქრისტე მოუვლინა. უმაღლესი გზის სახით: „გმადლობ, ნუგეშო, შენს გზაზე რომ დავიარები“ („სხვაგან სადაა სიხარული და მწუხარება“).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების, ნეტარი ავგუსტინეს, დანტეს მიხედვით უფალი არის შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი.

გალაკტიონისთვის ღმერთი არის, „ყოფნის წიგნი“, „ცის წიგნი“, „წიგნი ცის და დედამიწის“ („ხელოვნება“), რაც ქრისტეს ორბუნებოვნებას მოასწავებს.

ასევე, „მშვიდობის წიგნში“ წმინდა წიგნის, საერთო წიგნის ძიება ტარიელის მიერ არის ღმერთის ძიება: „წიგნი საერთო იპოვა წმინდა, სახე აენთო და გაუბრწყინდა“.

ამიტომ ბუნებრივია წიგნით გათენებაში ჩადებული აზრი: „წიგნით გათენდა, წიგნით შებინდდა“.

„უზენაესი წიგნის“, ღმერთის პოვნამ „ცისიერება“, სიკეთე, სიწმინდე დაუბრუნა ადამიანებს. ღმერთი არის „წყვდიადის და განთიადის მანათობელი წიგნი“, „წიგნი – სიცოცხლე, წიგნი – სინდისი“.

პოეტი დარწმუნებულია, რომ „მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის“.

ქართულ სასულიერო პოეზიაში ქრისტე არის „ცუარი მშვიდობისა“ (სახარებაში ქრისტე მშვიდობისმოყვარეებს ღმრთის ძეებს უწოდებს (მათე), გამოთხოვებისას მშვიდობას უსურვებს - „მშვიდობაი თქუენ თანა“ (იოანე, 624, 19). დანტემ სამოთხე მოიხსენია, როგორც „საბრძანისი სიხარულის და მშვიდობისა“.

გალაკტიონის „მშვიდობის წიგნი“ საღმრთო სახელია და მას შემოქმედებითი ძიების კვალი ატყვია.

ბიბლიაში ღმერთს ეწოდება „დიდი“ (I, 975).

სახარებაში ღმერთი არის „დიდი“ (ლუკა, 434, 32, 35).

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ეს სახე: „დიდი ძეს კაცით კაცამდე“ (ვ. ქვაჩახიას ხაზგასმა).

გალაკტიონის ღმერთი არის „დიადი“, ზეციურ სიმაღლეში დავანებული: „იხიბლებოდა სული დიადით, რომ სიმაღლეებს სწვდებოდა არსი“ („ვარდები“).

აშკარაა, გალაკტიონის „დიადისა“ და „უდიდესის“ წინა-მორბედი წყაროები.

ღმერთი სულია, შეუცნობელი, ფიქრივით უხილავი და ბუნებრივია მის ეპითეტად „უჩინარს“, „ფარულს“ რომ მიმარ-თავს პოეტი: „ფარული ცეცხლი“, „უჩინარი ცეცხლი“, „უხი-ლავ-ფარული“.

„ვფიქრობთ, „ფარული ფიქრიც“ ამ ასპექტში უნდა იქნეს გაგებული: „რა დამავიწყებს იმ მწარე დღეებს, უგონო განცდებს და ფიქრებს ფარულს“ („ათი წლის წინათ“).

„ნათელი ფიქრიც“ აყვანილია ღმერთის რანგში და იგი ძნელად გამოსაცნობი ფიქრების მომავლინებელია: „ვიყავ ჩუმი, ვიყავ ჩუმი და ვხედავდი ცის ლურჯ ტატნობს და ვფიქრობდი ნათელ ფიქროთ ფიქრებს, ძნელად გამოსაცნობს“ („ტყემ წამიყვანა“).

ღმერთი არის „უცნაური ძალა“, რომელსაც პოეტი უთანაბრდება შემოქმედებით პროცესში“: „რა შობს ამ გრძნობას, უცნაურ ძალს რომ ესაბამება?“ („ზღვის პირად მდგარი“).

ღვთაების ძალა იგივე „მსახველი ძალაა“ („საუბარი ლირიკის შესახებ“), ვინაიდან ღმერთია სახეთა „მხატვარი“.

პოეტი ემსგავსება ღმერთს და იგი ხდება „ნუგეში“, „მსოფლიო ძალა ნუგეში“ („პოემა ვეფხვისა“).

მხოლოდ უზენაესის „უჩვეულო ძალას“ ხელეწიფება „სიცარიელის შავი ნისლის“ დამარცხება: „ო, სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო, სიცარიელის შავი ნისლი რომ გამაცალო!“ („უდაბნო“).

პოეტს ენატრება სიმბოლური „სხვა ძალა“: „სხვა ძალა მსურს, სხვა სიზმარი!“.

„უჩინარ მადლთა ძალაა“ ღმერთის სიმბოლოდ ჩაფიქრებული „მშვიდობის წიგნში“.

გალაკტიონისეული „ძალის“ ციკლის საღმრთო სახელებს აგვირგვინებს „ზესთაზეს ძალა“: „ძალას ედრება მსგავსთა ზესთაზეს“ („ამირანი“).

ლექსში „ცა, ზღვა, მიწა“ – ღმერთი მოიხსენება, როგორც „სიცოცხლის ძალა“.

პოეტი ელის „უხილავ ძალას“: „უხილავ ძალას უცდის პოეტი და „ქარიშხალის აზუზუნება“ („მიწა გამოჩნდა“).

პოემაში – „აკაკი წერეთელი“ – ღმერთს ეწოდება „ძალთა ძალი“.

გალაკტიონის ამ სახეებს მოეპოვება წყაროები.

რუსთაველის ღმერთი არის „ძალი, ძალი უხილავი“. იოანე დამასკელის „გარდამოცემაში“ ღმერთს ეწოდება „განუზომელი, ყოვლად ძლიერი ძალა“, ქართულ ჰიმნოგრაფიაში იგი არის „ერთ ძალი“.

დანტეს ღმერთი მოიხსენიება, როგორც „მარადჟამული ძლიერება“.არეოპაგიტიკაში, იოანე დამასკელთან, ჰიმნოგრაფიაში, „დავითიანში“ საღმრთო სახელებია „მიუწვდომელი, უსაზღვრო“.

„მარადის დაფარული, მიუწვდომელია“ გალაკტიონის ღმერთი.

„რად მინდა მივწვდე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს? ჩემს უდაბნოს ვერ გავცილდები მაინც ვერასდროს“ („უდაბნო“), აცხადებს პოეტი.

უსაზღვრობაა“ გალაკტიონის მარადიული სიყვარული: „და უსაზღვრობა მე შევიყვარე“.

„უსაზღვრობასთან“ მიახლების სიხარული იძლევა მწუხარების ატანის ძალას: „წინ! იმ უსაზღვრობაში მწუხარებას აიტან“ („ეფემერა“).

უმაღლესისგან შთაგონებული გოეთე აცხადებს ფაუსტის სიტყვით: „უსაზღვროსადმი თვით უსაზღვროს აქვს სრული ნდობა“.

ახალ აღთქმაში, არეოპაგიტიკაში, „ვეფხისტყაოსანში“, „დავითიანში“ ღმერთი არის „უცნაური“.

გალაკტიონისთვის ღმერთი არის შეუცნობელი („ფოთლებს ამეტისტებით ფარავს შეუცნობელი“), უცნაური და უსახელო („ვიღაც სიკვდილის დამმართებელი დგას, უცნაური და უსახელო“ („ყვავილებს თეთრებს“).

ღმერთი „მარადისობის“ სახით მიუძღვის შემოქმედს: „არის სიმღერა ქვეყნად ისეთი, რომ მიატარებს მარადისობა გენიის გზებით მოგიზგიზეთი“ (აკაკი წერეთელი“).

პლატონის თქმით, „მხოლოდ მარადიულს ძალუძს მარადისობის ჭვრეტა და წვდომა“.

„იდუმალის“, „იდუმალი ძალის“ სახით ფიგურირებს უზენაესი გალაკტიონის მთელ რიგ ლექსებში.

შთაგონების მომნიჭებელ ძალას ეწოდება „საოცარი იდუმალება“:

„...როცა უცნაურ აღმაფრენით გიტოკავს გული და წარგიტაცებს საოცარი იდუმალება“ („მსახიობ ქალს“).

ყანები „სავსეა იდუმალებით“, „იდუმალებით ისევ სავსეა ზღვის ცივი გული, ნისლი ყოველი“, ტყე გარემოცულია „იდუმალებით“, „იდუმალებამ დაფარა შარა“.

ღმერთი განუცდია პოეტს, როგორც იდუმალება, რომელიც ჩაკეტილია სარკმელში: „ხშირად დავდივარ სარკმელთა ახლო, ჩაკეტილთ, სავსეთ იდუმალებით“ („ხშირდ დავდივარ“). ვფიქრობთ, „სარკმელი“ მარიამია.

„იდუმალი გრძნობა“ და „გამოუთქმელი შვებაა“ ჩასახლებული სულშიც: „სავსე ვარ რაღაც იდუმალ გრძნებით, გამოუთქმელი მიტაცებს შვება“ („შემოდგომის დღე“).

ხსოვნაში ცოცხლდება „იდუმალება შორეულ ტრფობის“, „იდუმალი, შორეული სატრფო“ და ეს სახეები საღვთო ტრფიალზე მიგვანიშნებს. „მშვიდობის წიგნში“ ღმერთი

მოხსენებულია, როგორც „იდუმალი სახება“: „ვის იდუმალი იხსნის სახება?“

პოემა „აკაკი წერეთელში“ პოეტის შემწეა „იდუმალი ძალთა ძალი“, „უხილავი უკვდავება, მეუფება მრავალთვალი“.

„იდუმალი ხმა“ მოუწოდებს პოეტის მარადიულ სულს განსხეულდეს „დილის ძის“ სახეში: „და მესმის ხმა იდუმალი: წამოდექ, ძეო დილისა!“ („ნიავი, ია, ნარგიზი“).

გალაკტიონმა ღმერთი წარმოიდგინა, როგორც „უკვდავების სახე ნარნარი“, რომელიც „სულს ასხიოსნებს“ („სასაფლაოზე“), პოეტს ესმის „ყრუ ძახილი უკვდავებისა“ („ბედს იქით“).

არეოპაგიტიკაში, ნემესიოს ემესელთან („ბუნებისთავის კაცისა“, გვ. 170), იოანე დამასკელთან („გარდამოცემა“), ქართულ სასულიერო პოეზიაში ქრისტიანული ღმერთი მოხსენებულია, როგორც „უხილავი“. „უხილავი“ ეწოდება უფალს „ღვთაებრივ კომედიაში“ (გვ. 314).

გ. ტაბიძე დაეძებს „უხილავს“ – ღმერთს: „ხშირად ვოცნებობ და შევცქერი ცას, ვეძებ უხილავს, ველი რაღაცას“.

„უხილავ-ფარულია“ ღმერთი ლექსში „საღამო“: „ან როგორც ასომთავრულს, მუდამ შევამჩნევ ცაზე სხვისთვის უხილავ-ფარულს“.

ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებაში“ ღმერთი მოხსენებულია, როგორც „უშორესი და უახლოესი“.

გალაკტიონი უფალს აღიქვამს, როგორც „ახლობელს“ და „შორეულს“ ერთდროულად და ასეთ პოეტურ ფორმულად აყალიბებს მასთან მიმართებას: „სიშორის სიახლოვე“, „სიახლოვის „სიშორე“, „ის ახლობელი იყო სულ შორი“ („ის დირიჟორი„).

იოანე ღვთისმეტყველის ქრისტე არის „სპეტაკი ცხენის სარწმუნო და ჭეშმარიტი მხედარი“ (6, 14, 695, 11).

ნეტარი ავგუსტინეს უფალი წარმოუდგება, როგორც „მხედარი ზეციური ბანაკისა“. („აღსარება“, გვ. 335).

გ. ტაბიძე გამუდმებით დაეძებს ღმერთს („გეძებდი ყველგან“), მაგრამ მის თანამედროვეთ გაუცხოებიათ ქაოსში გამოცხადებული აპოკალიფსის მძაფრი მხედარი: „არის სიჩუმე, ბნელი ცხედარი, მის ტანზე შავი ცეცხლი გაჩენა, აპოკალიფსის მძაფრი მხედარი ვინც ქაოსებში შემოაჭენა“ („გეძებდი ყველგან“).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთი განიცდება, როგორც „სასწაული“ (გვ. 348).

„სასწაული“ უფლის სახელია ფსალმუნში (76, 15|. გალაკტიონის პოეზიაში ბოროტი სულის დამთრგუნველ ძალას დიადი სასწაულის „უმანკო ნათელი“ უპირისპირდება: „შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელცოდვილს, ლიუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს, ლიუციფერს, მრისხანე ვეფხვივით დაკოდილს და ეხლა მძინარეს: შეუნდე, შეუნდე, ჯოჯოხეთს – ჩემს თვალებს. შუუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად დაღალულს. მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს, მე ველი სასწაულს“ („სასწაულს“).

ღმერთი წარმოიდგინება, როგორც „ცეცხლი საიდუმლო“ (უძველესი იადგარი, გვ. 11), „საიდუმლო დღე“ (დ. გურამიშვილი)

„საიდუმლო“ მრავალგვარი ეპითეტით უზენაესის გამომხატველად აქცია გალაკტიონმა.

როგორც უკვე მივუთითეთ, „საიდუმლო ალი“ სწორედ ასეთი ჩანაფიქრის შემცველია.

„ჰაეროვნება საიდუმლო“ გალაკტიონისთვის დამახასიათებელი ორიგინალობით წარმოგვიდგენს უზენაესის სახეს: „ჰაეროვნებამ საიდუმლომ დაფარა ქედი“ („საუბარი ლირიკის შესახებ“).

ერთ ლექსში კი ამ სახეს შეეფარდება „საიდუმლო შეურყეველი“: „ახალ ღელვათა ზღვაში შეველი, რაღაც მშვიდი ვარ, კარგი, კეთილი, ო, საიდუმლო შეურყეველი, მაისი, გული კარჩაკეტილი“.

„დიდი საიდუმლო“ – ღმერთი მიუძღვის პოეტს ამ ქვეყნადაც და უსაზღვროებასთან შეერთების მომენტშიც: „წინ! ამ უსაზღვრობაში მწუხარებას აიტან, ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე აქ მივესალმები“. („ეფემერა“).

ანტიქრისტეთა მოძალების პერიოდში პოეტი ყველაზე დიდ საიდუმლოს – ღმერთის სახეს ფარულად და დიდი ხნიდან დაატარებდა გულში: „დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ“ („მე და დამე“).

გალაკტიონი დასცინის ვაიპოეტებს, რომელთა „მყვირალა ფრაზების საიდუმლო“ ისაა, რომ ისინი დაცილებულნი არიან უდიადეს, ჭეშმარიტ „საიდუმლოს“, - ღმერთს და იმთავითვე განწირული არიან წარუმატებლობისათვის: „მყავს მყვირალა

მეგობრები, მარა რა? საიდუმლო მათში არის არარა“ („საიდუმლო მყვირალა ფრაზებისა“).

გოეთე აცხადებდა: „ნათელ დღეშიაც მოცულია მთელი ბუნება საიდუმლოთი და მას ფარდას ვერ ავხდით ძალით“ („ფაუსტი“, 1962, გვ. 115).

გალაკტიონს იზიდავდა „ხევხუვებში მიმალული საიდუმლო“, „ყრუ საიდუმლო მინდვრის, ყრუ საიდუმლო მთების“.

დანტემ „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთი მოიხსენია, როგორც „მარადიული გაზაფხული“: „ვარდის ფურცელნი აღაკმევდნენ ნელსურნელებას მარადიული გაზაფხულის სადიდებელად“ (გვ. 400).

„მარადიული გაზაფხულის“ ყოვლისშემძლეობას განადიდებდა ვლ. სოლოვიოვი.

გალაკტიონისთვის „მუდმივი მზის, მუდმივი გაზაფხულის“, დაუჭკნობი ყვავილების“ სიყვარული ქრისტე ღმერთის და მარიამის სიყვარულია. ღმერთის ვრცელ გზაზე მავალ პოეტად მიაჩნდა მას აკაკი წერეთელი: „გაიარა ვრცელი გზები, სად მუდმივი მზეა მგზნები და მუდმივი გაზაფხულის დაუჭკნობი ყვავილები“ („აკაკი წერეთელი“).

„შორ გაზაფხულს“ ელოდა პოეტი თრთოლვით, მიწიერი სურვილების უკუგდებით: „ჩემს შორ გაზაფხულს უდარაჯებს სიცოცხლის ვნება, იმ შორ გაზაფხულს, ძლიერად რომ გამობრწყინდება. სინამდვილეშიც ოცნებისას ავანთებ კანდელს, იმ შორ გაზაფხულს ფეხქვეშ ვუგებ ყოფნას ღღევანდელს“ („სინამდვილეში ოცნებისას“).

„შორი გაზაფხულის“ სიმღერას მღეროდა აკაკი წერეთელი.

გალაკტიონის ღმერთი არის გაზაფხული, შუქი, რწმენა, ნუგეში და პოეტი სამადლობელს აღუვლენს მის სასწაულებრივ ძალას: „ო, გაზაფხულო, მე შენ გიჯერი, შენ მერცხალივით შემოიჭერი, შემოიჭერი სულში და გულში, ზამთრის სიავით მთლად დაჩაგრულში, აანთე რწმენა ხვალინდელ დღისა, რომ არა მქონდა – შუქი მეღირსა... გმადლობ, სულ გმადლობ, ო, გაზაფხულო“ („ო, გაზაფხულო“).

ხარებას უკავშირდება გაზაფხულის, „ადრიანი გზაფხულის“ მოვლინება („ადრიანი გშაზაფხული“). ქრისტე არის „გაზაფხული გამძაფრებული“ („არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს“).

გაზაფხულის ორიგინალური სახეა ლექსში –„ის ჩამომ-შორდა, როგორც სიზმარი“: „მაშინ ცას უფრო სხვა ფერი ჰქონდა, სხვაგვარი ღელვით ღელავდა ველი, მაისი იყო, მთას მოჰხვეოდა ნაზ გაზაფხულის მთრთოლვარე ხელი“. ქრისტე პერსონიფიცირებულია, როგორც „ნაზ გაზაფხულის მთრთოლ-ვარე ხელი“.

გალაკტიონის თანამედროვე ეპოქამ დაივიწყა ღმერთი და ანტიქრიტეს გზით იწყო სიარული. ძველ ძალას კარგავდა სულიერი „გაზაფხული“, მწუხარება და შავი ფიქრები ისად-გურებდა ირგვლივ: „ახ, სად გაფრინდა ჩვენი სხივი და გაზაფხული, რად შევმოსილვართ შავბნელ ფიქრით და მწუხარებით?... აწ გაზაფხულმა სულ დაჰკარგა ის ძველი ძალა, სხვაგვარის მწუხრით შებურვილა მთა, ტყე და ველი!“ („საღამო“).

ღმერთის სახე სიზმარეულ ნისლში ქრებოდა და მორწ-მუნეს უტოვებდა მწარე სინანულს: „გაზაფხულისა გაჰქრა მშვენება და მიეფარა ნისლს სიზმარეულს“ („ძველი წიგნების გვერდებს არეულს“).

გალაკტიონი ბოლომდე დარჩა „სიხარულით“, მზით, „გაზაფხულის ოცნებით“ შემოსილი: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“ („ეს გრიგალია სიახლის“). „მას გაზაფ-ხულის ჰფარავდა გამმა“ – ორიგინალური სიმბოლოა „გაზაფ-ხულის გამმა“.

გ. ლეონიძეს უკვდავებას აღუთქვამდა მარადიული გა-ზაფხულის ღმერთი: „გული გაზაფხულს მიკრულა და ვგრძ-ნობ, არასდროს მოვკვდები“ („წარწერა წიგნზე“).

პლატონის მიხედვით, „ციური დიდოსტატი – დემიურგოსი – დახვეწილი არქიტექტორია...“ („ტიმეოსი“, თარგმანი ბ. ბრეგ-ვაძის, თბ., 1994 წ. გვ. 134).

ახალ ათქმაში ღმერთი მოიხსენება, როგორც ხუროთ-მოძღვარი: „აბრაამი... მოელოდა ქალაქს, რომელსაც აქვს საფუძველი და რომლის ხუროთმოძღვარი და შემოქმედი არის ღმერთი“ (პავლე მოციქული, ეპისტოლენი, ფილიმონის მიმართ, თავი XI, 10).

გალაკტიონის ღმერთი „ფანტასტიური ხუროთმოძღვარია“: „ხევებს ხევებზე გადააზრდიდი ფანტასტიური ხუროთმოძ-ღვარი“ („ყვავილებს თეთრებს!“).

ტეზაურისა და მარინოს მიხედვით, სამყარო ორკესტრს წარმოადგენს, რომლის „მხატვარი და დირიჟორი ღმერთია“.

დირიჟორად გვევლინება ღმერთი იობის წიგნში, გოეთეს „ფაუსტის“ პროლოგში.

გ. ტაბიძე შემოქმედებითად იყენებს ამ სახეებს. მისი იდეალია შემოქმედი ღმერთი, ქაოსიდან სამყაროს შემქმნელი და ეს „ქაოსის მხატვარი“პოეტის სულშია დავანებული: „სულ-ში ნისლის ტბებია და ქაოსის მხატვარი“.

„გენიალური ჰიმნების ავტორს“ უნახავს ის „ახლობელი და შორი, უდარებული დირიჟორი“, რადგან იგი უზენაესის მიერ ხელდასხმული ქმნიდა მარადიულ ქართულ სიმღერას: „იყო უბრალო, მაგრამ მართალი, მისი სიმღერა და სიარული და სამუდამოდ იყო ქართული მისი ჰიმნები გენიალური. ის ახლობელი იყო სულ შორი, გამბედაობით სავსე, ძლიერი, უნდა გენახათ ის დირიჟორი, უდარებელი და მშვენიერი“ („ის დირიჟორი“).

უფალი პოეტს ესახება, როგორც „დირიჟორი მსოფლიო ორკესტრის“.

აღმოსავლეთი და, კერძოდ, ინდოეთი, ძველ მწერლობაში და მითოლოგიურ გადმოცემებში ყოველთვის დაკავშირებული იყო სამოთხისმიერ ყოფასთან და ცხოვრების ხესთან. ბიბლიის დასაწყისშივე ნათქვამია, რომ ღმერთმა ედემი გააშენა აღმოსავლეთით. აღმოსავლეთი, როგორც მზის ამოსვლის მხარე, წარმოიდგინებოდა, როგორც სიმბოლო ნათელისა, სიკეთის, სამართლიანობისა და უპირისპირდებოდა დასავლეთს, როგორც ბნელს, ბოროტების საუფლოს. შემთხვევითი როდია, რომ ლუკას სახარებაში „აღმოსავლეთი“ გვხვდება როგორც ერთ-ერთი სახელწოდება ღვთისა: „მომხედა ჩვენ აღმოსავალმან“ (ლუკა, 1, 77 ხაზგასმა ეკუთვნის ზ. გამსახურდიას, იხ. მისი „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, გვ. 173).

ამ ასპექტში დამაფიქრებელია დანტეს ფრაზა „ღვთაებრივი კომედიიდან“: „აღმოსავლეთი, სამშობლო მზისა და სინათლის ძველი სათავე“ (გვ. 319). ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ სულის სამშობლოს სასუფეველი ეწოდება დანტეს პოემაში: „სამშობლოდ უნდა ვიგულისხმოთ სასუფეველი“ (გვ. 378). ე. ი. იქაც საქმე გვაქვს აღმოსავლეთისა და სასუფევლის გაიგივებასთან.

გამომდინარე ზემოხსენებული მაგალითებიდან, საღმრთო სახელთა კონტექსტში უნდა გავიგოთ გალაკტიონის „აღმოსავლეთის შუქი“: „სწყვეტდა ათასგვარ საკითხს აღმოსავლეთის შუქი“ („რაც არ ყოფილა, არის“).

ასე უნდა გავიგოთ „აღმოსავლეთი“ სხვა ლექსშიც: „ცისკრისას, ოდეს შემოგცინოდეს, აღმოსავლეთი, ფერებში სხმული, იქ გადასული ოცნება სრული ვისზე იქნება გამოსახული? ო, მახსოვს, მახსოვს ყველაზე ადრე იმ ფერადებში გამოიჩადრე“ („ფერადი შუშები“).

არც ისაა შემთხვევითი, რომ გალაკტიონის ერთი ლექსის მიხედვით, „აღმოსავლეთით დგას ხალხის ნუგეში და მოსვენება“.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ურთიერთდაკავშირებული ცნებებია აღმოსავლეთი, ცისკარი, გათენება, განათება.

ქრისტე აზიასაც უკავშირდება, ალბათ, იმ აზრის გამო, რომ ქრისტე აღმოსავლეთიდან: „ღამე უცხოეთში უნდა გამეთია, როცა აზიიდან მოვიდა განათება“.

„ღვთისმეტყველებაში“ სულიწმინდის ღმერთთებაზე საუბრისას მუდამ აღნიშნავენ მის დიდებას და მზისებრ ბრწყინვალებას. პავლე მოციქულისათვის იგი არის სული დიდებისა: „რამეთუ დიდებისაი იგი და ღმრთისაი სული თქუენ ზედა განსვენებულ არს“ (I, პეტრე, 4, 14) (ზ. გამსახურდიას წიგნიდან „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, გვ. 126).

დანტე ევედრებოდა უზენაესს: „დიდების შენის ნატვიფარი მომადლე ჩემს სულს“. პოეტების მეფე, როგორც სულიწმინდის მადლით ცხებული, სულიერი დიდების თანხლებით მიისწრაფვის პარნასისკენ: „მე მომდევს განთქმულ სახელის ტაში, დიდება, ცრემლი, ღელვა, მუქარა“ („მწუხარება შენზე“).

დიადი დიდების“ თანხლების განცდა ახლავს სტრიქონებს: „შენ გელის დაფნა, შენ დიადი დიდება გელის“ („აუზისაგან“).

მამაღმერთი არის ნათელი, ხოლო ძე და სული მისი ბრწყინვალება, რამეთუ ძეში ვჭვრეტთ სულს, რომლის თანამგზავრობა იმთავითვე დაჰბედებია პოეტს: „ზეცაზე ბრწყინავს ვარსკვლავი შენი, ძველი დიდება“ („გამძლეობა“).

„შემოდგომის ყვავილებით“ მიდის გალაკტიონი უზენაეს დიდებასთან: „შემოდგომის ყვავილებს დიდებასთან მივიტან“ („გულო, რა გემართება?“).

მომავალშიც ახალი დიდება იქნება მისი პოეზიის წილ-ხვედრი, დარწმუნებულია პოეტების მეფე: „შენ გევედრები ხვალის თბილო დღევ, ვიცი, სხვა ახალ დიდებაში მხვევ“ („რაც იფნიბაღმა“).

„უდარებელი დიდების დღენი“ ელოდება პოეტს ზეცაშიც: „უყვარს მას ეს ხმა, გამოშუქება მომავალ დღეთა დიდი დიდების“ („შენს მოწოდებას“).

„დიდება მარადი“ ქართული გენიის შემწეა: „... ეზმანება რა დიონისე, სხვაა მოჩვენება გალაკტიონისა, მას ვით არ სმენია დიდება მარადი და ქართლის გენია“ („სხვები ჩხავიან“).

მშობლიურ შემოგარენში ელვარებს პოეტის დიდება მწარე მარტოობის გასაქარვებლად“: „ისევ ახალი ელვარება ჩემი დიდების თბილისს ედება, თუ დრო მაქვს მწარე მარტოობის, მოეხეტება“.

„მარადიული ცეცხლისა“ და დიდების საგალობელია მეფე-პოეტის შემოქმედება („პოეტს“).

„დიდების ძეგლია“ მისი აურაცხელი შედევრები.

პოეტის პორტრეტს „უკვდავება“ და „დიდება“ ანიჭებს განსაკუთრებულობას: „ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია... მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე, რომლის გარეშე უკვდავებაც არაფერია“ („ცხოვრება ჩემი“).

საკუთარი განსაკუთრებულობის რწმენა იმითაც გამოხატა გალაკტიონმა, რომ თავისი პოეტური სასახლის ბინადრად იგულვა უკვდავი დიდება: „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალ-ახალი. მასში პოეტის უკვდავი დიდება დაისადგურებს“ („მაღალ მთაზედა ავაგე“) ხოლო, სიდიადის შეუცნობლობაზე მიგვანიშნებს მისი დაკავშირება „ბინდთან“ და შავთან: „ბინდის დიდი კამარა, როგორც შავი დიდება, ღმერთმა დაგვასამარა, ღმერთთან ხიდი იდება“.

გალაკტიონმა იგრძნო „გამოშუქება მომავალ დღეთა დიდი დიდების“. „მომავალი დღე“ – ქრისტეა, „დიდი დიდება“ – სულიწმიდა.

სხვაგან ფიგურირებს „დღე, მოსილი დიდებით“ – ამ კონ-ტექსტში „დღე“ ქრისტეს გულისხმობს, „დიდება“ – სული-წმინდას.

პოეტს აინტერესებს „დიდება მარადისი“ და არა „წუთი-სოფლის ამაო დიდება“.

იგი დარწმუნებულია, რომ დიდება იქნება მისი თანამგზავრი მომავალშიც: „ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო, უთუოდ მახსენებ ოდესმე, ოდესმე!“ („ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“).

დიდების საოცარ განცდას გვიზიარებს ფრაზები: „დიდებამ ირიჟრაჟა“, „დიდებისაკენ ფეხით კიდეც გასწია მთვარემ“.

რუსთველის მარადიული თანამგზავრია დიდება: „რუსთაველი... მას მომავლიდან კვლავ უცქერიან, მას სხვა დიდება უამხანაგებს“ („პოემა ვეფხვისა“).

დიდება ელოდებათ „ხალხისაგან წამებულ რაინდებს“ („დროშები ჩქარა“).

ლექსში „ნიავი, ია, ნარგიზი“ გალაკტიონმა „დილის ძედ“ შეიცნო ღმერთი, მოისმინა იდუმალი ხმა, უზენაესმა მისი ცხოვრება „ათასზე გადაამრავლა“ და მარადიულობა უბოძა.

„ვინცა შეიცნო დედა: მან ძედ შეიცნო თავი. ვინცა ძედ შეიცნო თავი: მან შეიცნო დედა. ხორცი მისი კვდება: სული კი უკვდავია“ (ლაო-ძი, „დაო დე ძინი“, თბ., 1983 წ., გვ. 90).

ლაო-ძი გვმოძღვრავდა: „სიტყვა ჩემი დასაბამიერია. საქმე ჩემი – ცისმიერია. უკეთუ არ უწყიან დასაბამიერი: მეც დაფარული ვარ მათთვის“ (იქვე, გვ. 228).

გალაკტიონი მიუახლოვდა დასაბამს, უზენაეს საწყისს, „მზის სათავეს“, მაგრამ ჩვენი თაობისათვის, საბედნიეროდ, იგი ბოლომდე მაინც ამოუცნობია.

ეჭვმიუტანელი ის აზრია, რომ პოეტი იყო შემოქმედი ღმერთის სულიერი ხატი, სამყაროს გადასასხვაფერებლად მოვლინებული ზეციდან, რომელმაც უსაზღვროდ გაამრავალფეროვნა უკვე ცნობილი საღმრთო სახელების შინაარსი და ლექსიკა, შესძინა მათ ახალი ნიუანსები, ხშირ შემთხვევაში კი სრულიად ახალი, ორიგინალური სიტყვათშეთანხმებები შექმნა და ქართული ენის შესაძლებლობები მაქსიმალურად გააფართოვა.

საღმრთო სახელები ტერენტი გრანელის შემოქმედებაში

ტერენტი გრანელი ქართული კლასიკური პოეზიის მაგისტრალური ხაზის გამგრძელებელია და, მაინც, სრულიად თავისებური, განუმეორებელი და განსხვავებული მოვლენა. მისი მსოფლგანცდა ქრისტიანულია და, ამავე დროს, ამაღლებული ფენომენი.

პოეტის უღრმესი, ურთულესი, მრავალნიშნადი, ენიგმებით სავსე შემოქმედება ბოლომდე უცხო და გაუგებარი დარჩა პროლეტარული პრიმიტივისთვის.

ტ. გრანელი თავის თავს უწოდებდა „პოეტს, წამოსულს მაღალ ზეციდან“.

„ზეცა მწყურია და მიწა მშია“ – პოეზიის მისიის ყველაზე სრულყოფილი გაგებაა, მაგრამ საერთოდ მიუწვდომელი ერთსახოვანი, დაქირავებული პოეტების ლეგიონებისათვის, რომელთაც მიხეილ ჯავახიშვილმა „დაბადებითვე სულიერი საჭურისები“ უწოდა.

მიწასა და ჭაობში ბოლომდე ჩაფლული კალმოსნებისთვის ყველაზე გამაღიზიანებელი მაინც ტ. გრანელის ანგელოსობა, ღმერთისკენ სწრაფვა, ცაში ფრენის მოტივები იყო, რისის პირობაც არის სულიერი ამაღლებულობა, უცოდველობა, ტრივიალური არსებობის უგულებელყოფის უნარი.

თუ ჭეშმარიტი პოეტობა ზეციურთან წილნაყარობაა, ტ. გრანელი ამით იყო დიადი და მრავალი საღვთო სახელიც მოიპოვება მის შემოქმედებაში.

„მემენტო მორის“ ავტორი გამუდმებით აღავლენდა ლოცვებს და დაეძებდა ღმერთს, ჭეშმარიტებას: „ღმერთო, სადა ხარ, მე შენ დაგეძებ“, „ღმერთო, სიცოცხლის შუქი მაღირსე“...

უსასრულო იყო ეს მოლოდინი: „წმინდაო ღმერთო, მე დიდხანს გელოდი!“ („ღამის მოუსვენრობა“).

პოეტის სული ღმერთისთვის, უზენაესისთვის შეწირული სული იყო: „შენი ზვარაკია, ღმერთო, ჩემი სული“ („ვედრება“)

უფალს ევედრებოდა, დაეფარა უკეთურობისაგან, მოეცა ბოროტებასთან გაძლების უნარი: „ო, ჩემს გარშემო მკვლე-

ლებია და გამცემლები, უფალი იყოს ამ ქალაქში ჩემი მფარველი“.

კიდეც პოულობდა ძალას, გაქცეოდა უხამსობას: „აჰა, მოვშორდი იმ მეშჩანობას, რომლის გარშემო მე მოვემწყვდიე“.

დიადი მიზნები ვერასოდეს იგუებს დახურდავებას. ტ. გრანელი, საბედნიეროდ, მუდამ ინარჩუნებდა სულის სიწმინდეს: „ძვირფასო, მხოლოდ მე დავრჩი წმინდა და სხვებმა სული ფულზე გაყიდა“.

მას დავით წინასწარმეტყველივით შეეძლო ეთქვა: „მოვიძულე კრებული უკეთურთა და უღმრთოთა თანა მე არა დავჯდე“ (ფს. 26, 5).

„ვიდრე სხეულში ვსახლობთ, ღმერთის გარეშე ვსახლობთ“.

„ხორცისაგან მთესველი ხორცისაგან მოიმკის ხრწნილებას, ხოლო სულში მთესველი სულისაგან მოიმკის საუკუნო სიცოცხლეს“ – შეგვაგონებს პავლე მოციქულის ერთ-ერთი ეპისტოლე. (პავლე მოციქული, გალატელთა, 6, 8).

უსხეულო არსებობის საიდუმლოებას ნაზიარები ტ. გრანელი ლანდად, ღმერთის სულად იყო ქცეული: „ეს ჩემი სული ლანდი ღმერთის“. ამ გაგებით ლანდად ქცევა ღმერთად ქცევის ტოლფასია: „როგორც ლანდი, ისე ვარ... როგორც ღმერთი, ისე ვარ“ („მთაწმინდა“).

დიდი ძალისხმევის მეოხებით შესაძლებელი ხდებოდა თეოზისის მიღწევა უსხეულო, წმინდა არსებობით, ამიტომაც იყო „გრძნეული ლანდი“, რომელსაც „სულის ლანდი“ – ღმერთი აძლევდა ცხოვრებასთან შერიგების სტიმულს: „და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ („ისევ დადგება“).

„საოცრების ლანდები“ „ღმერთია“: საოცრების ლანდები შენს წინ გლოვას ანთებენ, როგორც ბრილიანტები საიდუმლო ოცნებით“ (“მწუხარე მელოდია“). „საოცრების წარსულსაც“ ანალოგიური ქვეტექსტი აქვს: „საოცრების წარსული, ეშაფოტზე ასული, ჩქარი და მოქანცულ სიკვდილს არ ვენანები“ („მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“). ეს სახეები უნდა მომდინარეობდეს ბიბლიიდან, სადაც ღმერთი არის „საკვირველი“ საოცარი (I, 975).

ყურადღებას იქცევს „მფარველი ლანდის“ სახე: „მფარველი ლანდი მაშინ არ მყავდა“.

„ცისფერი ლანდის“ ადრესატიც ღმერთია: „ცისფერ ლანდებით გაივლის ღამე და ჩემი შიში გაიფანტება“.

ანალოგიურ კონტექსტშია მოაზრებული „მფარველი თვალი“: „არ ჩანს მფარველი თვალი, ირგვლივ გზებია შორი“ („ლოდინი ბედის“). „მფარველი“ ღმერთია ბიბლიაში (I, 69,81), დ. გურამიშვილის პოეზიაში. „თვალთა ნათელი“, „მზის თვალი“ ასევე ღმერთის სახედ მოიაზრება დ. გურამიშვილთან, ჰიმნოგრაფიაში.

„ღმერთო, ძალა მომეცი“, „ღმერთო, სიცოცხლის შუქი მაღირსე“ – ევედრება პოეტი უფალს და ეს „ვედრება“ ზოგჯერ „ხელია“...

„მარტო ვიყავ, არვინ მყავდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი“ – გვაზიარებდა თავის უნუგეშობას დ. გურამიშვილი.

ანალოგიურ მდგომარეობას გვიცნობიერებს ტ. გრანელი: „ანდა ვინ მოვა, არა მყავს კაცი, მე თუ დამიხსნის – მხოლოდ უფალი. როდის იქნება ის დღე ძვირფასი, როცა ვიქნები თავისუფალი“ („ახლა სადღაც შორს“).

ტ. გრანელის პოეზიაში გამრავალფეროვნებულია საღმრთო სახელები, რაც ამ ცნებისადმი ღრმა და თანმიმდევრული ინტერესების გამოხატულებაა.

„მზერამოღლილი და მიზეზიანი“ ეწოდება ერთ ლექსში ღმერთს, რომელიც ცოდვათა განმკითხავად უნდა მოევლინოს ლირიკულ გმირს: „ჩემი სავანე უდაბნოა და შეცოდება, ვერ გავექცევი მზერამოღლილს და მიზეზიანს“ („საიდუმლო მისალმება ჭლექიან სამრეკლოს“).

პოეტის უსაყვარლესი სახეა ქრისტე.

ქრისტე „წმინდა მაცხოვარია“, რომელთანაც მოწიწებულ მიმართებას გვაგრძნობინებს სტრიქონები: „უწინ მაცხოვარს სანთელს ვუნთებდი“, „შენ წმინდაო მაცხოვარო, ამინ!“

ადამის ცოდვების მტვირთველი პოეტის გახელებული სურვილია ქრისტეს მიერ სულის ხსნა: „წამი აღმაფრენის და ფიქრი ნაჩვევი. ღმერთო, გამაფრინე და ქრისტე მაჩვენე, ხელს მაღლა აგიშვერს ცოდვა ადამისა: „ღმერთო! გამაგიჟე და შენვე დამიცავ“ („ლოცვა გაფრენისათვის“).

ქრისტეს ეპითეტია „მწუხარე“: „მე შენთან მოვალ დღესაც, როგორც მწუხარე ქრისტე“ („აწეწილი ბედი“).

მწუხარებით, ცრემლებით ქრისტესებურად დიადია პოეტი: „და სასიკვდილო თეთრი ცრემლიდან მე ვიხედები, როგორც იესო“ („შემოდგომის პასტორალი“), „როგორც ქრისტე, ვიხედები მაღლა“ („ღამის სტრიქონები“).

ჯვარცმული ქრისტე დიადი მსხვერპლია და ამ ტრაგიკულ მომენტს არაერთხელ უბრუნდება პოეტი: „ჯვარზე შეღება ქრისტე გულის უმანკო სისხლმა“ („მოგონება შორეულზე“).

ჯვარცმის ანალოგიურია თვით ტ. გრანელის ხედრი: „ეს იყო დარდი, სულის დაღალვა და სისხლიანი ბედი ქრისტესი“.

ჯვარცმის მისტერიის მთავარი წევრია მარიამ ღვთისმშობელი, რომელიც ტირის თავის ძეს.

ტ. გრანელი სახარების ამ მომენტს ორგანულად ურთავს თავისი ჯვარცმული ცხოვრების აღსასრულს სიკვდილის წინასწარ ხილვებში: მასზე – ჯვარცმულ იესოზე – ტირის დედა მარიამი ანგელოზებთან ერთად: „კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა“ („მიცვალებულის დღიურიდან“). ან: „ალბათ სამარესთან ვარდი მრავალია, ალბათ მარიამიც ტირის თავდახრილი“ („სიჩუმის ყვავილები“).

„როგორც ქრისტე, ვიხედები მაღლა“ – ამბობს პოეტი და ისიც ზეცის ბინადარია ქრისტესავით.

ქრისტესებური სულიერი კომპლექსები იყო პირობა იმისა, რომ ასე ორგანულად განეცადა ეს ორბუნებოვანი ღმერთი, ასე ახლოს ყოფილიყო ჯვარცმულ ღმერთთან, ღმერთის ზეცასთან, „სხვა ზეცასთან“: „მივყვები გაყინულ რიყეს, სიცივე ძაღლივით მიყეფს. სიცივე მიყეფს და მიტევს. მე ვგავარ უთუოდ ქრისტეს. ქალაქსაც ძვალ-რბილში უვლის სიცივე – თებერვლის სული. სხვა ზეცა მპირდება ამინდს, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!“

ორმხრივი იყო ეს „კომუნიკაცია“, თვითონაც ქრისტეს რჩეულად ისახებოდა: „იყო სიჩუმე, სამი წერტილი, მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა. ახლა შორს ელავს ცა მოწმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“.

პოეტი არამარტო სისხლიანი ქრისტეა, არამედ მისი უმანკო ბავშვობის თანაზიარია, ის არის „ღრუბლის ბავშვი“. გრიგოლ ნოსელისათვის ღრუბელი ნიშნავს სულიწმიდას, ბერძნულ ლიტერატურაში მარიამს ეწოდება „გაბრწყინებული ღრუბელი

სულისა“ (ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანის სახისმეტყველება“ თბ. 1991 წ. გვ. 66).

განდმრთობის ძალზე საინტერესო მაგალითია „ბავშვი-უფალის“ სახე, სიზმრისეული ხილვის საშუალებით გახსნილი: „თითქოს ვიყავი ათი წლის ბავშვი, თითქოს ვიყავი ბავშვი უფალი. არ ქროდა ქარი და უცხო ბაღში მე მივდიოდი თავისუფალი... ხელში მეკავა თეთრი ყვავილი და მივდიოდი თავისუფალი“.

ბავშვს სიწმიდის სიმბოლოდ ხშირად წარმოგვიდგენს პოეტი და ამაშიც ქრისტეს იმ შეგონების მიმდევარია, რომლის მიხედვითაც, ღვთის სასუფეველში შესვლა მხოლოდ ბავშვური სიწმინდით და უმანკოებით შეიძლება. ამიტომ ელოდება მის სულს გარდაცვალების შემდეგ სამოთხე: „გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით“.

შემოქმედებითი წვალების გამო პოეტიც ქრისტესავით გოლგოთას გაივლის: „ყოველი ღამე არის გოლგოთა“ („ცრემლი შუადამის“).

უფალი პოეტის მარადიული მცველია: „ო, უფალი დამიცავს კვირეების კეცაზე“ („მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“), „და მაღლიდან ქრისტე ყვავილს ისვრის“...

მარადისობის კარიბჭესთან ქრისტე ენუგეშება პოეტს, როგორც უკვდავების მომნიჭებელი: „მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან, ვით მგლოვიარე სერაფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც მე დამიხსნის განსაცდელისაგან“ („გულიდან სისხლის წვეთები“).

სიკვდილთან დაკავშირებულ ხილვებში „ქრისტეს თვალები“ ელანდება პოეტს („ჩემო ზოზია“). ქრისტეს, მარიამ ღვთისმშობელს, სერაფიმებს და ანგელოზებს წარმოიდგენს მიცვალებისა და გასვენების მომენტში: „კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა... მიმასვენებდნენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიუძღოდა“ („მიცვალებულის დღიურიდან“).

ქრისტეს სიმბოლურ სახელად უნდა მივიჩნიოთ „მგლოვიარე კარი“: „ყოველივე მორჩა მგლოვიარე კართან, ეშაფოტი მოჩანს, საფლავების გარდა“ („სიშორის ცეცხლი“).

„კარის“ ადრესატი ქრისტეა სახარებაში: „მე ვარ კარი ცხოვართაი... მე კარ ვარ“ (იოვანე, 585, 7, 585, 9).

ამ სახეს პოეტმა „მგლოვიარე“ წაამატა (სხვაგან „მწუხარე“ იყო).

„მე საოცრებას მივდევ და მცილდებიან სხვები“ – ვფიქრობთ, ასეთსავე კონტექსტში უნდა იქნეს გაგებული „საოცრების კარები“: „ვდგევარ საოცრების კარებთან, როგორც სიზმარი წარსულის“ („ცისფერი სინათლე“). ასევე ღმერთთან მიახლოების სურვილია „დაკეტილი კარის“ გაღება: „მინდა ავდგე, გავიხედო გარეთ და გავაღო დაკეტილი კარი“.

„საოცრებაში“ იგივე აზრი უნდა მოვინიშნოთ: „და ისევ საოცრება“, „და ვუცდი ისევ სხვა საოცრებას“, „საოცრება მოგელის“, „ისევ იღბალმა და საოცრებამ უმზეო დღენი შენს წინ გაფინეს“...

ეს „საოცრება“ სულშია დავანებული: „აელვარდა გუშინ უიმედო მინა და წამებულ სულში საოცრებას სძინავს“ („სიშორის ცეცხლი“).

„ღამის ლანდი“ და ღამის ცეცხლი“ ასევე ღმერთის სიმბოლოდ ისახება: „ღამის ლანდი მე ფანჯრიდან ვნახე, ღამის ცეცხლი ეკიდება თვალებს“. „სიშორის ცეცხლსაც“ ასეთი გაგება აქვს: „ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს“.

პირველი სახის წყარო ფსალმუნია, ხოლო „ცეცხლი“ ღმერთის სახედ არის მიჩნეული ბიბლიაში, დ. არეოპაგელთან, ჰიმნოგრაფიაში. ამ ცნებას პოეტმა დაამატა „ღამის“ ნიუანსი, სადაც ღამე ღმერთის შეუცნობლობაზე ხაზგასმაა (შდრ. რუსაველის „მზიანი ღამე“).

ღმერთი ყველა რელიგიაში ნათელია. ნათელია ქრისტე: „მე ვარ ნათელი სოფლისაი“ (იოვანე, 581, 5).

ტ. გრანელი უცდის არა ჩვეულებრივ, არამედ ზებუნებრივ ნათელს, რათა გაიფანტოს ირგვლივ გაფენილი სიბნელე: „და ასე ფიქრი უფრო ძნელია, როცა თვალები ნათელს უცდიან, ღმერთო, ჩემს ირგვლივ რა სიბნელეა, ღმერთო, ჩემს ირგვლივ რა ბურუსია?“! („უმიზნო ხეტიალი“).

ღმერთი ბიბლიაში არის „ნათელი თუალთაი (I, 1171), „ნათელი დიდი“ (მათე, 4, 16), „ნათელი“, „წარუვალი ნათელი“ (დ. გურამიშვილი).

„თეთრი იმედიც“ ნათლის ვარიაციაა: „მე უფსკრულთან მივედი, ყოფნა ისე მიმბეზრდა, ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესღაც“. ასეთივე აზრის მქონე სახეა სხვა იმედი: „იქ მივალ, სადაც მუსიკა უკრავს, სადაც ცხოვრობენ სხვა იმედები“. ამ სახის ახლებური ნიუანსია „თეთრი სავანე“: „ჩემს სულს სწყურია თეთრი სავანე“ („ციხის ელეგია“). ეს სახეები აშკარად ორიგინალურია.

ღმერთის სახელია „უსაზღვრო“, „უსაზღვროება“ (ი. დამასკელი, ჰიმნოგრაფია): „ჩემს სულს სწყურია თეთრი სავანე, ჩემს სულს სწყურია „უსაზღვროება“, „ეგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი“.

მისტიკოსი პოეტი ხედავდა უსაზღვროებას: შორიდან ვხედავ საკუთარ აჩრდილს, შორიდან ვხედავ უსაზღვროებას“ (შდრ. ნეტარი ავგუსტინე: „...დავინახე... უხილავი იგი შენი, უფალო“... მე დავინახე უხილავი იგი ღმრთისა“ („აღსარება“, 1985 წ. გვ. 245, 247).

ბიბლიის, ღვთისმეტყველების მიხედვით, ღმერთის სამყოფელია არა ხილული ცა, არამედ „ცანი ცათანი“: ცანი ცათანი გონიერი ზეცაა“ (ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, გვ. 353, 386).

ცანი ცათანის“ შესატყვისია ტ. გრანელის „მარადიული ცა“ („მე მარადიულ ცისკენ მივიწევ“), „მარადისობის ლაჟვარდები“, „ლაჟვარდოვანი ცა“, ხოლო „მარადისობა“ ღმერთია: „მე ისევ ვეძებ გულისთვის საფლავს, მე ისევ ვეძებ მარადისობას“.

„შორეული და უხილავი მზის“ ხილვის სურვილი ღმერთის მოვლინების სურვილია, თვით პოეტი კი, თითქოს მარადიული ადამიანია, ქვეყნის გაჩენიდან მიმსწრაფი მზე ღმერთისკენ: „მე ქვეყნის გაჩენიდან ნელა მივდიოდი სინათლისაკენ, რომ მეხილა მზე. ალბათ მიზიდავდა შორეული და უხილავი“ („გულიდან სისხლის წვეთები“).

„ქართლის ცხოვრებაში“ მეფე ფარნაოზს სწორედ მზის სახით ეზმანა ღმერთი.

ღმერთის გამოცხადების ტოლფასია „ცისფერ ღამეში“ აელვარებული „წითელი მზე“, „წითელი მზე აელვარდა მინებთან, მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე“ („სიცოცხლის გრადაცია“).

ქრისტიანული სამება მზის სახეშია მოაზრებული, მამა-ღმერთი – მზეა, შუქი – ძე, ნათელი – სულიწმიდა.

ძე ღმერთის შუქს მიელტვის პოეტი: „ღმერთო, სიცოცხლის შუქი მაღირსე, დღეს ასეთია ჩემი პროფილი“.

„სიცოცხლის შუქის“ წყაროა ფსალმუნი: „...ღმერთო, იხსენი ჩემი სული სიკვდილისაგან, აგერ ჩემი ფეხი წაბორძიკებისგან, რათა ვიარო ღმერთის წინაშე სიცოცხლის შუქით (ფს. 56, 14).

მერე ეს „შუქი“ ცისფერთან ფიგურირებს და, ამავე დროს, ტრადიციული ატრიბუტიც ახლავს, „მარადისობის“ სახით: „სულთან ახლოა ცისფერი შუქი მარადისობის“.

ღვთაებრივია პოეტის სულის შუქი და თეთრი, წმინდა: „თეთრი შუქი ინთება ჩემი სულის და ვარდის“, „თეთრი სიჩუმეც“ და „თეთრი იმედიც“ ღმერთია: „სულში თეთრი სიჩუმეა დღესაც“. „ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესღაც“.

ღმერთი სულია: „ხოლო უფალი სულ არს“ (კორინთელთა მიმართ, 3, 4, 521, 17), „ღმერთი სულია სახიერი“ (დიონისე არეოპაგელი, „შრომები“, 1961 წ., 15, 14).

ტ. გრანელის სული „მწუხარე სულია“: „და ჩემი მწუხარე სული მსგავსია დათოვლილ სანთლის“.

მერე ამ ცნებას „ცისფერის“ ნიუანსი შესძინა ტ. გრანელმა: „მოვა ცისფერი სული“„ცისფერი სული“ ღმერთის სიმბოლოა.

„ცისფერი სიშორე“ ხაზს უსვამს განღმრთობას პოეზიის ძალით: „ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე“.

ნეოლოგიზმიც შექმნა ცისფერის გამოყენებით და ისიც უზენაესს მიუახლოვა: „ეს ჩუმი ზეცა და სიცისფერე იყოს მარადის ჩემი ნუგეში“.

ღვთაების „ცისფერ სამყაროში“ დამკვიდრებას ნატრობს პოეტი: „მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ, მე ისევ ვეძებ მარადისობას“.

„ცისფერი იმედიც“ ღმერთია: „ეს მხარე ღამდება, რადგან ცისფერი იმედი მიდის. როგორი სიჩუმე დადგა, ო, როგორ ჩამოწვა ნისლი“ („დათოვლილი სანთელი“).

ამ კატეგორიის ხილვებია „ცისფერი ბაღი“, „ცისფერი ყვავილი“, „ცისფერი ქვეყანა“: „ისევ იშლება ჩემს წინ დილის ცისფერი ბაღი“, „და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“, „მე ვარ და დუმილია და ცისფერი ქვეყანა“.

ყვავილი საერთოდ მიჩნეულია ხან ქრისტეს, ხან მარიამის სიმბოლოდ.

„ცისფერი სარკეც“ იდუმალებასთან წილნაყარი სახეა: „ელვარებს ისევ ცისფერი სარკე, მივილტვი ცისფერ სამყაროსაკენ“.

„ცისფერი წამი“ უზენაესთან ზიარების მაცნე, განუმეორებელი წამია: „და იყო წამი, ცისფერი წამი და იყო წამი სხვა გარინდების“.

სხვაგან არის „ნუგეშის შუქი“, „უმანკო შუქი“: „ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის, მე ქვეყნის წინაშე ვდგავარ მგლოვიარე. გული ასვენია მაღალ სიჩუმეში, ისევ სიშორეზე ტირის როიალი“.

შუქი ქრისტეს სახელია, ქრისტე კი მწუხარებასთან დაკავშირებული, ამიტომ პოეტი ლოგიკურად „შუქთან“ „მწუხარეს“ ახსენებს: „მწუხარე შუქი ჩნდება“, „ჩნდება წარსულის შუქი მწუხარე“.

სხივი, ციმციმი ღმერთს უკავშირდება და განღმრთობილი პოეტი თავის თავში გრძნობს ამ სახეებს: „იგი, რაც მწამდა, ჩემთან ციმციმებს“, „ჩემი სიცოცხლე ხომ ციმციმებდა“, „ჩემში ზეცის სხივია“.

ამ ღვთაებრივი შუქის მოლოდინია მისი არსებობა: „ველოდი, შუქმა იელვა ადრე. მზე მაღლა იწევს და ნისლში ცურავს“.

ღმერთის ტრადიციული ეპითეტია „შორეული“ (ნეტარი ავგუსტინე). ამ ცნების მრავალნაირ ვარიაციას არაერთხელ მიმართავს ტერენტი გრანელი: „შორეულს ელი, ისმენ ამ არიას და ბინა შენი ბნელი სამარეა“ („წვიმიანი დღე“).

„შორეული იღბალის“ მოლოდინია ლექსში „ლოდინი ბედის“: „მღალავს სხეული სუსტი და მძიმე ხსოვნა მამის, შორეულ იღბალს ვუცდი, როგორც უმზეო ამინდს“.

ღმერთის სიმბოლოა „შორეული“ და „ცისფერი ყვავილი“: „ღამე ასე გაივლის და ლანდები სურვილთა და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“ („შორეული ყვავილები“).

ნოვალისიდან მომდინარეობს „ცისფერი ყვავილის“ სახე, რომელიც ბედნიერებას უქადის ჰენრიხს (ჰენრიხ ფონ-ოფტერდინგენ). „ცისფერი ყვავილი“ რომანტიკოსებისათვის არის არამიწიერი, მიუღწეველი იდეალის, მარადიული ჭეშმარიტების სიმბოლო.

პოეტს იტაცებს „შორეული ზეცის“, „შორეული მიზნის“ სახეში სახელდებული ღმერთი: „ვხედავ „შორეულ მიზანს,

დროა, გავფრინდე ცისკენ, დროა, გავექცე მიწას, „და ღრუბელივით ვხედავ ახალ შორეულ მიზანს“, „დღესაც ვეტრფი მე შორეულ მიზანს“.

„შორეული ფიქრიც“ ღმერთის სიმბოლოა: „დავიღალე შორეული ფიქრით“.

პოეტის ღმერთია ასე მოახლოებული „შორეული იმედი“: „ვგრძნობ წამებას და შორეულ იმედს, ვზივარ ასე ყვავილივით მკრთალი“, „შენკენ გამაფრინეს ფიქრებმა რაღაც შორეულ იმედით“.

ხალხის რწმენით, ცეცხლი ცას უკავშირდებოდა, პრომეთემ ღმერთს მოჰპარა ცეცხლი, ხალხს ჩამოუტანა მიწაზე და ამისთვის დაისაჯა მწარედ.

ცეცხლი სიკეთის ღმერთის სიმბოლო იყო და მუდამ ენთო აღმოსავლურ ტაძრებში.

ირანელთა საღმრთო წერილი „ავესტა“ ცეცხლს თაყვანს სცემდა, როგორც სიწმინდეს, შემოქმედის ქმნილებას, ღვთიური ბუნების მატარებელს. ამიტომ ინახავდნენ პატივით ნაკვერცხალს, როგორც ცეცხლის წყაროს (ქართულ სოფლებშიც ხომ ასე იყო, ცეცხლს კერაზე ნაცარში ახვევდნენ, „კერა არ ჩააქრო“ სიცოცხლის მარადიულობის გამოხატულება იყო).

ირანული საღმრთო წერილი გამოყოფს მიწის, ადამიანთა, პირუტყვის, მცენარეულობის მასულდგმულებელ ცეცხლს, ელვის ცეცხლს, წმინდა ცეცხლს, რომელიც არის ირანული სიკეთის ღმერთის-აჰურა მაზდას სიმბოლო.

ცეცხლს იგულვებენ მიწაში, მთათა გულში, ადამიანებში.

ცეცხლი სულის სიმბოლოცაა, რადგან ძველ ფილოსოფოსებთან ცეცხლი შემადგენელია ოთხი ელემენტისა, რომელთაგან სამყარო შეიქმნა. სიცოცხლის ცეცხლი არის ნათელი.

ცნობილია სტოელთა ცეცხლი, მსოფლიო ცეცხლი, ინდური რელიგიის ცეცხლი, ძველი აღთქმის ცეცხლი (ფსალმუნი, 96,3).

სიტყვა ცეცხლი ბიბლიაში ფიზიკური და ზესთაბუნებრივი მნიშვნელობისაა. სიცოცხლე სინათლეა, ღმერთი – ნათელი, იესო ქრისტე არის ნათელი – ნათელი ნათელთა, სულიწმიდა არის ნათელი. არსებობს მოქმედი და ჩამქრალი, შთანმთქმელი და საშიში, ერთგული, მარადი, უმანკო, ნაზი, სიყვარულის, საიდუმლო და კიდევ მრავალნაირი ცეცხლი.

ცნობილია სიყვარულის ცეცხლი „ქებათა ქებაში“, სანსკრიტულ, სპარსულ, ქართულ მწერლობაში. ცეცხლი და წვა დაკავშირებულია სულებთან და მას აქვს ზნეობრივი მნიშვნელობაც (ვიქტორ ნოზაძე, „მზისმეტყველება“, 194–196).

ცეცხლი ტ. გრანელის შემოქმედებაში, ერთ შემთხვევაში, პოეტური ტემპერამენტია, ლექსით, უზენაესით წვა: „და სულს ცეცხლისკენ მივყავართ თროლვით“, „ცეცხლი მსგავსია ჩემი ფიქრების“, „და იწვევს გაოცებას შორეული ალები“, „მე ჩემი ცეცხლი ისევ მაოცებს“, „და ეს გული უცნაურად იწვის“, „სხვაგვარი ანთება“, „სულის ცეცხლი“, „ცეცხლიანი სურვილი“, შენ იწოდი, „ანთებული გრძნობა“. მერე გლობალურად იზრდება ამ ცეცხლის სინათლე: „მე – მზე ანთებული“.

ასეთივე დიდი ძალისაა ტ. გრანელის „მსოფლიო სევდის ცეცხლი“.

„სიშორის ცეცხლი“ ღმერთის მიუწვდომლობის დარდია.

სიყვარულის ცეცხლია: „და ცეცხლივით მწვავს ფიქრი სიშორეზე“, „გრძნობის კოცონი ისევ ძლიერდება“.

სიყვარულის ცეცხლიც აენთება ყველას დასანახად: „მე შენზე ფიქრით ბევრჯერ ავენთები“.

„უფროა გრძნობა, უფრო ანთება“ – ამბობს პოეტი, რომლის გულში მართლაც გაუნელებელი ცეცხლი ენთო.

„მე ასე ვიწვი დიდი ხანია“, „ჩემი გული იწვის მწუხარე გრძნობით“, ასეთი დიდი დარდის, ტკივილის ცეცხლი გამოარჩევდა ტ. გრანელს. „ცეცხლის რკალები“, „წითელი ფერების კორიანტელი“ ეხვია პოეტს. „მუსიკის ცეცხლიც“ ედებოდა გულზე.

და „ცეცხლი საიდუმლოც“ იყო ზოგჯერ, როგორც მისი ტკივილები თუ გამწარება.

ამ გამუდმებულმა წვამ, გაუნელებელმა პოეტურმა ცეცხლმა შესძინა ტ. გრანელის პოეზიას თაყვანისმცემლები, მარადიულობის ძალა: „უკვე იწამეს ჩემი გენია და ჩემი ცეცხლი დაუშრეტელი“, ცეცხლის დროებითი მინელების შემდეგ „ისევ ანთების“ უნარი: „და ვიცი, ისევ რომ ავენთები“.

თავისებურია და გამორჩეული ტ. გრანელის „სულის ცეცხლი“.

ცეცხლი ღმერთის სიმბოლოა ბიბლიაში, ჰიმნოგრაფიაში, ღვთისმეტყველებაში: „უფალი ღმერთი არის ცეცხლშემცველ“ (გამოსვლათა, 360, 122). „სახე უფლისა ვითარცა ცეცხლი

მოტყინარე“ (გამოსვლათა, 180, 16). ქრისტე არის „ცეცხლი უვნებლად განმანათლებელი“ (პეტრე იბერი, ფსევდო დიონისე არეოპაგელი „შრომები“, 1961 წ. გვ. 108).

ტ. გრანელთან „ცეცხლის“ ცნება ღმერთის სიმბოლოდ ფიგურირებს „შორეული ალების“, „სიშორის ცეცხლისა“ და „ღამის ცეცხლის“ სახით: „ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს, არ მინდა გული სამარეს მივცე, მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან, მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ“; „ვარდისფერი ოცნება ქარზე შეიმოსება და იწვევს გაოცებას შორეული ალები“, „ღამის ლანდი მე ფანჯრიდან ვნახე, ღამის ცეცხლი ეკიდება თვალებს“.

„შორეული მიზანი“ ხშირად ფიგურირებს ტ. გრანელის ლექსებში და მის ქვეტექსტებში მხოლოდ და მხოლოდ ღმერთი უნდა იგულისხმებოდეს: „ფიქრიდან ვხედავ შორეულ მიზანს“, დღესაც ვეტრფი მე შორეულ მიზანს“, „და ღრუბელივით ვხედავ ახლა შორეულ მიზანს“.

„შორეული ფიქრის“ მოლოდინშიც ღმერთის მოვლინება იკითხება: „აქაც შორეულ ფიქრს ველოდები“, „ჰა, საღამოა შორეულ ფიქრის“.

„შორეული ოცნებაც“ ამ სიმბოლური სახის ვარიაციაა: „შენ, შორეულო ჩემო ოცნებავ, მომეცი ფრთები და გამაფრინე“.

„შორეული სიმწუხარეც“ იდუმალი სახეა: „ის ალბათ თეთრი თოვლია სადღაც, ის შორეული სიმწუხარეა“.

ბიბლიაში ღმერთი ადამიანებს „ცეცხლის სვეტისა“ და „ღრუბლის სვეტის“ სახით ევლინებოდა: „ხოლო ღმერთი უძღოდა მათ დღისი უკუე სუეტითა ღრუბლისათა, ჩუენებად მათდა გზასა, ხოლო ღამე – სუეტითა ცეცხლისათა“ (გამოსვლათა 169, 21).

ტ. გრანელთან თეთრი, ფერადი „შორეული ღრუბლის წვიმად არის“ ღმერთის სახე ტრანსფორმირებული: „და ეცემოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“, „მიმზიდველია თეთრი ღრუბელი შორს მიმავალი“, „ვხედავ შორეულ ღრუბელს“. ღრუბელი – სულიწმინდის სიმბოლოა გრ. ნოსელისთვის, ბერძნულ ლიტერატურაში კი იგი მარიამს გულისხმობს (ზ. გამსახურდია).

სასულიერო პოეზიაში მარიამს ეწოდება „სულ მცირე ღრუბელი“.

ტ. გრანელი მუდამ გრძნობდა „შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს“.

ნეტარი ავგუსტინე ასე მიმართავს ღმერთს: „ღმერთო, ახლოს ხარ იმათთანაც კი, ვინც შორს წავიდა შენგან“.

უფალო, რომელი ჰგიებ მაღალთა შინა და, ამავე დროს, ახლოსვე ხარ“, „უშორესი და უახლოესი“ („აღსარება“, 184, 296).

დამთხვევა ინტერესების ერთგვარობით, სულიერი სიახლოვით აიხსნება.

პოეტის გასვენების დღეს აიშლებიან „ფერადი ღრუბლები“.

ძველ და ახალ აღთქმაში ფიგურირებს „სიცოცხლის ხე“ და „ცნობადის ხე“.

ამ სახის გრიგოლ ნოსელისეული კომენტარი ასეთია: „ხე ცხოვრებისაი, ვითარცა ხატებაი ღმერთისა“ („კაცისა აგებულებისათვის“, 1964 წ. გვ. 190).

ჰიმნოგრაფიაში გაიგივებულია „სიცოცხლის ხე“ და „ცნობადის ხე“ და ორივე უკავშირდება ქრისტეს.

სიცოცხლის ხის სიმბოლოა ალვა, პალმა, კიპარისი, ჩინარი (ზ. გამსახურდია), ვაზი (რ. სირაძე, ე. მეტრეველი, გ. მურღულია), ნაძვი (ა. ბაქრაძე).

ტ. გრანელის პოეზიაში მოიპოვება ამ ცნების როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული სახეები.

ზოგადია „შორეული ხე“, ღმერთის სიმბოლოდ ჩაფიქრებული: „აქ მტრებია ირგვლივ, იქ შორეული ხე, მოვა თეთრი ფიფქი და სიხარულის დღე“.

პოეტს „შორეულ ხედ“ მოლანდებულ ღმერთთან გამუდმებული „კონტაქტი“ აქვს: „ხე შორეული ისევ იქ იცდის და ჩემს გარშემო სხვები არიან. ეს დღე მაღვიძებს სიხარულისთვის, დღეს ისევ მზეა და დღეს დარია“.

ეს ხეები სიმბოლურ კონტექსტში ფიგურირებს ტ. გრანელის პოეზიაში: „ღუნავს ქარები ალვას, ელავს მუსიკის ხმები“, „თავზე მადგას კიპარისის ტოტი და საღამოს ვარდისფერი ზეცა“, „შენ მიდიოდი ნისლიან გზაზე და კანკალებდა რტოები ვაზის“, „იყო ღრუბლიან დღის მდუმარება და მოლოდინი მაღალ „ნაძვების“, „და ნაძვის ტოტებს ვხედავდი იქით და მოელოდე ყოველთვის სიკვდილს“, „ეს მაღალი ჩინარი აქ წამებას განიცდის“.

„შორეული ხის“ ვარიაციაა „მდუმარე ხე“: „ყვავილებია და კვლავ სიშორე და ჩემს წინაშე მდუმარე ხეა და ჩემს გარშემო ფიქრი ირევა“...

„შორეული ბაღი“ აგვირგვინებს ამ სახეს: „სდუმს სადღაც ბაგე შორეულ ბაღში“.

ამ ასპექტის ხილვებია „ცისფერი ბაღი“, „დილის ცისფერი ბაღი“, „უხილავი ბაღების წყურვილი“...

ქარის მრავალნაირი ვარიაცია გვხვდება ტ. გრანელის პოეზიაში, რომელთაგან უმთავრესია „შორეული გრიგალი“, „შორეული ქარი“, სულიწმიდის, შთაგონების ქარი: „ეს ცა, ეს ყოფნა ხომ სიზმარია, ისმის ძახილი შორეულ ქარის, ქარი და წვიმა მოვიდა ერთად“.

ქრისტე ღმერთის ტრადიციული სიმბოლოა ვარსკვლავი. იოანეს გამოცხადებაში ქრისტე ამბობს: „მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი და ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“ (თ. 22, 7).

ტ. გრანელი ერთმანეთის გვერდზე იყენებს „ვარსკვლავისა“ და „მარადისობის“ სახეს: „ეხლა მე ცას ვუცქერი, ცაზე ანტებულია ვარსკვლავები, სიმბოლო თეთრი მარადისობის“ („მემენტო მორი“).

სხვაგან „თეთრი ვარსკვლავები“ და მისი „სხივებია“ აქცენტირებული: „თეთრი ვარსკვლავი კაბადონზე რომ გამოჩნდება, მისი სხივები მსურს შევკონო ბრილიატებად“.

„შორეული ვარსკვლავი“, რომელზედაც ამბობს, „მიღვიძებს გულში სხვანაირ იმედსო“, ღმერთის სიმბოლოა, ამიტომაც ადიდებს მას: „დიდება შენ, შორეულო ვარსკვლავო, დიდება შენ!“ ასევე ღმერთს ეწოდება „ბედის ვარსკვლავი“.

ტერენტი გრანელის პოეზიაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე არანაკლებ ორიგინალური და თავისებური სახე „ქალის ნუგეში საიდუმლო ქნარებით“: „დავრჩი ბედის კუთხეში, ბრბო მიცქერის უხეში, მოვა ქალის ნუგეში საიდუმლო ქნარებით. მირაჟების კრებული არის გათეთრებული და მე გაფითრებული შენსკენ მოვექანები“.

„ქნარი“, კერძოდ, „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარი“, გვხვდება სასულიერო პოეზიაში.

„დაუჯდომლის“ თანახმად, მარიამი „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარია“: „გიხაროდენ ქნარო სიტყვიერთა ცხოვართაო“.

გურამიშვილი იმეორებს ამ სახეს: „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარო“, რაც ნიშნავს მაცხოვრის, ქრისტეს დამბადებელს“ (ტ. მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები“, თბ., 1989 წ. გვ. 242).

სულხან–საბა ორბელიანის მიხედვით, ქნარს ორგვარი მნიშვნელობა აქვს, ერთი გაგებით იგი ჩანგია, მეორე გაგებით – ვარსკვლავი. („სიტყვის კონა“, 1949 წ. ს. იორდანაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, 1949 წ., გვ. 373). ასეა ეს სახე გაგებული ს. ცაიშვილის მიერ „ქართული პოეზიის“ I ტომის წინასიტყვაობაშიც.

თუ „ქნარის“ მეორე გაგება გავიზიარეთ, მაშინ „საიდუმლო ქნარი“ „საიდუმლო ვარსკვლავს“ ნიშნავს, ვარსკვლავი კი ქრისტეს სინონიმია.

რაც შეეხება ტ. გრანელის ფრაზის პირველ ნაწილს – „ქალის ნუგეშს“, ქრისტეც და მარიამიც კაცობრიობის ნუგეშია და ამ კონტექსტში იგი „საიდუმლო ვარსკვლავის“ – ქრისტეს დედაა, ცოდვილი ადამიანების იმედი და ნუგეში.

სხვაგან „ნუგეშის“ ქვეტექსტში ქრისტეს სახე იკითხება: „ჩამქრალ თვალებით ნუგეშს ვეძებდი, ვეძებდი ნუგეშს და მიხაროდა“.

საანალიზო ლექსში „საიდუმლო ქნარების“ პარალელურად ღმერთის სახელად ფიგურირებს „საოცრების წარსული ეშაფოტზე ასული“, „შორეული ალები“ და „უფალი“.

„თეთრი ფიქრიც“ ღმერთია: „მოვა თეთრი ფიქრი და სიხარულის დღე“, „თეთრი ფიქრებით დაფრინავ იქაც“.

ასეთივეა თეთრი ოცნება: „დუმილი არის თეთრი ოცნების. ღამეა ქარის და საოცრების“.

„მე შენ მშიოდი და მწყუროდი, ჭეშმარიტებავ“, „მე შინაგანი საზრდო მშიოდა, შენ მშიოდი, ღმერთო ჩემო“ ამბობდა ნეტარი ავგუსტინე („აღსარება“, 1985, გვ. 150, 153).

ტ. გრანელი კი ასე ეხმაურება უშორეს წინაპარს: „ზეცა მწყურია და მიწა მშია“.

ღმერთი ნეტარი ავგუსტინესთვის არის „უშორესი და უახლოესი“ ერთდროულად, ტ. გრანელისთვის ასეთივე მახლობელია მარადიულ ცაში დამკვიდრებული უზენაესი: „მე ყოველთვის ვგრძნობ შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს“.

„ძველი ფიქრიც“ ღმერთია: „ეს ფიქრი ძველი, ცივი, ვით რკინა“, „ძველი ფიქრები ისევ დგებიან, ალბათ ასეა ნება განგების“, „წმინდა, ცისფერ ფიქრსაც“ ანალოგიური ადრესატი აქვს: „ცისფერია ფიქრი წმინდა“.

„საიდუმლოსთან“ დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს „საიდუმლო ფიქრი“, „დილის ფიქრი“, „თეთრი ფიქრი“ და „საიდუმლო ოცნება“.

„საიდუმლო დღე“ ქრისტეს სინონიმია „დავითიანში“ (ტ. მოსია).

ტ. გრანელის ზემოთხსენებული სახეები შესაძლოა დ. გურამიშვილიდან მომდინარეობდეს და მიემართება ღვთაებას: „და საიდუმლო ფიქრი გეწვია“. „დილის ფიქრის“ მოლოდინი ღმერთის მოლოდინია: „ქარში ერია ფიქრი დილების“. ასეთივეა „მაღალი ფიქრი“, „ფარული ფიქრი“, „მე კიდევ ბევრი ღამე ვათიე და მოდიოდა ფიქრი ფარული“, „და ისევ მოდის მაღალი ფიქრი“.

ლექსში „მწუხარე მელოდია“ ღმერთის რამდენიმე სიმბოლური სახელია: „საოცრების ლანდები შენს წინ გლოვას ანთებენ, როგორც ბრილიანტები საიდუმლო ოცნებით“.

„საოცრებაზე“ წინა გვერდებზე ვისაუბრეთ, მისი ვარიაციაა „საოცრების ლანდები“ და ნიშნავს უფალს.

ამ სტრიქონებში ინტერესს აღძრავს „ბრილიანტები“ და „საიდუმლო ოცნება“.

ქართულ სასულიერო და სახოტბო პოეზიაში ძვირფასი ქვები სიკეთის სიმბოლოებია (ნ. ჯიშკარიანი), ასევე, სულიერი თვისებებისაც (გ. იმედაშვილი).

ნეტარი ავგუსტინესთან ღმერთია „მარგალიტი კეთილი“ (აღსარება“, გვ. 251), მიქაელ მოდრეკილთან წმინდანია „მარგალიტი მრავალსასყიდელი“. მარგალიტი სახელია წმინდა გიორგისა“ (ლ. კვირიკაშვილი).

ტ. გრანელის „ბრილიანტი“ ამ კონტექსტში მხოლოდ ღვთაებრივ სიწმინდეს შეიძლება გულისხმობდეს. ასევე საიდუმლო ოცნებასაც“ ვერ ეძებნება სხვა ჩანაფიქრი.

„სონეტში“ კი ნათქვამია: „ღამის აჩრდილი შეიმოსა ბრილიანტებით“.

სხვაგან: „ცის კაბადონზე ვარსკვლავები რომ გამოჩნდება, მისი სხივები მსურს შევკონო ბრილიანტებად“...

ეს ბრილიანტებიც და მისი სხივებიც სიმბოლურია.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთი სულია, ტ. გრანელთან კი ყველაფერი, რაც სულთან არის დაკავშირებული (ოცნება, ფიქრი, იმედი, ნუგეში, ღვთაებრივად შეირაცხა.

ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოა „მზიანი ღამე“, შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის პოეზიის მიხედვით (ვ. ნოზაძე, თ. ბაგრატიონი, კ. ეკაშვილი, ზ. გამსახურდია, შ. ხიდაშელი, ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, ე. ხინთიბიძე, ტ. მოსია).

ტ. გრანელი ახერხებს ღვთაების ამ ორიგინალური მხატვრული სახის გამრავალფეროვნებას. პოეტს ღვთაება ევლინება: „ცისფერი ღამის“, „იდუმალი ღამის“, „ნისლიანი ღამის“ სახეებში.

რეალურ საღამოს მოწყვეტილი პოეტური სული „ცისფერ ღამისკენ“ – ღმერთისკენ მიისწრაფვის: „მწუხარე სახით მოვწყდი საღამოს და ახლა მივალ ცისფერ ღამისკენ“, „ჩემი მდუმარე ფიქრი ტყვეა ცისფერი ღამის“.

დიდი პოეტის ხვედრია ღვთაების შესაცნობად ხეტიალი „ცისფერ ღამეში“: „ელვარებს ისევ ცისფერი სარკე, მივილტვი ცისფერ სამყაროსაკენ. სიცოცხლე ისევ არ შეიძლება და ზეცა ცისფერ ღამეს იძლევა. ეს წამი მიდის, ფიქრია მეტი. ასეა დიდი პოეტის ბედი“.

სარკე ნეოპლატონური გაგებით, – სიმბოლოა სამყაროს გონებისა“ (ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანის სახისმეტყველება“, თბ. 1991 წ. გვ. 36).

„გონებამან დაფარულმან“ კი ღმერთია „ვეფხისტყაოსანში“ (ვ. ნოზაძე).

ბნელ ღამეს ყოველთვის „ცისფერი საღამო“ უპირისპირდება, როგორც სულიერებით, სიწმინდით, ღვთაებრიობით სავსე: „ახლა საღამო ხომ ცისფერია, (სადღაც ქარები მთაზე ტიროდნენ), მე დასვენება არ მიწერია, ყოველთვის მინდა რომ მივდიოდე“.

ვფიქრობთ, „წმინდა საღამოც“ ამ კატეგორიის სახეა: „საღამო – წმინდა, ქვეყანა – ქარი. ვარსებობ, მინდა სიცოცხლე წყნარი“.

„საღამოს ცისფერი ბინდი“ კიდევ ახალი ნიუანსით ამრავალფეროვნებს ამ სახეს.

„იდუმალი ღამე“ ღმერთია და იგია პოეტის ნუგეში: „ისევ მოვა იმედების გროვა, ისევ მოვა იდუმალი ღამე“.

„საღვთო ნისლში“ შეღწეული პოეტი „ცისფერ სინათლეს“ წვდება სულის თვალებით: „ახლაც უიმედო წამია. წუხელ გაფრენა ვინატრე, გულში ნისლიანი ღამეა, სულში – ცისფერი სინათლე“.

„უცხო ღამეც“ ამ ასპექტის სიმბოლოებს ავსებს: „სევდიან სარკეში და უცხო ღამიდან სანთლებით მისდევენ ყვავები ამ აპრილს“ („ფარული ვედრება“).

„ცისფერი თოვლი“ ღმერთის სიმბოლოა (ამაზე ქვემოთ), ხოლო ზეცის „თოვლიანი ღამე“, რომელსაც სიხარული მოაქვს პოეტისათვის, ღმერთის კიდევ ერთი ახალი მხატვრული სახე: „დღეს მიხარია ღამე, მაღლა ზეცისკენ მივქრი და თოვლიანი ღამე და თოვლიანი ფიქრი“.

„თოვლიანი სულიც“ და „დათოვლილი სანთელიც“ ამ ტრადიციის შემოქმედებით გამრავალფეროვნებაზე მიგვანიშ-ნებს. ასეთად გვესახება ფრაზა: „ნოემბერია, სულში მოთოვა, საღამო ისევ ზეცას მოება“, „ჩემს სულში სევდა თოვლივით ელავს“, „და შენი სული თითქოს თოვლია“.

„ძველი დღე“ ღმერთია ბიბლიაში, არეოპაგელთან, ჰიმნოგრაფიაში.

„ახალი დღე“ – მესიაა, მაცხოვარი (დ. გურამიშვილთან არის „გრძელი დღე“ – (ტ. მოსია).

ტ. გრანელთან გვაქვს ამ სახის ტრანსფორმირებული გვარიაცია. „ახალი დღის“ (ქრისტეს) შესატყვისია მისი „თეთრი დღე“, „თეთრი დღეები“ ღვთით სავსე არსებობაა, რაც სიცოცხლის სიყვარულს განუმტკიცებს პოეტს: „თეთრი დღეები მარად ივლიან და მე სიცოცხლის აზრი ვიწამე“.

სხვაგან არის განსხვავებული კონტექსტი. უკვე მივუთითეთ, რომ „მფარველი თვალი“ ღმერთის სინონიმია. ასევე არის გამოყენებული ეს მიგნება განსხვავებულ კონტექსტში: „დღე თეთრი თვალია“.

„ფარული დღეც“ ღმერთია, რომელიც რეალურ შავ დღეს უპირისპირდება:

„ფიქრი და შავი დღეთა კრებული... და ვარ ქვასავით გარინდებული. დღეა ფარული და მეც ეს მინდა, ქრის სიხარული ისევ ლექსიდან“.

„იდუმალი დღეც“ ანალოგიური აზრისაა: „იდუმალია ეს დღე მზიანი“. ასეთივეა „წმინდა დღე“: „და გადიან ეს დღეები წმინდა“...

„ოქროსფერი დღეც“ ამ რიგის ხილვებს ავსებს: „იდგა ოქროსფერი დღე“ (შდრ. გალაკტიონი: „დღე წამოიჭრა ოქროსთმიანი, დღე ახალგაზრდა და გამბედავი“).

„მზიანი დღე“ ღმერთის შთაგონებით სავსე დღეა: „მზიანი დღეა, გულს ამოვიტან და ისევ მოდის დღე აღელვების“. „მზიანი დღის“ ადრესატი ღმერთია დ. გურამიშვილის პოეზიაში (ტ. მოსია).

„სიხარულის დღე“ წარსულში რომ კრთოდა და მოგონებაში ელავს, პოეტის მარადიული უფლის სახელია: „ვუმზერდი სანთელს და მომაგონდა დღე სიხარულის რომ კრთოდა წინათ“.

ამ „სიხარულის დღის“, „თეთრი ფიქრის“ (ამ სახის ადრესატიც ღმერთია), მოლოდინია პოეტის მთელი ცხოვრება: „მოვა თეთრი ფიქრი და სიხარულის დღე“, ასეთივეა „სიხარული დილის“ („სიხარული დილის ოდესმე იქნება“).

„თეთრი დღე“ და „ვარდის დღე“ ამ ტრადიციის უსასრულოდ და შემოქმედებითად განვითარების დასტურია : „და დღეა თეთრი და დღეა ვარდის“.

„ძვირფას დღეებთან“ დაშორების სევდა დროით არის ახსნილი: „და ძვირფას დღეებს დრომ დამაშორა“.

დანიელ წინასწარმეტყველის, არეოპაგელის მიხედვით „ძველი დღე“ მამაღმერთია, „ახალი დღე“ – ძე ღმერთი. ტ. გრანელი შემოქმედებითად იყენებს ამ სახეს.

ნუგეშივით „სიხარულიც“ ღმერთის რანგშია აყვანილი: „ისევ სიხარულს ვეძებ“. „და მოვიდა სიხარულის წამი დიდი ტანჯვის და წამების შემდეგ“, „ეს დღე მაღვიძებს სიხარულისთვის“. სახარებაში ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა 2, 10).

პოეტის იდეალია აგრეთვე „სხვა იმედი“, „სხვანაირი სიცოცხლე“.

ზეციური ვარდი, ყვავილი ხან მარიამის, ხან ქრისტესა და ანგელოზების სიმბოლოა ბიბლიაში, ჰიმნოგრაფიაში. ტ. გრანელი ამრავალფეროვნებს ამ სახეს, აქცევს მას ღვთაებრიობის, ჭეშმარიტების, სულიერების სიმბოლოდ და ათავსებს სულში: „ღამე ასე გაივლის და ლანდები სულვილთა, და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“, „ციდან ცისფერი ყვავილი ცვივა“, „და მაღლიდან ქრისტე ყვავილს ისვრის“, მერე დაკონკრეტებულია მისი სახე: „ეს არის ცისფერი ზეცის

ყვავილი – მიმოზა“ (შდრ. გალაკტიონი: „მწყუროდა ცისფერი ვარდები“).

„სხვა ზეცის“, „სხვა ქვეყნის“, „ცისფერი ქვეყნის“, „ცისფერი სამყაროს“, „სხვა ძალის“, „სხვა პლანეტის“ ძიება სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის, ღვთაებრივი მშვენიერების ძიება. ღმერთი და პოეზია, ზეცა და ლექსი კი ერთია ტ. გრანელისთვის და ეს იდეალი ზოგადად სხვა პლანეტების სახეშია პერსონიფიცირებული: „ეს ოცნება სხვა პლანეტას მისდევს“, „რა ვქნა, ისევ სხვა პლანეტას ვეძებ“, „მე ისევ ვფიქრობ სხვა პლანეტაზე და სიკვდილს უდრის ეს დაფიქრება“. მერე ებადება სურვილი თავის წიგნს უწოდოს „პოეზია პლანეტების“, ანუ ღვთაებრივი და მარადიული.

„სიტყვა“ იოანეს სახარებაშივე ისახება საღმრთო სახელად: „პირველითგან იყო სიტყუაი და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“ (იოვანე, 544, 1).

ტ. გრანელის ენიგმურ პოეზიაში არც „სიტყვას“ აქვს ჩვეულებრივი გაგება, ის ღვთის სიმბოლოა: „მჭირდება სიტყვა, ვით წყალი თევზებს“ („მოვა საღამო“).

„წყარო“ ღმერთის სიმბოლური სახელია.

დავითის ფსალმუნებში უფალი გააზრებულია, როგორც „წყარო ცხოვრებისა“ (178, 10). ასეა ჰიმნოგრაფიაშიც.

ტ. გრანელის პერიფრაზირებით, უფალი არის „ბედის წყარო“ (შდრ. ხალხური „უკვდავების წყარო“).

ხშირად იდუმალების ფრთები შრიალებს ტ. გრანელის ლექსებში. ასეა ეს „ხსოვნის სიმაღლეშიაც“. ვარდის გაუჩინარება, ბედის წყაროდან მოსმენილი გლოვის ხმები და ნუგეშის ძიება, იდეალის ტრაგიზმი და ამაღლებულის ძიების სიხარული, ღმერთის ნუგეში ერთადაა ლექსში: „ახლოს არ დარჩა ვარდი არც ერთი და გლოვა კრთოდა ბედის წყაროდან, ჩამქრალ თვალებით ნუგეშს ვეძებდი, ვეძებდი ნუგეშს და მიხაროდა“. („ხსოვნის სიმაღლე“).

პოეტი ეძებდა „საგნების გაღმა“, „სულის გადაღმა“, „ლოცვის გაღმა“, ანუ ჩვეულებრივი მოკვდავისათვის დაწესებული საზღვრების გადალახვას ცდილობდა და მისი იდეალი იყო „ცისფერი წვიმა“ („არის ფიქრები ცისფერ წვიმაზე“), „ცისფერი თოვლი“ („არის ცისფერი თოვლი თეთრი ლოცვების გაღმა“), „კანდელი“ („სულის გადაღმა ელავს კანდელი და

განსაცდელი შორეულ რიცხვის“), „ცისფერი ყვავილი“ („და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“).

ღმერთის სიმბოლოდ გვესახება ტ. გრანელის „ცისფერი წვიმა“: „არის ფიქრები ცისფერ წვიმაზე, არის ძვირფასი ქალის პირობა“.

მსაჯულთა და ფსალმუნის წიგნებში „წვიმა“ და „ცვარი“ მაცხოვრის სიმბოლოა: „გარდამოხდეს ვითარცა წვიმაი საწმისსა ზედა და ვითარცა ცუარი რაი ცურინ ქვეყანასა ზედა“ (ფსალმუნი, 71, 6). აქ იგულისხმება ღმერთი, რომელიც გარდამოხდება ციდან და იხსნის ქვეყანას, როგორც წვიმა და ცვარი – გვალვისგან გამხმარ მიწას. „ალეგორიულად აქ „საწმისი“ მარიამ ღვთისმშობელია, ხოლო „წვიმა“ და „ცვარი“ მაცხოვარია. სასულიერო პოეზიაში ასეა ახსნილი ეს „იგავი“...

მაცხოვრის სახელად ცვართან ერთად წვიმაც გვხვდება სასულიერო მწერლობაშიც და „დავითიანშიც“ (ტ. მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებსა და პოეტიკის საკითხები“, თბ., 1989 წ., 193-194).

ვფქრობთ, ეს ბიბლიური წყარო დაედო საფუძვლად ტ. გრანელის „ცისფერ წვიმას“. როგორც ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ვნახეთ, „ცისფერი“ მრავალ კონტექსტში ფიგურირებს ღვთაებასთან დაკავშირებით მის ლექსებში და ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში ქრისტეს ტრადიციულ სიმბოლოს „ცისფერის“ ნიუანსი წაამატა პოეტმა (ანალოგიისათვის: გალაკტიონთან „ცისფერი ღვინო“ მიგნებული სახეა და მისი ადრესატი ღმერთია. „ცისფერი“ რომანტიკოსებისა და სიმბოლისტების საყვარელი ფერი იყო და ისინი საერთო წყაროს ეწაფებოდნენ ამ შემთხვევაში).

„წვიმასთან“ დაკავშირებით საინტერესოა ვაჟას „წვიმა“ და გალაკტიონის „მსოფლიო წვიმა“.

ტ. გრანელთან „შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“ მოვლინებული წვიმა სიმბოლურად ღვთაებაზე მიუთითებს: „და ეცემოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“.

„ცისფერი წვიმის“ პარალელურად, ტ. გრანელთან ფიგურირებს „ცისფერი თოვლი“, ლოცვით, ვედრებით, თვითგვემით მოახლოებული ღმერთის ახლებურ სახელად: „არის ცისფერი თოვლი თეთრი ლოცვების გაღმა, სული ფარული თრთოლვით მისდევს სიზმრების დაღმართს“.

მერე ეს თოვლი სულში ისადგურებს: „ჩემს სულში სევდა თოვლივით ელავს“, „სული თოვლია“.

ეკლესია ქრისტეს სხეულია ახალი აღთქმის მიხედვით, ტ. გრანელთან კი ეკლესია და სიმბოლური თოვლია გაიგივებული: „დგას საფლავების მწვანე სიმშვიდე და ეკლესია თითქოს თოვლია“. თოვლის სახეში პერსონიფიცირებული ღმერთი უნდა იგულისხმებოდეს სტრიქონებში: „ის ალბათ თეთრი თოვლია სადღაც, ის შორეული სიმწუხარეა“.

ღამეც (მრავალი ნიუანსით), თოვლიც, ნისლიც, წვიმაც, ცეცხლიც საღვთო სახელებია ტერენტი გრანელის პოეზიაში და, ბუნებრივია, განღმრთობილი პოეტი თვით არის ყოველივეში:

„დავდივარ ღამით და ვარ თოვლი და მე ვარ ნისლი და მე ვარ წვიმა, და სულს ცეცხლისკენ მივყვავარ თრთოლვით, ისე ვარ, როგორც ვიყავი წინათ“ („ზამთრის მოახლოება“).

სახარების მიხედვით, ქრისტე არის „ჭეშმარიტება“, „ცხოვრება“, „გზა“: „მე ვარ გზაი და მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი“ (იოვანე, 602, 6).

ტ. გრანელთან „გზის“ ეპითეტია „შორეული“, „სწორი“, „წმინდა“, „სხვებიც ფიქრობდნენ შორეულ გზაზე და მიდიოდა საღამო ციდან“, „იშლება ფიქრი და გზები შორი. ეს წმინდა შარა, ეს წმინდა ქვები“...

„პოეტის „მესამე გზა“ უკვდავების გზაა და მას „დაბრუნება“ ჰქვია, დაბრუნება სულთა სამყოფელში: „ნაწვიმარია, სძინავს ბუნებას. ცა სიზმარია, გზა – დაბრუნება“.

დიონისე არეოპაგელის მიხედვით, ღმერთი არის „უხილავი“, „უსახელო“.

არა ხილული, არსებული, არამედ „უსახელო“ ენატრება ტ. გრანელს: „ახლა რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა, უსახელო“ („მემენტო მორი“).

ახალი აღთქმის მიხედვით, „ხილული წარმავალია, უხილავი კი წარუვალი“ (პავლე მოციქული).

ამ უხილავს, მარადიულს მიელტვის ტ. გრანელი: „ბედს გავურბოდი და გული გავხსენ და ვსაუბრობდით ჩვენ უხილავზე“, „ვფიქრობ შორეულზე, ვფიქრობ უხილავზე“.

უხილავ მხარეს, საღვთო ნისლს იგულებს ზეცაში ტ. გრანელი: „იქ უხილავი მხარე მიცდიდა და ნისლიანი უსაზღვრო სივრცე“.

უხილავია „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი: „ვინ არს ძალი უხილავი“.

ღმერთის ყველაფერში განფენილობის იდეას ასე გამოხატავს ტ. გრანელი: „უხილავია ალბათ ხილულში“.

„უხილავად“ სახელდებულ საქართველოში მისი ღვთაებრივი სული უნდა იგულისხმებოდეს: „სიონში ვუსმენ ქართულ გალობას და ვიგონებ საქართველოს, როგორც უხილავს“.

საღვთო სახელია „იდუმალი“, „იდუმალი ძალა“.

ტ. გრანელი უდიდეს ინტერესს ავლენს ამ ცნებისადმი: „სადღაც სუფევს იდუმალი ძალა“, „სული ტყვეა იდუმალი ძალის, „სად მალავს ბუნება იდუმალ ძალას“, „და ის ყოველთვის იდუმალია, რაც ჩემში იწვევს აღფრთოვანებას“, „მესმის შორალი იდუმალ ძალთა და იდუმალი წამები ქრიან“, „იდუმალ მხარეების გრიგალი“.

„ერთი“ ღმერთის სახელია („ღმერთი ერთ არს“) (წიგნი სიბრძნისა, 56, 27).

ტ. გრანელი პოეტობას განღმრთობის გზად თვლის და აიგივებს ღმერთს და პოეტს: „პოეტი არის ყოველთვის ერთი, პოეტი არის ყოველთვის ღმერთი“, „და ვარ ისევ ერთი“... „ეს ჩემი სული მუდამ ერთია“.

„პირველიც საღვთო ატრიბუტია: „მე ვარ, მე – პირველი და მე ვარ უკუნისამდე“ (ესაია, 132, 12).

პოეტი ახდენს ამ ცნების აქცენტირებას: „არ უნდა ფიქრი, პირველი მე ვარ; მე – პოეზიის უმანკო მსხვერპლი“.

პოეზიას, როგორც ღვთაებრივ ფენომენს, საღვთო სახელები მიემართება: „პოეზია რა არის გარდა იდუმალების... უსაზღვრობის, მარადისობის“...

ტ. გრანელთან „ადამის ძე“ღმერთის ძედ იქცევა და თეოზისის საშუალებაა პოეზია. ამიტომაც გამოცხადებისთვის ლოცულობს: „წამი აღმაფრენის და ფიქრი ნაჩვევი. ღმერთო, გამაფრინე და ქრისტე მაჩვენე“. („ლოცვა გაფრენისთვის“). „ამ მაღლობზე ველოდი ქრისტეს გამოცხადებას, შემდეგ თეორმა სიჩუმემ ის იმედი წაიღო“.

მერე თვით პოეტი გარდაისახება სისხლიანი სამარიდან გამოსულ ქრისტედ: „ტერენტი გრანელი მოდის სისხლიანი სამარიდან. იქნებ ის იყოს ქრისტე მეორედ მოსული“.

ქრისტიანული ზნეობა ორგანული აღმოჩნდა ქართველი კაცის ბუნებისთვის და შემთხვევითი სრულიადაც არ არის,

რომ გალაკტიონი „ახალი ღმერთია“, ჯვარზე გაკრული ქრისტეა, ტ. გრანელი – სისხლიან სამარიდან ამოსული იესო, ქართველი ერიც ჯვარცმულია უფალივით, რომელიც ელის აღდგომას.

გამუდმებით უფლის სამსჯავროს წინაშეა პოეტი და არა უკეთურთა გავლენის ქვეშ: „მე და მზე“, „მე და ღმერთი“... „მე და ცისფერი ქვეყანა“...

იგი სამყაროს ცენტრში გაიაზრებს თავის თავს: „მე ვარ და დუმილია და ცისფერი ქვეყანა“, „ვიგრძნობთ სამყაროს მხოლოდ მე და მზე“, „მე და ვარსკვლავი“, „მე და თბილისი“, „მე ვარ პირველი“.

ეს მისი დიდი პოეტური ძალისადმი რწმენით, სულიერი ინდივიდუალობით, აზროვნების საოცარი პარადოქსულობით აიხსნება, მაგრამ პოეტური ლოგიკა ამართლებს ამ პარადოქ-სულობას.

საოცრებით და საიდუმლოებითაა სავსე ტ. გრანელის სუ-ლიერი ცხოვრება, მაგრამ მის სულიერ ინდივიდუალობას აქვს შესაბამისი ახსნა ფსიქოლოგიაში.

საერთოდ, „ინდივიდუალობა... ფსიქიური ცხოვრების განვი-თარების ნაყოფია“, რომელსაც უკავშირდება მიდრეკილება „უნივერსალობისაკენ“.

„ფსიქიური ცხოვრების შუაგულში; ერთსა და იმავე დროს, მრავალი ტენდენცია“ შეინიშნება, რომელნიც ძალიან ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს“, მაგრამ რომელთა შორის „ერთდროული ჰარმონიაც“ არსებობს.

„ადამიანი ერთს, არსებულს ორად აპობს და ორ ნაწილს შორის წყვდიადის უფსკრულსა თხრის. ერთი მხრივ, იგი თავის მეს აყენებს, მეორე მხრივ კი – მთელ დანარჩენ მსოფ-ლიოს, ადამიანი ამ მსოფლიოს ორად გაყოფის შემდეგ მთელ თავის ძალას, მთელს თავის ენერგიას იქითკენ წარმართავს, რომ მისგანვე ამოთხრილი უფსკრული თვითვე ამოავსოს, ან ხიდი გასდოს ამ უფსკრულზე და ის, პირდაპირ მდგომი მეორე მხარე, გარეშე მსოფლიო, ახლა მას დაშორებული, დაიახ-ლოვოს, მას შეუერთოს, იგი შეითვისოს. და ეს შეუჩერებელი მისწრაფება, ეს მარადიული მოთქმა ნებით დაკარგული ნახევრისთვის უცილობლად მჟღავნდება ადამიანის შემეცნებით მიდრეკილებაში... აქ, ამ ლტოლვაში ადამიანის ფსიქიკა საკვირველ საუნჯეთა სალაროს ჰგავს, უთვალავ

იდუმალ ძალებს ააშკარავებს, გონში ჩასავარდნ განვითარების უნარს იჩენს და ამით თავის ყოვლისშემძლეობას ერთხელ და სამუდამოდ გვიმტკიცებს“. (დიმიტრი უზნაძე, „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“, „შრომები“, IX, თბ., 1986 წ. გვ. 144-145).

ტერენტი გრანელის მთელი ცხოვრება და პოეზია ამ ორი ტენდენციის ჭიდილია. იგი ლაპარაკობს „გულის ნაპრალზე, კლდის ნაპრალზე, ცხოვრების ნაპრალზე, უფსკრულზე და შლის რა სამყაროს, მოვლენებს, ამავე დროს, მსოფლიო ერთიანობისკენ ისწრაფვის. ამისთვის სჭირდება მას ტიტანური პოეტური ძალისხმევა.

ზოგჯერ აღწევს ამ უნივერსალობას, უფროს ხშირად კი მათ შორის უფსკრული ამოუვსები რჩება და პოეტი იტანჯება.

ტერენტი გრანელის საღმრთო სახელებზე დაკვირვება ნათელს ხდის, რამდენად თავისებური, გამორჩეული და ერთადერთი იყო იგი ამ ასპექტით, რელიგიურობასთან ერთად, პოეტის ხილვები ამაღლებულობით, სულიერი ინდივიდუალ-ლობით იქცევს ყურადღებას.

როცა ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის კვლევის ორიენტ-ტირი ვულგარული მატერიალიზმი იყო, ბუნებრივია, მხოლოდ ხილული და ხელშესახები ამოიკითხებოდა ტერენტი გრანე-ლის პოეზიაში, მაგრამ აშკარაა, რომ რელიგიურ მოძღვრებაზე გვერდის ავლით შეუძლებელია ამ თავისებურ სამყაროსთან მისვლა.

ანა კალანდაძის ქრისტიანული სიმბოლიკა

ანა კალანდაძეს მოღვაწეობის დაწყება მოუხდა ტოტალიტარული ბოლშევიკური რეჟიმის, უღმერთობის, აგრეთვე ეროვნულობის, რწმენის წინააღმდეგ ცეცხლითა და მახვილით ბრძოლის პირობებში. იმპერიის ოფიციალური იდეოლოგია უხეში მატერიალური სამყაროს გაიდეალების, პრაგმატიზმის ბატონობის ხელშემწყობი იყო. იგნორირებული იყო სული, სულიერება, ლიტერატურის მისია იყო პარტიის პოლიტიკის მხარდაჭერა.

ანა კალანდაძეს არ უცხოვრია და არ უწერია პარტიული დიქტატით. მას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი უზენაეს საწყისებთან; მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან. პოეტის მსოფლმხედველობის ფორმირებაში გადამწყვეტი იყო ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, ცნობილ ღვთისმეტყველთა, მსოფლიოში აღიარებულ ფილოსოფოსთა, აგრეთვე ქართული თუ უცხოური კლასიკური მწერლობის პროგრესული ნააზრევი და არა სატანისტური მარქსიზმ–ლენინიზმი.

ბნელისა და ნათლის, კეთილისა და უკეთურის, ყალბისა და ჭეშმარიტის,მიწიერი თუ ზეციური სიბრძნის გამორჩევის უცდომელმა ალღომ, გულის, გონების ძალის ერთდროული გამძაფრების უნარმა პოეტი ტაძრისკენ მიმავალ გზაზე დააყენა.

ბიბლიასთან სულის თვალით მიახლებამ ანა კალანდაძეს შესაძლებლობა მისცა, გამუდმებით უზენაეს საწყისებთან ჰქონოდა კავშირი, მარადიული გადასახედიდან გაეზომა ღვთის სახედ და ხატად შექმნილი ადამის ნაშიერთა საქციელი, ცოდვის ტყვეთათვის შეეგონებინა ქრისტიანული ჭეშმარიტებები, უცილობელი განკითხვის საშიშროება და ისევ ზეცისკენ მიექცია „მიწას მიჩერებულთა“ მზერა. აქ პოეზიის უპირველეს მისიად ათეისტთა, კერპთაყვანისმცემელთა დაგმობა და რწმენისკენ მიბრუნება მიიჩნევა.

ანა კალანდაძის ლირიკის პერსონაჟის სული ხშირად ეჭვებით, შიშით, შურით ისერება. მისი შინაგანი სამყარო ერთდროულად ანგელოზ–დემონთა ბრძოლის ასპარეზი ხდება,

მაგრამ ეს ჭიდილი უფსკრულ–ნაპრალთა საშინელების წარმომჩენიც არის, რათა სიცარიელით შეძრწუნებულმა სულმა მთელი ძალით შეიზიზღოს უკეთურება და ქრისტესმიერი მორალით არსებობის მშვენიერება აღიაროს.

პოეტი ქალის დამახასიათებელია ფილოსოფიური, პატრიოტული თუ შემოქმედებითი კრედოს გააზრება საღვთო ჭრილში, რაც მთელ მის ლირიკას განუმეორებელი ხიბლით ავსებს.

უძველეს და უმდიდრეს წყაროებთან შემოქმედებითმა კავშირმა, ზეციური სიბრძნის გათავისებამ ანა კალანდაძეს შესაძლებლობა მისცა, გაემრავალფეროვნებინა საღვთო და საღვთისმშობლო სახეები, რაც დაშრეტილ–გაღარიბებული პროლეტარული კონიუნქტურული პოეზიის ლექსიკის გამდიდრებას, ახალი გზების პოვნას მოასწავებდა ქართულ ლიტერატურაში.

ანა კალანდაძის შემოქმედების ერთ–ერთი უპირველესი პრობლემაა ღმერთის, რწმენის უზენაესობის აღიარება, ამასთან ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიების ასახვა, რითიც იგი ჩვენი კლასიკური მწერლობის გზას აგრძელებს ორიგინალურად და წარმოგვიდგება, როგორც გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის უმრწემესი პოეტური და, დედოფალი მარადიული რელიგიური ლირიკისა.

ქართული კლასიკური საგალობლების უწმინდესი და გულში ჩამწვდომი ხმა გვესმის ანა კალანდაძის რწმენით სავსე ლექსებიდან.

ცნობილია, რომ მზე ძველი აღთქმიდან დაისახა უზენაესის სიმბოლოდ. ეს სახე მომდინარეობს ფსალმუნიდან: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 83/84, 13).

მალაქიას წინასწარმეტყველებაში უფალს ეწოდება „მზე სიმართლისა“, „ამოგიბრწყინდებათ, ...ღვთის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე“ (მალაქია წინასწარმეტყველი, თ. 3, 20).

ანა კალანდაძის შემოქმედებაში ღმერთი არის „მზე“, „მზეთ უდიდესი“ (ანას რჩეული, 1987, გვ. 189, შემდგომშიც ამ გამოცემით ვსარგებლობთ). დიდებული მზე (გვ. 68), სხივდაღვრილი მზე (გვ. 189), მაღალი მზის თვალი (248), განუწყვეტელი მზე (133), მზეი ცხოველი (202).

„საღმრთო სახელია ნათელი შეუქმნელი“. ანა კალანდაძის შემოქმედებაში მრავალგზის გვხვდება სიმბოლური ნათელი. პოეტი განარჩევს შექმნილ, ხილულ ნათელს და „ზეშთასინათლეს“, უხილავ ნათელს.

ღმერთის სიმბოლოდ ფიქსირდება პოეტის შემოქმედებაში მარადი ნათელი (256), ნათელი (194), ნათელი სასოების (195), ნათელი სული (152), ნათელთ ნათელი (194), ნათელი (188), სინათლე (2, იდუმალი ნათელი (188), სხივთა ნათელი (118), ლურჯი ნათელი (119), ნათელი მარადიული (126), ნათლის-მფენელი, ნათელი უხილავი (203), სინათლის მეფე (133).

საღმრთო სახელად მიჩნეულია ცეცხლი, რომელსაც მრავალგვარ ეპითეტებს ურთავენ მხატვრულ ლიტერატურაში.

ანა კალანდაძის ლირიკაში ყურადღებას იქცევს საღვთო ცეცხლის ვარიაციები: წმინდათაწმინდა ცეცხლი (გვ. 200), ცეცხლი დიადი (22, 209), ცეცხლი დაუშრეტელი (198), ცეცხლი ზეციოგარდამო (191), ცეცხლი უბოლო, ცეცხლი დაუსაბამო (25), წმინდა ცეცხლი (158).

განსაკუთრებით თვალში საცემია სიმბოლური სხივისა და შუქის სახეები, რაც მომდინარეობს ბიბლიიდან: „უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი, ვის შევუშინდე?“ (ფს. 26/27).

„ხალხები მოვლენ შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე“ (ესაია, 60,3).

ანა კალანდაძის ლექსებში ღმერთზე მიმანიშნებელი სხივი ახალ–ახალი ნიუნსებით მდიდრდება. სხვა სხივი (119). თვალმარგალიტის ელვარე სხივი, სხივი ციური უკვდავებისა (59), სხივი (189), გრძნეული სხივი (190), უხილავი სხივი (124), პირველი სხივი (147), სხივთა ნათელი (118), იმედის სხივი (285), ფარული სხივი (200), ზეგარდმო სხივი ()231), შუქი სასოების (220).

ღმერთის სიმბოლოა ანა კალანდაძის უხილავი (209, 187, 180) უცნაური, ზესკნელ–ქვესკნელთა უხილავი მბრძანებელი (110), იდუმალება (131), უსაზღვროება (288), უჩვეულო, საკვირველება (240), რომელთაც წყაროები ეძებნებათ ძველ და ახალ აღთქმაში, სასულიერო პოეზიაში.

საღვთო სახელია ვარსკვლავი. გამოცხადების მიხედვით, ქრისტე არის... „ვარსკვლავი განთიადისა, ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (იოანეს გამოცხადება, 22, 16).

ანა კალანდაძის ლექსებში ქრისტეს ეწოდება „ვარსკვლავი იგი სიხარულისა“ (194), ვარსკვლავი (156), ვარსკვლავი ჩვენი ბედისა (59), ღამეული ვარსკვლავი (189), ვარსკვლავი მარადის მრწემი (198), ცისკრის ვარსკვლავი (131).

სახარების მიხედვით, ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2, 10).

ანა კალანდაძე ახალ–ახალი ელფერით ავსებს ამ სახელს: სიხარულის თეთრი სინათლები (189), დიდი სიხარული (191), მოგიზგიზე სიხარული (188), სიხარულის მაღალი ტახტი (184), სიხარულთა უფალი (196), სიხარულის ვარსკვლავი, სიხარულის ლამაზი ტოტი (194), მზის სიხარული (196), სიხარული მაღალი (248), უჩვეულო სიხარული (210), სიხარულის ჟამი, სიხარული (137), ხატი სიხარულის (208), სიხარულის გვირგვინი (200), კარავი სიხარულისა (206), დიდი სიხარული (191), სიხარულის ენა (206), სიხარულის მძივი (115), უგრძნეულესი სიხარული (192).

ღმერთთან სიახლოვეს გამოხატავს ფრაზები: „თავს დამეღვარა მე სიხარული“ (192), „ვარსკვლავი იგი სიხარულისა ჩემს წილ მარადის აღავლენს ციალს“ (194), „თვით სიხარული იდგა ჩემს გვერდით“...

ქრისტე არის „სიხარულის ლამაზი ტოტი“ (194), „მიწიური სიხარული“.

იოანე მოციქულის მიხედვით, „ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლენი, I იოანესი, 4, 8).

ანა კალანდაძის ლექსში, „ყოველთა დიდი არს სიყვარული“ (გვ. 152).

ეს ფრაზა ეხმიანება პავლე მოციქულს: ...„რწმენა, იმედი, სიყვარული. მათგან სიყვარულია უმეტესი“ (I კორინთელთა, 14, 13).

ანა კალანდაძის ლექსში ქრისტე არის „ზეცისა და მიწის... სიყვარული“ („ცათა მაღალთა მადლი“).

პავლე მოციქული აცხადებს, რომ „ღმერთი სულია“: „ხოლო უფალი სულ არს“ (კორინთელთა მიმართ, 3, 4, 521, 17).

დიონისე არეოპაგელთან ღმერთს ეწოდება „სული სახიერი, სული ჭეშმარიტებისა, რომელიც მამისგან გამოვალს“ (ფსევ-დო–დიონისე არეოპაგელი, „შრომები“, თბ., 1961, გვ. 14, 15).

ანა კალანდაძესთან ღმერთი განიცდება, როგორც „სული მაღალი“ (59), შეუცნობელი სული (69), მაცოცხლებელი დიდი სული (213–114), ცის ლურჯი სული (119), დიდი სული, შეუცოდებელი სული (137).

ღმერთის სიმბოლური სახელია გაზაფხული (ძველი ქარ-თულით ზაფხული). ეს სახე მომდინარეობს ფსალმუნიდან: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფსალმუნი, 64/65, 12).

ანა კალანდაძის პოეზიაში ღმერთს ეწოდება „გაზაფხულის ბჭე“, გაზაფზულის გზა (202), გაზაფხული (188) (ტ. 1. გვ. 29).

ქრისტეს სახელად გვესახება ვარდისფერი წვიმა: „ცრის ვარდისფერი შენი ღრუბელი მხოლოდ ვარდისფერ, ვარდისფერ წვიმებს“ („მე მივატოვებ აიდის ქვეყნებს“).

სახარების მიხედვით ქრისტეს სახელია კარი: „მე ვარ კარი“ (იოანე, 585, 7).

ამ სიმბოლური კარის მრავალგვარი ვარიაცია გვხვდება ანა კალანდაძის პოეზიაში: „აღსავლის კარი“ (170, 181), ზესკნელ–ქვესკნელის კარი (177), ტაძრის კარი (140), კარი (202), ზეცის კარი (205), უხილავის კარი (რჩეული, 1987) წ. გვ. 209).

ღმერთი, სახარების მიხედვით, არის „გზა, ცხოვრება...“ (იოანე, 602, 6).

ანა კალანდაძეს მრავალნაირად გაუთავისებია ეს სიმბო-ლო, მის ლექსში ღმერთი არის „გაზაფხულის გზა (202), გაუ-გებარი გზა (202), გზის სიხარული (196), ვარსკვლავების საუფლო გზა (214), ნათელთნათელის მეფური გზა (210), იით სავსე გზა (188), უხილავი გზა (124), იდუმალების გზა (118).

ღმერთის სახელად გვევლინება ანა კალანდაძის ლექსში „სიცოცხლე დიდი“ (181), მისი წყაროა სახარება (იოანე, 602, 6).

ქრისტე არის იმედის ღმერთი. ეს სახე მომდინარეობს ძველი აღთქმიდან (ესაია, 12,17).

ანა კალანდაძის ლექსებში ქრისტე არის იმედი (181), სასოება (208), სასოების მფენი (133), შუქი სასოების (187), ნათელი სასოების (195), მარადიული სასო (196), იმედი, სასო (209), იმედის სხივი (285), თბილი სასოება, ნაზი იმედი (191).

პოეტის ლექსებში ქრისტე გვეცხადება, როგორც საუნჯე ახალი (196), განცხადებული საუნჯე (212), საუნჯე უხილავი (187), საუნჯე (187).

სიმბოლურ, კერძოდ, პოეზიის კონტექსტში უნდა განვიხილოთ ა. კალანდაძის „ამეთვისტო, მარგალიტსხმული, იასპი, ძოწი, ლალი, თვალ–მარგალიტის ელვარე სხივი, სპეკალი“ (189).

ძველსა თუ ახალ აღთქმაში წყარო, წყალი საღვთო სახელად დაისახა.

„იმ დღეს იქნება, რომ გაიღება წყარო დავითის სახლისთვის“ (ესაია, 13, 1).

„წყალივით იდინოს სამართალმა და იყოს სიმართლე დაუწვეტელ ნაკადულივით“ (ამოსი, 5, 24).

ანა კალანდაძისთვის ღმერთის სიმბოლოა „წყარო გრილი“ (27), მაცოცხლებელი წყალი (49), წყარო უბიწო (გვ. 47).

„მზიანი ღამის“ სახე რუსთაველთან, გურამიშვილთან საღვთო ჭრილში იკითხება (იხ. ამაზე ტ. მოსია, „ოქსიმორინი „მზიანი ღამის“ შესახებ“, თბ., 1999, გვ. 21).

ანა კალანდაძე ქმნის სიმბოლური „მაღალი ღამის“ (184, 197), „წმინდა ღამის“ (244) სახეებს.

ქრისტეს ზედწოდება არის სიძე. ეს სახე მომდინარეობს სახარების იგავიდან, რომელშიც ათი ქალწული სიძეს ელოდება, სიძე კი არის ქრისტე (მათე, 25, 1-13).

ეს სიმბოლო გვხვდება ანა კალანდაძის უსათაურო ლექსში „ნაძვების თავზე“: „ნაძვების თავზე ვარსკვლავი იწვის... მიუწვდომელთა ცათა სიღრმიდან შუაღამისას მოვიდა სიძე და, უგუნურო, შენ ვერ გიხილა!“ (გვ. 198).

პოეტის ლექსებში ქრისტე არის „ცის საიდუმლო (212), „უმაღლესი საიდუმლო“ (187).

ამ სახეების წყაროებად უნდა მივიჩნიოთ დავით გურამიშვილის „დავითიანის“ „საიდუმლო დღის ცისკარი“ (დავით გურამიშვილი, „დავითიანი“, თბ., 1964, გვ. 232).

პური, „ცხოვრების პური“, ზეციური მანანა ქრისტეს სიმბოლოდ მიიჩნევა და მომდინარეობს ძველი აღთქმიდან (გამოსვლათა, 19, 1–13).

ანა კალანდაძის ერთ ლექსში „უცხო ტაბლაზე“ პურისა და ზეთის სახეებია, აქვე ყურადღებას იქცევს „ვარდის კრეტსაბმელი“ (რაც მარიამის სიმბოლოდ გვესახება) და „სიხარულის“ გამოცხადება (სიხარული კი ქრისტე ღმერთის სახელია): „უცხო ტაბლაზე, აპა, პურნი შესაწირავნი და აჰა, ზეთი... დგანან ირგვლივ ჩუმი ლანდები... და... უცებ... ვარდის კრეტსაბმელის ჩუმი შრიალი და... ჩემს წინაშე... სიხარულის გამოცხადება... სული ნათელი სასოებით ივსება ჩემი... თეთრია მისი მოსასხამი, თეთრად მბრწყინავი“.

ტაბლა მარიამის სიმბოლოა, პურნი, სული ნათელი, სიხარული – ქრისტესი. თეთრი, რომელიც მოსავს ლექსის ლირიკული გმირის წინ გამოცხადებულ უზენაესს, ზეციური სიწმინდის სიმბოლოა.

„თეთრი სიწმინდის, სიკეთის, ნათლისღების ფერია“ (ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“, ბუენოს აირეს, 1953, გვ. 334).

ანა კალანდაძის ერთ ლექსში ქრისტეს ეწოდება „მზის თვალი“: „გული გუგუნებს სიამით, გზაზე მზის თვალი დაჩნდება!“

თვალი, მზის თვალი საღვთო სახელია (ტ. მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, გვ. 121).

ბიბლიაში ღმერთი წარმოიდგინება, როგორც „ნათელი თვალთაი“ (1, 171), ჰიმნოგრაფიაში – „მზის თუალი“, დ. გურამიშვილთან – „თვალთა ნათელი“ (იქვე).

ღმერთი არის „სასწაული სასწაულთ შორის“: „შენ, სასწაულო სასწაულთ შორის, მაშენებელ ხარ და ყოვლის მშლელი... არს გზაი შენი გრძნეულებისა, გაუგებარი არს გზაი შენი!“

„სასწაულის“ ხმა ბედნიერებას ახარებს: „ო, სასწაულო, სადღაციდან ძახილი მესმა და ჩამესახა სასო ახალი: ის

დაეშვება ვარსკვლავების ბრწყინვალე ეტლით, გაზაფხული უნდა მახაროს“ („ო, სასწაულო“).

სასწაულის მრავალი მაგალითია ფსალმუნში.

„გადიდებ უფალო, მთელი გულით, ვილაპარაკებ შენს სასწაულებს“ (ფს. 9, 2).

„და აჩვენებს საოცრებას მარჯვენა შენი“ (ფს. 44, 5).

„და შეაშინებს კიდეთა მცხოვრებთ შენი სასწაულები, აღმოსავლეთს და დასავლეთს გაამხიარულებ“ (ფს. 65, 9).

გალაკტიონ ტაბიძე ღმერთს – „სასწაულს“ ევედრებოდა, დაეფარა და შეენდო მისი ლექსის ლირიკული გმირისთვის სულში ლუციფერის მძვინვარება („სასწაულს“).

ანა კალანდაძის ლექსების უმეტესობა „წარუვალის“, „სიხარულის“ განცდით არის გამორჩეული: „მომიცავს იგი, შემიპყრობს ისევ წარუვალი და მარად ქარული... მაღალ–მაღალნი განახვენ ბჭენი შენთა პალატთა, ო, სიხარულო!“

„წარუვალი“, „სიხარული“ უზენაესის სახელებია.

სხვაგან „სიხარულის“ ზეიმი, „შუქი სასოების“, „უმაღლესი საიდუმლო“, „მაღალი მზის“ და „მაღალი ღამის“ მთელი არსებით განცდა გვაგრძნობინებს უზენაეს საწყისებთან პოეტის ორგანულ კავშირს: „ამ მაღალ ღამით სიხარული ზეიმობს ჩემი: გამოჩანს შუქი სასოების, გამოჩანს მკრთალად და მე უმაღლეს საიდუმლოს მივერთვი კვალად, წყნარად და მშვიდად მეუწყება ზენართა ნება და მაღალი მზის ამოხდომა კვლავ მეუწყება... ამ მაღალ ღამით სიხარული ზეიმობს ჩემი“.

„სიხარულის ვარსკვლავის“ ციალი ამარცხებს ბნელს: „ვარსკვლავი იგი სიხარულისა ჩემს წილ მარადის აღავლენს ციალს, რაც უფრო ღამე ჩამოდის ბნელი, იგი უფრორე ელავს და ბრწყინავს!“ („ვარსკვლავი იგი სიხარულისა“).

ერთ უსათაურო ლექსში „ახალი საუნჯე“, „სიხარულთა უფალი“ – ქრისტე ივანებს პოეტის სულში, „შროშანი უბრალო“, „ცისკარი აღზევებული“ კი მარიამის სახეს განგვაცდევინებს: „ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი, როგორც შროშანი შენი უბრალო... ბრწყინავს ცისკარი აღზევებული და სიხარულთა ჩემთა უფალი... აჰა, საუნჯე ჩემი ახალი...“ („აჰა, საუნჯე“).

უზენაესი განიცდება, როგორც „მარადიული სასო“, „ძალი ზემადლთა“, „გზის სიხარული“: „ჰა, სასო ჩემი მარადიული, კეთილმხლებელი ძილთა,ღვიძილთა; აჰა, ცისკარი ჩემი (უჩინო გულით ბრმათათვის!) აღმომიბრწყინდა და მამცნო კვალად მე მეუფება, ძალი ზემადლთა მიმოფენისა... მეც განკურნება დარდთა ჩემთაგან და სიხარული გზისა ჩემისა!“ (აჰა, სასო ჩემი მარადიული“).

უზენაესთან მიახლების სიხარულია ერთ უსათაურო ლექსში, რომელშიც ღმერთის სიმბოლოებია ნათელი, ზეცის კარი, სხივი: „გარდამოვიდა ჩემზე ნათელი და მე ვმაღლდები ზეცის კარამდე... ჰა, დგახარ ჩემს წინ გაბრწყინებული... ო, სხივი შენი მთოვე მარადის!“ („გარდამოვიდა ჩემზე ნათელი“).

უზენაესის სხივით ავსების გამომხატველია სტრიქონები: „გულს ჩასახული მყვა ანგელოსი და სხივთა თოვით ვიყავ მდიდარი... ფრთა დამაფარე შენი მაღალი: მთოვოს ადგილმან შენმან წმინდამან კვლავ, სასოებავ!“ („გულს ჩასახული მყვა ანგელოსი“).

ღმერთის სიმბოლოებია სხივი, სასოება.

შუაღამის კარიბჭე, უხილავი სხივი, ცის საიდუმლო უზენაესის მოვლინებას გვაუწყებს: „ბრწყინავს კარიბჭე შუაღამისა, ცა უხილავი სხივით აივსო... ჰა, საიდუმლო ელვარე ცისა... უწყის მიწამან ღირსება მისი?“ („ბრწყინავს კარიბჭე შუაღამისა“).

ღვთაებრივი ცეცხლითა და მადლით ძლიერი, შიშის მძლეველი სულია დავანებული სტრიქონებში: „მოიღო ცეცხლი მან ღვთაებრივი, გადამაფარა ციური მადლი... მომართვა თვისი მაღალი ტახტი, დამარქვა თუღი თვისი მეფური... განმაძლიერა მე შიშსა ზედა...“ („ო, მარსს არ ვკადრე მე საყვედური“).

უზენაესი პოეტის მიერ განცდილია, როგორც სანთელთა ბრწყინვა, სვეტთა სიმაღლე, ღვინო ახალი: „სანთელთა ბრწყინვას ხატი მისი მივუსადაგე და ტანი მისი ცადატყორცნილ სვეტთა სიმაღლეს, სერაფიმთა და ქერუბიმთა ფრთა რომ შეახეს... ღვინო ახალი თხიერს ძველსა მივუსადაგე...“ („სანთელთა ბრწყინვას“).

ღვინო საღვთო სახელია და მომდინარეობს ესაიას წინასწარმეტყველებიდან (ესაია, 61, 3).

ღმერთი განიცდება, როგორც „ფარული სხივი, წმიდა-თაწმიდა ალი, სანთური“, მარიამი – სასოების საყუდარი, სრა-სამყოფელი: „სასოებისა მაქვს საყუდარი გაბრწყინებული ფარული სხივით... მოიკალათეს მუნ ავაზაკთა, გადაჭრეს ჩემი სანთურის სიმი... და, მივატოვე სრა სამყოფელი, წმიდა-თაწმიდა დავშრიტე ალი... მაგრამ, აჰა, კვლავ გულში ციაგი: სანთური ჩემი მომეგო კვალად! ... სასოებისა მაქვს საყუდარი...“ („სასოებისა მაქვს საყუდარი“).

ღმერთთან მიახლების განცდასთან ერთად, ანა კალანდაძის პოეზიაში ხშირად ვხვდებით დაეჭვებულ სულს, წმინდა ნათლისგან განდგომით გამოწვეულ სიბნელეს და მწუხარებას („დაეცა ჩრდილი ჩემსა ყანობირს“).

ქრისტე არის „ძალი სასწაულებრივი“, „გაზაფხულის ბჭენი“, „ლარი“ მარიამის სახეა. მხოლოდ უგუნურების ტყვეს შეუძლია მისგან განდგომა, რაც ყოველგვარი საფასეს და-კარგვის ტოლფასია და სინანულით ავსებს ლექსის ლირიკულ გმირს: „დუმს ძალი შენი სასწაულებრი – გაზაფხულისა დამექცნენ ბჭენი... დამატყდა თავსა უგუნურება, - გარდამოვიდა სასჯელიც შენი: დავკარგე ლარი მე უთვალავი და სინანულთა ვიქეცი ვანად... დამეხშენ ცანი და ქვეყანანი, გაზაფხულისა დამექცნენ გზანი – დუმს ძალი შენი სასწაუ-ლებრი!...“ („დუმს ძალი შენი“).

მაგრამ მწუხარება, უზენაესისგან განაპირებით გამოწვე-ული, სინანულით, კვლავ „დიადი ცეცხლისკენ“ (ღმერთისკენ) ლტოლვით, უხილავისკენ სწრაფვით, „უცხო გვირგვინის“, „სამეფო კარვის“ (მარიამის) სიახლოვით იკურნება: „აჰა, დავბრუნდი მწუხარებიდან და შენს კარებთან განვიგდე ფლასი: მეგულვის შიგან ცეცხლი დიადი და ცათა კრთომა იდუმალ დასთა... ბრწყინავს, ციმციმებს უცხო გვირგვინი, ადგას ნათელი სამეფო კარვებს... ვგრძნობ უხილავთა მოახლოებას, რომელნი არსად არასდროს წავლენ... ნათელს დავბრუნდი მწუხარებიდან...“ (აჰა, დავბრუნდი მწუხარებიდან“).

„დაშრეტილ სასოებას“, „დამცხრალ სხივებს“, ამაოების განცდას ისევ გრძნეული სხივების მოვლინება ენაცვლება: „ვიპოვე ჩემი წმინდა სავსება ამაოების წინაშე ფარად: სენაკი

ჩემი მიტოვებული გრძნეულ სხივთაგან აივსო კვალად... დავდე შენს ფეხთით ის ყვავილი“. („ვიპოვე ჩემი წმინდა სავსება“).

ცის სულთან, ცის ნათელთან, „სხვა სხივთან“ მიახლოების, ცის გახსნის სიხარულს გამოხატავს ლექსი „მიახლოვდება ცის ლურჯი სული“: „მიახლოვდება ცის ლურჯი სული, ლურჯი ნათელი მიახლოვდება... და აჰა, ლურჯი იხსნება სივრცე, სად ვარდისფერად გამითოვდება... და იკარგება ჩვენს ფეხქვეშ მიწა, თვალები ჩემი სხვა სხივთ იკრებენ და ჩვენ მივდივართ მაღლა, სულ მაღლა... მიახლოვდება ცის ლურჯი სული“ („მიახლოვდება ცის ლურჯი სული“).

სამყაროს შემქმნელ ღმერთს ანა კალანდაძის პოეზიაში ეწოდება „ცათა და ხმელთა გვირგვინმკობელი“, რომელიც თავისი სერაფიმების საშუალებით ეძებს სრულყოფილებას და ადამიანებს მარადიულის, მიუწვდომლისკენ სწრაფვას უნერგავს: „მზის ჩასვლის შემდეგ ვარდისფერ ნისლში სრულყოფილების ხატის ძიებად ქარზე უმალეს თვისი ექვსი ფრთით სწრაფად დაქრიან სერაფიმები... და იღიმება მიმტევებელად ცათა და ხმელთა გვირგვინმკობელი: ადამიანო, დატოვე რამე, - სანატრელი და მიუწვდომელი“ („მზის ჩასვლის შემდეგ“).

ლექსში „პეტრეს ტაძარში თეთრი პიეტა“ ღმერთი მოიხსენიება, როგორც „კაცადქმნილი მარადისობა“: „პეტრეს ტაძრიდან მოგვესმა ლოცვა, სად კაცადქმნილი მარადისობა თეთრს უსვენია მუხლზე ღვთისმშობელს“

...ქრისტეს – „მეუფის“ გამოცხადებისას ზეგარდმო ნათლით იმოსება გარემო და უჩვეულო მღელვარებით კრთის გული: „გუგუნებს გული გრძნეული ხილვით, - ...ყოველს ზეგარდმო ნათელი მოსავს, მეუწყა ჩემი მეუფის მოსვლა! გრძნეული ხილვით მიკრთება გული! („გუგუნებს გული გრძნეული ხილვით“).

„მეუფე“ და „უფალი“ მეზვერეებთან, უბირთა, ცეტთა შორის წარმოიდგინება, როგორც სნეულთა მკურნალი („ცოდვილთ შორისაც“).

„დიდებული“ და „სახიერი“ მეუფე „მიწიურ დიდსასწაულს“ უვლენს ჩვენს ქვეყანას: „მეუფევ ჩემო, დიდებულო და სახიერო, დიდსასწაული მოვიხილე მე მიწიური: ღელე ცხო-

ველი რომ არ დაშრეს ერისა ჩემის, ჰა შეფარვია მსხმოიარეს ის ხეთა ჩეროს“ („უდეს ტაძარში“). ხე საღმრთო სახელია.

სახარების მიხედვით, ქრისტე არის მოძღვარი, რაბი (მათე, 26, 22, 25).

ლექსში „ხომ წუხდით ჩემზე“ ქრისტეს „რაბის“ უწოდებენ: „... ოდეს ნათელი დაადგა თაბორს, ოდეს მეუფის თქვენ ხმაი გესმათ, დაემხეთ მის წინ: - შეგვინდე, რაბი1...“

ერთ ლექსში მარიამ მაგდალინელს არ ასვენებს „რაბის“ ხმა: „...სიქემის ზღაპრულ თოვლიან მთებზე, თუ იორდანეს დიდებულ ნაპირთ, თუ ეზრდელონის ლურჯ ხეობაში, სუყვე-ლგან შენი ხმა მესმის რაბი!“ („მინაწერი ტიციანის სურათზე „მონანიე მაგდალინელი“).

სხვაგან „მოძღვრის“ სახელით მოიხსენიება ქრისტე: „ჩაფიქ-რებულმა განაცხადა ოდეს მოძღვარმა, ახლა... გამცემსო ერთი თქვენგანი, ღელვამ შეიპყრო გასაოცარმა ყოველი კაცი... გულმშვიდად იჯდა, არ შერხევია წარბიც კი... გამცემს“ („ჩაფიქრებულმა განაცხადა ოდეს მოძღვარმა“).

მოძღვრის სახის წყაროა სახარება: „...ერთია თქვენი მოძღ-ვარი – ქრისტე“ (მათე, 23, 8).

ბიბლიის მიხედვით, ებრაელი ხალხი სახელდებულია ბაღად და ვენახად: „მე დაგრგე რჩეულ ვენახად, კეთილ თესლად დაგთესე, როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად როგორ შემეცვვალე?“ (იერემია, 1, 13).

ბიბლიაში „ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი“ (ესაია, 5, 1).

ბაღიც ებრაელი ხალხის სიმბოლური სახელია, კერძოდ, „მორწყული ბაღი“ (ესაია).

მებაღე, მევენახე უფალზე მეტაფორული მინიშნებაა, უზე-ნაესის დავიწყება უკეთურებას, ბოროტებას, სიხარბეს, უგუ-ნურებას, უსამართლობას ამკვიდრებს კაცთა შორის. ანა კალანდაძე ამქვეყნიურ სიგლახე-სიავეს ღმერთის – „მებაღის“ უარყოფით ხსნის: „რადგან მებაღეს არვინ კითხულობს და იფარება ოქრო მინათი, სხვისი სისხლით და სხვისი ცრემლებით, ჰა, ქორვაჭარი დგას შენს წინაშე“ („რადგან მებაღეს არვინ კითხულობს“).

ანა კალანდაძის ერთ ლექსში ჯვარცმულ და მკვდრეთით აღმდგარ იესოს სახარების კვალობაზე, ეწოდება თავადი: „... ფრთები გაშალა ანგელოსურებრ, აღდგა თავადი“ („უხმობს ზენაარსს, ზენაარსს, ზენაარსს უხმობს ჯვარზე გაკრული“).

ცოდვილი, ბრალეული ყოველთვის განიკითხება და დაისჯება თავადისაგან, ამიტომ განწმენდის გზა დანაშაულის შეცნობა და სინანულია: „მიღვივის ძველი სახმილი, გული მიკვნესის ამადო. მე „ბრალი ჩემი“ მიცვნია, აჰა, ვისჯები თავადო!“ („მიღვივის ძველი სახმილი“).

ანა კალანდაძის „თავადის“ წყარო არის სახარება: „და იყო ამისა შემდგომად თავადი ვიდოდა ქალაქად – ქალაქად და დაბა-დაბად, ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა“ (ლუკა, 461, 1).

ქრისტე არის „მწყემსი კეთილი“: „მე ვარ მწყემსი კეთილი“ (იოანე, 10, 14).

ბიბლიურ ქალდეველებთან ქართველთა ნათესაობის მაძიებელი პოეტი თითქოს ქებრონის კარს, აბრაამის ფარას ხედავს მთიულეთში, მაგრამ წუხს, რომ არ ჩანს „კეთილი მწყემსი“, ხოლო შორიდან საბაოთ უფლის მძლე ნაბიჯების ხმად ისმის კლდეების რღვევის ხმა: „ალბათ, ესაა ქებრონის კარი, ალბათ, ესაა აბრამის ფარა, რომ შეყუჟულა ხის ქვეშ საბრალოდ! არსად არა ჩანს კეთილი მწყემსი: შორი კლდეების რღვევის ხმა ესმით: მძლე ნაბიჯებით მოდის საბაოთ...“ („მზეწვერზე. მთიულეთი“).

ღვთის სახელებია მზე და ნაძვი (იგივე სიცოცხლის ხე), რომელსაც ხან ვაზად მოიხსენებენ (რ. სირაძე, გ. მურღულია, ვ. ბარდაველიძე), ხან ალვად, პალმად ან კიპარისად (ზვიად გამსახურდია), ხან ნაძვად (ა. ბაქრაძე).

პოეტის სულის ორი „წვეულია“ „მზე და ნაძვი“, ცათა შინა მთოვარე „ყვავილი შორი“: „ჩუ,...ვინ ჩურჩულებს? მზე და ნაძვია, – ეს... ჩემი სულის წვეული ორი... შორს... „ცათა შონა“ თოვს აკაციის ყვავილი შორი, თეთრი ყვავილი...“ („ჩუ, ვინ ჩურჩულებს?“).

ქრისტეს სიმბოლოა „ცნობადის ხე“ და „სიცოცხლის ხე“. სიცოცხლის ხის საყურადღებო სახეა ლექსში „საით მიყივი?“:

„განუყოფელს და მარადის მწვანეს ესხმის ნაყოფი სიცოცხლის ხესა“.

ანა კალანდაძის პოეზიაში ამ სახის ვარიაციაა „მსხმოიარე ხე“. ქართველი ერის ღვთისნიერება, რაც მისი მარადიულობის საწინდარია, ასეა გადმოცემული „უდეს ტაძარში“: „მეუფევ ჩემო, დიდებულო და სახიერო, დიდსასწაული მოვიხილე მე მიწიური: ღელე ცხოველი რომ არ დაშრეს ერისა ჩემის, ჰა, შეფარვია მსხვმოიარე ის ხეთა ჩეროს!“

საღმრთი სახელია რტო (ტ. მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, გვ. 122).

პოეტი ასე გამოხატავს თავის მორწმუნეობას: „რტო სასოების მიპყრია ხელში!“ („პრინციპნი“).

იესო არის სიტყვა: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანე, 1,1).

„სიტყვა“ იესოს მეტაფორად გვხვდება ანა კალანდაძის ერთ ლექსში: „ამ წმინდა კანდელს მარადის მკრთომელს ვენუკვი ისევ შვებით და... ღელვით... ვესავ შენს სიტყვას, ცაო მაღალო, რომ ციმციმებს და სხივოსნობს მზეში“ („ამ წმინდა კანდელს“). აქვე საღმრთო სახელია „მზე“, რომელიც მამაღმერთზე მიგვანიშნებს.

ღმერთი არის „უმაღლესი ძალი“: „დაიწყო ცისკრის ზარების რეკა... კვლავ უმაღლესის ძალთა მხმობელად, ქართულთა ხატთა შესამკობელად ჩქარობენ გელათს ბეშქენ და ბექა...“ („დაიწყო ცისკრის ზარების რეკა...“).

ქრისტე არის ასევე „ძალი მაღალი ყოველთა ძალთა...“ („შენ ხარ საყდარი ჩემის დიდების“), „ყოველთა ძალი“ („აქა მეუფებს“), „ძალნი ცათანი“... („კვლავ სასოებით მივენდო შენთა“), „ზესკნელთა და ქვესკნელთა უხილავი მბრძანებელი“ („წელს, ამ გაზაფხულზე“), „ძალი ზემადლთა“ („ჰა, სასო ჩემი მარადიული“).

ღმერთის სახელია „შეუცნობელი“, მისი სამყოფელია „შორეული ცა“ ანუ „ცანი ცათანი“, რასაც მიელტვის პოეტის სული: „შენს მშფოთვარ სულში ცის შორეულის დარდი ისახვის და... რეკავს, რეკავს შეუცნობელი, - გიხმობს მისაკენ!...“ („შენს მშფოთვარ სულში“).

უზენაესი „უხილავია“, ანა კალანდაძის ერთ ლექსში იგი სახელდებულია, როგორც „შარავანდი უხილავი“: „ჰა, შარავანდი უხილავი უცხოთა თვალთა... კვლავ დიდი ესე მეუფება მომაგე მისი – აღვივსო მისი ბრწყინვალებით და სასოებით, ვით აღგვივსია შენ სინათლით საუფლო ცისა...“ („ჰა, შარავანდი უხილავი“).

პოეტს თავისი რჩეული „ციური ძალით“, ცის ნებით ეცხადება და მოაქვს სასოება: „გამომეცხადა რჩეული ჩემი ციურის ძალით, ცათავე ნებით, გულს დამდო თვისი შავი ბეჭედი ჩემზე უფლებით და ხელმწიფებით::: ვუპყარ პინაკი სასოებისთვის – მოფრინდა იგი თეთრი და ფრთამალ: განქარდა ისევ... ო, წამიერი ცამ მომმადლა და მიმიღო ცამან...“ („გამომეცხადა რჩეული ჩემი“).

ბიბლიაში ებრაელებს ღმერთი ეცხადება ცეცხლის, ღრუბლისა და ნათლის სვეტის სახით. ამიტომაც მიქელანჯელომ მოსე ნათლის რქებით წარმოიდგინა. ნათლის სვეტი სასულიერო პოეზიაში ხან მარიამის, ხან ქრისტეს სიმბოლოა. ამ სახეში ღმერთს გულისხმობს გალაკტიონი და მის ვარიაციებსაც ქმნის: ნათლის სვეტი, მზის სვეტი, დიდების სვეტი, მომავლის სვეტი...

ანა კალანდაძის ერთ ლექსში „მაღალი საყდარი“ მარიამზე მიანიშნებს, მასზე დამკვიდრებული „ნათლის სვეტი“ – ქრისტეზე: ...მრქვა, აჰა, საყდარი ჩემი მაღალი, დამკვიდრებული ზე ნათლის სვეტი, აღვედ, იყავი ზეთ თანაზიარ!“ („დამვიწყდა ენა სიხარულისა“).

ღმერთის სახელია „სინათლის მეფე“, „განუწყვეტელი მზე“: „შენ, სინათლის მეფევ, განუწყვეტელ მზის ხარ... დ, შენც ქებათ ქების ღირს ხარ, ღირს ხარ, ღირს ხარ!“ („შენ სინათლის მეფევ“).

„ახალი საუნჯე“ ქრისტეს გულისხმობს ამ ლექსში: „ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი, როგორც შროშანი შენი უბრალო... ბრწყინავს ცისკარი აღზევებული და სიხარულთა ჩემთა უფალი... აჰა, საუნჯე ჩემი ახალი“ („ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი“). ასეთივე შინაარსია ფრაზაში: „...ჰა, იგი მაცნე ზენაარსისა, განცხადებული საუნჯე ჩემი“ („აჰა, კვლავ ჩემს წინ წყარო უბიწო“).

შემოქმედ ღმერთს ევედრება პოეტი, დალახვროს ურჩხული, დაიფაროს და მზე-მთვარის (მზე ქრისტეს სიმბოლური სახელია, მთვარე – მარიამისა) სიყვარულით აცხოვროს: „მფარველო ჩემო, ...ისევ გახსენი გული ჩემი მზე-მთვარისათვის და დამიფარე, ვით წალკოტში ყვავილს იფარავ!“ („ისევ გახსენი გული ჩემი“). „მფარველიც“ ღვთის სახელია.

საღვთო სახელია მარგალიტი (ტ. მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, გვ. 122).

ღმერთთან სულიერი თანაზიარობა ასეა გადმოცემული პოეტის ერთ ლექსში: „შემომეხვევა წმინდა ნათელი, ამეთვისტო და მარგალიტსხმული, მე თუ მომხმობს ჩემი მეუფე“ („ჩამოჰკრეს მწუხრის, ო, დაო ჩემო“)„წმინდა ნათელი“ საღმრთო სახელი)

ღმერთის მახასიათებელია „თვალ-მარგალიტის ელვარე სხივი“: „თვალ-მარგალიტის ელვარე სხივთა დაუნჯებულად გულში ანთებდი...“ („თვალ-მარგალიტის ელვარე სხივთა“).

სასულიერო მწერლობაში „შარავანდედი“ ხან ქრისტეს მეტაფორაა, ხან მარიამისა (ტ. მოსია).

ანა კალანდაძე ერთ ლექსში მარიამს წარმოსახავს, როგორც „თვალ-მარგალიტის ელვარე სხივს“, ხოლო მაცხოვარს – „მარადიულ შარავანდედს“: „თვალ-მარგალიტის ელვარე სხივთა დაუნჯებულად გულში ანთებდი... ბრწყინავდა ირგვლივ, ელავდა ირგვლივ მარადიული შარავანდედი...“ („თვალ-მარგალიტის ელვარე სხივთა“).

ქრისტე არის უცხო თვალთა უხილავი შარავანდი: „ჰა, შარავანდი უხილავი უცხოთა თვალთა“... („ჰა, შარავანდი უხილავი“).

ქრისტეს ეწოდება „მოყვასი“, ვინც ერწმუნება, მაგრამ მისდამი ღალატი, გულგრილობა არარაობის გაბატონებას იწვევს: „...არარაობა ცივი გულით მომეახლება იმავე კარით, სით მოყვასი შემოდიოდა“ („აჰა, დამეხშო მე კარიბჭე შენი მაღალი“).

ქრისტიანულ სარწმუნოებაში ქორწილი საღვთო სასუფეველს ნიშნავს. ამ ქორწილის ნეფე არის ქრისტე, დედოფალი – მარიამი. ზეციურ სასახლეში მზის ქორწილის აღწერას ეხება ანა კალანდაძის ლექსი „პაწაწინა ეკლესიაში“: „ღრუ-

ბელნი როკვენ, წინწილანი ხმობენ, წივიან, ლაღობს, მოილხენს სრა ზეციური, - მზის ქორწილია... ჰა, დედოფალი, თავს მორცხვად ხრის ნეფის წინაშე, სევდიან ღიმილს ყვავილებით ათოვებს ირგვლივ... თეთრი მტრედები ახურავენ ვარდების გვირგვინს პაწაწინა ეკლესიაში... ღრუბელთა წრეში ჩამოუვლის ალვისტანადა... არწივნი როკვენ, წინწილანი ხმობენ, წივიან... მზის ქორწილია, შენ ხარ თამადა...“

ლექსში მთავარი აქცენტის მატარებელი სახეებია: მზე, ნეფე, თამადა (ქრისტე), დედოფალი (მარიამი).

როგორც ვხედავთ, ანა კალანდაძის პოეზიაში ერთი უმთავრესი თემაა სარწმუნოებისადმი, ქრისტიანული მართლ-მადიდებლობისადმი ერთგულება, რწმენა-ურწმუნოების ბრძოლაში ეჭვის დამარცხება და ზეცამდე ამაღლება. პოეტის მთელ შემოქმედებას „ღვთაებრივი არილი“ გამოარჩევს. მან ხიდი გადო ქართულ სასულიერო მწერლობასა და მეოცე საუკუნის პოეზიას შორის რელიგიური მოტივების წინ წამოწევით, ადამიანის დანიშნულების ახლებური გაგებით. მისი ორიგინალური ლექსიკა, ნეოლოგიზმები ბიბლიის, მითოლოგიის, სასულიერო მწერლობის სიღრმეშია მოძიებული და ახლებური ნიუანსებით გამდიდრებული. ამ მხრივ, განსა-კუთრებით გამორჩეულია ქრისტიანული სახისმეტყველების ასპექტი.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი პოეტის საღვთო სახისმეტყველებას და მთლიანობაში წარმოვიდგინოთ იგი. ღვთის სახელებად ფიქსირდება შემდეგი სიმბოლო-მეტა-ფორები: ნათელი, მარადი ნათელი, ნათელი სასოების, ნათელთ ნათელი, ნათელი სული, ნათელი ყოველთა, ნათელი დიდების, იდუმალი ნათელი, სხივთა ნათელი, ლურჯი ნათელი, ნათელი მარადიული, ნათლისმფენელი, ნათელი უხილავი, წმინდა ნათელი, სინათლის მეფე, მზეთ უდიდესი, დიდებული მზე, სხვივდაღვრილი მზე, მაღალი მზე, მხურვალე მზე, უმხურვალესი მზე, მზის თვალი, განუწყვეტელი მზე, მზეი ცხოველი, წმიდათაწმიდა ცეცხლი, ცეცხლი დიადი, ცეცხლი დაუშრეტელი, ცეცხლი ზეციოგარდამო, ცეცხლი უბოლო, დაუსაბამო, წმინდა ცეცხლი, წმიდათაწმიდა ალი, თვალმარგალიტის ელვარე სხივი, სხივი ციური უკვდავებისა,

გრძნეული სხივი, უხილავი სხივი, პირველი სხივი, სხივთა ნათელი, იმედის სხივი, ფარული სხივი, ზეგარდმო სხივი, შუქი სასოებისა, ვარსკვლავი იგი სიხარულისა, ვარსკვლავი ჩვენი ბედისა, ღამეული სხივი მარადის მრწემი, ცისკრის ვარსკვლავი, სიხარულის თეთრი სანთლები, დიდი სიხარული, მოგიზგიზე სიხარული, სიხარულის მაღალი ტახტი, სიხარულთა უფალი, სიხარულის ვარსკვლავი, სიხარულის ჟამი, ხატი სიხარულისა, სიხარულის გვირგვინი, კარავი სიხარულისა, დიდი სიხარული, სიხარულის ენა, სიხარულის მძივი, უგრძნეულესი სიხარული, მიწიური სიხარული, ყოველთა დიდი სიყვარული, ზეცისა და მიწის სიყვარული, სული მაღალი, შეუცნობელი სული, მაცოცხლებელი დიდი სული, ცის ლურჯი სული, დიდი სული, შეუცოდებელი სული, გაზაფხულის გზა, გაზაფხული, უძლიერესი გაზაფხული, აღსავლის კარი, ზესკნელ-ქვესკნელის კარი, ტაძრის კარი, ზეცის კარი, უხილავის კარი, გაუგებარი გზა, ვარსკვლავების საუფლო გზა, ნათელთნათელის მეფური გზა, იით სავსე, უხილავი გზა, იდუმალების გზა, სიცოცხლე დიდი, იმედი, მარადიული სასო, სასოება, სასოების მფენი, შუქი სასოებისა, ნათელი სასოებისა, თბილი სასოება, ნაზი იმედი, საუნჯე ახალი, განცხადებული საუნჯე, საუნჯე უხილავი, წყარო გრილი, წყარო უბიწო, მაცოცხლებელი წყალი, ვარდისფერი წვიმა, მაღალი ღამე, წმინდა ღამე, სიძე, ნეფე, ცის საიდუმლო, უმაღლესი საიდუმლო, პურნი შესაწირავნი, მზის თვალი, სასწაული სასწაულთ შორის, ძალი ზემადლთა, სანთელი, ცადატყორცნილი სვეტი, ღვინო, ცათა და ხმელთა გვირგვინ-მკობელი, კაცადქმნილი მარადისობა, მეუფე, რაბი, მოძღვარი, მებაღე, თავადი, მწყემსი კეთილი, ნაძვი, უმაღლესი ძალი, ძალი ზემადლთა, უხილავი მბრძანებელი, შეუცნობელი, მარადიული შარავანდედი, უხილავი შარავანდი, რჩეული, ნათლის სვეტი, მსხმოიარე ხე, რტო სასოების, საუნჯე ახალი, მარგალიტსხმული, თვალ-მარგალიტის ელვარე სხივი, მოყვასი, ღვინო ახალი, ცათა და ხმელთა გვირგვინმკობელი, კაცად-ქმნილი მარადისობა, რტო სასოების, საუნჯე ახალი.

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ანი და ჰოე

ათეისტური მეოცე საუკუნე მარადიული ღირებულებების, ეროვნული იდეალების იგნორირების, ცხოვრების საზრისის დაკარგვის, ღმერთის დავიწყებისკენ აქეზებდა სიტყვის მსახურთ და იქმნებოდა დინების მხარეს მავალთა ფუჭსიტყვაობის ნიმუშები, რამაც, ბუნებრივია, ვერ გააღწია გაღმა ნაპირამდე, იგი იმთავითვე განწირული იყო დავიწყების მორევში ჩაძირვისთვის.

სულიწმინდის მადლით ცხებულთ არასოდეს უვლიათ მიწიერ თავადთა ნაჩვენები გზით, მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ „კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ-ნაციონალურია და ამდენად, საკაცობრიო, ცივილიზაცია არარელიგიურია, ინტერნაციონალური“ (1,66).

სატანისტური ბოლშევიზმით მოწამლულ ეპოქაშივე გაჩნდა მოწოდება: „უნაყოფო, კულტურის საწინააღმდეგო ნაჰილისტური მორალიზმიდან პირი უნდა ვიბრუნოთ შემოქმედი, კულტურისმქმნელი რელიგიური ჰუმანიზმისკენ“ (სემიონ ფრანკი, „ნიჰილიზმის ესთეტიკა“) (2,66).

საბედნიეროდ, უდიდესი პოლიტიკური ზეწოლის პირობებშიც იყვნენ ზეციური სიწმინდით გამორჩეული შემოქმედნი, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ სიწმინდის წყაროსთან, მრავალსაუკუნოვან ტრადიციებთან და, მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლითა და მახვილით იდევნებოდნენ მორწმუნენი, უზენაესს სანთელს უნთებდნენ და ქრისტიანული სამების წინამძღვრობით ამარცხებდნენ ბოროტეულთ.

სწორედ მათი სახელები შემორჩა შთამომავლობას საამაყოდ, სულგაყიდულნი, მედროვეთა სამოსით მოსილნი კი სამუდამოდ შეაჩვენა ისტორიის მსჯავრმა.

ვაჟა ეგრისელის მოღვაწეობის დიდი პერიოდი, მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან ბოლო ათწლეულებამდე, სწორედ კომუნისტური იდეოლოგიის მძლავრობის, პანეგირიკებით ცნობილი სოციალისტური რეალიზმის გაფეტიშების პერიოდია, არადა მის შემოქმედებაში ვერც კერპების, სოციალისტური წყობილების, ბელადების, სიცრუის ხოტბას

ვიპოვით და ვერც წითელი ეპოქის მომაკვდინებელი ბაცილებით ავადობას.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი იმ ავბედით, სიტყვის მსახურთა მოდრეკა-მოთვინიერების პერიოდშიც დარჩა გაბედული, მოუსყიდველი, უზენაესი ჭეშმარიტების ერთგული.

მისი მსოფლმხედველობის მთავარი წყაროები იყო ბიბლია, ღვთისმეტყველ ქრისტიანთა ნააზრევი, მითოლოგია, იდეალისტ ფილოსოფოსთა სიბრძნე, კლასიკური ქართული და უცხოური პოეზია.

პოეტის მთავარი ორიენტირი გახდა ქრისტიანული რელიგია, რაც სულის უკვდავების საწინდრად ესახებოდა: „...დღის ბოლოს კი არსთაგანმრიგე და ლანდები სხივოსანთა, ქართული ცის სიანკარეს, მხოლოდ სულებს ღვთისმოსავთა, სხვას არავის მიაკარებს“. (დღის ბოლოს კი არსთაგამრიგე) (3, 421).

თვით „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის ავტოპორტრეტი იქმნება სტრიქონებში: „მარადჟამს ცისკენ ჩანგშემართული, მეხთამტყორცნელი და ღვთისმოსავი, დამურვებელი ზღვის და მზით ჰანგის, სწორედ ისეთი შენ ხარ მგოსანი, აზრის მფანგველი, სიტყვის კრიჟანგი“ (მარადჟამს ცისკენ ჩანგშემართული) (3, 563).

ბიბლია სჯულის ერთგულებას, რწმენაში ხალხის განმტკიცებას მოითხოვს: „ნუ წარდგები უფლის წინაშე ხელცარიელი, რადგან ყოველივე ამას მცნება მოითხოვს“ (სიბრძნე ზირაქისა, 35, 4) (4, 53).

„მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს“ (სიბრძნე ზირაქისა) (39,1) (4,62).

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას გამოარჩევს რწმენა, რჯულის, ღვთის მცნებების ერთგულება: „ქართული სიტყვის რჯულმდებელი და სტრიქონებში მზის მთესავი, ცურტავიდან, მერჩულედან, მისხიდან-მისხით, ყველა შენია ქრისტესავით, რადგან შენი სიტყვა – პოეზიაა წმინდა სისხლის“ (ქართული სიტყვის რჯულმდებელი) (3, 620).

მარადიულია, საუკუნეობრივი ღირებულებისაა მხოლოდ „ღვთიური ცეცხლით მოსილი“ სიტყვა: „მარადჟამს ღვთიერ ცეცხლით მოსილი, მბრწყინავი თვლებად და მინანქრებად,

საუკუნეთა ნადავლს რომ ზონის, აზრის გოდოლზე დანთებული სიტყვის კოცონი, შენი, სამშობლოს ფიქრთა მთაზე აღარ ჩაქრება“ (3, 830).

მორწმუნეობა, ქრისტიანული რელიგიის პრობლემების საფუძვლიანი ცოდნა პოეტს შესაძლებლობას აძლევს, შექმნას ინდივიდუალური ელფერით გამორჩეული ქრისტეს, მამაღმერთის, სულიწმინდისა და მარიამ ღვთისმშობლის სახისმეტყველება.

ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში, არეოპაგიტიკაში ღმერთი არის ნათელი, „ნათელი წუთისოფლისა“ (იოანე, 8, 12) (5, 195).

არეოპაგიტიკაში ღმერთი მოიხსენება, როგორც „განუზომელი ნათელი, მიუაჩრდილებელი ნათელი“ (6, 189), ჰიმნოგრაფიაში – „ნათელი დაუშრეტელი, ნათელი ნათლისგანი, ნათელი თვალშეუდგამი, ნათელი დაუსაბამო, უნივთო ნათელი“ (7, 507).

ბიბლიაში გარჩეულია ორგვარი ნათელი: „უჟამო, დაუბადებელი“ ნათელი და ხილული ნათელი. „დაუბადებელი ნათელი“ ბიბლიური კოსმოგონიის მეოთხე დღემდე არსებობდა. იგი უხილავია და მიიჩნევა ხილული ნათლის წყაროდ (მ. გიგინეიშვილი, „მზიანი ღამე“ „ვეფხისტყაოსნისა“ და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი) (8, 102).

ორგვარი ნათელი გვხვდება ძველ ინდურ, ძველ ეგვიპტურ, ძველ ბერძნულ და რომაულ ფილოსოფიაში. ნათლის შემოქმედი ყველგან ღმერთია.

ორგვარ ნათელს განასხვავებდნენ ნეტარი ავგუსტინე, ფსევდო დიონისე დარეოპაგელი, ბასილ დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი.

„ქრისტიანული ღმერთი არის ნათელი, ნათელმფენი.

თეთრი სინათლის, სიწმინდის, სილამაზის, უმანკოების, წმინდანობის, სიხარულის, ბედნიერების, ნათლისღების ფერია. ქართული მონათვლაც ქრისტიანობას უკავშირდება (9, 133).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთი არის „ნათელი ზეციური, ნათელი უზეშთაესი, წმინდა ნათელი, მარადჟამული ნათელი, ცხოველი ნათელი (10, 376, 397, 410, 411).

ნათლის სათავე ღმერთია: „ნათელი ცხოვრების, რომელსაც ღმერთში სათავე თვისი უპოვნია“ (10, 52 -53).

საღვთო ნათლის სახეებით ყურადღებას იქცევს ჩახრუხაძის „თამარიანი“, შავთელის „აბდულმესიანი“.

უძველეს იადგარში ღვთისმშობელი არის „ნათლის დედა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი არის ნათელი: „ღმერთმან ნათელთა სახისა“.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ქრისტე არის ნათელი, დღე ნათლიერი, წარუვალი ნათელი (11, 141).

გალაკტიონის ლექსში „ავე მარია“ ღმერთი მოიხსენება როგორც „წმინდა ნათელი“ (12, 45).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში მრავალგზის ფიგურირებს საღვთო ნათელი და მისი ვარიაციები: „შორეთის ფსკერში მოციმციმე ნათელს ვუჭვრეტდი“ (13, 193).

ლექსში „ქრისტე“ (14, 343) ასეა განცდილი ქრისტეს ნათელი: „განფენილია ზეცით-მიწამდე, მისი ნათელი-ლოცვით მოსილი, ახალშობილი მნათობია მისი პროფილი, ვითარც ზენათა უზენაესის, ვით ყოფილის და არყოფილის“.

„წმინდა ნათელი“ ეწოდება ღმერთს „ამაღლებაში“ (14, 127). „აჰა, ამაღლდნენ“ ჩემი ფიქრები განთიადამდე, სადაც რწმენა მარად ციმციმებს და თავს ევლება წმინდა ნათელს ფარვანასავით“.

ღმერთი არის „ნათლის წყარო“, წინსვლის სტიმული: „მრუმე ღამის კარიბჭესთან ნათლის წყარო ისევ გიმზერს და ყოფნა არ გწყინდება, რადგან იცი, რომ შენი მზე მალე ამობრწყინდება“ (მრუმე ღამის კარიბჭესთან) (14, 66).

აღიარებული რელიგიური სახეა „ნათლის სვეტი“, რომელიც ხან ქრისტეს, ხან მარიამს მიემართება.

ვაჟა ეგრისელის ლექსში „შუნი“ „ნათლის სვეტის“ დამუნჯება-გაუჩინარება უღმერთობაზე მიგვანიშნებს: „დამუნჯებულა სვეტი ნათლისა და ვარსკვლავების ჩამქრალა ბაღი“.

ნათელი და ჯვარი ძალისა და ამაღლების წყაროა: „ახლა, როცა ვხედავ შორით და ნათელთან ჯვარი ვიფსკვენ, ძალა ისევ მოვიკრიბე და მივყვები მაღლა-ცისკენ, სხივმფინარე „ხიდს“ და „კიბეს“.

ხიდი („ხიდო წიაღმყვანებელო“) და კიბე (ზეცის) მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია (დაუჯდომელი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა“ (15, 9).

იოანე დამასკელი ბრძანებს: „როდესაც ღვთის შესახებ ვამბობთ „სიბნელეს“, არათუ სიბნელეს ვგულისხმობთ, არამედ იმას, რომ ღმერთი არ არის სინათლე, ანუ სინათლეზე უზემოესია. ასევე, როდესაც მის შესახებ ვამბობთ „სინათლეს“, ვამბობთ იმ აზრით, რომ არ არის იგი სიბნელე“ (16, 325).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში გვხვდება ამ მოსაზრებასთან მიგნებულად მისადაგებული სახე საღვთო ნათლისა- „ბნელი ნათელის სიელვარე“: „...და იდუმალი მესმის ძახილი ბნელი ნათელის სიელვარეში“ (ბნელი ნათელის სიელვარეში) (13, 80).

ლექსში „ჟამს ვარისხებ, როგორც მნათე“ (14, 67) „მიუწვდომელი თვალთა ნათელია“ უფლის სახელი: „უჟამოს და უხილავის სამრეკლოზე გადმომდგარი ზარს ვარისხებ, როგორც მნათე და ვით დავით, მეც დავეძებ მიუწვდომელ თვალთა ნათელს“.

„უჟამო და უხილავი“ საღვთო სახელებია (16, 337).

პოეტს გამუდმებით ენატრება „ნათელი სოფლისა“: „ალაჰი ვერ შემაყვარეს ქრისტეს ნიმბში ყოფნისას. თუმცა ისევ მენატრება მე ნათელი სოფლისა“ (ქრისტეს ნიმბში ყოფნისას) (14, 110).

პოეტი, როგორც ეკლესიასტე, შემოსილია „ცისკრის ნათელით“: „შენიც, ისე ვით ეკლესიასტეს, ცისკრის ნათელი არის სამოსი“ (ვით ეკლესიასტეს) (14, 85).

ჭეშმარიტი პოეტი მარადიული სინათლით შემოსილია.

„ჩრდილში ჩამომჯდარ მგოსანს, ცით-მირონივით გადმომდინარი, მარადიული სინათლე მოსავს“ (17, 609).

ანა კალანდაძე „მისტიურის მიღმა ფერებით“ იყო შემოსილი.

ვაჟა ეგრისელი მიღმური სამყაროდან ელოდება უსხეულო ნათელს: „ელვა ღრუბლებს გადაჩალავს, მწუხრი დადგამს მთვარის ულოს და მოკვდავმა ყველამ იცის, რომ „ნათელი უსხეულო“ მოვა მიღმეთიდან სივრცის“ (ქარი ღრუბლებს გადაჩალავს) (17, 463).

ასევე, მეცხრე ციდან მოდის „დღე წყვდიადი და მზიანი ღამე“ (იგი არის) (17, 465).

ქრისტე არის წყვდიადიდან ამოსული მზე, სხივი, უქრობი ნათელი, ცაში უშობელად შობილი: „გრძელი ღამის წყვდია-

დიდან დააპირებს მზე ამოსვლას, დრო მის სხივებს უშნოდ ბელავს – მერე უქრობ ნათლით მოსავს – ცაში შობილს – უშობელად“ (გრძელი ღამის წყვდიადიდან) (17, 388).

პოეტი დარწმუნებულია, რომ „ნათლითმოსილი უფლის ხატება“ ყველგან არის, სასახლეებშიც და ქოხმახებშიც (მზეებს მიგზავნის ღამეები) (17, 97).

მარადიული სინათლის წყარო ცათა ცაშია: „გვესხურება ცით წყარო – მარადიულ სინათლის“ (17, 338).

წყვდიადში, უღმერთო ეპოქაში კიდევ უფრო ძლიერდება „ნათლის“ წყურვილი: „ვუხმობთ ნათელს და ყოფნა წყვდიადში უფალმა უწყის, სანამდე გასტანს“.

უდაბნოს გადამლახველი, ურწმუნოების ბნელის უარმყოფელი, ღვთისგან ხელდასხმული პოეტი თავისი პოეზიით ამკვიდრებს მარადიულ ნათელს: „გამოვეპარე ათასწლეულებს და საესავით... და საფიცარით, უდაბნოს ცხელი გზები გავთელე... და ვითარც მოსეს, მეც მიბოძა „სჯულის ფიცარი“ ღმერთმა წარწერით: „იქმენ ნათელი“ (გამოვეპარე ათასწლეულებს“ (14, 458).

„ნათლითშემოსილნი“ წილნაყარნი არიან მზესთან, მთვარესთან, მათი ხვედრია ზესთასოფლის ხილვა, უფლის ზეცაში, მნათობებთან ამაღლება: „ნათლითშემოსილს, ვითარცა ქრისტეს, ეძახდა სულ სხვა სასუფეველი. რადგან მიწიერს მზის და მთვარის სისხლი ერია. და... მიმწუხრისას ამაღლდა ზეცად, მნათობთა მტვერში შეერია“ (ნათლით შემოსილს) (14, 686).

ქრისტე არის „ნათლითმოსილი სიტყვა“ (თეთრი დღეების მდინარეები) (14, 437).

მხოლოდ მაცხოვრის ნათელშია შესაძლებელი ზნესრული ცხოვრება: „მაცხოვარის დგას ნათელი“ (14, 453).

ასე გამოხატა პოეტმა თავისი მაღალი მისია, რაც უკვდავების საწინდარია: „ბნელი შეცვალე ნათლით, ყოფნით არყოფნა ძლიე“ (ლოცვით დაღლილი, ვითარც) (14, 575).

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84, 12) (5, 614).

მალაქიას წინასწარმეტყველებაში ღმერთს ეწოდება „მზე სიმართლისა“: „...ამოგიბრწყინდებათ, ჩემი სახელის მოშიშნო, მზე სამართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე“ (მალაქია წინასწარმეტყველი, 3, 20) (4, 307).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ღმერთს ეწოდება „წმინდა მზე“ (შდრ. გალაკტიონი: „აენთო წმინდა მზე შინაგანი“... „მშვიდობის წიგნში)“ „მოკვდავთა ამდენ ლოცვა-ვედრებით ყოვლისმხილველი თვალი აქვს სველი. სწირავს უფალი-მწყემსი კეთილი. ღამით სავსეა ცის ტაძარი ვარსკვლავთა მრევლით, დღისით მღვდელმთავარს – წმინდა მზეს ჰყავს გამოკეტილი“ (მოკვდავთა ამდენ ლოცვა – ვედრებით (14, 820).

ლექსში საღვთო სახელებია „უფალი“ (8, 338), „მწყემსი კეთილი („მე ვარ მწყემსი კეთილი“ – იოანე, 10, 14) (5, 201).

ღმერთის სახელია მღვდელმთავარი.

პავლე მოციქული ბრძანებს: „...ხოლო ქრისტე, კეთილი მომავლის მღვდელმთავარი, მოვიდა უფრო დიდი და სრულყოფილი, ხელთუქმნელი კარვით, ე.ი. არა ამნაირად შექმნილით“ (ებრაელთა, 9, 11) (5, 478).

მზის-ღმერთის რწმენაა პოეტის საგალობელი, სულის მარადიული საცხოვრისი: „მზე დედაა-ღვთის თვალება... და ვუგალობ მას „ლილეოს“, მზეში ვცხოვრობ და ვბინადრობ, ვით ბრუნო და გალილეო“ (მზე დედაა) (14, 634).

„ჩვენი მწყემსისა და მეველის“ - ქრისტეს გვირგვინი არის მზე: „სამყაროს მანათობელი მზე არის ოქროს გვირგვინი, ჩვენი მწყემსის და მეველის და შორს რომ გადაიგრგვინა – ხმა არის ნაზარეველის“ (14, 518).

„მზიანი ღამე“ ღმერთის სახელია შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში (18, 121).

ასეთივე შინაარსისაა ეს სახე გალაკტიონის პოეზიაში („ის დღეები დაიკარგა“).

თავისი ლირიკული პერსონაჟის ღვთისნიერობას ასე გამოხატავს ვაჟა ეგრისელი: „...იმ ერთმა გამოიარა ბნელი მზიანი ღამისა“ (ზეცა იესოს ტანია) (14, 279).

ლექსში „ლოდინი“ მამაღმერთის (ჟამი უჟამო, მზიანი ღამე), ქრისტეს (მზიანი დღე) მარიამის (ცა, მთა) ლოდინის გრძნობაა გადმოცემული: „ელი და აღარ ჩანს დღე-ღამე მზიანი, აღარც ცა, აღარც მთა, არც ჟამი უჟამო“ (14, 277).

ლექსში „მეცხრე“ (17, 957) „მზიანი ღამის“ (მამაღმერთის), სამოთხის (მარიამის), ვენახის (ქრისტეს), მეშვიდე, მერვე, მეცხრე ცის ნახვის სურვილია და ღვთისმშობლის, ქრისტეს ძიების გზით მიდის პოეტი სამყაროს შემქმნელის საუფლომდე:

„იტყვის: ძებნაში სამოთხის ცრემლებს გამოვყევ ვენახის, წყვდიადში მოველ მეცხრეცა. „მზიან ღამით“ რომ მენახა: მეშვიდე, მერვე, მეცხრე ცა“.

„მზიან ღამეს“, უკვდავების წყაროს ეძებდნენ ეკლესიასტე და გილგამეში, საწუთროს ამაოებაზე წუხდნენ, თუმცა უფლის ნათელში დარჩნენ მათი სულები: „გაუკვდავების წყაროს ძებნაში, ალბათ იცვალა უცებ ამინდი და... დარჩენილნი მზიან ღამეში, წუხან საწუთროს ამაოებას ეკლესიასტე და გილგამეში“ (ეკლესიასტე და გილგამეში) (7, 154).

მზის, სიცოცხლის, სიყვარულის (ღმერთის) ძალით აღჭურვილი მიემართება პოეტი ქვეყნის კიდეების მოსახილ-ველად: „მზით და სიცოცხლით და სიყვარულით და თოხის-ტარზე გამოკრული მცირე სამხარით, გზას მიუყვება ერთი პოეტი, ნახა მაღრიბი... მიდის სამხრეთით.... ელის მაშრიყი და ჩრდილოეთი“ (ერთი პოეტი) (14, 363).

ქრისტიანული ღმერთი სამებაა, სამი მზის სახეში მოაზრე-ბული და მასზე გამუდმებით ლოცულობს პოეტი: „ღვთიურ იდუმალებით-შენი, მგოსნის სამიზნე, კვლავაც არის მოცული, შენში სუფევს სამი მზე, სამივეზე ლოცულობ“ (სამი მზე) (14, 231).

გალაკტიონის თვალი სავსე იყო ცვრებით, იებით (ცვარი ქრისტეს, ია- ღვთისმშობლის სიმბოლოა) („სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის თვალში დაუბუდებია მზეს და „რწმენის მზე“ გამხდარა მისი საესავი: „მზე ჩემს თვალებში ბუდეს იკეთებს“, მოვიდა ჩემთან და მეც რწმენის მზესთან მივედი“ (მზე ოქროს ფრთებს შლის“) (14, 546).

ასევე, პოეტის გამორჩეულობას ამოწმებს „მზის ბეჭედი“: „შენს ბედს ბეჭედი აზის მზის“...

ამიტომაც ივედრება: „მზის ემბაზში გამბანე“ (14, 389).

მზე-ქრისტეს, ემბაზი – მარიამის სიმბოლოა.

მარიამი, დაუჯდომლის მიხედვით, არის „ემბაზისა მსგავ-სებისა გამომხატველი“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთის-მშობლისა), (16, 12).

უფლის ზეცისკენ, მზის (ღმერთის) გზასა და მთვარის (ღვთისმშობლის) ბილიკებს იკვლევს მარადიული ლოცვით: „გზას დღისით მზისა და ღამით-მივსდევ მთვარის ბილიკებს

და ზეცისკენ ვიურვი... უფალთან გზას მიგვიკვლევს ლოცვა მარადიული“ (გზას დღისით მზისა და ღამით...) (17, 815).

მზეს, ვარსკვლავებს, ღმერთების სავანეს უბრუნდებიან წმინდა სულები, მზის შვილები, რათა „მზის სვეტების“ („ღმერთის, სინათლე ათოვდეთ: „დრო მოვა და მზის შვილი, მზეში დაიმარხები და ძეგლად დაგედგმება მზის სინათლის სვეტები“ (დრო მოვა და) (17, 820).

პოეტის იდეალია მზე და ტაძარი (მზე ქრისტეს სიმბოლოა, მარიამი არის „საყდარ მეუფისა“ (დაუჯდომელი ყოვლად-წმინდა ღვთისმშობლისა (16, 9). „ლოცვებით ამაღლებული, აღარ არსებობს სხვა უფრო ტაძარი, მზე რომ ათოვდა. ცა არის ღმერთების საუფლო და სამოსახლო მნათობთა“ (ლოცვებით ამაღლებული) (17, 734).

პოეტი „მზეში ჭვრეტს სამებას, როგორც ნაზიანზელი“ (გრიგოლ ნაზიანზელი) (17, 20).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორს ისო ზირაქივით განუცდია „მზისთვალება“ უფლის ხილვის ბედნიერება: „და ვითარცა ისუ ზირაქს“ შენც გიხილავს მზისთვალება უფლის მზერა“ (და ვითარცა ისუ ზირაქს) (17, 37).

მზეთამზეს (მამაღმერთს) და მზეს (ქრისტეს) უნთებს პოეტი სანთელს: „მე სანთელს კვლავაც დაგინთებ, ჩემო მზეო და მზეთამზე“ (17, 42).

ცის ხმის მოსმენის უნარით მომადლებული, უფლის კვართს ხედავს: „გესმის ციდან ძახილი ხან მიწის და ხან ზენის და უფლის კვართს შესცქერი, როგორც ნაზიანზელი“ (დადგა ჟამი, გათენდე) (17, 50).

მამაღმერთი, ძე ღმერთი და ქალწული-მარიამია პოეტის საესავი: „დილით მზე, ვითა ქალწული, ამაღლდა ცათა ცათასა“ (17, 87).

სანთლით ხელში ელის სულიწმინდის მოფენის დღეს (17, 52). სამყაროს, ზეცის შემქმნელი, ადამიანის სულისჩამდგმელი ღმერთი პოეტის გამუდმებული ფიქრის საგანია: „ძირიადი ხატებით, მზეა მისი პროფილი, ვინაც ზეცა მთიებით დაწერა და დახატა. მანვე გადმოიყვანა ჩემში პირველყოფილი-ათას ზღვაში ნარწევი ეს კოლხური მაჰატა“ (17, 682) პოეტი არის „მზის მთესავი“ (17, 674).

მზით არის გასხივოსნებული მისი არსებობა: „მზეებს მიგზავნის ღამეები, როგორც ბარათებს“ (ადიდებული დიან დღეები) (17, 97).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი სულიერებით, რწმენით გამორჩეული პოეზიისთვის ბრძოლაში მთავარ იარაღად ირჩევს მზეს და სიხარულს: „ბრძოლა მომელის უსასტიკესი და დარჩენილი ჩემი დღეები... მზეს და სიხარულს, ვით იარაღს, ელავ აისხამენ, როგორც მცხეთა და როგორც სარკინე, რადგანაც ვიცი, ბედი მრისხანე, ვით იაკობს, თვით უფალთან რომ შემარკინებს“ (ბრძოლა მომელის უსასტიკესი).

პავლე მოციქული გვამცნობს: „ჩვენი საბრძოლო „იარაღი“ ხორციელი კი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად“ (II კორნითელთა, თ. 10, 4) (5, 396).

სულიწმინდის ქნარად წოდებული მოციქულის წერილებში განმარტებულია „საჭურვლის“, „ჯავშნის“, „ფარის“, „ჩაჩქანის“, „მახვილის“ შინაარსი: „შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი, რათა შესძლოთ წინ აღუდგეთ ეშმაკის მზაკვრობას“ (წერილი ეფესელთა მიმართ, თ. 6, 11) (5, 421).

„იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულები და სიმართლის ჯავშნით შემოსილები“ (იქვე, 6, 14) (5, 422).

„აიღეთ რწმენის ფარი, რომლითაც შესძლებთ ბოროტების გავარვარებული ისრების ჩაქრობას“ (იქვე 6, 16).

აიღეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა“ (პავლე მოციქული ეფესელთა მიმართ, (6, 14) (5, 422).

პოეტი არის მარადიულ მზით მოსილი, „უცნობის“ და „უხილავის“ რჩეული, მის გზაზე მავალი: „მარადიულ მზით მოსილი, უცნობი და უხილავი, არის ჩემი ორიენტირი. გაჩენიდან უხმოდ მიხმობს, მეც გზად მივსდევ და მივტირი“ (მარადიულ მზით მოსილი) (17, 304).

„მზის ემბაზში“ განბანილს, ვერას დააკლებს პარისის ისარი: „...და იფრენ კიდით კიდემდე, სხვა გზებით, სხვა ასპარეზით, ვითარც ახალი ამბავი. შენ, მზის ემბაზში განბანილს, ვერას დაგაკლებს პარისი“ (და იფრენ კიდით კიდემდე) (17, 33).

ქრისტეს სიმბოლოა ელვა: „ელვის მხურვალ ხელს მიწვდის, შორიდან ვცნობ-ღიმილს ძის, მზე რომ ახლავს სხვა

ნიშნის. უდაბნოსკენ მიმიძღვის ცხელი სუნთქვით ქარიშხლის“ (ელვის მხურვალ ხელს მიწვდის) (17, 4934).

ელვა საღვთო სახელია ლექსში „უამთა სრბოლამ“ (17, 431): „უამთა სრბოლამ ვერ დააზრო, აცდა დელგმას და ნიაღვრებს და მისმა ცამ იბაღნარა. ის ელვაა, ბნელს მოარღვევს, მოწანწკარებს ოქროს ღარად“.

ქრისტე არის „მამის სიტყვა“: „...მაინც ისმის ცით ძახილი: მამის სიტყვა არის ქრისტე“ (აგე, ოცი საუკუნე) (17, 21).

ცის განგებით იხილა სულის თვალებმა უფლის საუფლო, ცანი ცათანი“: „ნეტართა სამკვიდრებელი, მიწა კი არა, ცა უფრო, მეძახდა შიშით ატანილს: ვწვეოდი უფლის საუფლოს, მეხილა ცანი ცათანი“ (ნეტართა სამკვიდრებელი) (17, 420).

უფლის თვალები ყველგან არის, ის ხედავს კაცის გულსაც: „ვინც ეწამა მამისათვის, ვინაც ცოდვა კაცთა მოდგმის, თავის სუსტი მხრებით ზიდა, ელვასავით ის ჯვარცმული, ისევ გვითვალთვალებს ციდან“ (ვინც ეწამა მამისათვსი) (17, 380)

ბიბლიაში ღმერთი არის „მზე სამართლისა“ (მალაქია წინასწარმეტყველი)

პოეტის ღმერთია „მზე მართლის და სამართლის“, უქრობი, მარადიული: „სხივები სანთლებს უნთებდნენ ბუდასა და საბაოთს. მე თაყვანს ვცემს ჩემს უფალს – მზეს მართალს და სიმართლის, უქრობს, დაუსაბამოს“ (სხვები სანთლებს უნთებდნენ) (17, 46).

გალაკტიონი წუხდა „ზეცის ნგრევას“ (მეოცნებე აფრებით), მზის გარდაცვალებას (მას გახელილი დარჩა თვალები), მზის ჩაქრობას (მე დამესიზმრა), მზის გაუჩინარებას, მზის ლანდად ქცევას და ამით მიგვანიშნებდა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიაზე.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი თავის ეპოქაში ურწმუ-ნოების საშიშროებას ხედავს და თაობებს მოუხმობს მზის (რწმენის) გადასარჩენად: „ცა ჭკნება, ვით ტოტი ძახველის. დრო არის მზის გადასარჩენად, „რამეთუ ყოველთა აღიღონ მახვილი“ (ცა ჭკნება) (17, 536).

რწმენის ერთგულება, მისთვის თავდადება ვაჟა ეგრისელის პოეზიის გამჭოლი თემაა: „მე ვით კოლუმბი, ვით მაგელანი, დაბლა არ დავხრი რწმენის იალქანს“ (მიხმობს) (13, 198).

მზე- ღმერთი მხოლოდ წმინდა სულის მქონეთ გამოუბრწყინდებათ ისევე, როგორც „შტო სიხარულის“, როგორც მტრედის (სულიწმინდის სიმბოლოა) მიერ მოტანილი „შტო სიხარულის“: „როდესაც მტერს და მავნეს ვუთხარ „არული“, ადიდდა სული და აბრწყინდა ის მზე, ის ხატი და ახლა ველი შტოს სიხარულის როდის მომიტანს მტრედი ნისკარტით“ (ისევ მოლოდინი) (14, 161).

მზის და დაფნის რტოებით მიიწევს პოეტი უსასრულო შორეთში, რაც აძრწუნებთ მუხლსუსტებს და შეჩერებას ურჩევენ: „გზა არის შორი... თეთრჩალმიანი ღრუბლები ცაზე დამხობილან, როგორც მოგვები. ბრწყინავს და ელავს ნახევარი მთვარის მეჩეთი. შენ მზის და დაფნის მიგაქვს რტოები და მიხვალ ზევით... ვიღაცა ყვირის: წამით შეჩერდი! თორემ კეთილი მეგობრებიც მიგატოვებენ“ (გზა არის შორი) (13, 817)

ქრისტეს და მარიამის სიმბოლურ სახეებთან გვიწევს შეხვედრა ლექსში „სიშორით და ღამით მოსილ“ (14, 105): „სიშორით და ღამით მოსილ-წყვდიადიდან იშვა დილა, მზე ჩაედგა პირში სულად. ცა მეჩვენა „დახშული მტილად“, სპეტაკ წყაროდ დაბეჭდილად“.

„დილაში“, „დაბეჭდილ წყაროსა“ და „დახშულ მტილში“ მარიამი გვეცნაურება, მზეში - ქრისტე.

„ქებათა ქებაში“ ნათქვამია: „მტილი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი“ (4, 12).

სძალი და „წყარო დაბეჭდილი“ მარიამის სახელებია „დაუჯდომლის“ კვალობაზე, მზეში“ ქრისტე ამოიცნობა.

პოეტის ორიგინალობას მოწმობს „მთვარის ფიალით“ მზის მადლის“ შესმა: „ჰელიოსის მზემ, ვითარც მზის შვილმა, მთვარის ფიალით მზის მადლი შესვი და ამიტომაც უკვდავი გახდი“ (სკიპტრა და ტახტი) (14, 656).

მთვარე და ფიალა მარიამის სახეებია, მზე ქრისტესი, ანუ საუბარია მარიამის გზით ქრისტეს (მზის) მოვლინებაზე...

ღმერთის სიმბოლოა „მზიანი დღე“, სიბრძნის და სიწმინდის მომნიჭებელი: „ყოვლისმხილველ თვალს – შენ რომ გიკოცნის, ცით მონაბერი, მშობლიური მიწის ქარია და შენ გეკუთვნის ეს დღე მზიანი. მიტომ ტირიხარ... და გიხარია, რომ გადიქეცი ზღვა-ოკეანედ“ (გინესი 97) (17, 995).

შუქი, სხივი ძე ღმერთის სახელია ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიურ მწერლობაში (იოანე დამასკელი, პეტრე იბერი, გრიგოლ ნაზიანზელი, იოანე პეტრიწი, ლუდვიგ ფოიერბახი).

„უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი, ვის შევუშინდე?“ აცხადებდა დავით წინასწარმეტყველი (ფს. 20, 1) (5, 547).

„ხალხები მოვლენს შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე“, წერდა ესაია წინასწარმეტყველი (4, 60,3).

ლუდვიგ ფოიერბახის „სამებისა და ღვთისმშობლის მისტერიაში“ მამაღმერთს ეწოდება შუქი, ასევე, შუქი მიიჩნევა „ძის პრედიკატად“(19, 109).

ვაჟა ეგრისელი საღვთო ჭრილში მიმართავს სხივის სახეს: „მე თავზე დამესხურა უკვდავ სხივთა ნათელი“ (ქრიან საუკუნე) (17, 45).

საინტერესო, რელიგიური შინაარსის სახეა „ცის ხეზე“ (მამაღმერთი) გამოჩენილი ვარსკვლავის შუქი: „კაცი იყავ, ღმერთკაცი, არაფერი გიკვირდა, მხოლოდ ერთხელ გაოცდი, როს ცის ხეზე ვარსკვლავი შუქად გამოიკვირტა“ (შუქად გამოიკვირტა) (17, 494).

ქრისტეს ორიგინალური სახეა „სხივთა მარჯანი“, რომლითაც შემოსილია პოეტი: „ალბათ ჯვარზე გაგაკრავენ და მით უფრო გალაღდები... შემოსილი სხივთა მარჯნით – ქრისტესავით ამაღლდები და დაჯდები უფლის მარჯვნივ“ (ალბათ ჯვარზე გაგაკრავენ) (17, 634).

ცეცხლის ღვთიურ ბუნებას აღიარებდნენ ინდოეთში, საბერძნეთში, რომში, სპარსეთში.

„სიტყვა „ცეცხლს“ ბიბლიაში ფიზიკური და ზესთაბუნებრივი მნიშვნელობა აქვს“ (9, 191).

მოსეს წინამძღოლობით ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს წინ უძღოდათ ღმერთი დღისით „ღრუბლის სვეტის“ და ღამით „ცეცხლის სვეტის“ სახით (გამოსვლა, თ. 13, 21, 22) (4, 71).

მოსეს ქორიბის მთაზე ქრისტე ცეცხლის, ხოლო მარიამი მაყვლის სახით ეჩვენა.

მაყვლოვანი ღვთისმშობლის სიმბოლოა, ცეცხლი – ქრისტესი (აკაკი ბაქრაძე, სასულიერო პოეზიის სახეები) (20, 58).

ქრისტე არის „ვითარცა ცეცხლი უვნებლად განმანათლებელი“ (21, 104) საერთოდ კი, „ზეცის არსებათა ცეცხლის სახედ აზმნობენ“ (21, 144).

სასულიერო პოეზიაში ქრისტეზე მოგვანიშნებს „ცეცხლი უსხეულო (ი. მტბევარი), „სუდარი ცეცხლისა“ (ი. მინჩხი), „ნაკვერცხალი ცეცხლისა“, „შანთი შეუხებელი“, „ცეცხლი მშობელი ცვარისა“ (ეზრა).

ამ ფრაზებში „ცეცხლი“ ქრისტეა, „ცვარი“ – მისი მოძღვრება (აკაკი ბაქრაძე) (20, 59).

გრიგოლ ხანძთელს, როგორც ღვთის რჩეულს, ცეცხლის სახით ახვევია „სული ღმრთისაი განმანათლებელი“ (6, 597).

ინდურ მითოლოგიასა და ღვთისმეტყველებაში ღმერთი ნათელია, სხივოსანი, იგი ელვისა და ცეცხლის შარავანდედით იხილვება (9, 76).

ა. დრევსკის აზრით, ცეცხლის კულტი წინ უსწრებდა ბუდიზმს და ქრისტიანობას, ხოლო ბუდა და ქრისტე... კოსმიური ცეცხლის მატარებლები არიან.

ასევე, სულიერ ძალებს ახასიათებთ ცეცხლური ენერგია და ნათების უნარი (22, 93).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთის სახელია „დიადი ცეცხლი“: „წარმავალი და აგრეთვე მარადიული იხილე ცეცხლი და მიხვედი ისეთ ზღვარამდის, რომლის გადაღმა თვალი ჩემი ვეღარა წვდება“ (10, 247).

ე. რერიხი ღმერთს უწოდებს „დიად ცეცხლს“, რომელიც არაფერს წვავს და ყველაფერს წმენდს (23, 89).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ღმერთი არის „ცეცხლი მარადიული და ცეცხლი ღვთაებრივი“...

ლექსში „ღამე ფიქრში“ (13, 558) უღმერთობის სიბნელეს „უზენაესის უწმინდესი ცეცხლი“ ანათებს: „ღამეა ფიქრში... მხოლოდ ჟამი-ჟამ უზენაესის უწმინდესი ცეცხლი იელვებს“.

მზის მარადიულ სინათლესთან წილნაყარი, უფლის საკურთხეველთან დგას პოეტი, რწმენის სალ კლდეზე მიჯაჭვული, წყლით და ცეცხლით მონათლული: „მზის ჩაუქრობელ კელაპტრით, მდგარს უფლის საკურთხეველთან, აწ ვერაფერი შეგცვლის რწმენის სალ კლდეზე მიჯაჭვულს, მონათლულს წყლით და ცეცხლით“ (მზის ჩაუქრობელ კელაპტრით) (17, 801).

წყალი და ცეცხლი საღვთო სახელებია (18, 124).

ღმერთის სახელია უსაზღვროებას, მარადისობა: „...აბა რად უნდა დიდი მისნობა: უსაზღვრების – უსაზღვროებას, მარადისობის-მარადისობას“ (17, 857).

თავის ღვთისმოსაობას სიმბოლური „სიყვარულის კიბით“, მარადიული ცის, ღვთაებრივი ცეცხლის სახეებით გვაგრძნობინებს პოეტი: „აყვავებული ღამის სიზმრებით, ციმციმ დავტოვე მთვარის აკვანი და სიყვარულის კლდეზე დავები. მერე ვილოცე და ვეთაყვანე ცას მარადიულს და ცეცხლს ღვთაებრივს“ (აყვავებული ღამის სიზმრები) (14, 596).

სხვაგან „მარადისობასთან“ მიდის პოეტი „ცეცხლით ზენარით“: „მარადისობა სადღაც ყვავილობს, მეც იქ ამოვალ ცეცხლით ზენარით“...

სიყვარული ღმერთია (I იოანე, 4, 8) (5, 320).

ცა მარადიული მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა (24, 124).

„ცეცხლი ღვთაებრივი“ უფალზე მიგვანიშნებს (11, 121).

ეს რელიგიური სახეები შთაგონებენ პოეტს „ციურ არიას“ – საღვთო მოტივებს: „მთიები სიშორეს გალობენ და ისმის ციური არია, – როს უმზერ კლდესა და ღვთის კიბეს – ბარძიმობაზე შუქმფინარ მარიამს“ (14, 274).

სოლომონის „ქებათა ქების“ მიხედვით, ღმერთი არის „სულის შეყვარებული“ (1,7) (4, 15) „საყვარელი“(ქებათა ქება სოლომონისა) (5, 16) (4, 17).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ქრისტეს ეწოდება „მიჯნური“, „საყვარელი“, ვახტანგ მეექვსესთან - „მიჯნური, სატრფო, აკაკი წერეთელთან - „სიყვარული“ და „სული“ („სულიკო“), ვაჟა-ფშაველასთან-„სიყვარული, სატრფო“ (სამეფო „სიყვარულისა) (25, 258-200).

იოანეს გამოცხადებაში ღმერთს ეწოდება „პირველი სიყვარული“.

ქრისტემ ეფესოს ეკლესიას უსაყვედურა „პირველი სიყვარულის“ – ღმერთის დავიწყების გამო: „...შენს საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ შენ დაივიწყე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, 2, 4) (5, 492)

ვაჟა ეგრისელი ხშირად მიმართავს ღმერთის სიმბოლოდ „სიყვარულისა“ და „საყვარლის“ სახეებს.

„ამ სოფლად“ და „იმ სოფლად“ პოეტის წინამძღვარია „პირველი სიყვარული“ - ღმერთი: „ცხადია თუ ფარული – ჩემთვის ორივ ერთა და შუა არ იყოფა პირველი სიყვარული ამ სოფლად და იმ სოფლად“ (პირველი სიყვარული) (17, 389).

„სიყვარულის“, „საყვარლის“ ხილვა მხოლოდ წმინდათა, სულისთვის ხორცის გამღებთა ხვედრია: „ვარსკვლავებით ნათესი ცაა - უფლის საყანე, ხმა კრთის მთვარის – მნათესი. სხვა კრძალვით და თაყვანით: ვინც ხორცს დასწვავს სულისთვის, ის იხილავს საყვარელს“ (17, 439).

ვაჟა ეგრისელთან „სიყვარულია ქვეყნად ყოველი, ცის და მიწას რომ უსინჯავს მაჯას და დიდრონ ზღვებს რომ აღემატება. ადამის ძეო! უფლის ხატებავ! სიძულვილისთვის დროს როგორ ხარჯავ“ (სიყვარულია ქვეყნად ყოველი) (17, 764).

დანტესთან „სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ ციურ ცდომილებს“... „სიყვარული... აბრუნებს მზეს და პლანეტებს“...

ვაჟა ეგრისელის ერთ ლექსში ვაზის ნერგი მარიამია, ოქროს მტევნები – ქრისტე: „ადამის ცოდვის მტვირთველმა, იხარა ნერგმა-ვაზისამ, მოისხა ოქროს მტევნები და რტოკეთილი ყვავილობს – ცათაგან დაუტევნელი“ (17, 334).

პავლე მოციქულისთვის ქრისტე იყო „სულიერი კლდე“ (I კორინთელთა, 10, 4).

ვაჟა ეგრისელი ქმნის „სიყვარულის კლდის“ სახეს ქრისტეს მეტაფორად: „...მე სიყვარულის კლდეზე დავები. მერე ვილოცე და ვეთაყვანე ცას მარადიულს და ცეცხლს ღვთაებრივს“ (17, 121).

ღმერთი პოეტისათვის არის „სიყვარულის მტევანი“, რომელსაც ლოცვით უახლოვდება: „ლოცვის ბილიკს მივყვები, მარად მისი ერთგული. გზა არის უტევანი და სადღაც იქ მეგულვის სიყვარულის მტევანი“ (ლოცვის ბილიკს მივყვები) (17, 414).

სხვაგან სიყვარულის მტევანი (ქრისტე) დაუკავშირა (ვენახს – მარიამს), და სიცოცხლის“ ხეს (მამაღმერთს): „ვენახს, ჟამთა შესაკრთობად, ჩამოკიდა ლერწმის ყულფი და მტევანი სიყვარულის – სიცოცხლის ხეს მიადგა. მიტომ ადგას თვალი

უფლის ჭილ-ეტრატის იადგარს“ (ვენახს, ჟამთა შესაკრთობად) (17, 51).

სახარებაში ზეციური ვენახი, „ვაზი ჭეშმარიტი“ ქრისტეს სიმბოლოა „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა“ (იოანე, 15,).

„მე ვაზი ვარ, თქვენ კი – ლერწები“ (იოანე, 15, 5) (5,213).

იოანეს აპოკალიფსში ვენახი და მისი დამწიფებული მტევანი გულისხმობს ქრისტეს და მის მოძღვრებას: „მოისთულენ ტევანი იგი ვენახისა მის ქუეყანისა, რამეთუ დამწიფებულ არს ყურძენი იგი მისი“.

ღვთაებრივ კომედიაში„ ქრისტეს ეწოდება „ღვთიური ვენახი“ (10, 350).

ჭილ-ეტრატის იადგარში“ მარიამი წარმოდგენილია, როგორც „ვენახი ჭეშმარიტებისა“, ქრისტე – „ტევანი ცხოვრებისა“ (26, 80).

ჰიმნოგრაფიაში მარიამი მოიხსენება, როგორც „საღმრთო ვენახი (27, 81).

„სინურ მრავალთავში“ ღმერთის სიმბოლოა „ტევანი ჭეშმარიტებისა, ახლისა ვენახის კვირტი“ (28, 66).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ქრისტე წოდებულია, როგორც „კარგი ყურძენი, ღვინო კი სულის სიმბოლოა“ (11, 64,-65).

ვაჟა ეგრისელისათვის ცის ვენახია ქრისტე: „მიწაზე არა, ალბათ ცაშია-სამოთხე, რადგან ვერსად ვერ ვნახეთ, ლოცვა-ვედრებით ბოლოს ვეწვევით... და გაზაფხულის ჩვენ ვართ ლერწები, ცაში ყვავილობს ჩვენი ვენახი“ (მიწაზე არა, ალბათ ცაშია-სამოთხე) (17, 450).

პოეტი სანთელს უნთებს „ნორჩ ვაზს“ (მარიამს), „მტევან დიდს“ (ქრისტეს): „ცას მოწყალედ შევციცინებ, იქნებ სადმე თვალი ვკიდო მას, ვინაც რომ ადამის ძის ცოდვა-ბრალი ზურგზე იდო. მე ჩემს სიგრძე სანთელს გინთებ, ნორჩო ვაზო, მტევან დიდო“ (ნორჩო ვაზო, მტევან დიდო) (17, 124).

ცაში, უფლის ვენახში ხეტიალობს პოეტის სული უხილავის ხილვის სურვილით: „ვარსკვლავებით მორწყული, ცაა უფლის ვენახი, სადაც ვითარც მეველე, აღარ ვიშლი ხეტიალს და მსურს, როგორც ან-მარეს, უფალი რომ მენახა, ბაბილონის გოდილი?! ალბათ მეტის-მეტია“ (17, 447).

ქრისტეს მხედარი პოეტი „ძილ-ბურანში“ ხედავს მოხუც მამას, რომელიც ცად უხმობს გვირგვინით და ვაზის ლერწით: „ქანცგაცლილი ბედთან ბრძოლით, ძილ-ბურანში ხშირად ხედავ: „მოხუცებულს, სპეტაკ ზეწრით“. ის ცად გიხმობს ქრისტეს მხედარს, გვირგვინით და ვაზის ლერწით“ (ქანცგაცლილი ბედთან ბრძოლით) (17, 50).

ღვინო, „ძველი დაწმენდილი ღვინო“, ქრისტეს მეტაფორული სახელია ესაიას წინასწარმეტყველებაში: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს კერძებით, ნადიმს ძველი“,... დაწმენდილი ღვინით“ (ესაია, 25,6) (5, 91).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში კოლხეთში ქრისტიანობის გავრცელება აღიქმება, როგორც ღმერთის მიერ „ღვინის ხის“ დამყნობა: „წარსულიდან მოსილი დღე ნათობს და ამაყობს და ბარჩხალა მზით მიმხელს: რომ კოლხეთში დაამყნო ღმერთმა ვაზი-/ღვინის ხე“ (წარსულიდან მოსული) (17, 606).

სხვაგან სულის მკურნავია „მთვარის ჩანგი“ (მარიამი) და სიბრძნის ღვინო“ – ქრისტე: „მინდა სული განვიკურნო მთვარის ჩანგით, სიბრძნის ღვინით, როცა უფლის ცას შევუვლი, მნათთა შორის სიბრძნე ღვივის“...

არც ის არის შემთხვევითი, რომ პოეტი თავის წიგნს – „ნათელხილვა“ ვაზად ნათლავს, რელიგიური მოტივების, მამაღმერთის, ქრისტეს და მარიამის სახეების პრიმატის გამო: „ცით ჩამოსული წყალობად, ჰოი, რა სილამაზეა-შიგ არსთა გულისმპყრობელი, ეს წიგნი არა, ვაზია, რჩეულთა „მოსართლობელი“ (წიგნი „ნათელხილვა“) (17, 944).

გალაკტიონ ტაბიძე თავის პოემას „ალვას“ და „სუროს“ (საღვთო სახელებს) უწოდებდა: „პოემას უვრცესს დაერქმევა ალვა და სურო... იქ შორეული მხარეები უნდა გამეფდეს“...

ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში, დავით გურამიშვილის „დავითიანში“, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის შემოქმედებაში საღმრთო სახელია ვარდი, ყვავილი.

დავიმოწმებთ ერთ ადგილს ბიბლიიიდან: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა, 2, 12) (4, 15).

მარადისობის, სიყვარულის, მზის, სინათლის (საღვთო სახელებია) პარალელურად, ვაჟა ეგრისელი დაეძებს „ცის ყვავილებს“: „მარადისობა მარად მე მინდა და სიყვარულის ჩუმი მუფობა, რადგან მთვლემარე ღამეებიდან-მესმის ძახილი მზის და სინათლის, რადგან სიშორის კენწეროებზე მარად ჰყვავიან ცის ყვავილები“ (ცის ყვავილები) (17, 543).

პოეტის იდეალია „ცის ყვავილის“ (ღმერთის) მაძიებელი ციური სულის ჰიმნოგრაფები-იოანე მინჩხი და იოანე მტბევარი: „სული ედგათ ციური და უღმერთოდ ვერ ძლებდნენ დაბლა დედამიწაზე მარად დაუდევარნი. ცაში „ყვავილს“ ეძებდნენ იოანე მინჩხი და იოანე მტბევარი“ (სული ედგათ ციური“) (17, 848).

ჩვენს თანამედროვე პოეტს არ ასვენებს „სუნთქვა ყოილის“: „დედამიწაზე დაუტევარი, მარად მოაჯანყე და ამბოკარი, არ გასვენებდა სუნთქვა „ყოილის“ და რასაც უფლის თვალი მოჰკარი, სიმღერის ზღვაში შთანთქე ყოველი“ (17, 321).

ასევე, ძალზე ორიგინალურ ჭრილში მოიაზრება ანალოგიური -ჩანაფიქრის ბიბლიური სახე – „ვარდი იერიქონის“: „...და მოყვავილე ჩემი სტრიქონი წარსულს მოვწყვიტე და მოგიძღვენი, ყითარცა ვარდი იერიქონის“ (ვითარცა ვარდი იერიქონის) (17, 458).

მიგნებული და პოეტური თავისთავადობითა აღბეჭდილი სახეა „ადაბერების სოსნები“: „შენი სიცოცხლის სანაპიროზე არდაბერების ჰყვავის სოსნები. ზღვა და ღელვაა მარადისი შენი მხლებელი. თუმცა წახდა ჟამი... მაგრამ მაინც პატიოსნება შენს სულში კვლავ დევს ხელუხლებელი“ (შენი სიცოცხლის სანაპიროზე) (14, 413).

ნათლის პრიმატი, რწმენის ყვავილის აყვავება ასეა მეტაფორული სახეებით გაცხადებული: „ახლა ჩემს ცაზე აღარ ილევა ფერნაკლულ დღეთა ავარდისფრება და ღამეების აგვირილება“ (მოგონებების მწუხარ ხეივანს) (14, 223).

საღმთო სახელია ცხოვრების ხე, რომლის ვარიაციებია ალვა, პალმა, კიპარისი, ვაზი, ნაძვი.

„სიცოცხლის, ხე“ არსებობის ბიბლიაში, კერძოდ, შესაქმეში იწყებს და ღვთაების სიმბოლოა. ედემის ბაღში ასევეა გაშენებული ცნობადის ხე (წიგნი დაბადების, 2, 16, 17) (918).

იოანეს გამოცხადების „ხე ცხოვრებისა ნაყოფის გამომღებელი ათარმეტთა ნაყოფთა“ (თ. 22,1-2) ქრისტესა და მის თორმეტ მოციქულს გულისხმობს.

ახალ აღთქმაშივეა ამ სახის ახლებური ვარიაცია: „შეიწყნარეთ ნერგი სიტყვისაი, რომელიცა შემძლებელ არს ცხოვრებად სულთა თქუენთა“ (კათოლიკე ეპისტოლე იაკობისა, 1,2).

ღვთისმეტყველებაში ასეა კომენტირებული სიცოცხლის ხე: „ხე ცხოვრებისაი, ვითარცა ხატებაი ღმრთისაი“ (გრიგოლ ნოსელი).

„ღვთაებრივ კომედიაში“ ქრისტეს სიმბოლოა „დიადი ხე“, „ხე ტკბილი“: „ამასობაში მივეახლეთ ჩვენ „ხესა დიადს“... „ხე ტკბილი“ (10, 234).

ქართული სასულიერო პოეზიაში „სიცოცხლის ხე“ და „ცნობადის ხე“ ხან მარიამს, ხან ქრისტეს გულისხმობს.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ნათქვამია: „ზედ გულზე ვიბი იგი ხე, კაციანი და ღვთიანი“ – პროფ. ტ. მოსიას განმარტებით, ეს სახე ქრისტეს ორბუნებოვნებას გამოხატავს და ძალზე ორიგინალურია.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში სიცოცხლის ხედ გვევლინება პალმა და ტუია: „ვითარც ბრძანებდა შენიე პოეტი მარტოგულია. და სადღაც სიკვდილს მგლები კი ვაჰ რა საზარლად ყმუიან. ცად კი სიცოცხლის ხეები დგანან, პალმა და ტუია“ (14, 114).

ლექსში „შავ ღრუბლებს“, „მთიებით ტოტებდაზნექილი“. ქართული ცის ხე წარმოაჩენს ქართველთა ქრისტიანულ იდეალს“: „დგას ცის ხე-ქართული მთიებით ტოტებდაზნექილი“ (14, 802).

უღმერთობას, „რწმენის ხის“ ამოთხრას ლაშარის და ლომისის ჯვარი ემუქრება განადგურებით: „ლოცვად დგას მაცხოვრის წინაშე ლაშარის და ჯვარი ლომისის: მიუზღვას თავისი რწმენის ხის ამომთხრელს“ (ლოცვად დგას) (14, 524).

ერთგან პოეტი ამბობს: „...და მინანავებს პალმა ქოქოსის“... პალმა სიცოცხლის ხის, ანუ ღმერთის სიმბოლოა.

ქრისტე არის „ყოფნის ხე“, სიბრძნით და ათარმეტთა ნაყოფით (12 მოციქული იგულისხმება) დატვირთული: „მარადიულ შიშით და სიყვარულით მოსილი შრიალებს ხე-აქ

ყოფნის, დახუნძლული სიბრძნით და ათორმეტთა ნაყოფით“ (14, 340).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის შემოქმედებაში „ფიქრთა ხე“ საგაზაფხულო ხმებით არის დახუნძლული: „..როს გალობა ჩიტის მოისმა, მაშინ, უეცრად დათოვლილმა ჩემმა ფიქრთა ხემ, საგაზაფხულო ხმები მოისხა“ (ფიქრთა ხე) (13, 110).

გაზაფხული (ძველ ქართლში ზაფხული), საღმრთო სახელია და ის მომდინარეობს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნიდან: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (65, 12) (4, 588).

ღმერთს, გაზაფხულს, ზაფხულს მოჰყავს სულის გაზაფხული: „უფალი ჩემში განვასხეულე, ჩემი სიცოცხლის გაზაფხული დღეებს უკვირდა“ (უფალი ჩემში განვასხეულე) (13, 63).

პოეტის სული აფორიაქებულია იდუმალებით, გაურკვევლობით, უზენაესის მიუწვდომლობით: „...სულს მარადის მიფორიაქებს. იდუმალების იდუმალობა, გაურკვევლობა გაურკვეველის“ (სამი ათასის სიბობოქრეში) (3, 577).

იდუმალი, გაურკვეველი საღმრთო სახელებია (8, 138).

ყოვლისმხილველი მზერა „წამს დაეძებს უხილავის მოსახილავად“(17, 97). უხილავი ღმერთის სახელია (18, 337).

ძალზე ხშირად, როგორც დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ერთად არის ხოლმე მოაზრებული დედა-ძის მარადიული სახეები.

ქრისტესა და მარიამის სიმბოლურ სახეებთან გვიწევს შეხვედრა ლექსში „მანანათი დაგვაპურა“ (17, 138): „მანანათი დაგვაპურა და წყურგილე გვასვა თასით. ზღვაში თესდა, ცაში მკიდა, წელი არის ორი-ათასი, რაც გადმოჩქეფს წყარო კლდიდან“.

მანანა, ზეციური პური, რომლითაც მოსემ დააპურა ეგვიპტიდან წამოყვანილი ისრაელები, მიგვანიშნებს ღმერთზე, ასევე მოსეს მიერ კვერთხით კლდიდან გადმოდენილი წყარო, „წყურგილე“ არის ქრისტეს სიმბოლური სახელი.

თასი, კვერთხი, კლდე-უფლის დედის პარადიგმებია.

სახარებაში ქრისტე ეუბნება თავის ხალხს: „მამაჩემი გაძლევთ ჭეშმარიტ პურს ზეციდან.

რადგან ღვთის პური ისაა, რომელიც ზეციდან ჩამოდის და სიცოცხლეს აძლევს წუთისოფელს.

მე ვარ პური სიცოცხლისა. ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ჩემს მორწმუნეს არასოდეს მოსწყურდება“ (იოანე, 6, 32, 33, 35) (5, 190).

„მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული. ვინც ამ პურს შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს“ (იოანე, 61, 51) (5, 191).

იოანე დამასკელი გვაუწყებს: „პური არსობისა აღნიშნავს მომავლის ანუ საუკუნო ცხოვრების პურს, ანდა იმ პურს, რომელსაც ჩვენი არსების შესანარჩუნებლად მივიღებთ“ (29, 310).

ჭეშმარიტ პოეზიაში „ციური მანანა„ – ღვთის რწმენაა უპირველესი. „გიპყრია მთვარის კითარა და ღამის იქით იურ-ვი... ნებით უფლის და განგების, ვითა მანანა ციური, გცვივა-მზიური ჰანგები“ (გიპყრია მთვარის კითარა) (17, 648).:

წყარო, წყალი საღვთო სახელია.

ქრისტე ამბობს სახარებაში: „თუ ვინმე სწყურია, მოვიდეს ჩემთან და შესვას“ (იოანე, 7, 37) (5, 194).

პოეტი ეძებს „ცისკენ მზირალ კლდეს“, სამოთხეს (მარიამს) რათა იპოვოს „წყაროსთავი“ – ქრისტე: „ცისკენ მზირალ კლდეებს ფშვნიდი, რომ გეპოვნა წყაროსთვალი და სამოთხის ბაღი მშვიდი” (ელვასავით მიმოჰქროდი) (17, 856).

წყვდიადის მანათობლისგან მოდის წყლის სათავე, ხოლო ცის ნათელში ერთად ბუდობს მტრედი, გვრიტი, ღაჟო (საღვთო სახელებია) “წყვდიადს მანათობლად ახლავს, რომ სათავე წყალს დაუდოს, მიტომ მუდამ გარიჟრაჟობს. ცის ნათელში ერთად ბუდობს მტრედიც, გვრიტიც და ღაჟო“ (წყვდიადს მანათობლად ახლავს) (17, 431).

დიდი პოეზია ყოველთვის სინათლის და მზის მთესავია, მოსესავით კლდიდან კვერთხით წყაროს გამომდენი, ანუ რწმენის, სულიერების, სარწმუნოების მსახური მხატვრული სიტყვით“: „მეცხრე ციდან ჩამოსული – სინათლის და მზის მთესავი, ვით ბრძანებდა „ბრძენი დივნოს“, კვერთს დაჰკრავ და კლდეს გააპობ მოსესავით, უფლის წყარომ რომ იდინოს“ (მეცხე ციდან ჩამოსული) (434).

ღმერთი არის „მარადი წყარო“ (მარადი წყარო) (3, 784).

„უფლის ხელით მორთმეული წყურგილე“, მადლიანი წყარო დის კოლხურ „ფსალმუნებში“ (ჩემი წყარო) (17, 454) ღმერთის სახელია უკვდავების წყარო (17, 226), მარადი წყარო (17, 378).

„ცაა მარადისობის ხე და ცვივა სიცოცხლის ნამი“ (მარადისობის ხე) (17, 191).

ნამი საღმრთო სახელია.

ღვთის სახედ არის მოაზრებული რწმენის ხე: „აჰა, რწმენის თეთრი ხე, რომელსაც იმედების მარადმწვანე კვირტები აკერია ღილებად. თუ ბრმა მას ხელს შეახებს, თვალი აეხილება (რწმენის ხე) (17, 458). აქ ხაზი ესმება ქრისტეს სასწაულმოქმედ უნარს.

ვაზი არის „ცის და სიცოცხლის ხე“ (ვაზი) (17, 127).

ქრისტე არის ვაზის ნერგის (მარიამის - „ოქროს მტევანი: „ადამის ცოდვის მტვირთველმა, იხარა ნერგმა ვაზისამ, მოისხა ოქროს მტევნები და რტო-კეთილი ყვავილობს – ცათაგან დაუტევნელი“ (ადამის ცოდვის მტვირთველმა) (17, 334).

პოეტს ესმის „უკვდავების წყაროს“ („ღმერთის) ხმა, „სიცოცხლის ხის (ღმერთის სიმბოლოა) შრიალი: „სადღაც ახლოს მოისმის (ალბათ, აქვე, შინ არი), უკვდავების წყაროს ხმა, სიცოცხლის ხის შრიალი“ (ელვის წკეპლამ ილვა) (17, 225).

სიცოცხლის ხის ვარიაციებია ალვა, პალმა, ნაძვი, კიპარისი, ვერხვი.

ალვის ხის კვირტის თვალში ქრისტეა ნაგულისხმევი ისევე, როგორც მთვარის (მარიამის) ოქროს სხივში და ვარსკვლავში: „იქ, ბეთლემთან ვარსკვლავები, მიწას ოქროს სხივებს სცემდნენ-მთვარის ვერცხლის დაირიდან. გაახილა კვირტმა თვალი-ცისკენ მზირალ ალვის ხიდან და სამყარო გაირინდა“ (იქ, ბეთლემთან) (17, 388).

„ცის ხის“ „ვარსკვლავშიც“ ქრისტეა ნაგულისხმევი: „ვარსკვლავებით დახუნძლულ ცის ხეს ცვივა ნაყოფი, ვით ატმის ხეს ყვავილი“ (ვარსკვლავთცვენა) (17, 479)

„ცის ხის“ ვარსკვლავის შუქში ქრისტე მოიაზრება:„კაცი იყავ, ღმერთკაცი, არაფერი გიკვირდა, მხოლოდ ერთხელ გაოცდი, როს ცის ხეზე ვარსკვლავი შუქად გამოიკვირტა“ (კაცი იყავ, ღმერთკაცი) (17, 505).

მტრედი, თუღუნი (შევარდენი) ღმერთის სიმბოლოა ლექსში „ისევ ქარონი“ (17, 47): „მე კი ვიცი, რომ ფარულად თავს დამტრიალებს თუღუნი“, ამბობს პოეტი.

ეს სახე სხვაგანაც ფიგურირებს რელიგიური შინაარსით: „ზიხარ ცივ სიმყუდროვეში უხილავ მხეცთა ნატორი, უსასოო და უღონო, მაგრამ წამითაც არ გტოვებს აჩრდილი თეთრი თუღუნის“ (ზიხარ ცივ სიმყუდროვეში) (17, 459).

ღმერთის სახელია აგრეთვე გვრიტი: „ხატებთან მრევლის ჩურჩული უძილო, ღამენათევი, ზეცისკენ ლოცვად ილტვის. და განთიადის ნათელი ხმად მონარნარობს გვრიტის“ (ხატებთან) (17, 455).

ეს სახე მომდინარეობს სოლომონის „ქებათა ქებიდან“: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (2, 12).

ქრისტე არის „მწყემსი კეთილი“: „მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი თავის სულს გასწირავს ცხვართათვის“ (იოანე 10,11) (4, 201).

ვაჟა ეგრისელის ლექსში „მოკვდავთა ამდენ ლოცვა-ვედრებით“ (3, 820) ქრისტე წარმოიდგინება, როგორც „მწყემსი კეთილი“: „მოკვდავთა ამდენ ლოცვა-ვედრებით, ყოვლისმხილ-ველი თვალი აქვს სველი. სწირავს უფალი-მწყემსი კეთილი“...

ლექსში „მწყემი კეთილი“ მწყემსი ქრისტეს სიმბოლოა, „ჟამი“ - მამაღმერთის, ცხოვრების ხე“ - ქრისტესი, „თორმეტი ნაყოფი“ – თორმეტი მოციქულია, „ცხორები“ – მრევლი: „კი, მწყემსი კეთილი ფარას კვლავ მილალავს, სიბრალულს ბღავიან „ცხორები“, თუმც ჟამი ხეს არხევს ცხოვრების, დახუნძლულს „ათორმეტ ნაყოფთა“ (14, 103).

„დარდის დევის“ დათრგუნვის ძალაა ღმერთი-„მწყემსი კეთილი“: „შენც დარდის დევს კლიტულში ჰყავხარ გამო-კეტილი, მაგრამ წამით არ გტოვებს იგი, მწყემსი კეთილი“ (სადღაც) (17, 4594).

„ღმერთი არის „მარადისობის მამა“ (ესაია, 9, 5) (16, 45), „დიდების მამა“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 1, 17) (4, 414).

„მოხუცი მამა“ მამაღმერთის სახელია დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, გოეთეს „უკანასკნელ საზღვარში“, გალაკტიონის „მამულში“.

ვაჟა ეგრისელის ლექსში „წელში მოხრილი და თვალბედითი“ (14, 45) მამაღმერთი „მოხუცი მამის“ სახეშია პერსონიფიცირებული, „წელში მოხრილი და თვალბედითი ცივად დაგვცქერის მთვარე... მოხუცი მამა მთელი ღამე ვარსკვლავებს თესავს“.

უფლისგან ხელდასხმულს, რწმენის მირონით გასპეტაკებულს, მამაღმერთის უხმო ძახილი ამხნევებს: „ამაღლდები! აღწევს ელვად მამა-უფლის ხმა ძახილი. რწმენის მირონს ცა აპკურებს“ (ამაღლდები) (3, 715).

ღმერთი არის მარადისობა (8, 338): „მარადისობის გზების ძებნაში უნდა ლესავდე აზრის ჯევარდენს“ (მზე ჩავიდა და) (3, 186).

მარადისობის,ზეციური ცეცხლის თანამგზავრია პოეტი: „მარადისობა სადღაც ყვავილობს, მეც იქ ამოვალ ცეცხლით ზენარით“ (ცახე ეცემა ჩრდილი გოდოლის) (14, 242).

სხვაგან „მარადისობაა“ მისი „შუბი“, მარადისობაა ლტოლვის საგანი: „მარადისობის ცისკენ მზირალი, ვინც უღმერთობას გულში გაივლებს, არსი ყოველი საწუთრისგან დაილეწება... მარად უჭკნობი და მოყვავილე - „ეს მე ვარ ვაზი, თქვენ კი ლერწები) (13, 925).

პოეტს ესმის „მარადისობის არია“: „სივრცეებს იქით, სხვა პლანეტებზე მირიადი სხივით ნარწევი, მარადისობის ისმის არია“ (17, 713).

ლოდი, ქვა, ქრისტეს სიმბოლოა: „მიხვედით ცოცხალ ქვასთან, ადამიანებმა რომ დაიწუნეს, ღვთისგან კი სრული და ძვირფასია“ (I პეტრე, 2, 4) (5, 304.

ვაჟა ეგრისელი მრავალგზის მიმართავს ამ სახის ვარიაციებს. მის ლექსებში ქრისტე ფიგურირებს, როგორც იმედის ქვა, ციური ქვა, სიბრძნის ქვა, სიყვარულის ქვა, რწმენის ლოდები, „ლოდინის ლოდები“. თავისი პოეზიის რელიგიურობა, ქრისტიანული ხასიათი ასე გამოხატა პოეტმა: „... და დგება ჟამი ციურ ქვაზე აზრების ლესვის“ (როს სოფლოს თავზე) (13, 848).

ლექსში „დიდი წიგნი“ (18. 501) „იმედის ქვა“ და „რწმენის ლოდებია“ წარსულის, აწმყოს, მომავლის გაცნობიერების, მისი სიცოცხლის დიდი წიგნის შექმნის იპულსი: „იმედის ქვით და უზარმაზარ რწმენის ლოდებით, ვითარცა მცხეთა,

მეც ამიგია ჩემი სამშობლოს მომავალი, აწმყო, წარსული, ჩემი სიცოცხლე დიდი წიგნია – დღისა და ღამის ყდაში ჩასმული“ (დიდი წიგნი) (18, 501).

ვაჟა ეგრისელის ლექსში ღმერთი არის „სიყვარულის ქვა“...ჩემი სიტყვა რუსთაველივით სიყვარულის ქვაზე ავლესე“, ამბობს პოეტი.

სიხარული საღვთო სახელია. ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2, 10) (4, 113).

მზესთან ერთად, პოეტის საბრძოლო (სულიერი) იარაღია მზე, სიხარული: „ბრძოლა მომელის უსასტიკესი და დარჩენილი ჩემი დღეები მზეს და სიხარულს, ვით იარაღს, კვლავ აისხამენ, - როგორც მცხეთა და როგორც სარკინე, რადგანაც ვიცი, ბედი მრისხანე, ვითარც იაკობს, თვით უფალთან რომ შემარკინებს“ (ბრძოლა მომელის უსასტიკესი) (17, 293).

ღმერთი არის ნათელი, განთიადი.

ნათელმსმენ პოეტს ესმის საღვთო მუსიკა, განთიადის ხმა და გულმხურვალედ ლოცულობს რწმენის გადასარჩენად: „განთიადის ხმა მეც გავიგონე, აქ, ჩემს არაგვთან, იქ, შორს ნილოსზე: და დავდექ ღამის უდაბნოში, ვით მედავითნე, ბრძოლით დაღლილმა ჩუმად ვილოცე და შენი რწმენა სანთლად ავინთე“ (მეც გავიგონე) (3, 311).

გზა საღვთო სახელია.

ქრისტე ამბობს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე“ (იოანე 14, 6) (5, 21).

პოეტი მისდევს „გზას ხილულს და გზას უხილავს მაღლა... უხმო მეხთა ტეხად და ქუხილად“ (ისევ ამაღლება) (14, 186).

ვაჟა ეგრისელის ლექსში ღმერთს ეწოდება „გზაი ჭეშმარიტების“: „მხოლოდ ერთმა უფალმა იცის ათასწლეული თუ რამდენი გავიდა, რაც მზის ჭუჭრუტანიდან ზესკნელში ვიჭვრიტები. და იქიდან ნათლად ჩანს „გზაი ჭეშმარიტების“ (გზაი ჭეშმარიტების) (1, 11).

ღვთის გზით მავალი პოეტი ევედრება უზენაესს, ბოლომდე გააგნებინოს უზენაესის გზა: „თუკი ყველა გზა მიდის რომისკენ, მე შენს გზას ვსწავლობ, როგორც გაკვეთილს და გევედრები, ღმერთო, მომხედე, ამ ცხოვრებისაგან სასოწარ-

კვეთილს, უპოვარსა და ოხერმოხეტეს“ (თუკი ყველა გზა მიდის რომისკენ) (14, 75).

იოანე დამასკელის მიხედვით, ღმერთი არის „ზეარსი, ყოველივეზე ზემყოფი, უზემოესი, ზეღმერთი, ზეკეთილი, ზესრული (16, 327). მიუწვდომელი, ყოვლის მხილველი, შეუცნობელი, სინათლეზე უზემოესი, მოუაზრებელი, უსასრულო“ (16, 3622).

პოეტი გრძნობს „ყოვლისმხილველის“ მზერას, სიკეთეს, სინათლეს, რომელიც მოკვდავთათვის შეუცნობელი, მიუწვდომელი და უსაზღვროა: „გვითვალთვალებს ფარულად და ხელს გვიწვდის რომელი, ვით დიადი ზესთაზე და ვით წმინდა მამანი, მარად შეუცნობელი, ძალი განუზომელი, ფიქრი მიუწვდომელი, უსაზღვრო, უსამანო“ (ვით დიადი ზესთაზე) (14, 62)

გალაკტიონი ამბობდა: „ვგავარ ზესთაზეს“ (ვაშა, შავ ზღვაზე ამომავალ მზეს).

იოანე დამასკელი ღმერთის მოიხსენებს, როგორც „აზრს, მოაზროვნეს, სიბრძნეს და ბრძენს, გონებას და გონებისმიერს, სიტყვის მშობელს“ (18, 338).

ბასილი დიდის მიხედვით, სულიწმინდა არის „ფალავანი მწიგნობარი“ (30, 146).

ვაჟა ეგრისელის ლექსში მამაღმერთი არის „ზესთამგოსანი, ჩანგის მპყრობელი, მგალობელი: „ზის მამაღმერთი ზესთა მგოსანი შიშის ქათქათა წვერმოშვებული და მოკვდავების ლოცვით შებურვილს მთვარე უჭირავს ხელში ჩანგივით და ღამეს გალობს სიმსხივოსანი“ (თეთრი ღრუბლების თეთრ სავარძელში) (4, 234).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორისთვის რელიგიურობის და მუსიკალობის იდეალები არიან დიონისე არეოპოგელი, წმინდა გრიგოლ ნოსელი, ორფეოსი: „ორფეოსის ხმა მესმის, ზარი არეოპაგელის და „პასუხი ექსუთა წმინდა გრიგოლ ნოსელის“ (სულთა მარადისობას დრტვინავს ზესთა სამყარო) (3, 890).

ღვთისნიერობა ათქმევინებს: „ჩემში უფალი ზის და მკარნახობს ცხოვრების წიგნს“... (ჩემში უფალი ზის) (9, 890).

აი, როგორი ახლობელია პოეტისთვის ქრისტიანული ღმერთი: „უფალი ჩემში განვასხეულე, ჩემი სიცოცხლის გაზაფხული დღეების უკვირდა“.

ღმერთის სიყვარულით ამაღლებული პოეტი მეუდაბნოე ბერივით რწმენით და ლოცვებით აღწევს სულის განწმენდას: „ცათამდე ამაღლებული კაცი ფიქრით და ოცნებით დაბლა მიწაზე ვერ ივლის. მე ვცხოვრობ ღვთით და ლოცვებით, მეუდაბნოე ბერივით“ (ცათამდე ამაღლებული) (3, 68).

თავისი უდიდესი მისიის შესრულებაში ღმერთი ეგულება შემწედ: „იმედად ჩანს მთა ქორიბის, მოსეს კვერთხი, კლდე და წყალი“ (კლდე და წყალი).

მთა და კვერთხი მარიამ ღვთისმსშობლის სიმბოლობია (24, 124).

კლდე და წყალი ქრისტე ღმერთის სახელებია (18, 121).

ვაჟა ეგისელი ქართული სულიერების, ზნეობის გადამრჩენად „ჭეშმარიტების ძელს“ სახავს: „რაც ნაღდია და ქართული, არა ზღაპარ მითებისა, დღემდის ჩვენთან მოიტანა ძელმა ჭეშმარიტებისა“ (რაც ნაღდია და ქართული) (3, 536).

ძელი იგივ ჯვარია (ნეტარი ავგუსტინე).

ცა მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა (24, 124).

ვაჟა ეგრისელი წუხს მარიამის უარყოფას და მიმართავს სიმბოლური ცის სახეს: „ცა ჭკნება, ვით ტოტი ძახვილის“ (ცა ჭკნება) (3, 536).

სახარებაში ქრისტემ ტაძარი დაატოვებინა ვაჭრებს და უთხრა მათ: „დაწერილია: ჩემი სახლი სამლოცველო სახლად იწოდება, თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად გიქცევიათ იგი“ (მათე, 21, 12) (5, 45).

ამ სიტყვების პერიფრაზირებაა ვაჟა ეგრისელის სტრიქონები: „და ვღაღადებ მეც, ვითარცა ქრისტე, ღვთიურ ჩემს სახლს ლოცვის სახლი ჰქვია“ (არ ჩერდება) (3, 206).

არსი, ზეარსი ღმერთის სახელია (16, 338).

პოეტს ასულდგმულებს „რწმენა ზეარსის მადლის და ნახვის“ (ნიავს რომ მოაქვს) (3, 478).

ებრაელი ხალხის წინამძღოლმა მოსემ ღვთისგან ბოძებული სასწაულებრივი კვერთხით მეწამული ზღვა გააპო და სამშვიდობოზე გაიყვანა თავისი ხალხი. ქრისტემ ფეხით გაიარა ზღვაზე (მარკოზი, 6, 48, 49) (5, 81).

ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა ბიბლიაში: „ზღვა, მწარეწყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა“ (31, 519).

ამ ზღვაზე გადასასვლელი გემია ძელი, იგივე ჯვარი, ჯვარცმა (31, 519).

ესაია წინასწარმეტყველი ბოროტეულთ ლაფიან და ტალახიან ზღვას ადარებდა: „ბოროტულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრის ლაფს და ტალახს“ (ესაია, 57, 20) (4, 116).

ზღვის გადალახვა ცხოვრების ცოდვების დამარცხებას ნიშნავს გალაკტიონის ლექსში „გადავიარეთ მრისხანე ზღვები“ (12, 205).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში „რწმენის საჭით“ ხდება ზღვაზე გადავლა და პოეტი – „მენავე“ – უზენაესის სავანემდე მაღლდება: „მიწის ბელტების დგას ღრიანცელი... მე რწმენით საჭით ზღვა გავაპე და ვით მენავე, მიველ იქ, სადაც შენ ციმციმებდი... „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი და შეწყნარების ვთხოვ უზენაესს“ (3, 478).

ღმერთი, როგორც – ზღვის ღელვის (ბოროტეულთა) დამარცხებელი, არის „მენავეთამოძღვარი“ (14, 378)

პოეტი წყლის ზედაპირზე სიარულის უნარით მომადლებული, ბიბლიის სიბრძნის ზღვაშიც მცურავია: „წყლის ზედაპირზე სიარულს, ნუ დაიკვეხნის ნურავინ. ეს შენ ხარ... ჰერკულესივით მითოსის მხრებზე შემდგარი, ბიბლიის ზღვაში მცურავი“ (წყლის ზედაპირზე სიარულისა) (14, 84).

ზღვის ზვირთების აყალ-მაყალს ცვლის მზის სხივების წვიმა (მზე საღმრთოო სახელია), მოსეს მაყვლისა და გედეონის საწმისის ხილვა: „უცებ მიწყდა ნაპირთან – ზვირთთა აყალ-მაყალი, ზღვას სხივები აწვიმს მზის და კრთის – მოსეს „მაყვალი“, გედეონის „საწმისი“.

მოსეს მიერ ქორიბის მთაზე ხილული ცეცხლწაკიდებული, მაგრამ შეუწველი მაყვალი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა. ისევე, როგორც მსაჯულთა წიგნში გედეონისთვის ღმერთის მიერ ცვრით დანამული საწმისის გაცხადება (გამოსვლათა 124, 7, 121) რომელიც ღვთისმშობლის მოვლინების მაცნედ დაისახა.

ამაღლებული, მიწიერის, ხილულის არადჩამგდები სული უხილავს – ღმერთს (16, 337) მიელტვის: „ისევ ველტვი უხილავს, არსად მგდები ხილულის, რადგან ამას მავალებს სული აღმა მავალი“ (ეკლესიის ზარები) (3, 645).

უფლისგან ნაკურთხი მზერით ერთდროულად იხილვება საგნობრივი და ატრალური, ხილული და უხილავი: „იდუმალ მხმობს სამყარო, მღვრიე და ასტრალური. და ერთად ჭვრეტ შორეულს, ხილულსა და უხილავს“ (მღვრიე და ასტრალური) (14, 522).

„რწმენის ტვირთი“ აქლემის ტვირთია, მაგრამ მაინც სასიამოვნო (ციდან გადმომდგარი) (3, 690).

ფიქრთა მატლებით იობივით გაწამებული პოეტი მაინც რწმენის ერთგულია: „მოფუთფუთე ფიქრთა მატლი მახვევია... მაგრამ მაინც არ ვღალატობ ღვთიურ რწმენას, ვით იობი. შენს სიმაღლეს, შენს განგებას, სიკვდილამდე მივენდობი“ (მოფუთფუთე ფიქრთა მატლი მახვევია“, (3, 980).

უღმერთობის დარდით გულდაწყვეტილი პოეტი მაინც მისწვდა უზენაესის სამეფოს: „დიდხანს ველოდი უფლის წყალობას, უღმერთო ცის ქვეშ ბევრი ვიცადე. დარდის თოკებზე ვფენდი ფიქრის ფარჩებს და დიბებს. მე შენს მიუვალ სილამაზის ციხე-ციტადელს მაინც მივადგი სიყვარულის მაღალი კიბე“ (დიდხანს ველოდი) (3, 754).

ნათლის და ჯვრის ძალა ძალისა და ამაღლების წყაროა: „ახლა როცა ვხედავ შორით და ნათელთან ჯვარი ვიფსკვენ, ძალა ისევ მოვიკრიბე და მივყვები მაღლა-ცისკენ, სხივ-მფინარე „ხიდს“ და „კიბეს“...

„ხიდი“ და „კიბე“ მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია (24, 124).

იოანე დამასკელი ბრძანებს: „როდესაც ღვთის შესახებ ვამბობთ „სიბნელეს“, არათუ სიბნელეს ვგულისხმობთ, არამედ იმას, რომ ღმერთი არ არის სინათლე, ანუ სინათლეზე უზემოესია. ასევე, როდესაც მის შესახებ ვამბობთ „სინათლეს“, ვამბობთ იმ აზრით, რომ არ არის იგი სიბნელე“ (18, 325).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში გვხვდება ამ მოსაზრების ზედმიწევით მიგნებულად გამოხატული სახე საღვთო ნათლისა – „ბნელი ნათელის სიელვარე“: „...და იდუმალი მეს-

მის ძახილი ბნელი ნათელის სიელვარეში“ (ბნელი ნათელის სიელვარეში) (14, 80).

ლექსში „ჟამს ვარისხებ, როგორც მნათე“ (3, 67), „მიუწვდომელი თვალთა ნათელია“ უფლის სახელი: „უჟამოს და უხილავის სამრეკლოზე გადმომდგარი ზარს ვარისხებ, როგორც მნათე და ვით დავით, მეც დავეძებ მიუწვდომელ თვალთა ნათელს“.

„უჟამო“ და „უხილავი“ საღვთო სახელებია (18, 337).პოეტს გამუდმებით ენატრება „ნათელი სოფლისა“: „ალაჰი ვერ შემიყვარეს, ვერც სპარსებმა, ვერც თათრებმა, ქრისტეს ნიმბში ყოფნისას. თუმცა ისევ მენატრება მე ნათელი სოფლისა“ (ქრისტეს ნიმბში ყოფნისას) (14, 110).

ღმერთი არის „ცისკრის ნათელი“, ხოლო პოეტი არის ამ ნათელით შემოსილი: „შენიც, ისე ვით ეკლესიასტეს, ცისკრის ნათელი არის სამოსი“ (ვით ეკლესისტეს) (14, 85).

წყვდიადში, უღმერთო ეპოქაში კიდევ უფრო ძლიერდება „ნათლის“ წყურვილი: „ვუხმობთ ნათელს და ყოფნა წყვდიადში უფალმა უწყის, სანამდე გასტანს“.

უდაბნოდან, ურწმუნო საუკუნიდან მომავალი, ღმერთისაგან ხელდასხმული პოეტი თავისი პოეზიით ამკვიდრებს მარადიულ ნათელს: „გამოვეპარე ათასწლეულებს და საესავით... და საფიცარით, უდაბნოს ცხელი გზები გავთელე... და ვითარც მოსეს, მეც მიბოძა სჯულის ფიცარი ღმერთმა წარწერით: „იქმენ ნათელი“ (გამოვეპარე ათასწლეულებს“ (3, 458).

„ნათლითშემოსილნი“ წილნაყარნი არიან მზესთან, მთვარესთან, მათი ხვედრია ზესთასოფლის ხილვა, უფლის ზეცაში, მნათობებთან ამაღლება: „ნათლითშემოსილს, ვითარცა ქრისტეს, ეძახდა სულ სხვა სასუფეველი. რადგან მიწიერს მზის და მთვარის სისხლი ერია. და... მიმწუხრისას ამაღლდა ზეცად, მნათობთა მტვერში შეერია“ (ნათლითშემოსილს) (3, 686).

მაცხოვრის ნათელში ცხოვრობს პოეტი ზნესრული ცხოვრებით: „მაცხოვარის დგას ნათელი“. (14, 153).

ასე გამოხატა პოეტმა თავისი მაღალი მისია, რაც უკვდავების საწინდრად ექცა: „ბნელი შეცვალე ნათლით, ყოფნით არყოფნა ძლიე“ (ლოცვად დაღლილი, ვითარც) (14, 375).

ესაიას წინასწარმეტყველებაში ქრისტეს ეწოდება „დიდი საყვირი“: „იმ დღეს ახმიანდება დიდი საყვირი, რომ თაყვანი სცენ უფალს წმინდა მთაზე იერუსალიმში“ (ესაია, 27, 13) (4, 22(.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ღმერთი არის „ზეცის საყვირი“ (30, 168).

ვაჟა ეგრისელი თავისი პოეზიის რელიგიურობას, საუკუნის პრობლემების გათავისებას „იერიქონის საყვირის“ სახით გვაგრძნობინებს: „სულთამობრძავი ეს საუკუნე ხელში მიჭირავს ვით სალამური და... ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი მოშურნეთათვის ჩემი მამულის არის საყვირი იერიქონის“ (საყვირი იერიქონის“ (3, 776).

ანა კალანდაძე იერიქონის საყვირით სიფხიზლისაკენ მოგვიწოდებდა: „...გულო იფხიზლე, სულო იფხიზლე, იერიქონის გამცნებს საყვირი“.

ღმერთი არის არსი, არსთა გამრიგე (16, 339).

ვაჟა ეგრისელის ლექსში ღმერთს „არსთაგამრიგე“ ეწოდება და იგი ცაშია დამკვიდრებული (არსთაგამრიგე) (3, 344).

წმინდა გზის გაგნებაში პოეტს ეხმარება ქრისტესთვის წამებული წმინდა გიორგი და დიდი ღვთისმეტყველი გრიგოლ ნოსელი: „მსგავსად წმინდა გიორგის, ბევრი ათასწლეული ვაებას გავუძელით, ხმაც გვესმოდა ნოსელის: „განიძარცვეთ მუნ ძველი, ახლით შეიმოსენით“ (ხმაც გვესმოდა ნოსელის) (3, 911).

ძველი კაცი ცოდვილი ადამია, ახალი კაცი – ქრისტე.

სასულიერო პოეზია, „ჭილ-ეტრატის იადგარი“ სულის განწმენდის და ღმერთამდე ამაღლების ძალის მომცემია: „ციურ სიმყუდროვეში, როცა ის კითხულობდა ჭილ-ეტრატის იადგარს უცაბედად მაცხოვრის მაღალ ჭიშკარს მიადგა, (ჭილ-ეტრატის იადგარი) (3, 331).

ჭიშკარი, კარი მაცხოვრის სახელია: „კვლავ უთხრა იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე ვარ კარი ცხვართა“ (იოანე, 10, 7)(5, 531).

სამებასავით იჭვრიტება ნათელმხილველის სული სიცოცხლის, სიკვდილის, ზესკნელ-ქვესკნელის საიდუმლოებებში: „ცხოვრებაა წამება, რადგან, როგორც სამება ერთურთს გადავეფსკვენით: მე, სიცოცხლე, სიკვდილი, ზესკნელ-შუასკნელ-ქვესკნელი“ (სამება) (3, 552).

სიწმინდის ღმერთის ერთგულება – მსახურება ერთეულთა ხვედრია და შურით, მტრობით აღაგზებს სულმდაბლებს: „... თქვენი გულისთქმა კვლავ შიშველია, როგორც გეტერა და სტრიქონებში თესთ აპათიებს: ჩემი გალობა ღვთის ტაძარში აღარ ეტევა და ვითარც ქრისტეს, ვიცი, ამას არ მაპატიებთ“ (ო, ჭეშმარიტად) (3, 666).

მიწიერთაგან, მდაბალი სულის კალმოსნებისგან განსხვავებულ „ქრისტეს ნათლულს, ქრისტეს ნაგრამს“ უფლება აქვს უტყუარი დიაგნოზი დაუსვას პოეტურ მოვლენებს და საკუთარი გამორჩეულობა ხაზგასმით აღნიშნოს: „ჩემი ათასწლეულთა მზე მოდიდდა და ძმანო ჩემნო, ჭეშმარიტად, ო, ჭეშმმარიტად! – თქვენ ქვენანი ხართ, მე ვარ ზემოთიდან“ (კუს კი არა და) (3, 37).

ქრისტემ მიმართა იუდეველებს: „თქვენ ქვენანი ხართ, მე კი ზემოთიდან ვარ, თქვენ წუთისოფლისანი ხართ, მე კი წუთისოფლის არა ვარ“ (იოანე, 8, 23) 4, 196).

გულისტკივილით ამბობს პოეტი: „რა ვუყოთ, რომ ვერ მცნობენ მიწიერნი ცისიერს“ (ხედავთ?) (4, 366).

ქრისტე გვასწავლის, რომ ფართო გზა უმრავლესობის გზაა, გზა წაწყმედის, სულის დაღუპვის, ვიწრო კი – ერთეულების, წმინდა ადამიანების: „შედით ვიწრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს და მრავალნი დადიან მასზე.

ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისაკენ მიჰყავს და მცირედნი იპოვნიან მას“ (მათე, 7, 13,14) (5,13).

ვაჟა ეგრისელი ამ ერთეულთა გზის ერთგულია: „დუმს გილიოტინა და ეშაფოტი. თუმც რხევა მესმის გასანთლულ ბაწრის და როგორც პოეტს სიცოცხლე მტკივა. ფართოს კი არა, მივყვები გზა-წვრილს და ნუთუ ესეც იქამდე მივა?“ (დუმს გილიოტინა და ეშაფოტი) (3,616).

„კოლხური ფსალმუნების“ ტომეულების ავტორი „მზის ნაშიერია“, მზის და მთვარის ძე, მის „ბედს ბეჭედი აზის მზის“ (აიეტივით მზის შვილი) (3,889), იგი, განბანილია მზის ემბაზში (რომ ვთქვა გმირთა ამბავი (3, 389), მთვარის ემბაზში, ფაზისის ემბაზში, მისი წიგნები „სიბილას წიგნებივით ნაწერია მზის მელნით, მთვარის კალმით, ფოთლებზე პალმის“ (ვითარც სიბილას წიგნები) (3, 921).

გალაკტიონისთვის პოეტი იყო „მზის შვილი“, ორიგინალურ ხელწერას იგი „საკუთარ ბეჭედს“ უწოდებდა.

როგორც ვხედავთ, ასტრალური სახეების, მზის სიმბოლიკის ფარგლები ვაჟა ეგრისელმა წინარე პოეტებზე უფრო გაამრავალფეროვნა და ორიგინალურ ხილვათა საზღვარი უფრო შორს გასწია.

პოეზია ღმერთის სულია და რწმენის განმტკიცებისთვის გოლგოთის გზით მავალია პოეტი: „ათასეული წლის იქით, გოლგოთის გზებით უვლია – უკვდავებას რომ ერთვის და ...პოეზია სულია უფალი ქრისტე ღმერთის“ (ათასეული წლის იქით (3, 85).

პოეზია „ღვთის ტაძარია“: „...ის ღვთის ტაძარი ვერ დავასრულე, პოეზია რომ ჰქვია სახელად“.

პოეტი უნდა იყოს „ღმერთივით მაღალი და მართალი“ (ფშავში) (3,163).

სასულიერო პოეზიაში ქრისტეს სახეა „ცეცხლი უსხეულო“ (ი. მტბევარი) „სუდარი ცეცხლისა“ (ი. მინჩხი), „ნაკვერცხალი ცეცხლისა“ „შანთი შეუხებელი“, ცეცხლი მშობელი ცვარისა“ (ეზრა). ამ ფრაზებში „ცეცხლი“ ქრისტეა, „ცვარი“ – მისი მოძღვრება (ა. ბაქრაძე) (20, 59).

გრიგოლ ხანძთელს, როგორც ღვთის რჩეულს, ცეცხლის სახით ახვევია „სული ღმრთისაი განმანათლებელი“ (7, 597).

ინდურ მითოლოგიასა და ღვთისმეტყველებაში ღმერთი სხივოსანია, ნათელი, ელვისა და ცეცხლის შარავანდედით იხილვება“ (9, 16).

ა. დრევსის აზრით, ცეცხლის კულტი უსწრებდა ბუდიზმს და ქრისტიანობას, ხოლო ბუდა და ქრისტე... კოსმიური ცეცხლის მატარებლები არიან.

ასევე, სულიერ ძალებს ახასიათებთ ცეცხლური ენერგია და ნათების უნარი (22, 93).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთის სახელია „დიადი ცეცხლი“: „წარმავალი და აგრეთვე მარადიული იხილე ცეცხლი და მიხვედი ისეთ ზღვარამდის, რომლის გადაღმა თვალი ჩემი ვეღარა წვდება“ (10. 247).

ე. რერიხი ღმერთს უწოდებს „დიად ცეცხლს“ (23, 89).

ე. ტაბიძის პოეზიაში მრავალნაირი ცეცხლი შეინიშნება, განსაკუთრებით კი „ღვთიური ცეცხლი“ და მისი ვარიაციები.

ასევე, ამ ასპექტით ძალზე საყურადღებოა ტერენტი გრანელისა და ანა კალანდაძის პოეზია.

ვაჟა ეგრისელთან გვხვდება „ცეცხლი ზენარი“: „მარადისობა სადღაც ყვავილობს, მეც ამოვალ ცეცხლით ზენარით“.

უღმერთობის სიბნელეს „უზენაესის უწმინდესი ცეცხლი“ ანათებს: „...ღამეა ფიქრში... მხოლოდ ჟამი-ჟამ უზენაესის უწმინდესი ცეცხლი იელვებს“ (18, 558).

თავის ღვთისმოსაობას სიმბოლური სიყვარულის კიბით, მარადიული ცის, ღვთაებრივი ცეცხლის სახეებით გვაგრძნობინებს: „აყვავებული ღამის სიზმრებით, ციმციმ დავტოვე მთვარის აკვანი და სიყვარულის კლდეზე დავები. მერე ვილოცე და ვეთაყვანე – ცას მარადიულს და... ცეცხლს ღვთაებრივს“ (აყვავებული ღამის სიზმრებით“) (3, 596).

სიყვარული ღმერთია (I იოანე, 4, 8) (4, 320) ასევე კლდეც (18, 124)

ცა მარადიული მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა (15, 124).

რელიგიური სახეები შთაგონებენ პოეტს „ციურ არიას“ – საღვთო მოტივებს: „მთიები სიშორეს გალობენ და ისმის ციურ არია, - როს უმზერს კლდესა და ღვთის კიბეს – ბარძიმობაზე შექმფინარ მარიამს“ (3, 274).

ღმერთი არის „ცეცხლი მარადიული და ცეცხლი ღვთაებრივი“...

ახალი აღთქმის მიხედვით, ღმერთი „პირველი სიყვარულია“.

ქრისტემ ეფესოს ეკლესიას უსაყვედურა „პირველი სიყვარულის“ – ღმერთის დავიწყების გამო: „...შენს საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ შენ დაივიწყე, შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცადება 2, 4) (4, 492).

ვაჟა ეგრისელის მიმართავს ამ სახეს: „ცხადია თუ ფარული – ჩემთვის ორივ ერთია და შუა არ იყოფა პირველი სიყვარული ამ სოფლად და იმ სოფლად“ (პირველი სიყვარული (14, 389).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორისთვის ქრისტე არის „სიყვარულის კლდე“: „მე სიყვარულის კლდეზე დავები. მერე ვილოცე და ვეთაყვანე ცეცხლს მარადიულს და ცეცხლს ღვთაებრივს“ (17, 121).

ღმერთი არის „სიყვარულის მტევანი“: „ლოცვის ბილიკს მივყვები, მარად მისი ერთგული. გზა არის უტევანი და

სადღაც იქ მეგულვის სიყვარულის მტევანი“ (ლოცვის ბილიკს მივყვები“ (14, 414).

სიყვარულის მტევანი ასევე რულიგიური სიმბოლოა სხვა კონტექსტშიც: „ვენახს, ჟამთა შესაკრთობად, ჩამოკიდა ლერწმის ყულფი და მტევანი სიყვარულის - სიცოცხლის ხეს მიადგა. მიტომ ადგას თვალი უფლის ჭილ-ეტრატის იადგარს“ (14, 51).

ვენახი ქრისტეს სიმბოლოა, ლერწამი მოციქულების.

„მარადისობის თვალით მზირალი, ვინც უღმერთობას გულში გაივლებს არსი ყოველი საწუთრისგან დაილეწება. მარად უჭკნობი და მოყვავილე „ეს მე ვარ ვაზი, თქვენ კი ლერწები“ (18, 925) ამბობს პოეტი.

ღმერთის, რწმენის მსახურებას ისეთი გალობა შეჰფერის, როგორიც აპოკალიფსშია, ხოლო ლექსით რწმენის მსახურება ბერის მარტვილობას მოგვაგონებს: „ჩამაცვა გალობის ანაფორა და პოეზიის უდაბნოში – უფალმა აღმკვეცა ბერად. მირონით სავსე მაქვს მზის ამფორა,მას ჟამი ვერ დაამსხვრევს, ვერა“ (ჩამაცვა გალამის ანაფორა) (3, 769).

...“სტრიქონს ელვით ვაგვირისტებ“ ამბობს პოეტი და ელვა აქაც რელიგიური შინაარსისაა.

ამავე ჭრილში მოიაზრება ცისარტყელაც: „ცისარტყელა ხელს გიწვდის, რადგან შენ ხარ მგოსანი, წარღვნას გადარჩენილი, ქრისტეს კვართით ნაშობმი“ (ცისარტყელა ხელს გიწვდის) (14, 77).

პოეტი გამუდმებით გრძნობს უფალს თავის არსებაში და აცხადებს, რომ „ქრისტეს ნაგრამია, ქრისტეს ნათლული“, რომელსაც მზერას არ აცილებს „სიხარულის თვალი“. სიხარულიც და თვალიც საღმრთო სახელებია: „მწუხრში დამეძებს სიხარულის თვალი მოხეტე და მოწყალებით ღმერთო მომხედე – ქართულ მიწაზე დგება ჩემი ხმის განთიადი“ (ფრთების ფათქუნი მესმის სივრცეთა“) (1, 8).

პოეზია და ღმერთი იდენტურია ვაჟა ეგრისელისთვის, რადგან „პოეზია სულია უფალი ქრისტე ღმერთის“, პოეზია კავშირი მარადისობასთან: „ეძებს და მუდამ ჰპოვებს... მარადისობის შერთვის ფიქრი აწუხებს პოეტს... პოეზია, ვით ღმერთი, არის ანი და ჰოე“ (ეძებს და მუდამ ჰპოვებს) (3, 661).

პოეტი არის „მტერთა მრისხველი, კოლხეთიდან მოსული... „ქრისტეს მხედარი“ (14, 2).

მაგრამ ურწმუნონი და უჩინონი უშორეს და უახლოეს მხედარს ვერ ამჩნევენ: „ვარსკვლავების თავსხმაა, ქარ-ქორია ღრუბლების. მთვარე კიდობანია – ბიბლიური ნოესი. და ყოველის მხილველნი, ახლა არას ხედავენ და არა ჩანს მხედარი მარად უშორესი და მარად უახლოესი“ (მეორედ მოსვლა) (14, 75). უშორესი და უახლესი მხედარი იგივე აპოკალიფსის მხედარია - ქრისტე.

მოკვდავების შემყურე პოეტი ასკვნის: „მოკვდავნი ისე ირევეა, ვითარც სკა-ახალნაყარი – დღისა და ღამის ნაპირთან. უღმერთოდ რა არის სამყარო, ბუნაგი მკვლელთა და ვამპირთა“ 14, 129).

პოეტი ელოდება „მარადისობას წვიმას“,წვიმა კი საღვთო სახელია (17, 121).

დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები, მიწას რომ რწყავენ“ (ფს. 71, 6) (4, 597).

პოეტის „ციური არია“ ბნელს ფანტავს, მისი „ცის ყანა“. ლურჯად ღაღანებს: „...დროც გარდახდა და ცის ყანა ბევრჯერ ლურჯად აღაღანდა“ (წარსულიდან) (3, 621).

პოეტს ეიმედება თავისი უებრო, გამორჩეული „თავთუხიანი ყანა... პურის“.

მისი დევიზია ამაღლება სხეულზე, სივრცეზე, ლაჟვარდებამდე, ღვთის სავანემდე მიღწევა და თუ ეს შეცოდებაა, ღვთის დიდსულოვნების იმედი აქვს: „ამაღლდი სულო, სხეულიდან ამოიწიე (გებღაუჭება მიწიერი არამიწიერს) და ღვთის საუფლო, უსამანო ლაჟვარდს გახედე და ამით უფალს თუ შესცოდე, ამ „სითავხედეს“, მაღალია და შეგინდობს ღმერთი“ (ამაღლება) (3,29).

ცხოვრება „დღე-ღამე მზიანის“, მაღალი ცის, მთის, უჟამო ჟამის ხილვის მოლოდინია, მაგრამ ურწმუნო ეპოქაში დავიწყებიათ უზენაესი და იმედგაცრუებული პოეტი ამბობს: „ელი და აღარ ჩანს დღე-ღამე მზიანი, აღარც ცა, აღარც მთა, არც ჟამი უჟამო“ (ლოდინი). დღე-ღამე მზიანი ღმერთია (33, 121).

ცა, მთა მარიამის მეტაფორული სახელებია (24, 124).

უჟამო ჟამი ღმერთის პარადიგმაა (16, 337).

ლექსი მამადმერთის, ძე ღმერთის, მარიამ ღვთისმშობლის გაუჩინარებით გამოწვეულ სევდას გვიმხელს.

უღმერთო ეპოქაში „ქრისტეს ნათლული“ და ქრისტეს მხედარი, უსამართლობასთან შეურიგებელი პოეტი გარემოსილი იყო შურით: „არ გშორდება და დაგდევს შური-ქვეგა-მხედვარი, რადგან მტერთა მრისხველი კოლხეთიდან მოსული შენ ხარ ქრისტეს მხედარი“ (ქრისტეს მხედარი)(14, 361).

ხბოს აღტაცების მქონე პოეტებს ვაჟა-ფშაველა ნიშნისმოგებით მიმართავდა: „ვისაც არ მოგწონთ ტირილი, ის ნუ დასჯდებით ჩემთანა: მტირალის სტვირის პატრონი ფეხს როგორ გავწვდი თქვენთანა?! მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლო ვდგავართ ღმერთთანა“ (სიმღერა) (25, 123).

უფალი ჭმუნავს სამყაროს ცოდვებზე და მის სახედ და ხატად შექმნილი პოეტი, ბუნებრივია, დარდობს ქვეყნის ბედზე, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ამით უფრო ესათნოება ღმერთს.

ვაჟა ეგრისელი „სინათლის ნაპირის“ ირგვლივ ეკალ-ბარდებს ჭვრეტს და ტირილნარევ სიმღერას აღავლენს უფალთან: „ჰყვავის სინათლის ნაპირი, მოსილი ეკალ-ბარდებით, ჩემი მფარველი დუმს კალთა. სიმღერით ტირილნარევით მისვლას ვაპირებ უფალთან“ (ჰყვავის სინათლის ნაპირი) (3,726).

ეკლები, ხიწვები, ეკალ-ბარდები არაერთგზის ჩნდება ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში და ამით მწარე რეალობაზე ხდება მინიშნება.

„ეკლებიც ცთომილების შემდეგ აღმოცენდა მიწიდან, თანახმად უფლის განჩინებისა. ამის შემდეგ ვარდის საამურობას ეკალიც თანაშეეწყვილა, რომ შეგვახსენოს ის ცთომილება, რის გამოც ეკლებისა და კუროსთავების აღმოცენება მიუსაჯა ჩვენთვის მიწას.

„მიწაც განქარდება და შეიცვლება. ხოლო ნეტარია ის, ვინც მშვიდთა მიწას დაიმკვიდრებს, რადგან ის მიწა, რომელმაც წმინდანები უნდა შეიწყნაროს, უკვდავია“ (იოანე დამასკელი) (16,357).

უფლის თანამგზავრია, უფლის მზერას გრძნობს პოეტი, როგორც გალაკტიონი: „მზის წყვდიადში მარტოდ მავალს – ვარსკვლავები მიმაცილებს: „ფსალმუნებით“ და მაყრულით, გზას კი ელვა მიგვირისტებს. მოძმისგან ჯვარს გაკრული

რწმენის ციდან-მოწყენილი მიმზერს ქრისტე“ (მოწყენილი მიმზერს ქრისტე) (14, 69, 121).

„უსაზღვროების“ ნისლებში გახვეულ პოეტს ცის სულიელვა ეძახის ზეცისკენ: „უსაზღვროების ნისლებში გახვეულს და მიზეზს იდუმალ, შორეულ ოხვრათა, ელვა-ცის სულია, რომ გიხმობს ცახცახით შენ – სტუმარს წამიერ, მიწიერ ქოხმახთა და მუდმივ ბინადარს – ვარსკვლავთა „სასახლის“ (უსაზღვროების ნისლებში გახვეულს) (14,503).

ჟამის გამოდარება, უფლის სასუფეველი ეიმედება პოეზიისთვის, ჭეშმარიტებისა და რწმენისთვის ჯვარცმულს: „მიქრის ჟამი – დღეთა ფეხქვეშ მფენელი, მაქრობელი წყვდიადის და... მოდარე, გითვალთვალებს უფლის სასუფეველი, ის ახლო არს, კარსა ზედა მომდგარი“ (მიქრის ჟამი) (3,736).

პოეტისთვის მთელი ქვეყანა ავსებულია ქრისტეს სახელით და სულით: „და ქართლის ცაზე კვლავ მელანდება: „იესოს კვართი, შურდული და ქნარი დავითის“ (ქნარი დავითის).

აქ გაზიარებულია მესიანისტური იდეა, რომ ქრისტეს კვართი საქართველოში, მცხეთაშია (26, 98-99).

ქართული მესიანისტური მოსაზრების მიხედვით, ქართველი ბაგრატიონები ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან (26, 51-52).

ღმერთის სიყვარულით ამაღლებული პოეტი მეუდაბნოე ბერივით რწმენით და ლოცვებით აღწევს სულის განწმენდას: „ცათამდე ამაღლებული კაცი ფიქრით და ოცნებით დაბლა მიწაზე ვერ ივლის. მე ვცხოვრობ ღვთით და ლოცვებით, მეუდაბნოე ბერივით“ (ცათამდე ამაღლებული) (3,68).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში მარადიული, სამართლიანი ღვთის სიბრძნე მოიძიება, რაც მისი გამორჩეულობის საწინდარია: „შენი ლექსი, ციცქნა ლექსი დიდ ტილოებს მიტომ მეტობს, „საიდუმლო სერობაა“ მასში დიდი, ვითარც ფუნჯში ტინტორეტოს“ (შენი ლექსი) (3,392).

გალაკტიონის ლექსში საუბარია საიდუმლო სერობაზე: „ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა, იქნებ მომავალს შვებას მოუტანს, იქნებ ღამის ალმაცერობა, მე ეხლავ ვამჩნევ ერთგულ იუდას“ (ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა) (12,371)

საიდუმლო სერობის აუცილებელი წევრია იუდა, ის, გალაკტიონივით, არც ვაჟა ეგრისელს აკლდა.

ჭეშმარიტი პოეტობა ქრისტიანული მისიის აღსრულებად და ჯვარცმად ესახებოდა აკაკი წერეთელს: „მე, მგონია, მისთვის ვართ ქვეყნად მოვლინებული, მაცხოვარი რისთვისაც იქმნა ჯვარცმულ - ვნებული“ (პასუხი მეგობარს) (27,124).

„ბავშვობიდანვე იყავი მარტო ჯვარზე გაკრული“, ეხმიანება „სულიკოს“ ავტორს გალაკტიონი.

წინამორბედებს უერთებს ხმას ვაჟა ეგრისელი: „...და ვიცი ახლა თვით უფალიც ვეღარ მიშველის, რადგან დღედაღამ ფიქრის კარზე მესმის კაკუნი. მაცხოვარივით – ტიტველ-შიშველი, ვარ პოეზიის ჯვარზე გაკრული“ (ჩემმა გამჩენმა) (3,236).

ქრისტესა და მარიამის სიმბოლურ სახეებთან გვიწევს შეხვედრა ლექსში „მანანათი დაგვაპურა“ (15, 138): „მანანათი დაგვაპურა და წყურგილე გვასვა თასით,ზღვაში თესდა, ცაში მკიდა. წელი არის ორი – ათასი, რაც გადმოჩქეფს წყარო კლდიდან“.

მანანა, ზეციური პური, რომლითაც მოსემ დააპურა ეგვიპ-ტიდან წამოყვანილი ისრაელები, მიგვანიშნებს ღმერთზე. ასევე მოსეს მიერ კლდიდან გადმოდენილი წყარო, წყურგილე არის ქრისტეს სიმბოლური სახე (18,124).

„თასი“ და „კლდე“ არის უფლის დედის პარადიგმები (17, 124).

ქრისტე ეუბნება ისრაელის ხალხს: „მამაჩემი გაძლევთ ჭეშმარიტ პურს ზეციდან.

რადგან ღვთის პური ისაა, რომელიც ზეციდან ჩამოდის და სიცოცხლეს აძლევს წუთისოფელს.

მე ვარ პური სიცოცხლისა. ჩემთან მომსვლელს არ მოშივ-დება და ჩემს მორწმუნეს არასდროს მოსწყურდება“ (იოანე, 6, 32, 33, 35) (4, 190).

„მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული. ვინც ამ პურს შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს“ (იოანე, 61, 51) (4, 191).

„პური არსობისა აღნიშნავს მომავლის ანუ საუკუნო ცხოვ-რების პურს, ანდა იმ პურს, რომელსაც ჩვენი არსების შესანარჩუნებლად მივიღებთ“ (იოანე დამასკელი) (16, 310).

წყარო, წყალიც უფლის სახელია.

ქრისტე ამბობს: „თუ ვინმეს სწყურია, მოვიდეს ჩემთან და შესვას (იოანე, 7, 37) (4, 194).

ქრისტიანული სიმბოლოებია „ოქროს მდინარე“ და „წყარო ცხოვრებისა“: „ციცქნა დედამიწაზე მარად დაუტევარი – ეძებს ოქროს მდინარეს, ვით ბრძენი მოდრეკილი, ან „წყაროს ცხოვრებისა“, როგორც დიდი მტბევარი“ (14, 50).

„წყალი, მდინარე (ბიბლიაში იორდანე) განასახიერებს საღვთო მადლს, რომელიც შემოდის სააქაო ყოფაში სულიერი სამყაროდან და ანაყოფიერებს მას“ (28, 211).

პოეტი კოლხეთს მოიაზრებს, როგორც სამყაროს საწყისს, უფლისგან პირველქმნილ სამყაროს მოდელს, სადაც ეგულება სამოთხის ბაღი, ხე ცხოვრების, ხე ცნობადის (ღმერთი) და უცოდველი ევა: „აი კოლხეთი, ღვთის ოდაბადე. სამოთხის ბაღში აქ პირველი ადამი იშვა. სად ხე ცხოვრების დახუნძ-ლულა ხილით ცნობადის, მაგრამ... ჯერ არ უგემნია ნაყოფი ევას“ (3,58).

პოეტი თაყვანისცემით ლოცულობს ხეზე, სვეტზე, ბოგირზე, ცის კიბეზე: „ვილოცო და გცე თაყვანი, ამქვეყნად მისთვის ვბოგინობ, მიყვარხარ! მიტომ ვდიდგულობ – ხეო, სვეტო და ბოგირო, კიბევ ცათამდე მიდგმულო!“ (ვილოცო და გცე თაყვანი) (3, 444).

ხე და სვეტი ქრისტეს სიმბოლოებია (18, 129), ბოგირი, კიბე-მარიამისა (24, 121).

ერთ ლექსში ღმერთის სახედ ფიგურირებს „პალმა ქოქოსის“, როგორც პოეტისთვის მადლისა და წყალობის მიმცემი, ტიტანური წიგნის – „იქმენ ნათელი“ – შთამაგონე-ბელი: „ღმერთმა მოგხედა! იქმნა ნათელი! რადგანაც შენი სული ჩემობდა. და გინანავებს პალმა ქოქოსის. ოქროს ირემიც მთაზე შემოდგა, ბადეს ამოჰყვა თევზი ოქროსი“ (ისევ წიგნი – „იქმენ ნათელი“) (3, 691).

ღმერთის სახელია „მარადისობა“, „უსაზღვროება“.

ეს სახე მრავალგზის გვხვდება ვაჟა ეგრისელის პოეზიაში: „აბა რად უნდა დიდი მისნობა: უსაზღვროების უსაზღვრებას, მარადისობის“ მარადისობას“ (აბა რად უნდა დიდი მისნობა((17, 857).

ღმერთშემოსილი, მზითშემოსილი, ცეცხლშემოსილი პოე-ტის მიზანია მარადისობა შეიმოსოს, წილნაყარი გახდეს უდიადესთან, სიყვარულთან მიწაზეც და ცაშიც: „ალბათ იქნება წყალობა უფლის: ზამთარში თოვლად, ზაფხულში

წვიმად, მარადისობა ტანზე რომ გეცვას და სიყვარულით დაიდო ბინა მიწად და ზეცად“ (17, 494).

მგოსანი არა არყოფნას, არამედ მარადისობას მიელტვის, თანაც დროზე, რადგან შეცნობილი აქვს წუთისოფლის წარმავლობა, სიმუხთლე: „მარადისობას მიველტვით, ვახმე! თუ დაგვაგვიანდა მისვლა. და ჟამმა უჟამომ ადრე ჩამოჰკრას მიზრაფი, ჩვენ კი არ ვუწყით ნიადაგ, რომ არყოფნისკენ ვისწრაფვით“ (მარადისობას მიველტვით) (3, 451).

მარადისობა ერთადერთია, უცვალებელი, სრული: „ერთადერთია მარადისობა, რომელსაც რაა, ერთი ნამცეციც არ ემატება და არც აკლდება“ (მარადისობა) (17, 658).

მარადისობასთან შეხმიანება, მის სავანეში დამკვიდრება მხოლოდ შემოქმედთ ხელეწიფებით: „მარადისობის არის წამალი – ყოველი დიდი შემოქმედება“ (ზამთრის ღამე) (17, 617)

პოეტს სწამს, რომ წმინდა სულის სიტყვის დიდოსტატი ცის მოქალაქე და მარადისობის რჩეულია: „ჩაუბღუჯიხარ მარადისობას, მიწის კი არა, ცის მოქალაქე“ (ჩაუბღუჯიხარ მარადისობას) (17, 856).

მარადისობა თვით გამოარჩევს „მზითმოსილს“, „მაღალს“, რომ კიდევ უფრო მეტად აზიაროს იდუმალებას, სიმაღლეს: „მარადისობა კიბეებით ჩამოდის დაბლა, რომ მზითმოსილი და მაღალი უფრო ამაღლდე“ (ბნელი ღამიდან გადმოხვეწილი) (17, 529).

„უვალ გზაზე“ პოეტი რწმენის ფარით და შუბით მიემართება, მისი მეგზურია მზე-ღმერთი: „ხელში ფარით და შუბშემართული ჩემი დღეები – ძველ რომაელს ჰგავდნენ მეომრებს. წინ მზე უძღოდათ კეისარივით. იმ გზას ჩემეულს ვერვინ გაივლის და ვერც ვერავინ გაიმეორებს“ (ხელში ფარით და შუბშემართული (14, 777).

სულიერი ფარით, სულიერი ჯაჭვ-მუზარადით აღჭურვილობის ნიმუშია ვაჟა ეგრისელისთვის ვაჟა ფშაველა: „მზე – შუბად, მთვარე - ფარად იფარე, ტანზე ჩაიცვი ვარსკვლავების ჯაჭვ-მუზარადი (გვერდით ვაჟა გყავს, არ ხარ ეული) და უთვალთვალებ ქართულ მიწას აწ და მარადის, საქართველოს – ზეცადაქცეული“ (17, 956).

„ორი კოლხი კაბადოკიელი“ – წმინდა ნინო და წმინდა გორგი საქართველოს იფარავდნენ „მთვარის მახვილით“ და „მზის ფარით“: „მთვარის მახვილით და მზისა ფარით,

ათასწლეულებია საქართველოს იფარავს (მიუხედავად სიობ-ლის) ორი კოლხი „კაბადოკიელი“ წმინდა ნინო და წმინდა გიორგი“ (ორი კოლხი „კაბადოკიელი“) (17, 764).

უკვდავების საწინდარია „მთვარის ფიალით“ (მთვარე მარიამის სიმბოლოა) მზის (ღმერთის) მადლის მიღება: „ჰელიოსის მზემ, ვითარც მზის შვილმა, მთვარის ფიალით მზის მადლი შესვი და ამიტომაც უკვდავი გახდი“ (სკიპტრა და ტახტი) (17, 654).

ვაჟა ეგრისელისთვის პოეზია ღვთის ტაძარია, რომელიც რწმენის სამსახურშია ჩამდგარი და სულიერების განმტკი-ცებას ისახავს მიზნად მხატვრული სიტყვის საშუალებით. პოეტი ურწმუნო ეპოქაში, შეღამებული რწმენის სარკმელში მზის (ღმერთის) მოვლინებას ხედავს და უხარია: „ღამეჩამდ-გარმა რწმენის სარკმელმა ლოცვა-ვედრებით, ვით ცამეტმა მამა ასურმა თვალთ, მზე ჩაისახა და აახილა. მაინც მიუვალ მთაზე პარნასის, ის ღვთის ტაძარი ვერ დავასრულე, პოეზია რომ ჰქვია სახელად“ (ღამე ჩამდგარმა რწმენის სარკმელმა) (3, 437).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის შემოქმედებაში ყურად-ღებას იქცევს საღვთო ქორწინების იდეა: „...მნათობების ოჯა-ხები დავიარე, გსვამ სიმაღლევ, მზის მოწვდილო, მთვარე არა, მთვარე ჩემი დაი არი, მზეზე უნდა ვიქორწინო“ (ღამეების თეთრ ძვლებს ვხრავდი) (14, 308).

იგივე აზრია ლექსში „გადუფრენს ათასწლეულებს „გადუფრენს ათასწლეულებს ვით ცელებესს და იავას ხმა მზის და მთვარის ქორწილის. მზის სამყაროს უვლის ნიავად, ელვა, ცით გამოტყორცნილი“ (17, 4344).

მზეზე ქორწინება უნდა ნიშნავდეს „ჰიეროგამიას, ანუ საკ-რალურ ქორწინებას, რაც სიმბოლოა ინიციაციის უმაღლესი სინთეზისა“ (ზვიად გამსახურდია (29, 213)

პავლე მოციქული ეუბნება თავის მოწაფეებს, რომ „დანიშნა ერთ კაცზე“-იესო ქრისტეზე, რათა „ქალწულებად“ წარდგნენ სამსჯავროს წინაშე.

ვაჟა ეგრისელის ლექსში მზის და მთვარის ნიშნობაზეა საუბარი. მზე-ქრისტეს, მთვარე-მარიამის მეტაფორაა: „მთას უკავია სავსე პირთამდე-ქარიშხლით სავსე ვერცხლის თასი ზღვის და დგება ჟამი მზის და მთვარის ნიშნობის. ეს

კოლხეთია-ღმერთქალ ფაზისის, სად სიძულვილი სიყვარულად აღმოიშობა“ (ეს კოლხეთია) (17, 572).

ინიციაციაქმნილი, სულიერ სრულყოფილებამდე ამაღლებული პოეტი, სინდისის და ნამუსის ერთგული მსახური, მზად არის სიკვდილს ოქროს კალმით და „საქორწილო სამოსით“ დახვდეს: „მონა ვიყავ ყოველთვის, სინდისის და ნამუსის და როდესაც დარეკავს წამი ყოფნა-არყოფნის, კოხტად გამოვეწყობი და მე სიკვდილს დავხვდები ხელში ოქროს კალმით და საქორწილო სამოსით“ (აღსარება) (17, 571).

გალაკტიონ ტაბიძე „მზის სადღეგრძელოს“ სვამდა „მარადი ჭიქით“: „მზის სადღეგრძელოს მარადი ჭიქით, ვსვამ, მიხარია ცეცხლის კდებანი (12, 183).

მზე ქრისტე ღმერთის, „მარადი ჭიქა“ მარიამის სიმბოლოაა.

ვაჟა ეგრისელი არის „ქრისტეს კვართით ნაშობი“, „ქრისტეს ნათლული“,ღვთისმშობლის მიერ მოქსოვილი „სიტყვის ოქროს კვართით“ მოვლენილი, ამიტომაც „მზის სადღეგრძელოს“ ალავერდს მასთან გადადის უზენაესი, მაგრამ მანამდე გოლგოთის გზა უნდა გაიაროს, რადგან ჯვარცმის გარეშე არ არსებობს ამაღლება: „მე მოვალ შენთან... უკეთესი ვერავინ ვპოვე. მზის სადღეგრძელო – შენ უნდა შესვა. და ჰკითხა პოეტს: - სად მიდის ეს გზა? – შენ რომ ახლა პარალელს ავლებ? – უკვდავებამდე, მაცხოვარო, გოლგოთას გავლით“ (სად მიდის ეს გზა) (14, 743).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი იფერებს მშობლიურ, მაღალ ცას, რომელიც მოსილია უფლის მადლით და ამშვენებს მზის გვირგვინი – ქრისტე, სულიერი მზე: „უფლის მადლით მოსილი და მზის გვირგვინოსანი საქართველოს გშვენის ცა. ვიღაც კივის: მგოსანო! “ თავი შენი შეიცან! (თავი შენი შეიცან) (14, 495).

სადღაც მიღმურში, მთვარის სავანეში (მთვარე მარიამის სიმბოლური სახელია) ზეცის ჭალებში ყვავის ვარსკვლავები (ქრისტეს სიმბოლოა), სადაც მარადიულობა და უკვდავებაა და სადაც მარადიულ სიყვარულს ეზიარება სული: „სადღაც მიღმიერ ღამის ნაპირთან და სიახლოვეს მთვარის სავანის – ვარსკვლავებით ისევ ჰყვავის შენი ჭალები: და სად სიცოცხლის არ ჩანს სამანი, იქ, ჩემი გული სიყვარულით შეიმსჭვალება“ (სადღაც მიღმურ ღამის ნაპირთან) (17, 524).

ნათელმხილველი ხედავს ცის ხეზე გამოკვირტულ ვარსკვლავის შუქს, ანუ მამაღმერთს და ძეღმერთს (კაცი იყავ, ღმერთკაცი) (17, 505).

„მთვარის დაირიდან“ გამომავალი ბეთლემის ვარსკვლავები მიწას ოქროს სხივებად რომ მოეფინა, მხოლოდ და მხოლოდ ძე ღმერთის მოვლინებაზე მინიშნება შეიძლება იყოს: „იქ, ბეთლემთან ვარსკვლავები, მიწას ოქროს სხივებს სცემდნენ – მთვარის ვერცხლის დაირიდან. გაახილა კვირტმა თვალი-ცისკენ მზირალ ალვის ხიდან და სამყარო გაირინდა“ (იქ, ბეთლემთან ვარსკვლავები) (17, 388).

პოეტი წოდებულია ცისკრის ვარსკვლავისგან, მაგრამ იქ მისასვლელი გზა არა სწორი, არამედ „ოკრობოკროა“, რაც აფიქრებს: „რომ მიხმობს ცისკრის ვარსკვლავი, ვინ იცის, თუ რას მიქადის! ცა – გადამდნარი ოქროა, გზა კი სულ ოკრობოკროა, ნეტავ, თუ მივალ იქამდი“ (რომ მიხმობს ცისკრის ვარსკვლავი) (17, 702).

ეს შორეული ვარსკვლავი „თვალთა თვალია გონების“ (ღმერთი): „ცას ღრუბლების დევები ელვის წკნელით როზგავენ, მაინც ვერ იმონებენ, შორს კი ბრწყინავს ვარსკვლავი თვალთა თვალი გონების“ (17, 4564).

ლექსში „მამლები ყივილის ჯოხებით“ (17, 156) „ცისკრის ვარსკვლავი საყვირია, სულიწმინდის ნათელში შეხვეული.“

პოეტის იდეალია „ერთი ვარსკვლავი“, რომელსაც მხოლოდ სულიერი თვალით მომადლებული ხედავს: „მოსვლის დღიდან მე ერთ ვარსკვლავს შევციცინებ, მას ჩემს გარდა აღარ ხედავს კაციშვილი“ (მოირების მოლოდინში) (17, 735).

პოეტის სულის პეგასი ისწრაფვის ცის აივნისკენ, სადაც ვარსკვლავები ოქროს არფებს აწკრიალებენ: „გადმოდგებიან ცის აივნიდან ვარსკვლავები და ხმობენ მეასედ. წკრიალი ისმის ოქროს არფების და სიყვარულის ლურჯფრთიანი ჩემი პეგასი იქით, ო, იქით მიისწრაფება“ (გადმოდგებიან ცის აივნიდან) (17, 9537).

სხვაგან „ვარსკვლავების ქნარების“ ხმა ესმის პოეტს.

ლექსში „იგი არის“ - ფიგურირებს „ვარსკვლავების საცერი“: „იგი არის ვარსკვლავების საცრით, ვინც სიშორის – სიახლოვეს ცრიდა. და ისაა სისხამ დილის ნამი. მერვე არა, მოდის მეცხრე ციდან, დღე წყვდიადი და მზიანი ღამე“ (17, 4654).

პოეტის ღმერთი გაცხადებულია ცის ვარსკვლავის, მიწის ლერწების საგალობლებში, პოეტის მიზანი კი, დავით წინასწარმეტყველივით, ღმერთთან მიმსგავსებაა: „ცას ვითარცა ვარსკვლავები, დაბლა მიწის ეს ლერწმები, უფლის გალობებით ავსებს... მეც, ვით დავით გეხვეწები: „ხატსა თვისსა მიმამსგავსე“ (ლერწები) (17, 885).

ცის ნათელი მწუხრის სერს ამზიანებს მთვარესთან ერთად, ისმის სერაფიმების ფრთების შრიალი და ვარსკვლავების უხმო რეკვა: „ცის საუფლოდან გარდმოვლენილი ნათელი – მწუხრის სერს ეფინება. მოშვებულია მთვარის ონკანი. ფრთების შრიალში – სერაფიმების ცად ვარსკვლავები უხმოდ რეკავენ“ (ცის საუფლოდან გადმოულენლი) (17, 969).

„სინათლის და მზის მთესავი“, კვერთხით კლდიდან წყლის გადმომდენი, ანუ რწმენის მსახური უნდა იყოს ჭეშმარიტი პოეტი მხატვრული სიტყვით: ვით ბრძანებდა „ბრძენი დივნოს“ – კვერთხს დაჰკრავ და კლდეს გააპობ ქრისტესავით, უფლის წყარომ რომ იდინოს“ (მეცრე ციდან ჩამოსული) (17, 434).

რწმენამ მისცა პოეტს ძალა, თავი დაეღწია სირინოზებისა და ორი ვერაგი ურჩხულისათვის: „ჩემი დიდი საესავი – რწმენა არ გაღარიბდა. დავაღწიე კიდეც თავი ზღვაში მღერალ სირინოზებს, სქილასა და ქარიბდას“ (ჩემი დიდი საესავი) (17, 549).

ვაჟა ეგრისელის ერთ ლექსში ღმერთს ჰქვია ხილული და უხილავი, კლდე, სიმტკიცის კედელი, ნათელი დაუშრეტელი, მზეთამზე, ცა ცათა: „უხილავო და ხილულო, კლდეო, სიმტკიცის კედელო, ათასი ტანჯვის ამტანო, ნათელო დაუშრეტელო, მზეთამზევ, ცაო ცათანო“ (უხილავო და ხილულო) (17, 4604).

პოეტი ელის „უსხეულოს, უსახოს, უხილავს“, „სიყვარულის ქუხილს“, რომელიც ყველგან არის და ყოველთვის ჩვენშია: „ცად გეწევა ბრაჰმაცა და ნირვანაც, როს ჩასცქერი ვედებს, უპანაშიდებს და... მოელი სიყვარულის ქუხილით მას, ვინც ჩვენ არს, ყველგან ყოფნით ამშვიდებს. უსხეულოს, უსახოს და უხილავს“ (ცად გეწევა) (17, 467).

ქუხილი საღვთო სახელია (18, 122).

ელვის რაშით მიმქროლი უფალი წარსულის და მომავლის ქუხილია, ხილული და უხილავი ერთდროულად: „ელვის რაშით დაჰქრის და ჩვენში ჩნდება წარსულის და მომავლის

ქუხილად. ხსოვნის თვალში აბუდებ ხილულსა და უხილავს“ (ელვის რაშით დაჰქრის და) (17, 853).

ვაჟა ეგრისელის ერთ ლექსში მთვარე ქრისტეს მეტაფორად გვევლინება: „მთვარე ქრისტეა, თეთრებში გამოწყობილი და ნათლის სვეტად აღმართულ წყვდიადში ვჭვრეტ მოწაფეებს და ჯვარცმულს“ (მთვარე ქრისტეა) (17, 903).

ერთგან „მთვარე უკაკუნებს ნისკარტს „მიუაჩრდილებელ ცისკარს“ (17, 427) ცისკარი მარიამის სახელია.

მთვარის დუმილში და მზის ძახილში ქრისტე გვეცნაურება: „ღვთის ხატება ჩამოდის დაბლა-მთვარის დუმილად და მზის ძახილად“ (17, 9644).

მზიან ღამესთან ერთად, მამაღმერთის სახელია „ძველი დღე“, რომელიც მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან: „ბოლოს ვნახე, რომ დაიდგა ტახტრევნები და დაჯდა ძველი დღეთა“ (დანიელი, 7, 9) (4, 255).

ვაჟა ეგრისელის ლექსში ერთდროულად და ერთნაირი შინაარსით ფიგურირებს „ძველი დღე და „მზიანი ღამე“: „მომწუხრისას ნახირივით რქებზე სანთლებდანთებული-მთიები ცას მიაბღავლებს. მე აღვუვლენ მაშინ ლოცვას: ძველ დღესა და მზიან ღამეს“ (მიმწუხრისას (17, 335).

„ძველ დღესთან“ (მამაღმერთთან) ერთად, „ახალ მზეს“ (ქრისტეს) ელოდება პოეტი: „უფლის ანგელოზებმა – მერცხლებმა ცა დახაზეს, ვითარც მახარობლებმა – თეთრფრთიანი ნოელის. შენ კი ისევ მოელი: ძველ დღესა და ახალ მზეს“ (უფლის ანგელოზებმა).

ღმერთი არის დღე, „გრძელი დღე“ (8, 377).

„ვითა გრძელი დღე-ღამე უფალია-ჰაერი. ციდან ცვივა ნაყოფი, ყოფნისა და არყოფნის, საღმრთოცა და საეროც“ – გვაუწყებს ვაჟა ეგრისელი (17, 426).

ერთ ლექსში „თუთარჩელა“ მამაღმერთის, ზღვა-მარიამის, აფრა-ქრისტეს სიმბოლოა: „...თუმც მეუფებს გაჩენიდან: თუთარჩელა, ზღვა და აფრა“ (წამიერი ნათებისთვის) (17, 454).

სხვაგან ზღვა და ვაზი მარიამია, ცისკარი და გრიგალი ქრისტე: „მზის ჭიგოს ჩამოხუნძლულო, ვაზო, სიცოცხლის მტევნებით. ცისკარო დაუშრობელო,ზეცათა დასატევნელო, ზღვაო-გრიგალის მშობელო“ (ზღვაო, გრიგალის მშობელო) (17, 427).

გალაკტიონისთვის ორგანული იყო „ლოდინი ლოდის“. ლოდი ქრისტეს მეტაფორაა.

ვაჟა ეგრისელთან გვხვდება „ლოდინის ლოდები“ (4, 954).

სულიწმინდა მოიხსენება, როგორც მტრედი, დიდება, ცეცხლი.

ლექსში „იქნებით ორნი“ ორი საღმრთო სახელია: „დიდება“ და ცას და მიწის შუა გახიდული „ცისარტყელა“: „შენ და დიდება – იქნებით ორი. მერე ორივე ცისარტყელებად გაიხიდებით ცას და მიწის შუა, წარსულსა და მომავალს შორის“ (17, 820).

ზ. გამსახურდია წერს: „ღვთისმეტყველებაში სულიწმიდის ღმრთეებაზე საუბრისას მუდამ აღნიშნავენ მის დიდებას და მზისებრ ბრწყინვალებას. ასევე პეტრე მოციქულისთვის იგი არის სული დიდებისა: „რამეთუ დიდებისაი იგი და ღმრთისა სული თქუენ ზედა განსვენებულ არს“ (I პეტრე, 4, 14) (ზ. გამსახურდია) (29, 126).

დანტე ევედრებოდა უზენაესს: „დიდების შენის ნატვიფარი მომადლე ჩემს სულს“ (10, 411).

„დიდების მამა“ არის მამაღმერთი (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 1, 6).

ქრისტე არის „იდუმალი“ და „მხოლოდშობილი“: „აქ კი სანთელს უნთებს მნათე იდუმალს და მხოლოდშობილს“ (მზეს წყვდიადში) (17, 3384).

ცათა ცა, უფლის ცა არის ხან მამაღმერთის, ხან ქრისტეს სიმბოლო: „ათასწლეულმა მეორემ, შენს თავზე გადიგრიალა, შეები საქმეს სათაოს. და უზეშთაეს გვირგვინად, შენ ექმენ – ცაო ცათაო“ (ათასწლეულმა მეორემ).

ღმერთი არის მზე, მზიანი ღამე, „ღამე უღამო“: „სანამდე სულს ამომხდის, მაკრთობს ხილვა მე „მხეცის“. მიხმობს ღამე უღამო, სამოთხეთა სამოთხე, მერვე არა, მეცხრე ცის“. (17, 383).

იგავის მიხედვით, ზღვა-მარიამის, ქრისტე გრიგალის სახით წარმოიდგინება: „მთებს-უფლის ანგელოზებს სძინავთ... ზღვა ცის აკვანს არწევს. ვიღაც წყლისპირს ყვება იგავს, რომ მოსვლიდან თაყვანსა სცემს ზღვას-მარიამს, ქრისტეს – გრიგალს“ (მთებს- უფლის ანგელოზებს) (17, 435).

ღმერთი არის „დღე დაუღამებელი“ (მზის წყვდიადით მოსილი) (17, 439). (შდრ. და. გურამიშვილი – „დღე ნათლიერი“).

„ძველი დღე“ დანიელის წინასწარმეტყველების მიხედვით, მამაღმერთის სახელია.

პოეტს ერთნაირად უნათებს წყვდიადს „ძველი დღეც და ახალიც“ (ქრისტე): „ჯერ ჩემს მზეს და სინათლეს მოსავს ბურტყლი ბახალის. თუმცა, ვით ჩემს წინაპრებს, ღამის წყვდიადს მოლამპრებს ძველი დღეც და ახალიც“ (17, 442).

პოეტი ეკვედრება მამაღმერთს – „ძველ დღეს“ და „მზიან ღამეს“: „მიმწუხრისას ნახირივით საქმეზე სანთლებდანთებული-მთიები ცას მიაბღავლებს. მე აღვუვლენ მაშინ ლოცვას: ძველ დღესა და მზიან ღამეს“ (17, 335).

„ძველი დღის“ წყაროა ბიბლია: „ბოლოს ვნახე, რომ დაიდგა ტახტრევნები და დაჯდა ძველი დღეთა“... (დანიელ წინასწარმეტყველი, 7, 9) (4, 255).

ღმერთი არის თვალი, მზის თვალი, მარად ღია თვალი“: „დიდგანმზრახველო და მრავალმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია, 32, 19).

ვაჟა ეგრისელის ლექსში „მიმწუხრისას“ ღმერთის სახელია „ცის თვალი“: „მიმწუხრისას ცის თვალი იწყებს დათვლას მთიების და ვერასდროს ამთავრებს, ითვლის ოქროს პრანეტებს, ცხრა მზესა და ცხრა მთვარეს“ (17, 3854).

პოეტი ელოდება „მარადისობის წვიმას“ (ამაღლება) წვიმა, „შხაპუნა წვიმა“ საღმრთო სახელია ფსალმუნიდან.

მეუფის იდენტური შინაარსისაა „განგება“: „ციდან ამაყად გადმომზირალი, ყოვლის მეუფე-არის განგება, მის ჩრდილში ვეძებ მე თავ-მისაფარს“ (17, 6254).

ვაჟა ეგრისელი ქრისტიანობის ძირებს ეძებს წარმართულ კოლხეთში, სადაც „ქრისტიანობამდელი ქრისტიანები“ ეგულება.

სამოთხე, ცხოვრების ხე, ცნობადის ხილიც აქ ეგულება: „აი კოლხეთი, ღვთის ოდაბადე! სამოთხის ბაღში აქ პირველი ადამი იშვა. სად ხე ცხოვრების დახუნძლულა ხილით ცნობადის“ (აი კოლხეთი) (17, 581).

აქვე ეხსნება ცის კარები და მთვარის ტაძრიდან „კოლხური ზარი“ ესმის: „გაიღო ცის ცხრავე კარი და მთვარის ქათქათა ტაძრიდან, - მოისმა „კოლხური ზარი“ (17, 736).

იდუმალების ამფორებიც აქ ეგულება: „კოლხეთის მიწა გულს გვიხსნის და გვიწვდის გულმშვიდად იდუმალებით და სიშორით სავსე ამფორებს“ (ამფორები) (17, 700).

პოეტი ემყარება მიქელ ასურის აზრს: „მერე ასისთავმა ლაზმა ტანსაცმლის თავისი წილი (ქიტონი ვ.ე.) მიიტანა თავის ქალაქ ფუდში ეგერთა დედაქალაქში“.

გამომდინარე აქედან, ლექსში „ქრისტეს ქიტონი“ პოეტი ჰკვირობს: „ათასი და უფრო მეტის წლის მერე კვლავ მიამიტობს და ვიღაცა სხვაგან ეძებს-გოლგოთიდან წამოღებულ, ფუდს მოტანილ ქრისტეს ქიტონს“ (ფუდი-ფუთი, მეგრ. ფოთი“). (17, 196).

შოთა რუსთაველთან, გალაკტიონთან „გონება“, „ბუნება“ საღმრთო სახელია.

ბუნება ასეთივე შინაარსით გვხვდება ვაჟა ეგრისელის პოეზიაში: „...ბუნება მოკვდავთ ბევრჯერ აღგვაფრთოვანებს, რომ იშრიალონ ქვეყნად რწმენის ხოდაბუნებმა“ (ქრისტე ქრისტეა) (17, 845).

ვაჟა ეგრისელის ღმერთი – ვარსკვლავი არის „თვალთა თვალი გონების“: „ცას ღრუბლების დევები ელვის წკნელით როზგავენ, მაინც ვერ იმონებენ. შორს კი ბრწყინავს ვარსკვლავი თვალთა თვალი გონების“ (ცას ღრუბლების დევები) (17, 456).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის მთელი შემოქმედება, ცხოვრების აზრი არის ღმერთის ძიება, მისი მიმსგავსებით ცხოვრება.

პოეტის იდეალია, ღვთის სახედ და ხატად შექმნილმა ადამიანმა ეს ხატი შეინარჩუნოს და ამისთვის ევედრება უფალს დავით წინასწარმეტყველივით: „ცას ვითარცა ვარსკვლავები, დაბლა მიწის ეს ლერწმები, უფლის გალობებით ავსებს... მეც, ვით დავით გეხვეწები: ხატსა თავისსა მიმამსგავსე“ (ლერწმები) (17. 854).

„უფლის ქიტონით“ მოსილს ვერაფერს აკლებს პარისი, რადგან მას „აქილევსის ფარი“ გამოარჩევს და არა ქუსლი: „და გითვალთვალებს ჩუმად პარისი, რომ შხამიანი გტყორცნოს ისარი და ბრძოლის ველზე, ვით კეისარი, დაეცე კაცი – უფლის ქიტონით, მაგრამ შიშველ ქუსლს ვერც პოულობს და ვერც გიპოვნის“ (ჰა, მიიწურა წელი სამოცი) (17, 603).

პოეტის სამოსელია უფლის კვართი – რწმენა: „უფლისაგან წყეულია, ვინც რომ ბაძავს ყვავ-ყორნებს, შენ კი, კვართად რწმენა გმოსავს... ორი ათასწლეულია ელოდები ქრისტეს მოსვლას, მაგრამ იგი აყოვნებს“ (უფლისაგან წყეულია) (17, 85).

მხოლოდ კეთილი საქმეების კეთებით შეიძლება ადამიანი ღმერთს მიემსგავსოს, სხვაგვარად ეშმაკის კერძად იქცევა მისი სული: „რადგან ხატებად მოხველ, ყოვლის შემქმნელი ღმერთის, აღარ გიმტყუნოს გეშმა, ვინც არ აკეთებს კეთილს, თავის გზით მიჰყავს ეშმაკს“ (რადგან ხატებად მოხველ) (17, 718).

ადამიანის მსაჯული ღმერთია და მოკვდავთა ცოდვები სასწორზე იწონება: „რწმენა ღვთის ერთადერთობის-ათასწლეულებს მისერავს... უღმერთო მოკვდავთ ცოდვები – მხრებზე ცით ჩამოუწონეს. მზე ღმერთია და მის მზერას თვალს მიტომ ვეღარ ვუსწორებთ“ (რწმენა ღვთის ერთადერთობის) (17, 121).

ღმერთთან წილნაყარი სული მზის მთესავია და ქრისტესაგან მტრის შენდობის მოთხოვნა აქვს გათავისებული: „შენ სულ სხვა ხარ – მზის მთესავი... და არა ის.... ხელუკუღმა, დარდი კედელს შეაყარო. შენ მზადა ხარ ქრისტესავით, მოყვასს მტერი შეაყვარო“ (შენ სულ სხვა ხარ) (17, 674).

ქრისტესმიერი გზის ერთგულება, მიწიდან ცად ამაღლების საიდუმლოების შეცნობა, საღვთო მისტერიების არსის გაგება, აი უმაღლესი მიზანი ზნესრულობისა: „მან იხილა საოცრება – მიწიდან ცად ამაღლების. აი, ახლა გზას გასცქერის ქრისტესმიერს და დაეძებს კვლავ ოცნებით მირაჟებს და მისტერიებს“ (ქრისტე) (17, 232).

მხოლოდ ცაში, ღმერთების სავანესთან მიახლებით, მირონით ხდება სულის განწმენდა მონანიებით: „ცის აკვანში ვარწევდი – სულს, სტიქსეში განბანილს და მირონით განწმენდილს“ (ცოდვის მონანეიბად) (17, 434).

ჭეშმარიტი პოეტები ყოველთვის ცაში ეძებდნენ სიწმინდის წყაროს და ცდილობდნენ ზეციური სინათლით შემოსვას: „დამფრთხალი მიწის შავი სიმძიმით, უსამანო ცისკენ იურვის პოეტის სული – ღვთაებრივი და კოსმიური“ (დამფრთხალი მიწის შავი სიმძიმით“) (7, 909).

გალაკტიონი თავის ღვთისნიერობას ასე გამოხატავდა: „... ჩემი თვალები წინათ როს ფეთქდნენ ცვრებით, იებით...“ („სი-

ლაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“). ცვარი – ქრისტეს, ია მარიამის სამშობლოა.

ვაჟა ეგრისელი ორიგინალურად, ოღონდ განსხვავებულად გვაზიარებს თავის მორწმუნეობას:

„ჩემი თვალები – ღვთის სახლია. ხელის გული – სამყაროს რუკა. მერიდიანები – სულის სიმებია და მილიარდების სიყვარულს განედების სიმებით ვუკრავ“ (ჩემი თვალები ღვთის სახლია) (17, 480).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი ქრისტესავით ჯვარცმულია სიკეთისთვის, სინათლისთვის და იგი კი არ გაურბის, ორგანულად განიცდის გოლგოთის ტრაგედიას, რადგან იცის, ამაღლება მხოლოდ მსხვერპლის საფასურად ხდება: „ჯვარცმის შიში უშიშარს, მუდამ მდევდა ფარული, შენსკენ მაინც მოვქროდი... ქრისტეს კვნესა მესმოდა და სამსჭვალთა წკარუნი, სიშორიდან გოლგოთის“ (ჯვარცმის შიში უშიშარს) (17, 174).

პოეტის იდეალია დათესოს რწმენის „თავთუხიანი ყანა“, რომ „იშრიალონ ქვეყნად რწმენის ხოდბუნებმა“ (ქრისტე) (17, 845).

ვინც „მარადისობას“ (ღმერთს) შეიმოსავს, მხოლოდ ის დაიმკვიდრებს მიწას და ზეცას: „ალბათ, იქნება წყალობა უფლის, ზამთარში თოვლად, ზაფხულში წვიმად, მარადისობა ტანზე რომ გეცვას და სიყვარულით დაიდო ბინა მიწად და ზეცად“ (მარადისობა) (17, 494).

მარადიულ სამსჯავროს ღმერთშემოსილი წარუდგება მისი პოეზიის ლირიკული გმირი, არა ცოდვით დამძიმებული, არამედ როგორც „სული ჭეშმარიტების“, უზენაესის ტოლფარდი თავისი შემოქმედებით, სულიერებით გამორჩეული მხატვრული სიტყვით: „რა დღეს, რა ხვალ, ცოდვილი უნდა წარვდგე წინაშე მარადიულ მეველის და ვამცნო ხმის კანკალით: პარკით გამოფრენილი ფრთანათელი პეპელა – სული ჭეშმარიტების, სხვა კი არა, „მე ვარ ის!“ (რა დღეს, რა ხვალ) (17, 460).

პოეტისთვის ორგანულია ბიბლიური, სახარებისეული იგავები, თვითონაც ძალზე ხშირად იგავებით გვამცნობს ჭეშმარიტებას და უმაღლესი, ურთულესი აზროვნების გათავისებით გვაოცებს: „უცებ აღსდგა ბორბალ ქარი“, მძინარ ზღვაზე – მაცნედ ავის, მაგრამ ვთქვი: სდექ! – მინელდა. აი, ახლა, ვით

იესო, მეც იგავით ვსაუბრობ და მივალ ნავით სოფელს – ღადარინელთა! “ (მარკოზის სახარების კითხვისას (17, 916).

პოეტის არსებობა სავსეა უფალით – „სიხარულით: „ცას რომ შევხედავ, გაიღვიძებს ჩემში უფალი და სიხარული მდის ალაზნებად“ (ცა მშობლიური) (17, 556).

უფლის სახლად ქცეული სული მარადიულ „გაზაფხულს“ – ღმერთს ეზიარება: „უფალი ჩემში განვასხეულე, ჩემი სიცოცხლის გაზაფხული დღეებს უკვირდა“ (უფალი ჩემში განვასხეულე (17, 63).

პოეტის სულის მზრდელია „მზიანი და მზით მოსილი“ – ღმერთი: „მზიანი და მზით მოსილი სულის მზრდელი უნდა მიქონ, რომ თავს ადგეს ათი მნათი. და მე ვეძებ ლამაზ სტრიქონს, ვითარც ნესტანს და თინითინს“ (მზიანი და მზით მოსილი) (17, 330).

„მე, ვით კოლუბში, ვით მაგელანი, დაბლა არ დავხრი რწმენის იალქანს“ (გიხმობს) (3, 198) აცხადებს ათეიზმის ორ„წარღვნაში“ სულიერების, ღვთისნიერების გადამრჩენი პოეტი მტკიცედ, რაც მისი შემოქმედების გამორჩეულობის საწინდარია.

მთლიანობაში გადავავლოთ თვალი ვაჟა ეგრისელის კანონიკურ და ინდივიდუალური ელფერით აღბეჭდილ რელიგიურ სიმბოლიკას. მისი შემოქმედების მიხედვით, ღმერთი არის ზენათა უზენაესი, შორეთის ნათელი, მიწით ზეცამდე განფენილი ნათელი, წმინდა ნათელი, ნათლის წყარო, ნათლის სვეტი, ბნელი ნათელის სიელვარე, მიუწვდომელი თვალთა ნათელი, ნათელი უსხეულო, ნათელი სოფლისა, ცისკრის ნათელი, მაცხოვრის ნათელი, მარადიული სინათლე, ბნელი ნათელის სიელვარე, ნათლით მოსილი სიტყვა, თვით პოეტი არის შემოსილი „ცისკრის ნათელით“, ნათელშემოსილი, მარადიული ნათელით მოსილი, მარადისობაშემოსილი.

საყურადღებოა მზის სახის გამოყენებით გააზრებული საღვთო სიმბოლიკა: „წმინდა მზე, მზე მზისა, მზიანი ღამე, დღე-ღამე მზიანი, სამი მზე, მზის ბილიკი, ტაძრის მზე, მზისთვალება უფალი, მზეთამზე, მზე მართალი, მზე სიმართლის, მზე უქრობი, მზე დაუსაბამო, მარადიული მზე, მზის რტო, მზის კელაპტარი.

ღმერთი არის ელვა, ელვის ხელი, ცისარტყელა.

ღმერთის სახელია ცეცხლი მარადიული, ცეცხლი ღვთაებრივი, უწმინდესი ცეცხლი, ღვთაებრივი ცეცხლი, ცეცხლი ზენარი, უკვდავი სხივი, შუქის კვირტი.

ქრისტე არის სულიერი კლდე.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ღმერთი გვევლინება, როგორც პირველი სიყვარული, სიყვარული, სიყვარულის კლდე, სიყვარულის მტევანი, სიყვარულის კიბე, სიყვარულით ამაღლება.

ქრისტეს სახელია ცის ვენახი, ლერწი, ნორჩი ვაზი, ვაზის ლერწი, ოქროს მტევანი.

მამაღმერთის სახელია „მოხუცებული სპეტაკ ზეწრით“, მოხუცი მამა.

ღმერთი მოიხსენება, როგორც ღვინის ხე, ყოფნის, სიბრძნის ღვინო, ოქრო, ცის ყვავილი, ყოილი, ვარდი იერიქონის, არდაბერების სოსნები, დღეთა ავარდისფრება, ღამეების აგვირილება, ჭეშმარიტების ძელი, სიცოცხლის ხე, ცის ხე, რწმენის ხე, ალვის ხე, კვირტი, ნერგი, სვეტი, ფიქრთა ხე, იდუმალების იდუმალობა, გაურკვევლობა გაურკვევლის, მანანა, ციური მანანა, წყურგილე, მარადი წყარო, წყაროსთავი, უფლის წყარო, უკვდავების წყარო, ნამი, მტრედი, თუღუნი, თეთრი თუღუნი, გვრიტი, მწყემსი, მწყემსი კეთილი, მეველე, უსაზღვრება, მარადისობა, მარადისობის გზები, მარადისობის არია, რწმენის ლოდები, იმედის ქვა, ციური ქვა, სიბრძნის ქვა, სიყვარულის ქვა, სიხარული, სიხარულის თვალი, განთიადის ხმა, გზა ჭეშმარიტების, გზა ხილული, გზა უხილავი, შეუცნობელი, ძალი განუზომელი, უსაზღვრო, უსაზღვროების უსაზღვროება, ზესთამგოსანი, სიმსხივოსანი, კლდე, ზეარსი, რწმენის საჭე, მენავე, მენავეთმოძღვარი, უხილავი, შორეული, იდუმალი, უჟამო, უჟამო ჟამი, საყვირი იერიქონის, არსთაგამრიგე, მხოლოდშობილი, მაღალი ჭიშკარი, სამება, უთვალავ სხივთა ნათელი, უშორესი მხედარი, უახლოესი მხედარი, ერთი ვარსკვლავი, ვარსკვლავის ქნარი, ცისკრის ვარსკვლავი, ვარსკვლავი, ვარსკვლავების საცერი, თვალთა თვალი გონების, ცის თვალი, საყვირი, მთვარე, სიყვარულის ქუხილი, ქუხილი, წარსულის და მომავლის ქუხილი, ძველი დღე, დიდი დღე, გრძელი დღე, დღე დაუღამებელი, ახალი დღე, სვეტი, თუთარჩელა, აფრა, გრიგალი, ქარიშხალი, დიდება, ცა ცათა, იდუმალი, ღამე უღამო, ცის სვეტი, მარადისობა, კლდე, სული ჭეშმარიტების, უსახო, უხილავი, დილის ნამი, დღე წყდიადი,

ძე,... ცისკარი, ოქროს ღარი, ვაზი, ცისკარი, დიდება, განთიადი, განთიადის ხმა, მარადისობის წვიმა, მამის სიტყვა, განგება, ცნობადის ხილი, პალმა ქოქოსის, სიხარული, გაზაფხული, ბუნება.

ლიტერატურა

1. აკაკი მინდიაშვილი, ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ, ჟურნალი „ცისკარი“. 1999, 3
2. რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე, თბ. 1994.
3. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 2001.
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
6. არეოპაგიტული კრებული, თბ. 1981
7. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. I თბ. 1987.
8. ძველი ქართული მწერლობის საკითხები, ტ. III თბ. 1968.
9. ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება, ბუენოს აირესი,, 1953.
10. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941.
11. ტიტე მოსია, დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, თბ. 1986.
12. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977.
13. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, თბ. 2007.
14. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ. 2006.
15. საპატრიარქოს უწყებანი, 12 (498), თ-9 აპრილი, 2009.
16. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000.
17. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 4, თბ. 2008.
18. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
19. ლუდვიგ ფოიერბახი, ქრისტიანობის არსება, თბ. 1956.
20. კრებული პოეზია, თბ. 1981.
21. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი) შრომები, თბ. 1961.

22. [illegible]. 1983.
23. [illegible] I, [illegible] 1990
24. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.
25. ვაჟა ფშაველა, თხუზულებანი 5 ტომად, ტ. I, 2006.
26. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955.
27. აკაკი წერეთელი, თხზ. სრ. კრ. 18 ტომად, ტ. II თბ. 1991.
28. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ, 1992.

29. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ, 1991.

თავი II

ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს პოეტები ჩვენი ზეციური დედის შესახებ მეოცე საუკუნეში

„და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა“ (გალაკტიონი)

მარიამ ღვთიმსშობელი ყოველი ქრისტიანის იდეალია. მის სახელს მოწიწებით ეთაყვანებიან და შარავანდედით მოსავენ ადრექრისტიანული თუ რენესანსისა და განმანათლებელობის ეპოქები. უფლის დედას არაერთი შედევრი შთაუგონებია მხატვრების, მუსიკოსებისა თუ პოეტებისთვის.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ მარიამს ეწოდება „სიყვარული პირველი, დედოფალი ცის საბრძანისის, სათნოება უზესთაესი, მადლით მოსილი, დიდი მიზანი, უზენაესი, ძლიერი და დიადი, დიდება დიდი, კიბე დიდი ოქროცურვილი, მზე შუადღისა, შროშანი, შუქის ლამპარი, დიდი სათავე იმედის ცხოვლის, მარადჟამული სათავის წყარო, ზენარი დედა, ნათელი ზეციური, წყარო მარადიული“.

გოეთეს „ფაუსტში“ მარიამი გვევლინება, როგორც „ცის დედოფალი, დიადი დედა, წმინდა ქალწული, ღვთაების სწორი, მზის დარი, წმინდა ფრთოსანი, სხივოსანი, პატიოსანი, მარადქალური“.

ქართულ სასულიერო პოეზიაში მარიამი მოიხსენება, როგორც „გედეონის საწმისი, ვენახი ახლად აყვავებული, მორჩი კეთილი, ალვა სურნელი, მზე გაბრწყინებული, შროშანი, ელვა, ნათლის სვეტი; სახოტბო პოეზიაში – „მადლთა ბარძიმი“.

ქართული მესიანისტური იდეის მიხედვით, საქართველო მარიამის წილხვედრ ქვეყნად ითვლებოდა და მას ევედრებოდნენ ქვეყნის გადარჩენას. დ. გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას პოეზია სავსეა ჩვენი ზეციური დედისა და ერის მფარველის თაყვანსაცემი სტრიქონებით.

ვფიქრობთ, XX საუკუნის არც ერთ სხვა ქართველ პოეტს არ შეუქმნია ისეთი ვრცელი და დიდებული ციკლი მარიამ

ღვთისმშობლის მხატვრული სახის გაუკვდავებისათვის, როგორც გ. ტაბიძეს.

მარიამია გალაკტიონისთვის სიკეთის, მშვენების, სულიერების, ღვთაებრიობის შესაკრები სახე, სულიერი განახლების მომმადლებელი: „რარიგ მწყურია, შენს შორიახლოს განახლებისა მოვიკლა ჟინი და ვუცქეროდე, თუ როგორ ბრწყინავს ღვთაებრიობის შენის გვირგვინი“ („რარიგ მწყურია“).

მარიამის ცქერაში გალაკტიონი „ქართულ პატიოსნებას“ პოულობდა: „და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა სავსე ქართული პატიოსენებით“ („თბილისი“).

პოემა „მშვიობის წიგნში“ ასოციაციების ფორმით შემოტანილია ხარების მოტივი, მარიამისათვის გაბრიელ მთავარანგელოზის გამოცხადება. ლექსში „გაზაფხული“ უზენაესის მოვლინებაა, რითაც დადნება ყინულის ლოდები, დაიმსხვრევა სტანდარტები და დამკვიდრდება სიახლე, სიკეთე, სიყვარული, ბედნიერება.

მარიამის მზესთან შედარების ტრადიცია გრძელდება ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“: „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!“...

ლექსში „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“ ღვთისმშობლის მიერ ღმერთის („ყვავილების“) მოვლინებაა ხაზგასმული: „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა და ყვავილები გიიადონა“. „თოვლის მადონა“ მარიამია, „გაიადონა“ ნეოლოგიზმია, „ყვავილები გიიადონა“ ნიშნავს: ყვავილს (იგი ქრისტეს სიმბოლოა) ხმა გამოაღებინა, აამღერა. ქრისტე ხომ „სიყვარულის ხმაა, სიხარულის ხმა, სიხარულის უვერტიურა“ (იხ. თოვლის მადონაზე ტიტე მოსია, „საღვთისმშობლო სახისმეტყველება“, 1996 წ., გვ. 87).

მარიამის სულთან სიახლოვის, „არაქაური სუნთქვის“ განცდის სურვილია ლექსში „ჩვენი დღის ამბებს“.

მარიამი არის „უცხო შვება“, „უცხო მადონა“ („ფანტაზია“).

ღვთისმშობელი „უცხო მდელოს“ „უცხო ასულია“, „თეთრი ყვავილია“, პოეტი კი მასზე ფიქრით და ოცნებით გატაცებული „პალადინი“ და „მარადი ძმობილი“ („როცა გარშემო ღამე ბნელია“).

უფლის დედა არის „ნელ ლერწებით და ვაზის მტევნებით დაგვირგვინებული ქალწული“ („ავდრის მოლოდინი“), ვაზის ლერწები და მტევნები ქრისტეა.

სულიწმინდის და მადონას ლოდინია ლექსში – „მათ ბევრი ჰყავთ“.

ძალზე საინტერესოა ჭიქის, თასის, ფიალის, აზარფეშის სიმბოლოში მოაზრებული მარიამის სახე გალაკტიონის პოეზიაში.

ცნობილია, რომ იაკობის „კიბეში“, მოსეს „მაყვალში“, დანიელის „მთაში“, გედეონის „საწმისში“ სასულიერო მწერლობის წარმომადგენლები. განსაკუთრებით ჰიმნოგრაფები, ალეგორიულად მარიამ ღვთისმშობლის სახებას ხედავენ“ (ტ. მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები“ თბ., 1989, გვ. 210).

„იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე მაყვლად, დანიელ – მთად, გედეონ – საწმისად. გიხაროდეს საწმისო ცუარისა საღმრთოისაო“ (ძლისპირი) – ამ ტექსტში საწმისი წმიდა მარიამის სიმბოლოა, ხოლო ცვარი – ქრისტესი. ჰიმნებში... ცვარი ლოგიოსია, ანუ ღმრთის სიტყვა, საწმისი კი მისი ხილვის საშუალება, ანუ ღვთისმშობელი“ (ა. ბაქრაძე, „მარაგით ზრახვა“, წიგნში – „რწმენა“, თბ., 1991, გვ. 79).

მსაჯულთა და ფსალმუნთა წიგნებში „წვიმა“ და „ცვარი“ მაცხოვრის სიმბოლოა, საწმისი – ღვთისმშობლისა.

„გარდამოხდეს, ვითარცა წვიმაი საწმისსა ზედა და ვითარცა ცუარი რაი ცურინ ქვეყანასა ზედა“ (ფსალმუნი, 71, 6) აქ ალეგორიულად „საწმისი“ მარიამ ღვთისმშობელს გულისხმობს, „წვიმა“ და „ცვარი“ მაცხოვარს...

გალაკტიონი უსაზღვროდ ამრავალფეროვნებს ამ სახის შინაარსს.

ქრისტე არის „ცეცხლი“, „უსხეულო ცეცხლი“, რომელიც მოსეს მაყვლოვანთან გამოეცხადა.

გალაკტიონმა მას უწოდა „ალი“, „საიდუმლო ალი“. მარიამი ამ ალის თასია, მასში ასხია „ძლიერი ღვინო“, რაც ქრისტეს სიმბოლოა. პოეტს ენატრება არა მუსიკით მთვრალ ქალთა დასი, არამედ უფლის დედა და მაცხოვარი: „ცეკვავს ქალების დასი, მთვრალი მუსიკის ჟინით, ალის მომეცით თასი, სავსე ძლიერი ღვინით“.

ლექსში – „შემოდგომა“ – მარიამი დახატულია ორიგინალური „ცეცხლიანი აზარფეშის“ – სახეში. ზეციდან, მზიდან, ღვთაების საუფლოდან მოვლენილი პოეტი არ წყვეტს უზენაეს მამასთან კავშირს და ცეცხლიანი აზარფეშებით – სვამს „მზის სადღეგრძელოს“: „ჩვენ, პოეტები მზიდან ვეშვებით და ვსვამთ ცეცხლიან აზარფეშებით მზის სადღეგრძელოს“ („შემოდგომაც“).

„ზენარი დედის“ – მარიამის მადლით მიეახლა დანტე ზეცის თავანს.

გალაკტიონი ყოველთვის მარიამის საშუალებით უახლოვდება უზენაესს და, ბუნებრივია, ერთდროულად ფიგურირებს ეს სახელები მის ლექსებში.

ქრისტე არის მზე, ცეცხლი, რომელსაც პოეტი განიცდის მარიამის – „მარადი ჭიქის“ შემწეობით: „მზის სადღეგრძელოს მარადი ჭიქით ვსვამ, მიხარია ცეცხლის კდემანი, სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით ისევ მეძახის ჩემი დემონი“ („მზის სადღეგრძელოს“).

სახარებაში ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2. 10).

გალაკტიონისთვის ქრისტე „სიხარულია“ (ამ ცნების მრავალი ვარიაციით), ხოლო მისი განცდის, ხილვის გზაა მარიამი, რომელიც წარმოგვიდგება, როგორც „სიხარულის ჭიქა“: „აღემატება ყოველგვარ ძალას, რომ სიხარული დასცალოს ჭიქით, რაც ამოძრავებს სიზმარულ ჭალას შორს, სასიმინდე ყანებით იქით“.

ლექსის შემდეგ სტრიქონებში ქრისტე არის „სიცოცხლე, სინათლე“, მარიამი – დილა – სინათლით, ელექრონით სავსე ფიალა: „სიცოცხლე დილის სინათლით მოდის, ელექტრონებით ავსებს ფიალას. სთქვა გაღვიძება მორევის დიდის – აღემატება ყოველგვარ ძალას“ („აღემატება ყოველგვარ ძალას“).

„ავდრის მოლოდინში“ კი მარიამის არის „ქალწული“, „ვაზი“, „მტევნები“ – ძე ღმერთის სიმბოლოა.

ვენახის, რტოს, მტევნის, ღვინის სიმბოლიკა სახარებიდან მომდინარეობს და ხან მარიამს, ხან კი ქრისტეს მიემართება.

გალაკტიონი ამრავალფეროვნებს ამ ცნებათა მიხედვით შეთხზულ სახეებს.

დ. გურამიშვილისათვის ქრისტე რის „უკვდავების მტევანი“, რომელიც ნაყოფიერმა ვენახმა – მარიამმა მოისხა: „უკვდავებისა მტევანთა მოკვდავთა მოსართლობელო“ (ტ. მოსია).

მიქაელ მოდრეკილის ჰიმნებში მარიამია „სიწმინდის ვენახი“, უკვდავების ნაყოფის გამომღებელი: „ვენახსა სიწმინდისასა, გამომღებელსა ნაყოფსა უკვდავებისასა“.

ქართველი კაცისთვის გასაგებია მტევნის, ვაზის ჯვრის, ობოლი ვაზის, მეწამული გზის სიმბოლოები. მათ გალაკტიონი ორგანულად უკავშირებს მამულს: „მტევანი, ვაზის ჯვარი, ოხვრა ჩემი მამულის, ტირის ვაზი ობოლი, მცნობი გზის მეწამულის“.

„მზის ალუბლებით სავსე მტევანმა“ – მარიამმა ჩვენს გულებში „სიცოცხლის ქარი“ აახმიანა, გაგვახარა „სიყვარულით“ („სიყვარული“ ხომ ღმერთია“), რომელმაც მრისხანე ზღვათა გადალახვის, ქარიშხლის დამარცხების უნარი მოგვცა: „მტევნები, სავსე მზის ალუბლებით გულში რეკავენ სიცოცხლის ქარად. მახარებს ჩემი თავისუფლება და სიყვარული მახარებს მარად. გადავიარეთ მრისხანე ზღვები ქარიშხალის და ზღვის მონებაში. გატაცებები სხვები და სხვები იფანტებიან მოგონებაში“ („გადავიარეთ მრისხანე ზღვები“).

აზიის ცის გადავლით შეიგრძნობს პოეტი საღვთო იდეალს – ღვთისმშობელსა და ძე ღმერთს. უფლის დედა წარმოისახება, როგორც „ღრუბელი ფერადი“, ხოლო ქრისტე – „ალვა ტანადი“: „ოჰ! როგორ გაფითრდა ციურთა თანადი ოცნება, ნახაზი საგანთა უარით, ღრუბელი ფერადი და ალვა ტანადი, რომელსაც აზიის ცით გადავუარეთ“ („ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“).

სასულიერო პოეზიაში მარიამს ეწოდება „სულ მცირე ღრუბელი“.

გალაკტიონის ლექსში მარიამი სახელდებულია, როგორც „ღრუბელი ფერადი“ (შდრ. ტ. გრანელის „შორეული ღრუბელი“ და „ფერადი ღრუბელი).

ამ კუთხით საინტერესოა გალაკტიონის კიდევ ერთი ფრაზა: „და ღრუბლიდან ეშხით გადმოიხრება მოგონება სიყვარულის მზიანის“ („აფხაზეთის წვიმა მიყვარს“), აქ „ღრუბელი“ მარიამის სიმბოლოა, „სიყვარული მზიანი“ – ქრისტე.

ქრისტე არის „საიდუმლო“, „დიდი საიდუმლო“, მისი სიყვარული მარადიულად რჩება პოეტთან ისე, როგორც მარიამისა – „წმინდა ემბაზის“: „ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე აქ მივესალმები... დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი, ეფემერა მომექცეს, როგორც ღამეს ენებოს!“ („ეფემერა“).

„დავითიანში“ მარიამს ეწოდება „ცხოვრების წყაროს ემბაზი“.

„ცხოვრების წყარო“ ქრისტეს სახელია, ემბაზი კი საეკლესიო ჭურჭელი, რომელშიც ბავშვს განბანდნენ მონათლის დროს. სულხან-საბას განმარტებით, ემბაზი არის საბანელი, განსაწმენდელი. მარიამი არის ემბაზი, რომელშიც ასხია ცხოვრების წყარო, ანუ რომელმაც თავისი სხეულით ატარა და შემდეგ დაბადა ქრისტე; ადამიანთა განწმენდას ცოდვებისგან მარიამმა დაუდო სათავე, რადგან მისგან გამოვიდა ნათლისღებით ადამიანთა მხსნელი“ (ტ. მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები“, თბ., 1989 წ. გვ. 234).

სასულიერო პოეზიაში „სულიერი კარავი“ ღვთისმშობლის სიმბოლოა. მიქაელ მოდრეკილი ასე მიმართავს მარიამს: „ღმრთისა დედაო და ქალწულო, ცხოვრებისა წყაროსა დაუწყუედელსა, კარავსა სულიერსა ღმრთისასა“.

გალაკტიონი შემოქმედებითად აგრძელებს ამ ტრადიციას. იგი კარავს (მარიამს) და იდუმალ ფიქრს (ქრისტეს) ერთ კონტექსტში მოაქცევს და მათზე ოცნებით გაურბის შემზარავ სინამდვილეს: „სურდა კარავი, ფიქრთ შემფარავი, მაგრამ არავინ არ შეიცოდა. სინამდვილეს ხომ არ დაებნიდა, ის ოცნებაში შვებას სძებნიდა“ („იოველიადა“).

„დატვირთული მრავალ უამინდობით, კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით“ – ამბობს გალაკტიონი ლექსში „მეოცნებე აფრებით“. აქ „კიდობანი“ მარიამის სიმბოლოა.

კიდობნის ისტორია მოთხრობილია ძველ აღთქმაში („გამოსვლათა“), ფსალმუნთა წიგნში; კიდობნის სახეში მარიამის მოაზრების მაგალითები გვხვდება სასულიერო პოეზიაში.

„დავით გურამიშვილი მარიამ ღვთისმშობელს სჯულის კიდობანს, სჯულთა სადებ კიდობანს ეძახის, რომელმაც შვა ორბუნებროვანი ღმერთი“ (ტ. მოსია, „დავითიანის ლიტერატუ-

რული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები“, თბ., 1989წ. გვ. 229).

გალაკტიონმა შემოქმედებითი კონტექსტში ჩაიფიქრა წინაპართა მიერ სათავედადებული კანონიკური სახეები.

იაკობის მიერ ხილული კიბე მარიამია.

დ. გურამიშვილი ასე მიმართავს მარიამს: „ხიდო წიაღმაყვანებელო, კიბევ, ცათამდის მწვდომელო“.

გალაკტიონისთვის ქრისტე არის „ახალი სხივი“, მარიამი – „სიწმინდის, სიყვარულის, პატიოსნების კიბე“, რომელიც საზიზღარი წყვდიადის კიბეს ანუ ურწმუნოების სიბნელეს ამარცხებს და „სანატრელ სინათლეში“ აღმართულია ყველას დასანახად: „...ამოდის ელვარება ახალი სხივის, ახალი გულის, მისწრაფების, ფიქრის, ოცნების, კიბე წყვდიადის საზიზღარის დაბლა ვარდება, ნაცვლად სანატრელ სინათლეში აღიმართება კიბე სიწმინდის, სიყვარულის, პატიოსნების“ („ქალაქთა ბნელთა“).

ლექსში – „მას გახელილი დარჩა თვალები“ – აღწერილია ქრისტეს ჯვარცმა მზის გარდაცვალების სახით. პოეტს თითქოს ჩაესმის მარიამის ტირილი და გამომშვიდობება შვილთან. მარიამი მოვლენილია, როგორც „მგლოვიარეთა ქნარი“: „რა ხდება იქით! საიდან ისმის მგლოვიარეთა ქნართა: „მშვიდობით!“ „უეცრად სწყვეტენ სიმები სიცილს უამინდობით, უამინდობით!“.

„დაუჯდომელის“ თანახმად, მარიამი „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარია“: „გიხაროდენ ქნარო სიტყვიერთა ცხოვართაო“.

დ. გურამიშვილის „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარი“ ნიშნავს ქრისტეს დამბადებელს“ (ტ. მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები“, თბ., 1989წ. გვ. 242).

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ქნარს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ერთი გაგებით, იგი ჩანგია, მეორე გაგებით – ვარსკვლავი („სიტყვის კონა“, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიყვაობით“, 1949 წ. გვ. 373). ასეა ეს სახე გაგებული ს. ცაიშვილის მიერ „ქართული პოეზიის“ I ტომის წინასიტყვაობაშიც.

გალაკტიონის „მგლოვიარეთა ქნარში“ – ქნარი ვარსკვლავს უნდა ნიშნავეს და იგი მიემართება მარიამს.

სავსებით ორიგინალურია გალაკტიონის ბეჭედი, „ზეცის ბეჭედი“, ეს სახე მარიამის სიმბოლოა (ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995, გვ. 43).

ვარდის ცვრიან ბეჭდად არის მოაზრებული მარიამის სახე გალაკტიონის ლექსში: „საღამოვ, ვიცი, ბაღში შეხვალ ეკლესიიდან და გაოცების მწუხარებას მასთან მიიტან. თითქო ბეჭდებზე დაგეყრება ვარდების ცვარი და სურნელებით აივსება შენი ლოცვანი“.

ამ კონტექსტში ბეჭედი მარიამია, ვარდის ცვარი – ქრისტე. ამავე ლექსში „მოგონებები ელვარებენ ისევ ბეჭდებად“.

„დომინოში“ არის ასეთი საოცარი ფრაზა: „ლანდივით მაქვს ნახული ბეჭდის თვალში მოლები“ (იხ. ამაზე ჩვენს წიგნში „გალაკტიონ ტაბიძის სახისამეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები“ თბ., 2009. გვ., 140-156).

მარიამის სიმბოლოა „დილა“, ქრისტესი – „დილის ძე“.

მარიამი „დილაა“, რომელიც „სხივებს“ გვათოვს და ამით ფანტავს ავ სულებს: „გათენდა, მორჩა. დაიწყო დილამ სხივების თოვა და გაიფანტა უსივრცობაში ჭინკების გროვა“ („ქაჯები, ალები, ჭინკები“).

მარიამის – დილის მოვლენილია „სიცოცხლე გულლმობიერი“, „სხივი“, იგია „პირმშვენიერი მნათის“ მშობელი: „სიცოცხლე დილის გულლმობიერი სხივთა კრთომაში არის ძლიერი, უფრო და უფრო, სულ მაღლა-მაღლა იწევდეს მნათი პირმშვენიერი“ („ისტორიის ახალი გვერდი“).

მარიამი არის დილა, ძე ღმერთი – სიცოცხლე, ყვავილები და მისი ბურუსებში გაუჩინარება, „მომავლის ჩრდილის მჭმუნვარებაა“ პოეტის წამების მიზეზი: „ყმაწვილკაცობა, ყვავილები სიცოცხლის დილის, ბურუსებს იქით გადიკარგა... როგორ ვეწამე! ეხლა თავს მადგას მჭმუნვარება მომავლის ჩრდილის, იმ სიყმაწვილის მიმღერე რამე!“ („მიმღერე რამე“).

მარიამი წარმოიდგინება, როგორც „სისხამი დილა“, ქრისტე – გაზაფხული, ცრემლიანი ვაზი, მშვენიერი დღე, ციური ცვარი: „გაზაფხულია, ხე ფოთოლს ისხამს. ვაზის ცრემლებით აივსო ზვარი. ამ მშვენიერ დღეს, სისხამ დილას ფეხებს გისუსხავს ციური ცვარი“ („გაზაფხულია“).

დილისა და სხივის ახალი ვარიაციაა ლექსში „წყნარად მიცურავს“: „ვარდზე შთენილი მიყვარდა ნამი, მიყვარდა

დილის ციმციმ-კამკამი, მიყვარდა ნაზი ცისა ეთერი, მიყვარდა სხივი პირმშვენიერი“. „დილის ციმციმ-კამკამი“ – მარიამია, „პირმშვენიერი სხივი“ – ქრისტე.

მარიამი არის დილა, ქრისტე-საყვირი: „დილის საყვირმა დაჰკრა“.

დ. გურამიშვილთან გვხვდება ფრაზა: „ზეცით ღვთის სიტყვის საყვირო“, რომელსაც ასე განმარტავს პროფ. ტ. მოსია: „დ. გურამიშვილის მიხედვით, ადამიანებს ქრისტეს ხმა მარიამმა (საყვირმა) მოასმენინა, ე.ი. საყვირის (მარიამის) მეშვეობით ღვთის სიტყვამ (ქრისემ) თავისი ხმა და სათქმელი მოიტანა ადამიანებამდე“ („დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები“, თბ., 1989 წ. გვ. 240).

ამ ტრადიციებს უნდა უკავშირდებოდეს აკაკი წერეთლის „გარემოების საყვირი“.

ჩაკეტილი სარკმელი, რომელიც სავსეა იდუმალებით, მარიამია. იდუმალებაა – ქრისტე: „ხშირად დავდივარ სარკმელთა ახლო, ჩაკეტილთ, სავსეთ იდუმალებით, ვისთან მივიდე ან ვის ვეახლო გაუმხელელის ჩუმის წვალებით?“ („ხშირად დავდივარ“).

სხვაგან სარკმელი ისევ მარიამია. ქრისტე – „დრო, ვერ გამოსათქმელი“ რომელმაც სარკმლის ნისლიდან უნდა გამოაშუქოს: „აგერ ნისლში სარკმელი მალე გამოაშუქებს, დრო, ვერ გამოსათქმელი, გამოსავალს გვაჩუქებს“ („სარკმელი“).

სარკმლის სიმბოლოს ღმერთის მისამართით მიმართავს კ. გამსახურდია“: „ღმერთია თვით გონების დახშული სარკმელი სამყაროისა“ („დავით აღმაშენებელი“, წიგნი I-II, გვ. 417).

მარიამის სიმბოლოა კლდე, ლოდი, ხოლო ქრისტესი – „ანკარა წყარო“, რომელსაც ვერ შეედრება ვერც ერთი ქვეყნიური წყარო: „სალ კლდიდან ახლა ძვირფასად ამოსკდა წყარო ანკარა ასად, მსგავსი რის ქვეყნად არ არის არსად“ („ისტორიის ახალი გვერდი“).

ასე უსასრულოდ გაამრავალფეროვნა, ახალი ნიუანსები შემატა მარიამ ღვთისმშობლის კანონიკურ სახეებს გ. ტაბიძემ.

მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა „იაგუნდი“ (ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, გვ. 124)

გალაკტიონის ლექსში „დღე გაფითრდა იაგუნდის“ ფიგურირებს „იაგუნდის დღე“: „დღე გაფითრდა იაგუნდის,

დგას ღრუბლების ჯგუფები, რადგან დიდი გული გქონდეს, მაინც დაიღუპები“.

ვფიქრობთ, „იაგუნდი“ მარიამის, ხოლო „დღე“ ქრისტეს სიმბოლოა (შდრ. დ. გურამიშვილი: „ვიკარგვი ბნელი ღამითა, დღევ, რად არ მომიძიებო“).

გალაკტიონის ლექსი ასახავს ღმერთისუარმყოფელ ეპოქას, როცა ურწმუნოებით იღუპებოდა ადამიანის სული.

ასევე, პოეტების მეფესთან მარიამია ადრესატი სახისა – კიდობანი: „დატვირთული მრავალ უამინდობით, კიდევ დიდხანს ვაქანავებ კიდობნით“ („მეოცნებე აფრებით“).

კიდობანი მარიამის სიმბოლოდ დაფიქსირებულია ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში (ტ. მოსია, ზემოთხსენებული წიგნი, გვ. 124).

მთა, პოხილი მთა ასევე მარიამზე მიმანიშნებელი სახეა დანიელის წინასწარმეტყველებიდან (იქვე, 103).

გალაკტიონის „სილაჟვარდეში“ გაელვებული „შემოღამებული მთა“ ღმერთისუარმყოფელი ეპოქის მარიამია, რომელსაც ვერ ხედავენ გონდაბინდულნი.

მარიამის სიმბოლოა მთვარე (ტ. მოსია, ზემოთხსენებული წიგნი,გვ. 99).

გალაკტიონის ლექსში „...ალვა მთვარეს მწვერვალებს უხრის. ალვა სიცოცხლის ხის - ქრისტეს სიმბოლოა, მთვარე - მარიამისა.

სასულიერო მწერლობაში, მარიამის მეტაფორად მოიაზრება „ნაყოფელვარე ხე, ყვავილგადაფენილი ხე“ (ტ. მოსია, ... გვ. 124).

ვფიქრობთ, გალაკტიონ ტაბიძის ატმის ხე- მარიამის, ხოლო – მისი ყვავილი ქრისტეს სიმბოლოა (იხ. ამაზე ჩვენი „ატმის ყვავილების“ ციკლი, წიგნში – გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 2009, გვ. 93-119).

ასევე, მარიამთან მიმართებაში იხმარება სამოთხე.

გალაკტიონი ასე გამოხატავს თავისი პოეზიის რელიგიურობას სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით: „ვით გშვენის პატიოსნება, ეს დიდი, ეს საამო დღე, ო, ქვეყნიურო ოცნება, ო, მშვენიერო სამოთხე!“

„დიდი დღე“ მამაღმერთია, „მშვენიერი სამოთხე“ –მარიამი.

მარიამის სიმბოლოა „ქალაქი“ (ტ. მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, გვ. 125).

ლექსში „უეცარი ქალაქი“ წარმოდგენილია „მოზმანებული სამყარო“ და ოცნება უეცარი ქალაქის აღდგენაზე, ანუ ქრისტიანული რწმენის, ჩვენი ზეციური დედისადმი თაყვანისცემის აღვლენაზე: „... რამ მოზმანებულს ჰგავდეს სამყაროს და უეცარი აღდგეს ქალაქი“...

ცა, ზეცა ასევე უფლის მეტაფორული სახელი (ტ.მოსია, იქვე, გვ.125).

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება „ცა, მარტოობა, სული თავადის“ (ცისფერი).

„ცა“ მარიამის, „თავადი“ ქრისტეს სიმბოლოა.

ხშირად ცა ჭორფლიანია, გაყინული, შავი, დალეწილი და დანგრეულია („მეოცნებე აფრებით, „გრიგალი“) ანუ მინიშნებულია ნეტარი დედის იგნორირებაზე.

„დომინოში“ პოეტს ეჩვენება „ჩვენი ცა უწინდელი, უფრო უდიადესი“, ანუ მზერას მიმართავს მარიამზე მლოცველი მორწმუნე ეპოქისაკენ.

მარიამი გალაკტიონის პოეზიაში წარმოიდგინება როგორც ქალწული, ხიდი („თოვლი“) (იხ. ამაზე ჩვენი „გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ., 2009, გვ. 165-174).

„თოვლის მადონას“, საფუძვლად დასდებია იტალიური ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, მარიამი ჩეულებრივად კი არ მოევლინა ქვეყანას, არამედ თოვლს ჩამოჰყვა ციდან (იხ. ტ.მოსიას „საღვთისმშობლო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1996, გვ. 87).

ჩვენ ვიზიარებთ ზემოხსენებულ მოსაზრებას.

ასევე, მარიამის სიმბოლოდ გვესახება „იისფერი თოვლი“, „ლურჯი ფიფქი“ და „მანდილი“ ლექსში „თოვლი“ (იხ. ჩვენი ზემოხსენებული წიგნი, „თოვლის“ შესახებ) მანდილის მარიამის მეტაფორად გააზრების მაგალითები მრავლად არის გალაკტიონის პოეზიაში (იხ. ზემოხსენებულ წიგნში „მანდილის“ პარადიგმები).

„ცისფერი დის“ სახე ტერენტი გრანელის პოეზიაში

უდავოა ტერენტი გრანელის ქრისტიანული მსოფლგანცდა, მკაფიოდ გამოხატული რელიგიური იდეალები. პოეტი ზეციური სიმაღლიდან აფასებს მიწას, მონუსხულია სულიერი, გონიერი, შორეული ცის სიდიადით („რა ბრწყინვალეა ცა იქაური“), ვოცნებება შეუბღალავი სიწმინდის დამკვიდრება დედამიწაზე, მაგრამ ამის მიუღწევლობა სევდით ავსებს, ისევ ლაჟვარდების წმინდა სავანეს უბრუნდება, უზენაესთან მართავს მონოლოგ-დიალოგს („მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“), გამუდმებით ქრისტესა და მარიამის გვერდით წარმოიდგენს თავს მიწაზე თუ ზეცაში წასვლის (გარდაცვალების) შემდეგ.

დაჟინებული, გაუნელებელი ინტერესი დედა-ძის მარადიული სახეებისადმი განაპირობებს, ერთი მხრივ, მათი სიმბოლიკის ორგანულ გათავისებას და, ამასთან, ორიგინალური, ახალი, თავისებური ნიუანსებით გამდიდრებული მხატვრული ხატების მიგნებას პოეტის მიერ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც თითქმის დაივიწყეს მეოცე საუკუნის 20-30 –იანი წლების პრიმიტივებმა, ტერენტი გრანელის ხსოვნამ უზადოდ შემოინახა, რათა ტრადიციები ახლებურად შეეგრძნო და მათზე დამყარებით გაქანების სასწაულებრივი ველისთვის მიეღწია.

ტერენტი გრანელის ლირიკაში თვალში გვეცემა მრავალგზის მიმართვა მარიამისადმი: „შემინდე, შემინდე, წმინდაო მარიამ!“ („ფარული ვედრება“)„„და შენ მიშველე ახლა, მარიამ!“ („მიყვარდა ერთი“), „კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა“ („მიცვალებულის დღიურიდან“).

გარდა ასეთი პირდაპირი სახელდებისა, მარიამის კანონიკური და ინდივიდუალური ელფერით შემოსილი ხატებაც მრავალგზის შემოგვანათებს მისი პოეზიიდან.

მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ მიგვაჩნია ტერენტი გრანელის „დიადი ცა, ცა ლაჟვარდი, ცა უმაღლესი, მარადისობის ლაჟვარდები, შორეული ზეცა, მაღალი ცა, ზეცის ყვავილი“. მარიამზე მიმანიშნებელია მისივე „ქალწული, და,

მწუხარე და, პრინცესა, გადამწვარი მთა, ღრუბელი, შორეული ღრუბელი, ფერადი ღრუბელი, იაგუნდი, საიდუმლო ქნარი, მთვარე“.

როგორც „საღვთისმშობლო სახისმეტყველების“ ავტორი ტ. მოსია მიუთითებს, „ნევმირებული ძლისპირნის“ თანახმად (იგი გამოქვეყნდა 1982 წელს X საუკუნის დამლევისა და XI საუკუნის დასაწყისის ხელნაწერის მიხედვით), მარიამ ღვთიმსშოლელი არის სულიერი ცა (გვ. 337).

სინურ მრავალთავში (864 წლისა, 1959წ.) ყოვლადწმინდა დედოფალი წოდებულია,... ცად,... ქერობინის ცად, („ცაო ქეროიანო“) საცნაურ ცად (201), ... ზეცის საყდრად, ზეცის ქერობინად.

„უძველესი იადგარის“ მიხედვით (გამოიცა 1980წ. X საუკუნის რამდენიმე ხელნაწერის საფუძველზე) მარიამ ღვთისმშობელი არის „ცათა და ქვეყნის კარავი (7),... ზეცისა სძალი (184), ცა ცათა, ღვთის ცა,... საცნაური ცა“.

VII საუკუნის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შედევრში „აკათისტო“ (ქართულ თარგმანში მას „დაუჯდომელი“ ეწოდება) მარიამი სიტყვიერთა ცხოვართა ქნარია: „გიხაროდენ, ქნარო სიტყვიერთა ცხოვართაო“ („დაუჯდომელი“).

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში მრავალგვარი ეპითეტით ფიგურირებს მარიამზე მიმანიშნებელი ცა: „ისევ შორეულ ცას გავენდობი“ („დგას სასაფლაო“), „და ცა ლაჟვარდი ჩემს გულს მოება“ (ახლა ღამეა“), „ისევ მიცქერის მაღალი ზეცა“, „გული იგრნობს მარადიულ ლაჟვარდს“, „ახლა ღამეა და შორეული ზეცა მიტაცებს“ („ახლა ღამეა“), „ცა დიადია, ცა ლურჯი არი“ („მტკვარის შრიალი განთიადზე“), „ისევ მიზიდავს ცა უმაღლესი„ („ცას დაემუქრა“), „და ზეცა უფრო ახლოა გულთან“ („გაზაფხულია“).

მარიამზე მიგვანიშნებს ტ. გრანელის „სხვა ზეცა“: „სხვა ზეცა მპირდება ამინდს“ („მივყვები გაყინული რიყეს“), „ცისფერი ზეცა“ (ეს არის ცისფერი ზეცის ყვავილი – მიმოზა“ („სარკე“).

ამ სახის ორგანულ განცდაზე მეტყველებს სტრიქონები: „ზეცა ჩემთვის გულია“ („კელაპტრებივით დგანან“), „და ზეცა უფრო ახლოა გულთან“ („გაზაფხული“).

სიკვდილის წინ, უცხო მხარეში გადასვლის მოლოდინით გათანგულს, ისევ „მაღალი ცა“, ანუ მარიამი და ქრისტე (გზა) ელანდება: „მაღალო ცაო, ისევ შენ გიმზერ, იქ, უცხო მხარეში, ალბათ, მიმელიან. ძვირფასო, ვდგავარ გზაჯვარედინზე და ვიცი, ჩემი გზა ახლა რომელია“ (მაღალო ცაო“).

ლექსში „მორჩა, არავის ველი“ – მარიამი ისახება, როგორც „შორი ცა“, ქრისტე – როგორც „იმედი“: „და იმედს მაძლევს ახლაც შორი ცა, მარად მუქი“.

არანაკლებ საინტერესოა და ორიგინალურია ზეცის სახეში მოაზრებულ მარიამთან „ცისფერი ღამის“ ასოცირება, რაც, ვფიქრობთ, ძე ღმერთის სიმბოლური შიფრია, საყოველთაოდ ცნობილი „მზიანი ღამის“ კვალდაკვალ შექმნილი: „სიცოცხლე ისევ არ შეიძლება და ზეცა ცისფერ ღამეს იძლევა“ („ელვარებს ისევ“). ამ სტრიქონების „ზეცა“ მარიამია, „ცისფერი ღამე“ – ქრისტე. ეს სახეები მოაზრებულია „მდუმარე სარკის“ (სულის) ელვარების, „ცისფერ სამყაროსკენ“ (ზებუნებრივისკენ) ლტოლვის ფონზე.

ღრუბელს მარიამის სიმბოლოდ მიიჩნევენ (მათეს სახარებაში მარიამი არის „ღრუბელი ნათლისაი“, მათე, 17,5), „უძველეს იადგარში“ („ღრუბელი ნათლისაი“, გვ. 200).

ყოვლადწმინდა ხშირად იწოდება სასულიერო მწერლობაში „სულმცირე ღრუბლად“: „სულმცირე ნიშნავს „მსუბუქს, მჩატეს“. სულმცირე ღრუბელი (მარიამი) არის სიმართლის მზის შემწყნარებელი: „დედაო ღმერთისაო, ვითარცა ღრუბელმან სულმცირემან დაჰფარა მზე სიმართლისაი“ (ნევრმირებული ძლისპირნი, 501), „მოვიდა (ღმერთი ტ.მ.) ღრუბლითა სულმცირითა, რომელ არს ქალწული გამოუცდელი“ (ძლისპირნი, III, 210) – (ტიტე მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, გვ. 115-116).

ტერენტი გრანელის მიერ მარიამი განიცდება, როგორც წვიმის მომყვანი შორეული ღრუბელი: „და ეცემოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“ („მიცვალებულის დღიურიდან“).

ცვარი, წვიმა ქრისტეს სიმბოლოა ბიბლიაში: „იქნება იაკობის ნატამალი, როგორც უფლის ცვარი, როგორც შხარუნა წვიმა ბალახზე“ (მალაქია წინასწარმეტყველი, 5,6).

ქრისტეს მოვლინება ფსალმუნშიც მდელოს გამაცოცხლებელ წვიმად წარმოიდგინება: „იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები, მიწას რომ რწყავენ“ (ფს. 71/72,6).

ცისა და წვიმის ასოცირებაში ტ. გრანელის ლექსებში მარიამისა და ქრისტეს სახე ამოიცნობა: „თუ ხარ წვიმისთვის – ცაო ცისფერო. მივალ იმისთვის, რომ დავისვენო“ („თუ ხარ წვიმისთვის“). ნაწარმოებში მეტყველებს სამყაროს ფართო თვალებით მხილველი პოეტი: „გაჩნდა სადამო ისევ წვალებით, ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით“.

ესაიას წინასწარმეტყველებაში მარიამი მოხსენებულია, როგორც ღრუბლები, რომელიც ასხურებს სიმართლეს: „იწვეთოს მაღლიდან ზეცამ და ღრუბლებმა ასხურონ სიმართლე“ (15, 8).

ტ. გრანელის ლექსში „დადგა მაისი“ ყურადღებას იქცევს „ღრუბლის ბავშვის“ სახე, რომელიც ევლინება პოეტს დიდი ტკივილების, მარტოობის, წვალების, დაცემის გზაზე, როგორც უმაღლესი ნუგეში: „და ღრუბლის ბავშვი ჩაივლის მზესთან. მე ვზივარ ბაღში და ვუმზერ ზეცას“.

ამ კონტექსტის მზე, ვფიქრობთ, მამაღმერთია, ღრუბელი – მარიამის, ბავშვი – ქრისტეს სიმბოლო, ზეცა – ცანი ცათანი, ანუ გონიერი ცა. „ღრუბლის ბავშვს“ წყარო არ ეძებნება.

ასეთი სპირიტუალიზმი შეინიშნება ტერენტი გრანელის პოეზიაში, ასეთი ორგანულია მისი კავშირი უზენაეს საწყისებთან.

საღვთო ქვეტექსტის შემცველ სახედ მიგვაჩნია აგრეთვე ფარული ღრუბლიანი დღე: „ეს ღრუბლიანი დღე ფარულია“. აქ „დღე ფარული“ ქრისტეს სიმბოლოა (დღე საღმრთო სახელია), ღრუბელი – მარიამის.

ფსალმუნში, დანიელის წინასწარმეტყველებაში, სასულიერო პოეზიაში მარიამის სიმბოლოდ მიჩნეულია მთა, რომლისგანაც გამოიკვეთა ლოდი – ქრისტე (ტ. მოსია, „საღვთისმშობლო სახისმეტყველება“ გვ. 98).

ტ. გრანელის ლექსში „ოცნება ისევ მაღლა წავიდა“ – „გადამწვარი მთის“ სახე გვეცნაურება, რაშიც უღმერთო ეპო-

ქის მიერ უარყოფილი მარიამი იგულისხმება: „ისევ მიცქერის მაღალი ზეცა, ისევ მიცქერის მთა გადამწვარი“.

მთვარის სახესაც მარიამს უკავშირებენ. პროფ. ტ. მოსია აღნიშნავს: „მზესთან, მზის თვალთან ერთად, მარიამის სიმბოლურ – ალეგორიული სახელია მთვარეც: „მთოვარე დადგა წმინდასა ზედა თვისა, ქალწული უბიწო“ (უძველესი იადგარი გვ. 439). „წყობილსიტყვაობის“ ავტორი წერს. „საყდრანად მზედ, ვითა წინაშე ღმრთისა ქმნილად, ხოლო მთოვარედ განმტკიცებული სავსედ“ (საღვთისმშობლო სახისმეტყველება გვ. 98).

ტ. გრანელის ლექსში – „აწეწილი ბედი“ – საუბარია ავ ბედისწერასა და დემონზე, რომელიც მთვარეს შესჩენია: „დადის დემონი მთვარის და ავი ბედიწერა. მიპყრობს იისფერ თვალის ასე უღონო მზერა“. დემონი ღმერთდაკარგული ეპოქის რეჟისორია, რომელიც რწმენას შენაცვლებია. „იისფერ თვალის უღონო მზერა“ ჯვარცმული ქრისტეს წამებას შეგვაგრძნობინებს. პოეტის თანამედროვე ეპოქამ ისევ აცვა ჯვარს თავისი ღმერთი და ამით თვით განიმზადა ჯოჯოხეთური ყოფა.

პროფ. ტ. მოსიას დაკვირვებით, დავით გურამიშვილს ღვთის დედის სახელად გამოუყენებია „ანთრაკ-ალმას – საფირონი, იაგუნდი – ლალი“ (საღვთისმშობლო სახისმეტყველება გვ. 99).

გ. ტაბიძის ლექსში ყურადღებას იქცევს სიმბოლური „იაგუნდის დღე“: „დღე გაფითრდა იაგუნდის, დგას ღრუბლების ჯგუფები“ („დღე გაფითრდა იაგუნდის“).

ვფიქრობთ, ამ კონტექსტის იაგუნდი მარიამის სიმბოლოა, დღე – ქრისტესი.

ტ. გრანელის ერთ ლექსში „დაბრუნება ნავთლუღიდან“ პოეტის ტკივილიანი, იარებით სავსე სახე შემოგვანათებს, რომელიც შვებას მარიამისაგან მოელის, ღვთის დედა კი ფიგურირებს იაგუნდის სახით: „გულს რად უღირდა იაგუნდები“.

მარიამი იწოდება ქალწულად. ეს სახე მიმდინარეობს ძველი აღქმიდან: „აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს და

უწოდებს სახელად ემანუილს (ჩვენთან არს ღმერთი“), – (ესაია 7, 14).

ტ. გრანელი ჩივის „თეთრი იმედის“ (ღმერთის სიმბოლოა) უარყოფაზე, რამაც უფსკრულის პირას მიიყვანა ლექსის ლირიკული გმირი: „მე უფსკრულთან მივედი, ყოფნა ისე მომბეზრდა. ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესღაც“.

ლექსში, ზარებთან ერთად, ატირებული ქალწული გვხვდება, რომელიც შვილის (ქრისტეს) ჯვარცმით შეძრწუნებულ მარიამად გვესახება: „ჩამორეკეს ზარები და ქალწული ატირდა, ფიქრი ჩადგა ქარივით შემოდგომის ნაპირთან“ („მე უფსკრულთან მივედი“).

მარიამი მოიხსენება, როგორც „მეფის ასული, ასული დავითისა, ასული სიონეველი, ასული ადამისა“ (ტ. მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება გვ. 74, 75, 76).

ეს სახე მომდინარეობს ფსალმუნიდან: „მთელი დიდება მეფის ასულისა შიგნითაა. მოოქროვილია მისი სამოსი“ (ფს. 44/45, 14). ე.ი. მარიამი მეფის ასულია, ანუ პრინცესა (ფრანგულად). ტ. გრანელს გაუთავისებია ეს სიმბოლო.

შავ, დარდიან, კვნესით სავსე ღამეში თითქოს პოეტის ოთახში „თეთრი სიჩუმე“ და „პრინცესა“ (მარიამი) დადის ნუგეშად: „ღამეა შავი და ჩნდება დარდი, გულიდან ისევ ამოდის კვნესა. ოთახში თეთრი სიჩუმე დადის, სიჩუმე დადის, როგორც პრინცესა“ („ღამე ვაკეში“).

დედოფალთან, სძალთან, მეფის ასულთან ერთად მარიამის სიმბოლოდ მიჩნეულია და, რომელიც მომდინარეობს სოლომონის „ქებათა ქებიდან“: „ბაღი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი“ (ქებათა ქება სოლომონისა, 4, 12).

ტ. გრანელის „მე და გაფითრების“ ლირიკული გმირი, ანუ თვით პოეტი ხატების წინ ხელაპყრობილი გვევლინება. იგი შორს, თეთრ უდაბნოში შუქივით, სანთელივით აელვარებულ მწუხარე დის ცისფერ ლანდს ხედავს: „სადღაც შორს ბნელი თვალებით ვამჩნევ: თეთრ უდაბნოში სანთელივით რომ კრთის ჩემი მწუხარე დის ცისფერი ლანდი“.

„ხატების წინ ხელაპყრობილ“ პოეტს მწუხარე დის ცისფერი ლანდი „ღამის შუქივით“ ენუგეშება ცხოვრების

უდაბნოში: „ღამის უფსკრული გაიხსნა. უნდა გათენდეს. ხატების წინ ისევ ხელაპყრობილი ვარ მე და გაფითრება და ჩემი მწუხარე დის ცისფერი ლანდი ისევ ღამის შუქივით ელავს თეორ უდაბნოში“.

ვფიქრობთ, „თეორი სანთელივით“ გაელვებული „და“ მხოლოდდამხოლოდ მარიამია და არა ტ. გრანელის ფიზიკური დები, რომლებიც ასევე მრავალგზის უკვდავყო პოეტმა თავის შემოქმედებაში.

„ღამის შუქი“ კი ქრისტეს მოასწავებს. „შუქი“ ძე ღმერთის აღიარებული სახელია ბიბლიაში, ფსალმუნში, ესაიას წინასწარმეტყველებაში, სასულიერო ლიტერატურაში, დავით გურამიშვილის „დავითიანში“.

მარიამი მეფე ჰეროდესგან გადარჩენის მიზნით გაიქცა უდაბნოში ყრმა ქრისტესთან ერთად, უდაბნოში გამოიცადა იესო ეშმაკისაგან, ამასთან, ტ. გრანელისათვის ცხოვრება უდაბნო იყო, სადაც მხოლოდ დედა- ძის სახეები ანუგეშებდა. ასე რომ, შემთხვევით როდი ფიგურიგებს „და“ შუქსა და სინათლესთან ერთად თეორ უდაბნოში.

ლექსში „მიყვარდა ერთი“ მარიამის იდენტურია მისი სიმ-ბოლური სახელი „და“. დასაწყისში ღვთისმშობელი გვევლი-ნება თავისი პირვანდელი სახელით:

„მიყვარდა ერთი, დავტოვე იგიც
და შენ მიშველე ახლა მარიამ!
ნელა მივდივარ და ბაღის იქით
სივრცეა თეორი და მდუმარია“.

„ერთი“ ღმერთის სახელია: „უფალი ერთ არს“ (წიგნი სიბრ-ძნისა, 56, 27).

შემდეგი სტრიქონები ისევ მარიამს – დას მიემართება ძე ღმერთთან ერთად, რომელიც წარმოიდგინება, როგორ „დაძველებული სახლი“, დაქცევისათვის გამზადებული:

„დაო, მე შენთან მალე ამოვალ,
დაძველებული სახლი იქცევა.
რაღაც სხვაგვარი ყრუ საღამოა,
ან რანაირი ჩუმი სივრცეა“.
(„მიყვარდა ერთი“).

სახლი, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია, განადგურებულ რწმენაზე მიგვანიშნებს.

VII საუკუნის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შედევრის – „აკათისტოსა“ (ქართულ თარგმანში „დაუჯდომელი“) თანხმად, მარიამი „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარია“

ტ. გრანელის ლექსში – „მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“ უხეშ ბრბოსთან დაპირისპირებულ პოეტს უმძიმეს წუთებში მარიამი და ქრისტე ევლინება ქალის ნუგეშად (ძე ღმერთი, ქრისტე ხომ ნუგეშისმცემელია ცხოვრებისა“ (გოდება იერემიასი, I 16) ქალის, მარიამის ხორციელი ძე, „საიდუმლო ქნარებთან“ - ღვთისმშობელთან ერთად: „მოვა ქალის ნუგეში საიდუმლო ქნარებით“.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ქნარს ორგვარი მნიშვნელობა აქვს, ერთი გაგებით, იგი ჩანგია, მეორე გაგებით – ვარსკვლავი (სიტყვის კონა, 1949 წ. ს. ორდინაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, გვ. 373). ასეა ეს სახე გაგებული ს. ცაიშვილის მიერ „ქართული პოეზიის“ I ტომის წინასიტყვაობაშიც. თუ ქნარის მეორე გაგება გვიზიარეთ, მაშინ „საიდუმლო ქნარი“ „საიდუმლო ვარსკვლავს“ ნიშნავს, ვარსკვლავი კი ქრისტეს სინონიმია.

მაშ, ქრისტე ლექსში წარმოიდგინება, როგორც მარიამის მოვლენილი „ნუგეში“, „საიდუმლო ქნარი“, ანუ საიდუმლო ვარსკვლავი.

ანა კალანდაძის „ზეციური დედოფალი“

ანა კალანდაძის პოეზიას იმთავითვე აკრძალული ხილის სიტკბო დაჰყვა.

მეოცე საუკუნის 50-იანი წლები, როცა პოეტის დებიუტი შედგა, გამოირჩეოდა ყალბი პათოსით, რწმენის უარყოფით, ეროვნული გრძნობის მიჩქმალვით, არყოფილი შრომითი წარმატებების ქებით, კერპების გაიდეალებით, ხუთწლედების პანეგირიკებით, სულიერების გაუფასურებით და მატერიის გაფეტიშებით.

იმ დროს ტერენტი გრანელი აღარ იყო ცოცხალი და მისი შედევრების სალარო საიმედოდ იყო დაგმანული ჭეშმარიტებასმოწყურებულთათვის, გალაკტიონი მოთვინიერებული ესახებოდა ხელისუფლებას, მისი სიმბოლურ-მეტაფორული სიტყვით გაცხადებული რელიგიური მსოფლმხედველობა მიუწვდომელი რჩებოდა პრიმიტივთათვის, მხოლოდ გიორგი ლეონიძის და იოსებ გრიშაშვილის პოეზიის საზეიმო ელფერით მოსილი მეტყველება იყო წინა პლანზე, დიდი და გამძაფრებული წყურვილი უზენაესისა კი კვლავ ელოდა ახალ მგალობელს.

რაღაც დიადის, ამაღლებულის ლოდინით გათანგული ქართული სული ანა კალანდაძემ შეძრა 1946 წელს თავისი ლოცვისებური, კლასიკური საგალობლების ტოლფარდი ინტონაციით და მარადისობას შეხმიანებული მისი პოეზია დღემდე რჩება ჭეშმარიტი რელიგიურობის ნიმუშად.

ბიბლიის შემქმნელთა, მსოფლიო მნიშვნელობის ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა, კლასიკური პოეზიის რჩეულთა სიბრძნეა პოეზიის დედოფლის წინამძღვარი ურთულეს გზაზე.

დანტესავით „იდუმალ ნათელს“ იკრებს, უზენაესს მოუხმობს, უხილავის წმინდა ჭერქვეშ ივანებს, ზეცის კარამდე მაღლდება ჯერ უთქმელის, ჯერაც გაუმჟღავნებელის დიდოსტატი და ქართული უბერებელი სიტყვის ახალ შესაძლებლობებს ავლენს.

მას ბიბლიური წინასწარმეტყველივით შეუძლია გაიმეოროს თავის თანამოკალმეთა შორის: „როგორც ცა არის მაღალ მიწაზე, ასევე მაღალია ჩემი გზები თქვენს გზებზე და ჩემი ზრახვები ჩვენს ზრახვებზე“ (ესაია წინასწარმეტყველი, 55, 9) (1, 115).

„...მე ვსუფევ მაღალში და სიწმინდეში, მაგრამ მე ვარ ტანჯულთანაც და სულით გლახაკთან, რათა ცხოველვყო გლახაკთა სული და ცხოველვყო ტანჯულთა სული“ (ესაია, 57, 15) (1, 116).

ამჯერად გვაინტერესებს მისი პოეზიის რელიგიური ასპექტი, კერძოდ, მარიამ ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოები.

ქრისტეს ორიგინალურ სიმბოლიკასთან ერთად, ანა კალანდაძის პოეზიაში მარიამ ღვთისმშობლის პიროვნების ხატოვანი წარმოჩენის არაერთი ღირსსახსოვარი მაგალითი გვხვდება.

პოეტისათვის მარიამი არის „და“, „მეუფის სახლის“ (მეუფე ღმერთია) მარადიული მკვიდრი: „ჩამოჰკრეს მწუხრის, ო, დაო ჩემო, და სასურველნი განახვენ ბჭენი: „გიხმობს თავის სახლსა შენი მეუფე... მე თუ მომიხმობს მეუფე ჩემი, დავირქმევ გვირგვინს სიხარულისას – ჩემი სავსება მომეგოს სრული, შემომეხვევა წმინდა ნათელი, ამეთვისტო და მარგალიტ-სხმული, მე თუ მომიხმობს ჩემი მეუფე“...

მაცხოვრის ჯვარცმის მაყურებელი მარიამი არის „საბრალო და“: „ამბობ ოსანას და ფერმიხდილი მისდევ მაცხოვარს, საბრალო დაო... ამხედრდი შენთა ვნებათა ზედა, პოვე სამარე მით სამუდამო“...

უფლის დედა „მარადიული ქალაქის“ მკვიდრი ხდება, სადაც მისი შვილი მამაღმერთთან ერთად სამუდამო სიმართლის მწყემსად მოევლინება ზეციურ იერუსალიმს: „აჰა, ქალაქი მარადიული, გუმბათნი ვერცხლის და ოქროსანი... მისდევ მაცხოვარს კვლავ ძველ უბნებში და ფერმიხდილი ამბობ „ოსანას“ (ამბობ „ოსანას“).

„დის“ სიმბოლური სახე არსებობას იწყებს სოლომონის „ქებათა-ქებიდან“: „მე მძინავს, გული კი მღვიძარეა ჩემი. აჰა, მესმის ხმა ჩემი მეტრფისა, რომელიც რეკავს: გამიღე კარი, დაო ჩემო, სატროვ ჩემო, მტრედო ჩემო, უბიწოვ ჩემო!“ („ქებათა-ქება“, 5, 2) (1, 17).

ერთგან მარიამი მოიხსენება იტალიური სახელით – „მადონა“: „იქ... კაცადქმნილი მარადისობა თეთრს უსვენია მადონას მუხლზე“ (პეტრეს ტაძარში თეთრი პიეტა).

„სავანე“ ღვთისმშობლის მეტაფორული სახელია (2, 124).

ანა კალანდაძის ლექსში მარიამი არის „წმინდა სავანე“, ცაში დამკვიდრებული თავისი დიდი და უმაღლესი მისიის გამო: „შუადამისას მოვიხილე წმინდა სავანე, შუადამისას მოვყევი მას ისევ და ისევ არ მიწიურის კავშირისთვის, არ მიწიურის, არ მიწიური გვირგვინისთვის, არამედ... ცისა!“.

მარიამის სიმბოლოდ მიჩნეულია კარავი (2, 124), მარიამი არის „წმინდა სავანე (3, 199), „დიდების საყდარი“ (3,188), „სავანეც“ და „საყდარიც“ საღვთისმშობლო სახისმეტყველებაში“ მარიამზე მიმანიშნებელი სახეებია.

პოეტის მიერ მარიამი წარმოიდგინება, როგორც კარავი, სამეფო კარავი, ვარდის კარავი, რომელშიც მკვიდრობს „სიხარული“ (ქრისტე): „ბრწყინავს, ციმციმებს, ზარზეიმობს მისი კარავი, ო, უჩვეულო სიხარული იმკვიდრებს იქა,... მაგრამ... იხილეთ საკვირველთა საკვირველება: გული იმისი... არ ჩერდება იმ კარავს შიგან!

ერთ ლექსში ვარდის კარვის სახესთან ერთად, ყურადღებას იქცევს გაზაფხულის სუნთქვა: „აი, ეს ჩემი ვარდის კარავი, შიგ გაზაფხულის ლამაზი სუნთქვა... აქ მიწიური დგას სიხარული – მარადიული სამკვიდრო სულთა. ჰა, გაზაფხული, ხატი იისა!“

ია მარიამის მეტაფორული სახელია.

ვახტანგ მეექვსის „სატრფიალონის“ მიხედვით, მარიამი არის „უბიწოებით შემკული ია“.

ზაფხული, გაზაფხული საღმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი ჩემი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 65, 12) (4, 588).

კარავში დავანებული „გაზაფხული“ და „სიხარული“ (ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ – ლუკა, 2, 10) არის ქრისტე.

ვარდით დამშვენებული კარვის სახე გვხვდება ლექსში „გამოვცდი ბაღებს“ და აშკარაა, რომ აქაც ქრისტესა და მარიამის მეტაფორასთან გვიწევს შეხვედრა: „კარავს ჩემსას ვარდი შვენოდა“...

ლექსში „ბრწყინავს, ციმციმებს“ კარავში დამკვიდრებულ უჩვეულო სიხარულზე კეთდება აქცენტი: „ბრწყინავს, ციმციმებს, ზარ-ზეიმობს მისი კარავი, ო, უჩვეულო სიხარული იმკვიდრებს იქა“.

უფლის დედასთან შეხმიანების სურვილი ამგვარად არის გამოხატული: „დამიდგ კარავი სიხარულისა! “ (შენ რას მპირდები,ვერხვო, ახალო).

მარიამ ღვთისმშობელი პოეტს განუცდია, როგორც „ნაზთა იმედთა“ (იმედი ქრისტეა) „უმწვანესი კარავი“, „უმხურვალესი მზით“ და „უმაღლესი მარადისობით“ გამორჩეული: „ნაზთა იმედთა უმწვანეს კარავს, უმხურვალესი მზით რომ იცნობა, წმიდათაწმინდა აქვს სახელი და უმაღლესი მარადისობა“ (აბასთუმნის გზას).

„ნევმირებული ძლისპირნის“ მიხედვით, მარიამი არის „მზის კარავი“. (5, 701).

აშკარაა, რამდენად ღრმად იცნობდა ანა კალანდაძე სასულიერო პოეზიის სახეებს.

მარიამის სიმბოლოა ტაძარი: „მარიამ ღვთისმშობელი უფლის შესაწყნარებულ ტაძრად იწოდა, აღშენებულ ტაძრად“ (2, 242).

ანა კალანდაძის ლექსში მარიამის სახეა „ცათუმაღლესი ტაძარი“: „აჰა, ტაძარი ცათუმაღლესი, სულთა თანხმობის და გრძნეულებათ... აქა ვიხილე ხატი უბიწო, უსხეულოსი განსხეულება“ (აჰა, ტაძარი ცათუმაღლესი).

„უსხეულოს განსხეულება“ ქრისტეს ხორციელ მოვლინებაზე მიგვანიშნებს. ასეთივე გაგებისაა პოეტის შემოქმედების „ხელთუქმნელი ტაძარი“ (3, 285).

ერთი პატარა, უსათაურო ლექსში ერთდროულად არის რამდენიმე სიმბოლური სახე: წყარო უბიწო (ქრისტე), მაყვალთა ჩერო (მარიამი), მტილი კარღია (მარიამი), განცხადებული საუნჯე (ქრისტე): „აჰა, კვლავ ჩემს წინ წყარო უბიწო, მტილი კარღია, მაყვალთა ჩერო... ჰა, იგი მაცნე ზენაარსისა, განცხადებული საუნჯე ჩემი“.

საღმრთო წყარო, წყალი მრავალგზის ფიგურირებს ფსალმუნში, ესაიას, ეზეკიას წინასწარმეტყველებაში, სახარებაში, აპოკალიფსში.

დავიმოწმებთ ერთ მაგალითს: „...მწყურვალი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ აიღოს სიცოცხლის წყალი“ (იოანეს გამოცხადება, 22, 17) (4, 521).

„მაყვალთა ჩერო“ მომდინარეობს ძველი აღთქმიდან (გამოსვლათა, 3, 1-15) (6, 60).

„მტილის“ წყაროდ მიჩნეულია „ქებათა ქება“: „მტილი მოკრძალული არს დაი ჩემი (4, 12).

„მტილი“ მარიამის მეტაფორაა. იგი ნიშნავს ბოსტანს, ყვავილნარს, ბაღს, „მოკრძალული“, დახშულს, დაკეტილს, როცა ყოვლადწმინდის ეპითეტია“ (2, 100).

„საუნჯე“ საღვთო სახელია (7, 121).

„ედემი“ დასახულია მარიამის სიმბოლოდ (2, 121).

ანა კალანდაძის ერთ ლექსში „დე, წვიმდეს დღესა“ – სულშია აცისკროვნებული ეს ედემი: „გული თუ ხვალის მოიმედეა, აცისკროვნდება სულში ედემი“.

ცა, ზეცა ასევე მოიაზრება მარიამის ხატოვან სახედ (2, 124)

ცის მიერ მოვლენილი იმედი მარიამის მიერ შობილ იესოზე – იმედზე მიგვანიშნებს: ...ვიდრე არ მისცა ცამან იმედი და მრქვა სასომან: – აჰა, მე მოველ! (მტანჯველ ფიქრთაგან დამძიმებული).

ერთ ლექსში „თბილ სასოებას აპკურებს ზეცა“. ამ ფრაზაში სასოება, იმედი ქრისტეს სიმბოლური სახელია, ზეცა – მარიამისა („დიდ სიხარულში“).

„... შენა ხარ ჩემი იმედი, უფალო“ (ფს. 70, 5) (4, 595).

ლექსში „შენ, სინათლის მეფევ“ – სასოება – (ქრისტე) „გაბრწყინებულ ცას“ (მარიამს) უკავშირდება: „სასოების მფენო, გაბრწყინებულ ცის ხარ“...

ქრისტეს სიმბოლური სახელი არის კარი, („მე ვარ კარი ცხოვართა –იოანე, 10, 7), „კარიბჭე შუაღამისა“, „აღსავლის კარი“, ცის (მარიამი) უხილავი სხივი, ელვარე ცის (მარიამი) საიდუმლო არის ქრისტე: „ბრწყინავს კარიბჭე შუაღამისა... ცა უხილავი სხივით აივსო... ჰა, საიდუმლო ელვარე ცისა... უწყის მიწამან ღირსება მისი?“ (ბრწყინავს კარიბჭე შუაღამისა).

სხვაგან მარიამი არის „მაცოცხლებელი დიდი სულის“ ცა (აქა მეუფებს სული მისი).

სიმბოლური ღრუბლის მარიამის სახედ ჩაფიქრების არაერთ ორიგინალურ მაგალითს ვიპოვით ანა კალანდაძის პოეზიაში: „უხმობს ზენაარსს, ზენაარსს უხმობს ჯვარზე გაკრული. არ ჩანს „ღრუბელი მაგრილობელი“, - ცრემლი აპკუროს... იღვრება მაღლით მხურვალებაი იგი მზისაი“...

„ღრუბელი მაგრილობელი“ გულისხმობს მარიამს.

ეს სახე მომდინარეობს სასულიერო პოეზიიდან, სადაც მარიამს ეწოდება „სულ მცირე ღრუბელი“ (8, 227).

ლექსში „უნდა გამათბონ შენმა სხივებმა“ ქრისტეს სახეებად ჩაფიქრებულია „სხივები“, „ცისთვალი“, „სიხარულის მძივები“. „ვარდისფერი ღრუბელში“ კი მარიამის სახე ამოიკითხება: „მე მივატოვებ აიდის ქვეყნებს, თუ გამათბობენ შენი სხივები! ხომ ასე მოდის ცისქვეშ ცისთვალი, სიხარულისას აისხამს მძივებს. ცრის ვარდისფერი შენი ღრუბელი მხოლოდ ვარდისფერ, ვარდისფერ წვიმებს“...

„ვარდისფერი წვიმა“ ქრისტეს სიმბოლოა. წვიმის სახე მომდინარეობს ბიბლიიდან: „ბარაქიანი წვიმა აწვიმე, ღმერთო, შენს სამკვიდროს“ (ფს. 67, 10) (4, 590).

მარიამის სახელად მიჩნეულია თასი. ეს სახე არსებობას იწყებს მსაჯულთა წიგნიდან (მსაჯულთა, 6, 11-40) ეს ის თასია, რომელშიც გედეონმა გაწურული საწმისიდან გადმოდენილი წყალი მოაგროვა (6, 38) (6, 244).

ანა კალანდაძის პოეზიაში „სიხარულის თასი“ გვაგრძნობინებს დედა-ძის მარადიულ ხატებას („სიხარული“ ხომ ქრისტეა): „სვით სიხარული ამ თასებიდან, სვით სიხარული“ (სვით სიხარული ამ თასებიდან).

ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში მარიამი არის დედოფალი, ზეცის დედოფალი, ოფირის ოქროთი შემკული დედოფალი, მეფის ასული, ასული სიონეველი (2, 221).

ყოველი ეჭვი და მერყეობა ამკრთალებს და გვაშორებს მის სახეს, სინანულს და მონატრებას განგვაცდევინებს, როგორც ანა კალანდაძის ერთი ლექსის ლირიკულ გმირს. „დედოფალს“ – მარიამს შესჩივის პოეტი „ვარდთა დაფურცვლას“, „იათა კვდომას, „მტილთა გაძარცვას, „გარესკნელის აღზევებას“, ანუ უზენაესისადმი გულგრილობას და „სოფლის საცდურის“ ძალადობას (ო, დედოფალო).

საღვთო ქორწილს ეხება ანა კალანდაძის ლექსი „პაწაწინა ეკლესიაში“.

ცნობილია, რომ თეოლოგიაში ქორწილი ღვთის სასუფეველს გულისხმობს, სიძე, ნეფე – ქრისტეს. მზის (ქრისტეს) ქორწილის სძალი, დედოფალი არის მარიამი. „სრა ზეციური“ ზეციური იერუსალიმია: „ღრუბელნი როკვენ, წინწილანი ხმობენ, წივიან, ლაღობს, მოილხენს სრა ზეციური – მზის ქორწილია. ჰა, დედოფალი თავს მორცხვად ხრის ნეფის წინაშე, სევდიან ღიმილს ყვავილებით ათოვებს ირგვლივ... თეთრი მტრედები ახურავენ ვარდების გვირგვინს პაწაწინა ეკლესიაში... ღრუბელთა წრეში ჩამოუვლის ალვისტანადა... არწივნი როკვენ, წინწილანი ხმობენ, წივიან... მზის ქორწილია, შენ ხარ თამადა...“

ბიბლიაში, სასულიერო მწერლობაში წყარო, წყალი ღვთის სიმბოლური სახელია, აგარაკი-მარიამისა. „სასულიერო მწერლობაში მარიამის ალეგორიულ თუ მეტაფორულ სახელად „ქვეყანასთან“ ერთად „აგარაკიც“ გვხვდება: „ვითარცა აგარაკისაგან აჩუენა სიტკბოებაი ყოველთა მნებებელთა“ („დაუჯდომელი“), „ვით აგარაკი ზეგარდმო ცვარისა შემატკბობელო“, ამბობს დ. გურამიშვილი.

უდაბნო აღიქმება, როგორც რწმენას, სულიერებას მოკლებული ადგილი, ურწმუნოთა, ეშმაკთა საუფლო, სადაც რელიგიას შეაქვს შეაქვს სარწმუნოება, სიწმინდე.

ვარსკვლავის საღმრთო სახელია (7, 124).

ანა კალანდაძის ერთი ლექსის ლირიკული გმირი მოწყდა თავის „აგარაკს“ („აგარაკი“ მარიამის სიმბოლური სახელია), „მაცოცხლებელ წყალს“ (წყალი ღვთის მეტაფორაა), უდაბნოში დაემკვიდრა და წმინდა ასულთა საყვედური დაიმსახურა: „გზაზე შემომხვდნენ მე ასულნი მწუხარე ღიმით – უდაბნო არის მხარე ესე, - მაუწყეს იმათ – რისთვის მოხვედი? შემომხედა ერთ-ერთმა კრძალვით, მაცოცხლებელი, ხედავ, აქა არსად დის წყალი, სიცხე არის ირგვლივ თაკარა? და... გაქრნენ სადღაც... ცის სიღრმეში კრთოდა ვარსკვლავი, რატომ მოწყდიო, მანაც მკითხა, შენსა აგარაკს?

ლექსში რწმენისგან გაუცხოებაა გადმოცემული სიმბოლური მაცოცხლებელი წყლის“, „ვარსკვლავის“, „აგარაკისა“ და უდაბნოს სიცხის დაპირისპირებით.

„ტაბლა მარიამის სიმბოლურ-ალეგორიული სახელია“ (2, 107).

პური, „პური ზეცისა,“ „პური ცხოვრებისა“ ქრისტესი (7, 122).

სიხარული ბიბლიაში, სახარებაში ქრისტეს მოასწავებს, იგი არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2, 10).

ანა კალანდაძის ერთ ლექსში ერთდროულად ფიგურირებს „ტაბლა“, „პური“, „სიხარული“. „ზეთი“ წყალობაა ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით. დედა-ძის მარადიულ სახეებთან თანაზიარობა სულს „ნათელი სასოებით“ ავსებს: „უცხო ტაბ-ლაზე, აჰა„ პურნი შესაწირავნი და, აჰა, ზეთი... დგანან ირგვ-ლივ ჩუმი ლანდები... და... უცებ... ვარდის კრეტსაბმელის ჩუმი შრიალი და... ჩემს წინაშე... სიხარულის გამოცხადება!... თეთრია მისი მოსასხამი თეთრად ბრწყინავი“... („უცხო ტაბ-ლაზე“).

ანა კალანდაძის პოეზიის ლირიკული პერსონაჟის სული გამუდმებით შეჰხარის თავის „ახალ საუნჯეს“, „სიხარულთა უფალს“ (ქრისტეს), „უბრალო შროშანს“, „აღზევებულ ცის-კარს“ (მარიამს): „ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი, როგორც შროშანი შენი უბრალო... ბრწყინავს ცისკარი აღზევებული და სიხარულთა ჩემთა უფალი... აჰა, საუნჯე ჩემი ახალი“ („ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი“).

ეს „ცისკარი უჩინოა გულით ბრმათათვის“, თუმცა პოეტის გულის მარადიული მეუფეა („ჰა, სასო ჩემი მარადიული“).

მარიამი მოხსენებულია, როგორც „კარიბჭე შუაღამისა“ („ბრწყინავს კარიბჭე შუაღამისა“). ეს სახელები ბიბლიიდანვე დაისახა მარიამის სიმბოლოდ. საღვთისმშობლო სახისმეტყ-ველებაში პროფ. ტ. მოსია აღნიშნავს, რომ „ქებათა ქებაში“ შროშანი მშვენიერების სიმბოლოდ ფიგურირებს: „მე ყვავილი ველისაი და შროშანი ღელეთაი“ („ქებათა ქება“, 2,1) უფლის დედის კეთილშობილებისა და სულიერი უმანკოება-მშვენი-ერების გამოსახატავად დემეტრე პირველს (XIIს.) გამოუყენე-ბია შროშანი: „ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი, დედა, ქალწული, შუენიერი შროშანი (9, 183).

ეზეკიელ წინასწარმეტყველის მიერ ხილული „დახშული ბჭე“ ჰიმნოგრაფების მიერ მიჩნეულია მარიამის სიმბოლოდ (უძველესი იადგარი, 418).

ასეთივე გაგებისაა „ცათა ბჭე“ (მიქაელის ჰიმნები გვ.4), „ზეცის ბჭე“ (უძვ. იადგარი, 52) „ბჭე ღმრთისა“ (ანტონ ბაგრატიონი), „ჭეშმარიტი ცხოვრების „ბჭე“ (ძლისპირნი, 1997), ღვთის ტაძრის „ბჭე“, „სულიერი „ბჭე“ (ნევმირებული ძლისპირნი).

ანა კალანდაძის ერთ ლექსში ახალი ეპითეტით არის წარმოდგენილი „ბჭე“. სიხარულის (ქრისტეს) პალატთა „მაღალ-მაღალი ბჭე“ მარიამია. პოეტი გამუდმებით მოუცავს „წარუვალ და მარად ქარულ“ საწყისებზე ფიქრს: „მომიცავს იგი, შემიპყრობს ისევ წარუვალი და მარად ქარული... მაღალ-მაღალნი განახვენ ბჭენი შენთა პალატთა, ო, სიხარულო! („მომიცავს იგი, შემიპყრობს ისევ“).

მარიამის სიმბოლოა „სოლომონის პალატა“ (2, 121).

სხვაგან მარიამი არის „სასურველი ბჭე“ („ჩამოჰკრეს მწუხრის“), „მაღალი კარიბჭე“: „აჰა, დამეხშო მე კარიბჭე შენი“ მაღალი“...

ერთ ლექსში რწმენის ღალატს მოსდევს „სასწაულებრი ძალის დადუმება“, „გაზაფხულის ბჭის“ დაქცევა, სასჯელი და სინანული: „გაზაფხული“ ქრისტეს სახელია“„ბჭე“ - მარიამისა: „დუმს ძალი შენი სასწაულებრი – გაზაფხულისა დამექცნენ ბჭენი... დამატყდა თავსა უგუნურება, - გარდამოვიდა სასჯელიც შენი“, („დუმს ძალი შენი სასწაულებრი“).

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II. თბ. 1990.
2. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
3. ანა კალანდაძე, რჩეული, თბ. 1987
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
5. ნევმირებული ძლისპირნი, თბ. 1982
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
7. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
8. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991
9. ქართული პოეზია, ტ. I თბ. 1983

„მთვარით მოსილი მგოსნის პორფირი“
(ვაჟა ეგრისელი)

ვაჟა ეგრისელს ქართლის ცაზე ელანდება „იესოს კვართი, შურდული და ქნარი დავითის“.

ასევე, პოეტი იზიარებს მესიანისტურ იდეას, რომ საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა და განსაკუთრებული მოწიწებით უგალობს ჩვენი ზეციური დედის ღირსებებს.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობს ამ სახის ყველა ქართულ თუ უცხოურ წყაროს და კანონიკურ ხატებს ყოველთვის ორიგინალური ნიუანსებით ამკობს.

სოლომონის „ქებათა ქებაში“ ყურადღებას იქცევს ნიგზოვანი, კარდახშული, დაკეტილი მტილი“, ბროწეულის ბაღი, რაც ღვთისმშობლის მეტაფორად დაისახა: „ბაღი ხარ დახშული, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი, შენი ნარგავები ბროწეულის ბაღია, რჩეული ნაყოფებით – ქოფერითა და ნარდიონით“ (ქებათა ქება, 4, 12, 13) (1, 16).

ეს სახე ასეთ მაღალ რეგისტრში ხმიანებს ქართველი პოეტის სტრიქონებში: „აგე, ოცი საუკუნე, უფლის ნებით მოწეული, ჩემი ნიგზოვანი მტილი, კარდახშული, დაკეტილი, მობრიალებს ბროწეულად“ (მტილი) (2, 456).

„სულიერი კლდე“ ქრისტეს სახეა პავლე მოციქულის წერილში. (I კორინთელთა„ 10, 4) (3, 370).

ტაძარი მარიამის სიმბოლოა (4, 124).

„უცნობი ხმა“ ამაღლებს და ავალებს პოეტს, ცამდე აწვდილი ტაძარი ააშენოს „სალ კლდეზე“, ანუ მხატვრულ სიტყვაში უკვდავყოს დედა-ძის ხატება: „ნიადაგ მაღლა გეწევა, ვითარც განიმედს არწივი და ხმა უცნობი გაძალებს, რომ აღუშენო ტაძარი – სალ კლდეზე, ცამდე აწვდილი“ (ნიადაგ მაღლა გეწევა) (2, 457).

ლექსში „მეცხრე ციდან ჩამოსული“ (2, 434) მოსეს მიერ კლდიდან კვერთხით წყაროს გამოდენის ეპიზოდია ყურადღების საგანი: „მეცხრე ციდან ჩამოსული – სინათლის და მზის მთესავი, ვით ბრძანებდა „ბრძენი დივნოს, კვერთხს დაჰკრავ და კლდეს გააპობ ქრისტესავით, უფლის წყარომ რომ იდინოს“.

კვერთხი და კლდე მარიამის (4, 124), წყარო ქრისტეს სიმბოლოდ დაისახა (5, 121).

პოეტი ეზიარება დედა-ძის ხატებას, რათა მის სიტყვაში რწმენის წყარომ დაივანოს და „უფლის ხოდაბუნები“ შრიალებდეს,პურის „თავთუხიანი ყანა“ ბიბინებდეს...

ერთ ლექსში იგავის კვალობაზე მარიამი მოიხსენება ზღვად, ქრისტე-გრიგალად: „მთებს-უფლის ანგელოზებს სძინავთ. ზღვა ცის აკვანს არწევს. ვიღაც წყლის პირს ჰყვება იგავს, რომ მოსვლიდან თაყვანსა სცემს ზღვას – მარიამს, ქრისტეს – გრიგალს“ (მთებს, უფლის ანგელოზებს) (2, 435).

პოეტი მადლს სწირავს მამაღმერთს – მზეთამზეს, მაცხოვარს, მთავარანგელოზს და ღვთისმშობელს, რომ „ჰაერის მცველთა“ კერძი არ გახადეს: „თუ მზეთამზემ დღე მომცა და ამქვეყნად მაცხოვრა. თუკი „ჰაერთა მცველნი“ ნათელს არ დამიშრობენ, მაშინ სანთელს ავუნთებ, მადლს შევწირავ მაცხოვარს, ღმერთს და მთავარანგელოზს და მარიამ ღვთისმშობელს“ (თუ მზეთამზემ დღე მომცა) (2, 441).

ბოგირი და კიბე მარიამის სახელებია. თაყვანისცემის, სიყვარულის და ლოცვის ღირსია ხე, სვეტი, ბოგირი და კიბე: „ვილოცო და გცე თაყვანი, ამქვეყნად მისთვის ვბოგინობ, მიყვარხარ! მიტომ ვდიდგულობ – ხეო, სვეტო და ბოგირო, კიბევ, ცათამდე მიდგმულო“ (ვილოცო და გაცე თაყვანი) (...441).

ბიბლიის მიხედვით, მარიამი არის მოსეს მიერ ხილული „შეუწველი მაყვალი“, რომელსაც ცეცხლი ეხვეოდა, მაგრამ არ იწვებოდა.

ვაჟა ეგრისელის ლექსში ერთდროულად ფიგურირებს მზე - (ქრისტე) და მაყვალი – მარიამი: „ელვა მეხს გამოეკიდა, წამით, როცა დრო იხელთა. ცა შესძრა აყალ-მაყალმა. მერე მზემ გამოიხედა, ვით „შეუწველმა მაყვალმა“ (ცა შესძრა აყალ-მაყალმა) (2, 342).

პოეტმა სულის თვალით იხილა მოსესავით ცეცხლოვანი მაყვალის ბუჩქი: „...და ვიხილე, ვითარც მოსემ, ცეცხლმკრთომარე ბუჩქი მაყვლის“ (წუხს და (2, 335).

ლოცვის ადრესატია „კიბე“, „მთა“ (მარიამი) და მისი ნაყოფი -„სინათლე“ და „წყარო“ (ქრისტე“): „ვარ მუხლმოყრით მლოცველი, იმ კიბის“ და იმ „მთის“ – მომცემი ცის ნაყოფის. მომფენი აქ სინათლის და წყაროს კი – აქ ყოფნის“ (2, 379).

ზღვა ღვთისმშობლის სიმბოლოა ლექსში „წამიერი ნათებისთვის“: „წამიერი ნათებისთვის, მეტეორის თავგანწირვა – უსამანო სივრცეს ზაფრავს. თუმცა მეუფებს გაჩენიდან: თუთარჩელა, ზღვა და აფრა“ (2, 405)

ლექსში „თუთარჩელა“ მამაღმერთი მთვარის, ღვთისმშობელი ზღვის, ქრისტე აფრის სახეშია მოაზრებული.

ლექსში „ზღვაო, გრიგალის მშობელო“ (2, 427) მზე – მამაღმერთის, ვაზად ზღვა – მარიამის, ხოლო სიცოცხლის მტევნები და გრიგალი ქრისტეს სახეებად გვევლინება: „მზის ჭიგოს ჩამოხუნძლულო, ვაზო, სიცოცხლის მტევნებით. ცისკარო დაუშრობელო, ზეცათა დასატევნელო ზღვაო-გრიგალის მშობელო“.

მარიამის სამბოლოდ ხშირად მთვარე მიიჩნევა (4, 124), ცისკარის ვარსკვლავი კი ქრისტეს გულისხმობს (ზოგჯერ მარიამსაც) ამ სახეებს მიმართავს პოეტი ერთ ლექსში: „ამდენ დიდ-დიდ ვარსკვლავებში, სადღაც ერთი მოჩანს ნეკად, დღის დადებულ ცის შავ კვერცხს კი მთვარე უკაკუნებს ნისკარტს „მიუაჩრდილებელ ცისკარს“ (ამდენ დიდ-დიდ ვარსკვლავებში“) (2, 427).

ლექსში „შენ სულ სხვა ხარ“ ისევ „ხიდისა“ და „კიბის“ (მარიამს) სახეებთან გვიწევს შეხვედრა, რადგან, იგია ზღვაში, (ცოდვებიან ცხოვრებაში გადასასვლელი ხიდი, ცამდე (ღმერთამდე) ასასვლელი კიბე: „ლეგენდებით მობიბინე – ათასწლეულები თიბე და შენ უფლის ნებით გადე – ზღვაში ხიდი, ცაში – კიბე“ (2, 286).

დიდ, საღვთო საქმესთან შეჭიდებული პოეტი ევედრება მარიამს და ქრისტეს. ცა, გვირგვინი მარიამს, „ცათა“ ქრისტეს გულისხმობს, როგორც ეს რელიგიურ სიმბოლიკაშია: „ათასწლეულმა მეასემ შენს თავზე გადაიგრგვინა, შეები

საქმეს სათაოს და უზეშთაეს გვირგვინად, შენ ექმენ – ცაო ცათაო“ (2, 380).

ლექსში „გაახილა კვირტმა თვალი“ (2, 388) მამაღმერთი მოაზრებულია ალვის ხის, ქრისტე – კვირტის, ხოლო მარიამი მთვარის სახეში: „იქ, ბეთლემთან ვარსკვლავები, მიწას ოქროს სხივებს სცემდნენ – მთვარის ვერცხლის დაირიდან. გაახილა კვირტმა თვალი – ცისკენ მზირალ ალვის ხიდან და სამყარო გაირინდა“.

პოეტის ხატებია მზე (ქრისტე) და მთვარე (მარიამი): „ზღვაა შენი აკვარელი, ცაა შენი ნაყალმარი. „კოლხურ ფსალმუნს“ ვერ ამთავრებ. ხატებია მზე და მთვარე, ამირანის და ყამარის“ (ზღვაა შენი აკვარელი) (2, 849).

მზის შვილი მთვარის ფიალით (მთვარე-მარიამი) ეზიარა მზის (ქრისტეს) მადლს და უკვდავება გაინაღდა: „ჰელიოსის მზემ, ვითარც მზის შვილმა, მთვარის ფიალით მზის მადლი შესვი და ამიტომაც უკვდავი გახდი“ (სკიპტრა და ტახტი) (2, 656).

როგორც მრავალგზის, ამჯერადაც პოეტის სულიერი ფარი და ჯაჭვ-მუზარადია მზე (მამა ღმერთი), მთვარე (მარიამი), ვარსკვლავები (ქრისტე) და ღმერთშემოსილობის მაგალითად დიდი წინაპარი – ვაჟა ფშაველა ესახება: „მზე – შუბად, მთვარე – ფარად იფარე, ტანზე ჩაიცვი ვარსკვლავების ჯაჭვ-მუზარადი (გვერდით ვაჟა გყავს, არ ხარ ეული) და უთვალთვალებ ქართულ მიწას აწ და მარადის, საქართველოს – ზეცადქცეული“ (მზე შუბად, მთვარე ფარად იფარე) (2, 956).

მარიამი არის „ცა“, ქრისტე – „მარადიული სინათლე“, წყარო: „გვესხურება ცით წყარო – მარადიულ სინათლის“.

ერთ ლექსში კოლხი კირკე წარმოსახულია, როგორც ღვისმშობლის დედა (2, 363), ხოლო კოლხები „ქრისტემდე ქრისტიანები“ (2, 2114).

დემეტრეს საგალობელში ღვთისმშობელი „გაბრწყინებულ მზედ“ დაისახა (6, 121).

ვაჟა ეგრისელის ლექსში ბიბლიის კვალობაზე, „ძველი დღე“ არის მამაღმერთი, „ახალი მზე“ – მარიამი და ქრისტე: „...შენ კი ისევ მოელი: ძველ დღესა და ახალ მზეს“ (2, 377).

საღვთისმშობლო სიმბოლიკაში მარიამი არის ვაზის ნერგი, ცათაგან დაუტევნელი, ქრისტე – ოქროს მტევნები: „ადამის

ცოდვის მტვირთველმა მოისხა ოქროს მტევნები. და რტო-კეთილი ყვავილობს – ცათაგან დაუტევნელი„ (ცათაგან დაუ-ტევნელი) (2, 334).

პოეტს ძილ-ბურანში ევლინება მოხუცი მამა, გვირგვინი, ვაზის ლერწი: „ქანცგაცლილი ბედთან ბრძოლით, ძილ-ბურანში ხშირად ხედავ: მოხუცებულს, სპეტაკ ზეწრით“. ის ცად გიხმობს ქრისტეს მხედარს, გვირგვინით და ვაზის ლერწმით“ (ქანცგაცლილი ბედთან ბრძოლით) (2, 50).

გვირგვინი მარიამის, ვაზის ლერწი ქრისტეს სიმბოლოა.

პოეტი სანთელს უნთებს თავის იდეალებს – „ნორჩ ვაზს“ – მარიამს და „მტევანდიდს“ (ქრისტეს): „ცას მოწყალედ შევცი-ცინებ, იქნებ სადმე თვალი ვკიდო, მას, ვინაც რომ ადამის ძის ცოდვა-ბრალი ზურგზე იდო. მე ჩემს სიგრძე სანთელს გინთებ, ნორჩო ვაზო, მტევან-დიდო“ (ნორჩო ვაზო, მტევან დიდო) (2, 124).

პოეტს იტაცებს „მთვარის დუმილი“, „მზის ძახილი“ (ქარმა მწყემსივით ელვის შოლტებით) (2, 962).

მთვარე – მარიამის, მზე – ქრისტეს მეტაფორაა.

ლექსში „ცხრა მთით გადმოხვეწილი“ (2, 484) „ჭეშმარი-ტების ტევანი“ – მარიამია, მზე – ქრისტე: „ცხრა მთით გარდ-მოხვეწილი ლეგენდის თუ მითოსის ცამდე აწვდილ კოშკების სარკმლებში ვიჭვრიტები და მე ვხედავ მზით მოსილს ტევანს ჭეშმარიტების“.

ერთ ლექსში მარიამი წარმოისახება ვენახად, ქრისტე ლერწად: „ცრემლით მორწყულ მოკვდავთ ლოცვებს, არ ყოფნის ცის არეალი. თუმცა რწმენა კვლავ გადადის ხიდზე ბეწვის. ვენახია – მარიამი, ქრისტე – ლერწი“ (ქრისტე-ლერწი) (2, 486).

„მზის ემბაზში“ განბანილ პოეტს განგებამ განუსაზღვრელი ასპარეზი მისცა, რათა კიდით-კიდემდე დაფრენდეს მისი სიტყვა: „... და იფრენ კიდით-კიდემდე – სხვა გზებით, სხვა ასპარეზით, ვითარც ახალი ამბავი. შენ, მზის ემბაზში განბა-ნილს, ვერას დაგაკლებს პარისი“ (2, 33).

მზე ქრისტეს, ემბაზი მარიამის სახელია: „გიხაროდენ, ემბაზისა მიმსგავსებისა გამომხატველი“ (დაუჯდომელი“) (4, 124).

პოეტი ლექსს უძღვნის მარიამის მშობლებს ანას და იაკიმეს (2, 719).

ლექსში „სამება“ ანგელოზებთან ლოცვებით განწმენდილი და ღვთისმშობლის სისპეტაკეს ნაზიარები სული გვხიბლავს: „დაფრინავდნენ ცად ანგელოზები და ხელებს ტაძრისკენ იწვდიდნენ, ლამაზ ფრთებს ლოცვებზე იშრობდნენ... ფრესკიდან გვიმზერდა ღვთისმშობლის სისპეტაკე და სიწმინდე“ (2, 746).

პოეტი ეძებს „წყაროსთავს“ (ღმერთს) და სამოთხეს (მარიამს): „...ცისკენ მზირალ კლდეებს ფშვნიდი, რომ გეპოვნა წყაროსთავი და სამოთხის ბაღი მშვიდი“ (ელვასავით მიმოჰქროდი) (2, 856)

ლექსში „წარსულიდან მოსული“ (2, 606) ღმერთისგან დამყნილი ვაზი მარიამია, ღვინო – ქრისტე: „წარსულიდან მოსული დღე ნათობს და ამაყობს და ბარჩხალა მზით მიმხელს: რომ კოლხეთში დაამყნო ღმერთმა ვაზი – ღვინის ხე“.

„ჰელიოსის მზემ, ვითარც მზის შვილმა, მთვარის ფიალით მზის მადლი შესვი და ამიტომაც უკვდავი გახდი“ (სკიპტრა და ტახტი (2, 6564), აცხადებს პოეტი და ლექსის „მზე“ ქრისტეა, „მთვარის ფიალა“ – მარიამი.

ერთგან ფიგურირებს მარიამის სახელი - „ქალწული“.

„ცისკრის ანგელოზებმა, როცა ღრუბლები გაწურეს, მთებს მიმალული მთიები იქცნენ ასად და ათასად... დილით მზე, ვითა ქალწული, ამაღლდა „ცათა ცათასა“ (2, 87).

ქალწული მარიამის სახელია: „აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად იმანუილს“ (ჩვენთან არს ღმერთი) (ესაია, 7, 14)(1,78).

უფალი, ძე, სულიწმინდა, ღვთისმშობელი (მთვარე) ერთდროულად გვეცნაურება ლექსში „სულიწმინდა და უფლის ნათელი“ (2, 154): „სულიწმინდა და უფლის ნათელი, ამოდიოდა ღრუბლის ხაროდან, მზის ხმა ისმოდა მთვარის კონცხიდან, ვიღაცა იდგა და უხაროდა: არყოფნა ყოფნის გულს რომ კოცნიდა“.

ლექსში „ცა უფლის ტაძარია“ (2, 197) მარიამი განცდილია, როგორც უფლის ტაძარი, მთვარე: „ცა უფლის ტაძარია, ღრუბლები – ბერებია, ანაფორის კალთებს რომ იშრობენ. მთიები – ანგელოზებია, ფეხს ბანენ მთვარეს – მარიამ ღვთისმშობელს“ (ცა უფლის ტაძარია).

მზის (ქრისტე) და ქალწულის (მარიამის) სავანე ცათა ცაშია, ბროლის ცაში“: „დილით მზე, ვითა ქალწული, ამაღლდა ცათა ცათასა“ (2, 871)

მარიამი „ზეცის ლურჯი ტაძარია“, წყვდიადის მოსასპობად მოვლენილი: „ზეცის ლურჯი ტაძარი – სიშორის ზარს არისხებს, სურს წყვდიადი მოისრას. ძირს მოჭრილი ღამის ხე მნათობებს კვლავ მოისხამს“ (ზეცის ლურჯი ტაძარი) (2, 463).

ლექსში, „ეს კოლხეთია“, ძალზე საინტერესო სახეებით ფიგურირებს მარიამი. ის არის მთა, თასი ზღვის, ღმერთქალ ფაზისის ორეული: „მთას უკავია სავსე პირთამდე – ქარიშხალით სავსე ვერცხლის თასი ზღვის და დგება ჟამი მზის და მთვარის ნიშნობის. ეს კოლხეთია – ღმერთქალ ფაზისის, სად სიძულვილი სიყვარულად აღმოიშობა“ (ეს კოლხეთია) (2, 572).

„მზის და მთვარის“ ნიშნობა „ჰიერატიულ ქორწინებას“, ინიციაციას გულისხმობს.

ლექსში „ორი კოლხი კაბადოკიელი“ ის აზრია, რომ კაბადოკიელები წმინდა ნინო და წმინდა გიორგი იგივე კოლხები არიან, ქრისტეს და ღვთისმშობლის მადლით იფარავენ საქართველოს: „მთვარის მახვილით და მზისა ფარით, ათასწლეულებია საქართველოს იფარავს (მიუხედავად სიობლის), ორი კოლხი კაბადოკიელი – წმინდა ნინო და წმინდა გიორგი“ (ორი კოლხი კაბადოკიელი) (2, 764).

ერთგან „მთვარის ბილიკები“ მარიამია, „მზის ფარი“ – ქრისტე. პოეტი ლოცვით მიიკვლევს „მთვარის ბილიკებს“, მზის გზას, ანუ დედა-ძის სავანეს: „გზას დღისით მზისა და ღამით-მივსდევ მთვარის ბილიკებს და ზე-ცისკენ ვიურვი... უფალთან გზას მიგვიკვლევს ლოცვა მარადიული“ (გზას დღისით მზისა და ღამით) (2, 815).

ერთ ლექსში ერთდროულად გვიწევს შეხვედრა სულიწმინდასა, უფლის ნათელსა, მზესა (ქრისტე) და ღრუბელ – მთვარესთან (მარიამი): „სულიწმინდა და უფლის ნათელი ამოდიოდა ღრუბლის ხაროდან. მზის ხმა ისმოდა მთვარის კონცხიდან, ვიღაცა იდგა და უხაროდა: არეოფნა ყოფნის გულს რომ კოცნიდა“ (სულიწმინდა და უფლის ნათელი) (2, 154).

სხვაგან ცის სახეში – უფლის ტაძარს, ღრუბლებში – ბერებს, მთებში ანგელოზებს და მთვარეში მარიამ ღვთისმშობელის ჭვრეტს: „ცა უფლის ტაძარია, ღრუბლები –

ბერებია ანაფორის კალთებს რომ იშრობენ. მთები – ანგელოზებია, ფეხს ბანენ მთვარეს – მარიამ ღვთისმშობელს“ (2, 197).

ემბაზთან ერთად, მარიამი არის მზის (ქრისტეს) ამფორა, მირონი (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა): „მირონით სავსე მაქვს მზის ამფორა, მას დრო ვერ დაამსხვრევს, ვერა!“

„სულიერი ტაძარი“ მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია („დაუჯდომელი“).

ვაჟა ეგრისელის ლექსში მარიამის ორიგინალური სახეა „მზიანი“ და „ამაღლებული“ ტაძარი: „ლოცვებით ამაღლებული, აღარ არსებობს სხვა უფრო, ტაძარი, მზე რომ ათოვდა. ცა არის ღმერთების საუფლო და სამოსახლო მნათობთა“ (ლოცვებით ამაღლებული) (2, 734).

ლექსი „იქ, ბეთლემთან ვარსკვლავები“ (2, 388) მარიამის მიერ ქრისტეს მოვლინებას წარმოისახავს.

ლექსში „სინური მრავალთავი“ მარიამი წარმოჩნდება, როგორც „ცამდე აწვდილი კოშკი“: „ცხრა მთით გადმოხვეწილი ლეგენდის თუ მითოსის ცამდე აწვდილ კოშკების სარკმლებში ვიჭვრიტები და – მე ვხედავ მზით მოსილს ტევანს ჭეშმარიტების“ (სინური მრავალთავი) (2, 484).

საგულისხმოა, რომ „კოშკი“ გალაკტიონის შემოქმედებაში მარიამის სიმბოლოა („კოშკი“).

ფსალმუნში ღმერთია კოშკის სახეში მოაზრებული: „ღმერთო... ძლიერი კოშკი ხარ მტრისაგან დამცველი“ (ფს. 61, 4).

მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია სამოთხე (4, 124).

მარიამი – სამოთხე – სამოთხის ბინადარია, მეცხრე ცაში მკვიდრობს, „მხეცის“ დამთრგუნველია, „უღამო ღამესთან“ (ღმერთი), ერთად და სამოთხეში უხმობს სულს: „მანამდე სულს ამომხდის, მაკრთობს ხილვა მე „მხეცის“, მიხმობს ღამე უღამო, სამოთხეთა სამოთხე, მერვე არა, მეცხრე ცის“ (სანამდე სულ ამომხდის (2, 383).

შემთხვევითი არ არის „მხეცის“ კონტექსტში „უღამო ღამის“ (ღმერთის) და სამოთხის (მარიამის) ხსენება.

დავით გურამიშვილი ასე მიმართავს ქრისტეს დედას: „ნათელო და ბრწყინვალეო, თქმულო აღდგომისა ხატო, სიტყვიერთა ცხოვართ ქნარო და უხილავთ მხეცთ დამსხარტო“.

ამ სტრიქონებთან დაკავშირებით, პროფესორი ტიტე მოსია წერს: „ქრისტეს უპირველესი მისია იყო ბოროტების დათრგუნვა, მისი აღგვა პირისაგან მიწისა. ვინაიდან მაცხოვარი წმ. მარიამმა შობა, ამიტომ ისიც შვილთან ერთად ითვლებოდა ვეშაპის გამანადგუნებლად“ (7, 206).

მხეცი, გველი, ვეშაპი სინონიმური სიტყვებია და ბოროტების სიმბოლოა (7, 2006).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს „ოქროს საწმისისა“ და გრაალის თემას და შემთხვევითი როდია პოეტის მიერ საწმისის, გრაალის, სულიწმინდის და ღვთისმშობლის გაიგივება (2, 272). საწმისის, გრაალის მოაზრება საკაცობრიო სიბრძნის, წიგნის ჭრილშიც კი (9, 4).

გრაალის მიმდინარეობას ქართველურ, კაბადოკიურ ეთნოსს უკავშირებს ზვიად გამსახურდია. მისი აზრით, „გრაალის მისია ეს არის სულიწმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი“ (8, 38).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი უფრო შორს მიდის და მის შემოქმედებაში იდენტურობის ნიშანი უზის საწმისს, გრაალს, ღვთისმშობელს (ღმერთი სიბრძნე, მარიამი – სიბრძნის დედა) და კოლხურ ფსალმუნებს.

პოეტს უძველეს კოლხეთში ეგულება სამყაროს პირველსაწყისი, ბიბლიური ქალდეველები, ღვთისმშობლის დედა კირკე, კოლხთა დედა რეა, კიბელე (წარმართულ საქართველოში „ნანა“), ოქროს საწმისი, გრაალი და ამ ტრადიციების შემოქმედებით განვითარებად ესახება თავისი „კოლხური ფსალმუნების“ ტიტანური, ათასგვერდიანი ხუთტომეული) (იხ. ამაზე ჩვენი „ოქროს საწმისის პარადიგმა ვაჟა ეგრისელის პოეზიაში (10, 57-65). და „ვაჟა ეგრისელის ტიტანური ხუთტომეულის „კოლხური ფსალმუნების“ სახელწოდების შესახებ (11, 145-150).

გრაალის, საწმისის კოლხეთთან დაკავშირება თანმიმდევრულ ხასიათს ატარებს „კოლხეთიდან მოსული

ქრისტეს მხედრის“ შემოქმედებაში (იხ. გრაალი – კაცობრიობის მარადიული იდეალი (11, 124-151).

ამიტომ ცის ცხრავე კარის გახსნის მხილველისთვის, მთვარის ტაძრიდან მოსმენილი ღვთიური ზარი კოლხურია: „გაიღო ცის ცხრავე კარი და მთვარის ქათქათა ტაძრიდან – მოისმა კოლხური ზარი“.

მარიამი ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში ასოცირებულია კოლხეთთან, კოლხთა დედა კიბელესთან, რეასთან, კირკესთან (იგი თითქოს ღვთისმშობლის დედაა) და ღმერთქალ ფაზისთან: „მთას უკავია სავსე პირთამდე – ქარიშხლით სავსე ვერცხლის თასი ზღვის და დგება ჟამი მზის და მთვარის ნიშნობის. ეს კოლხეთია – ღმერთქალ ფაზისის, სად სიძულვილი სიყვარულად აღმოიშობა“ (ეს კოლხეთია) (2, 572).

ვფიქრობთ, ეს პრობლემა მომავალში ისტორიკოსებისა და ლიტერატორების სერიოზული კვლევის საგანი უნდა გახდეს.

„კოლხური“ ფსალმუნების“ ავტორი მზითმოსილია, მთვარითმოსილი, ცისკრით ნათელით მოსილი.

პოეტი ქვეყნის ოთხივე კიდეს მოგზაურობს „მთვარის თეთრი ჩოხით“ და „მზის ოქროსფერ სამხრეთი“: „მთვარის თეთრი ჩოხით და მზის ოქროსფერ სამხრეთი, შენ ერთი ხარ მეუფე – ქვეყნის კიდით კიდემდე, აღმოსავლით, დასავლით, ჩრდილოსა და სამხრეთით“ (შენ ერთი ხარ მეუფე) (12, 363).

მთვარე მარიამის, მზე – ქრისტეს სიმბოლოებია.

ვაჟა ეგრისელის „პორფირი“ მთვარით მოსილია: „ფხიზელ ღამეთა ვარ კმაყოფილი. რადგან მათ მომცეს და მათ მიბოძეს – მთვარით მოსილი მგოსნის პორფირი“ (დღეებმა ყველა ფიქრი წამართვა“ (13, 586).

პოეტი ეძებს სამოთხეს – მარიამს, ვენახის (ქრისტეს) გზით, რომ იხილოს „მზიანი ღამე“ (მამადმერთი)და უფლის ცა: „იტყვის: ძებნაში სამოთხის ცრემლებს გამოვყევ ვენახის, წყვდიადში მოველ მეცხრეცა. „მზიან ღამით“ რომ მენახა: მეშვიდე, მერვე, მეცხრე ცა“ (12, 957).

„ტაძარი“ მარიამის სიმბოლოა და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილის თვალში საქართველოს ცა – მარიამია დავანებული: „სამშობლოსთვის ყოველთვის, ხმალს მოჰგავდი ალესილს, რადგან ქართლის ტაძარში გსურდა დიდხანს გელოცა. და ცრემლიან თვალებში გედგა საქართ-

ველოს ცა“ (გედგა საქართველოს ცა) (13, 528). (შდრ. გალაკტიონის „თვალები ფეთქდნენ ცვრებით, იებით - „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“).

ვაჟა ეგრისელის პოეზია სავსეა სულის მზრდელი ლოცვა-ვედრების, გალობის ინტონაციებით, სიმბოლური ზღვისა და ცის კოშკებით და მის „თვალებში დგას ქართული ცის ეკლესია მზისა და მთვარის მგალობელ ზარით“... მზე ქრისტეს, მთვარე მარიამის სახელია.

ირისე, ცისარტელა მარიამის სიმბოლოა (4, 124).

როგორც ღმერთის, ასევე უფლის დედის რჩეულია პოეტი: „ცისარტყელა ხელს გიწვდის, რადგან შენ ხარ მგოსანი, წარღვნას გადარჩენილი, ქრისტეს კვართით ნაშობი“ (12, 77).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის „საგანძურია“ ღვთის-მშობლის მიერ ქართულ სიტყვის ყაისნაღით მოქსოვილი ოქროს კვართი: „შენ, მესამე ათასწლეულს, ვით მეგობარს ხელს რომ ართმევ, ალბათ სიყვარულით დაღლილს, მოგი-ქსოვა ღვთისმშობელმა ოქროს კვართი, ქართულ სიტყვის ყაისნაღით“ (შენ მესამე ათასწლეულს) (12, 917).

მზისა და ცისარტყელას (ქრისტესა და მარიამის) ფერებით იმოსება, უზენაესი ნათლის დიადემა ადგას პოეტის სულს: „როდესაც სულს, ცისკენ მქროლავს, გულმა თვალი მიადევნა, მაშინ გაქრნენ ვარსკვლავები – ცის ბარტყები და სინათლის დიადემად დამადგა მზე და ფერები ცისარტყელის“ (აუმ) (13, 957).

მზე ქრისტეს, ცისარტყელა ქრისტეს მეტაფორაა.

არც ის არის შემთხვევითი, რომ მისი პოეზიიდან „სიცოცხლის, სიყვარულის“ (ქრისტეს) ჰანგები იხმიანებს ათასწლეულებში, ხოლო მისი სიტყვის სასახლე „გადა-ხურულია მთვარით“ (მთვარე მარიამის სახეა): „სიცოცხლესა და სიყვარულს ათასწლეულებს გასძახებს მთვარით გადახურული, შენი სიტყვის სასახლე“ (ვით კრიმანჭულად გურული).

ახლა მთლიანობაში გადავავლოთ თვალი ვაჟა ეგრისელის პოეზიაში დაფიქსირებულ საღვთისმშობლო სიმბოლიკას. პოეტისათვის მარიამი არის ნიგვზოვანი მტილი, ტაძარი, ზეცის ლურჯი ტაძარი, მზიანი ტაძარი, მთვარის ტაძარი, ქართვლის ტაძარი, კლდე, კვართხი, ზღვა, ბოგირი, კიბე,

მაყვალი, მაყვალის ბუჩქი, ხიდი, მთა, მთვარის ბილიკი, მთვარის მახვილი, მთვარის ციალი, მთვარის ფარი, მთვარე, ვაზი ნორჩი, ღვინის ხე, ვენახი, ცა, ცათაგან დაუტევნელი, ახალი მზე, გვირგვინი, ჭეშმარიტების ტევანი, ემბაზი, სამოთხე, ედემი, ქალწული, ფიალა, ღრუბელი, ცამდე აწვდილი კოშკი, ოქროს საწმისი, გრაალი, კირკე, კოლხთა დედა რეა, კიბელე, ცის ეკლესია, ცისარტყელა, ცისკარი.

პოეტი მოსილია „მთვარის თეთრი ჩოხით“, „მთვარის შესამოსელით“, გამოარჩევს „მთვარით მოსილი მგოსნის პორფირი“, მფლობელია ღვთისმშობლის მიერ ქართულ სიტყვის ყაისნადით მოქსოვილი ოქროს კვართის...

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
2. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. II, თბ. 2008
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
4. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
5. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
6. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. I, თბ. 1987
7. ტიტე მოსია, „დავითიანის“ სახისმეტყველება,; თბ. 2005
8. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990
9. რენე გენონი, გრაალის სიმბოლიზმი, „ლიტერატურული საქართველო“, 15 ოქტომბერი, 1992
10. ლუარა სორდია, „ოქროს საწმისის პარადიგმები ვაჟა ეგრისელის პოეზიაში“, ჟურნალი კულტურათაშორისი კომუნიკაციები, თბ. 2009, 6-7
11. ლუარა სორდია, წერილები, ბიბლიის ერთი კონცეფცია. აპოკალიფსური სახეები. გრაალის იდეალი. თბილისი, 2009
12. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, თბ. 2007
13. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ. 2006